საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№18 (109)
25 - 31 მაისი, 2011
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## ჩერქეზული გამბიტი ამოყირა-ვებულ დაფაზე
3

## დესანტი უპარაშუტოდ, ანუ ბრეჩიხას ამბორი
2



## ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს
5



## ვინ ჩაიბარებს ალღუმს?
6



25 მაისს თბილისში ვიქნები



ტყვიებს წინ პირველი მე დავხვდები



25 მაისს ოქრუაშვილი არ ჩამოვა



ბედნიერი ვიქნები, თუნდაც შევეწირო ამ ყველაფერს



ალღუმს მე ჩავიბარებ

## კონტროლის პალატა თავდაცვის სამინისტროს იარაღის შესყიდვებს ამოწმებს
9





## მალე სასმელი წყლის ნაცვლად ონკანში ტექნიკური წყალი წამოვა
5

**ლევან კუდუხაშვილი:** ხელისუფლებას ხელთ აქვს პროექტი, რომლის თანახმად თბილისის მოსახლე-ობა სასმელი წყლის გარეშე დარჩება.



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**გათამაშდება კომბინაცია, რომელიც ჭორებსა და ეჭვებზე მაღლა დააყენებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს... როგორც ჩანს, ეს ძალიან კარგად ესმის სააკაშვილის გარემოცვას, ამიტომაც ინარჩუნებს იგი სიმშვიდეს... ხოლო იმაზე, რას და როდის მიხვდებიან „სახალხო კრებისა“ თუ „ქართული პარტიის“ მესვეურები, დამოკიდებულია არა მარტო მათი პოლიტიკური მომავალი, არამედ იმ ადამიანების ბედიც, ვინც ვაის გაეყრება და უის შეეყრება „კონსტრუქციული“ ალასანია-თარგამაძისა და სხვა წვრილფეხობის სახით... და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ამაში სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტები შეგნებულად მიიღებენ მონაწილეობას თუ სიბრიყვის გამო...**

# დესანტი უპარაშუტოდ, ანუ გრეჩიხას ამბორი

**სანამ მთავარს მივადგებოდე, განვმარტავ, რომ სიტყვა პარაშუტი მასალის სათაურში „დამატებით კიდევ 1 მილიონს“ გულისხმობს, რომელიც ბადრი ბიწაძის მტკიცებით, გრეჩიხამ (ლევან გაჩეჩილაძემ), აქციებში მონაწილეობის სანაცვლოდ, დამატებითი გარანტიის სახით მოითხოვა.**
**რაც შეეხება „გრეჩიხას ამბორს“, მერწმუნეთ, მას არაფერი აქვს საერთო კარავაჯოს „იუდას ამბორთან“. უბრალოდ, ფოტოზე ნათლად ჩანს, როგორ გადაკოცნა „სახალხო კრების“ მიტინგზე უპარაშუტოდ დესანტირებულმა ლევან გაჩეჩილაძემ ნინო ბურჯანაძე და წინამდებარე მასალაც სწორედ ამ კოცნის მორალურ და პოლიტიკურ ასპექტებს ეხება.**



იძულებული ვარ, მცირედი შესავლის შემდეგ, საქართველოს უახლოეს ისტორიაში მცირედი ექსკურსიც მოგიწყოთ. ვეცდები, თავი არ მოგაბეზროთ.

შარშან ერთ-ერთ (სხვათა შორის — კარგ) ქართულ გაზეთში დიდი ხმაური ატყდა. სკანდალისას, რომელიც თითქმის ერთი თვე გრძელდებოდა, გაირკვა, რომ ლევან გაჩეჩილაძე (იგივე გრეჩიხა) საიდუმლოდ შეხვდა სააკაშვილს და ამ შეხვედრაზე, რამდენიმე მილიონის სანაცვლოდ, ოპოზიციაც გაყიდა. ბადრი ბიწაძის მტკიცებით, გრეჩიხამ აღებული ვალდებულება შეასრულა და ანტისახელისუფლო განწყობებიც ხელოვნურად, მზაკვრულად ჩაახშო...

გაჩეჩილაძე ამ ბრალდებებს დიდხანს უარყოფდა, მაგრამ, როდესაც ბიწაძემ გაამხილა, რომ სააკაშვილთან მის გარიგებას საკუთარი ყურით ფარდის უკან დამალული ისმენდა, ლევან გაჩეჩილაძემ თავის მართლება შეწყვიტა.

გრეჩიხა, რომელიც აქამდე რიხით ირწმუნებოდა, რომ არავის არაფერს შეარჩენდა და საკუთარ სიტყვებსა თუ ბრალდებებზე ყველას (ბიწაძე-ბურჯანაძეს) აუცილებლად მოუწევდა პასუხისგება, უეცრად დადუმდა, დუმილი ბევრმა თანხმობად მიიჩნია, თუმცა... ერთხელაც გრეჩიხა ბადრი ბიწაძეს მიუნხენის აეროპორტში გადაეყარა, „საქმეც გაურჩია“ და, როგორც პრესა წერდა, ერთი-ორი ლაზათიანადაც უთავაზა.

ბიწაძემ არც აცია, არც აცხელა და განმარტა, რომ **„მიუნხენში მომხდარი ინციდენტი იყო გაჩეჩილაძის იაფფასიანი პროვოკაცია. მან ახალი დავალება მიიღო ხელისუფლებისგან, რომ მერაბიშვილის ჩემი დაჭერა გაუადვილდეს... დედილი ხალხი რომ იქცევა, ისე მოიქცა. ლაჩარს ჩვევია ეგეთი სიტყვები... ჩემ მიმართ ეგეთი რამის გაკეთება ძნელია, მაგას ერთი ადგილი სჭირდება და ეგ ერთი ადგილი არც გაჩეჩილაძეს აქვს და არც კიწმარიშვილს“.**

ამ სკანდალის შეხსენება არ დამჭირდებოდა, რომ არა ერთი გარემოება — 22 მაისს „ქართული პარტია“ ტელევიზიის წინ ბურჯანაძის საპროტესტო აქციას შეუერთდა. შერიგების ნიშნად კი „დედალმა, ლაჩარმა და „უერთადგილო“ გრეჩიხამ, რომელიც, ბიწაძისავე მტკიცებით, თურმე სააკაშვილის დავალებებს ასრულებს, ნინო ბურჯანაძე გადაკოცნა...

სწორედ აქ ჩნდება ერთი მეტად უხერხული ზნეობრივი დილემა. კერძოდ — თუ გაჩეჩილაძისადმი ბადრი ბიწაძის მიერ წაყენებული ბრალდებები სიმართლეა და ფარდის უკან დამალულმა ბიწაძემ მართლა საკუთარი ყურით მოისმინა გარიგება სააკაშვილსა და გრეჩიხას შორის, მაშინ ცხადია, რომ ლევან გაჩეჩილაძეს, რომელმაც ერთხელ უკვე გაყიდა და ჩაშალა საპროტესტო აქციები, ბიწაძე-ბურჯანაძე სათოფეზე არ უნდა იკარებდნენ. მართალია, პოლიტიკაში მორალზე თვალის დახუჭვა ახალი ხილი არ არის, მაგრამ არის გარკვეული კანონები, მათ შორის დაუწერელი, რომელთა დარღვევის შემდეგ კონკრეტულ პოლიტიკოსთან ურთიერთობის დაჭერა, მსუბუქად რომ ვთქვათ, ცუდი ტონია, და ეს შემთხვევა სწორედ ასეთთა რიგს მიეკუთვნება.

ამ საკითხზე მსჯელობა მარჩიელობას რომ არ დაემსგავსოს, მის ზნეობრივ კომპონენტს ცოტახნით თავი დავანებოთ და პოლიტიკურ ასპექტზე გადავერთოთ...

სააკაშვილი უნდა წავიდეს და ამ საკითხზე, დიდი ხანია, საზოგადოების უმრავლესობას კონსენსუსი აქვს.

**სააკაშვილის წასვლა ამდენი ხანი იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ ოპოზიცია, რომელიც მის გაშვებას ცდილობდა, ხან გარიგების, ხან პარაშუტის, ხან უპრინციპობისა თუ სიბეცის გამო ანტისახელისუფლო განწყობაში სოლიდარულ ხალხს პირშიჩალაგამოვლებულს ტოვებდა.**

სააკაშვილი უნდა წავიდეს, მან პასუხი უნდა აგოს უამრავი შეცდომისა თუ დანაშაულისთვის... მაგრამ პარაშუტისტებიც უნდა წავიდნენ, უნდა წავიდნენ ის ადამიანებიც, რომლებიც ორიოდე თვის წინათ ნინოს გულის საამებლად ლევან გაჩეჩილაძესა და „ქართულ პარტიას“ მიწაში დებდნენ, ხოლო მიტინგზე, „გრეჩიხას საჯარო ამბორის“ შემდეგ, მზად იყვნენ, ასკარიდად ქცეულიყვნენ ამ პარტიისა და მათი ლიდერების საამებლად და, მიუხედავად იმისა, რომ „ძალამოცემულმა“ გრეჩიხამ სათოფეზე არ მიიკარა, დითირამბებიც კი უძღვნეს...

მაგრამ ყველაფერს, მათ შორის მათ წასვლასაც, თავისი დრო აქვს. ახლა ამ ადამიანთა წასვლა ნიშნავს, რომ ბურთი და მოედანი ალასანია-თარგამაძეს და სხვა წვრილფეხა „კონსტრუქციულებს“ დარჩებათ, რაც, პირველ რიგში, სააკაშვილისა და, რა თქმა უნდა, ვაშინგტონის ინტერესებში შედის. სააკაშვილისა და ვაშინგტონის ინტერესები რომ ქართველი ხალხის ინტერესებისაგან დიამეტრალურად განსხვავდება, ამაში არაერთხელ დავრწმუნდით.

**სამთავრობო აგიტპროპი (ნაციონალური არხები და სხვა წვრილფეხობა), რამდენიმე დღეა, „ნერგავს“ ვერსიას, რომ „ქართული პარტია“, ისევე, როგორც „სახალხო კრება“, რუსეთთან შეთანხმებით მოქმედებს და რომ დაქოქილი რუსული ტანკები არეულობას ელიან, რათა თბილისში შემოიჭრან და სააკაშვილი დაამხონ.**

ეს ვერსია განსაკუთრებულად გულდასმით მუშავდება მას შემდეგ, რაც „ქართული პარტია“ „სახალხო კრებას“ შეურიგდა, ხოლო ოქრუაშვილმა პარიზიდან დაიმუქრა — 25 მაისს თბილისში ვიქნებიო... თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი ცხინვალსა და სოხუმში ყოფნასაც ასე იმუქრებოდა, ექსთავდაცვის მინისტრის განცხადებები სათვალავში არ უნდა მივიღოთ. **ოქრუაშვილის რეპუტაციას ვერც „ქართული პარტიის“ მიერ საგანგებოდ მოგონილი მიზეზი (ძლივს დავიყოლიეთ, რომ არ ჩამოსულიყო, რადგან ნინო ბურჯანაძესთან მოქმედების საერთო გეგმა ვერ შევაჯერეთო) უშველის. ზოგიერთმა კონსპიროლოგიისაკენ მიდრეკილმა ექსპერტმა უკვე გამოთქვა მოსაზრება, თითქოს სინამდვილეში „ქართული პარტია“ და „სახალხო კრება“ შეთანხმებულად მოქმედებენ, ქიშპის ილუზიას ქმნიან, რათა მერაბიშვილის უწყების ყურადღება მოადუნონ, ხოლო საჭირო დროს კიდევაც გაერთიანდებიან და ოქრუაშვილიც გამოჩნდებაო. მაგრამ ეს ვერსია არათუ კონსპიროლოგის, სამეცნიერო ფანტასტიკის ჩარჩოებსაც სცილდება და ფსიქიატრიის სფეროში ინაცვლებს....** ასე რომ, შევეშვათ ბაქია ოქრუაშვილს, აქციაზე უპარაშუტო დესანტით გადამსხდარ გაჩეჩილაძესა და კიწმარიშვილს. ხოლო ვერსია, რომ რუსის დაქოქილი ტანკები თბილისში შემოსაჭრელად ემზადება, გულდასმით განვიხილოთ.

**ჯერ ერთი, რუსს რომ ტანკითა და ზარბაზნით სააკაშვილის დამხობა სდომოდა, ამას 2008 წლის აგვისტოშიც გააკეთებდა, საბაბიც ჰქონდა და განმკითხავიც არავინ ჰყავდა.**

მაშ, რას ემსახურება ამ ვერსიის გაზვიადება, მარტოდენ მტრის ხატის შექმნასა და ანტირუსული რიტორიკის ლოგიკურ გაგრძელებას?...

**ერთი წამით დავუშვათ საპირისპირო, ანუ ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი ხელისუფლებისა და ოპოზიციის უდიდესი უმრავლესობის დე ფაქტო ბატონ-პატრონს, ანუ ვაშინგტონს, მობეზრდა გაუთავებელი „მიშა, მოვდივართ“. მას ასევე მობეზრდა დესტრუქციული სააკაშვილიც, სურს, რომ ე. წ. კონსტრუქციულები, ანუ ალასანია-თარგამაძე მოიყვანოს ხელისუფლებაში და „რესპუბლიკელები“ „ახალი მემარჯვენეებითურთ“ ოპოზიციად დაუსვეს. მაგრამ ამ სურვილს ვერ ახორციელებს, ერთის მხრივ, „კონსტრუქციულების“ უკიდურესად დაბალი რეიტინგის, მეორე მხრივ, პროამერიკული ორიენტაციის მიმართ საზოგადოებაში უფრო და უფრო მზარდი უკმაყოფილების გამო...**

ასეთ ვითარებაში იდეალური იქნებოდა, ვაშინგტონს ქართული პოლიტიკური სივრცე მოესუფთავებინა, თამაში, ასე ვთქვათ, სუფთა ფურცლიდან დაეწყო და ამ გზით მიეღწია საწადელს...

მოედნის მოსასუფთავებლად კი საჭიროა ყველა „არაკონსტრუქციული“ ოპოზიციონერის განეიტრალება და არაპროამერიკული კურსის საბოლოო დისკრედიტაცია.

„სახალხო კრებისა“ და „ქართული პარტიის“ მოქმედების ლოგიკას, მათ ხაზგასმულ, ზოგჯერ გადაჭარბებულ თვითდაჯერებულობას თუ დავაკვირდებით, ცხადია, რომ ისინი ვიღაცამ შეაგულიანა...

**მართალია, ცალ-ცალკე გაუგებრად, დაბნეულად, მაგრამ ესენიც მიაწვნენ... რა ხდება შემდეგ? სააკაშვილი ხომ, როგორც ყოველთვის, მათ მოთხოვნებზე ყურს არ შეიბერტყავს...**

პროტესტანტებს ისღა დარჩებათ, გავიდნენ კონსტიტუციის ჩარჩოებიდან და მოინდომონ სააკაშვილის ძალადობრივი დამხობა. ამას, ბუნებრივია, ხელისუფლება არ დაუშვებს და გადატრიალების აღსაკვეთად გამოიყენებს ძალას...

ვაშინგტონი და მისი ევროპელი გამხმოვანებლები ერთიორს შეშფოთდებიან, სააკაშვილს საჩვენებლად ყურს აუწევენ, მაგრამ მოახერხებენ, რომ ძალის გამოყენებას ერთგვარი პირობითი და სამართლებრივი ლეგიტიმაცია შესძინონ...

**რადიკალური ოპოზიცია რჩება, უკეთეს შემთხვევაში, თავგატეხილი და ნებისმიერ შემთხვევაში — პირში ჩალაგამოვლებული, რაც მის დისკრედიტაციას, პოლიტიკური ავანსცენისგან ჩამოშორებას გამოიწვევს.** სამთავრობო აგიტპროპი კი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მოახერხოს არაპროამერიკული პოლიტიკური კურსისა და ამ კურსის მიმდევართა რეპუტაციის შელახვა...

თუკი მოვლენები ამ სცენარით განვითარდა, მივიღებთ ვითარებას, რომელშიც ბურთი და მოედანი კონსტრუქციულ ალასანიასა და თარგამაძეს დარჩებათ, სააკაშვილს კი როგორც 2007-ში, ისევე წელსაც ძალის გამოყენების კომპენსირებისთვის მოუწევს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა, რომელშიც ალასანია და თარგამაძე მორჩილად ჩაანაცვლებენ „ნაცმოძრაობას“ და ასევე მორჩილად გააგრძელებენ ძველი პატრონის — ვაშინგტონის ყურმოჭრილი მონის როლის შესრულებას. ეს სქემა არ გამორიცხავს პრეზიდენტი-ალასანია, პრემიერი-სააკაშვილი, პარლამენტის სპიკერი-თარგამაძის კომბინაციას... ახალი კონსტიტუციით კი, რეალური ძალაუფლება აქვს პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტიც და პარლამენტის თავმჯდომარეც თამაშგარე არიან.

**ასე რომ, ყველაზე მეტად და, პირველ რიგში, ყოველივე, რაც ხდება, ხელს აძლევს შეერთებულ შტატებს. ის მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში ორ კურდღელს იჭერს — ახდენს არაამერიკული კურსის დისკრედიტაციას და ხელისუფლებაში უმტკივნეულოდ მიყავს სააკაშვილი №2 ალასანია-თარგამაძისა და სხვა წვრილფეხა „კონსტრუქციულთა“ სახით...**

მერე კი დაიწყება თავის მართლება, ქალბატონი ნინო ეცდება (სავარაუდოდ, მოდულის სარდაფიდან) მიაწვდინოს ერსა და ბერს ხმა და „აუხსნას“, რომ ყველაფერი კვლავ „პარაშუტისტი“ გრეჩიხას და მტარვალი მიშას ბრალია, ის კი უმწიკვლოა, რადგანაც, მოგეხსენებათ, კეისრის ცოლი ჭორებზე მაღლა უნდა იდგეს...

**სინამდვილეში კი გათამაშდება კომბინაცია, რომელიც ჭორებსა და ეჭვებზე მაღლა დააყენებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს... როგორც ჩანს, ეს ძალიან კარგად ესმის სააკაშვილის გარემოცვას, ამიტომაც ინარჩუნებს იგი სიმშვიდეს... ხოლო იმაზე, რას და როდის მიხვდებიან „სახალხო კრებისა“ თუ „ქართული პარტიის“ მესვეურები, დამოკიდებულია არა მარტო მათი პოლიტიკური მომავალი, არამედ იმ ადამიანების ბედიც, ვინც ვაის გაეყრება და უის შეეყრება „კონსტრუქციული“ ალასანია-თარგამაძისა და სხვა წვრილფეხობის სახით... და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ამაში სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტები შეგნებულად მიიღებენ მონაწილეობას თუ სიბრიყვის გამო...**

ასე რომ, იუდა ამ შემთხვევაში არის არა გაჩეჩილაძე, რომელმაც ნინო ბურჯანაძე გადაკოცნა, არამედ ის ცბიერი ძალა, რომელმაც თავისი „ამბორით“ მონიშნა მთელი „არაკონსტრუქციული“ ოპოზიცია და საკუთარი ხელით ათხრევინებს გვირაბს პოლიტიკურ მოუსავლეთში... და როგორც მაშინ, ლამის მისტიურ 2003 წლის ნოემბერში, თავად ჩრდილში დარჩება, რითაც კიდევ ერთხელ გაამართლებს იდიომას **Caesar's wife must be above suspicion!**

**დავით ბაზაძე**

**აშშ-ც და ბრიტანეთიც, სავარაუდოდ, ცდილობენ, ჩრდილოეთ კავკასიაში სერიოზული თამაში აწარმოონ, თუმცა ამას ძალიან ფრთხილად აკეთებენ, ისე, რომ კვალი არ დატოვონ. რუსეთი ერაყივით (ფარდობითად) სუსტი ქვეყანა რომ ყოფილიყო, მსგავს დელიკატურობას ადგილი, ალბათ, არ ექნებოდა, თუმცა როგორც თეთრ სახლში, ისე დაუნინგ-სტრიტზე კარგად აცნობიერებენ, რომ რუსეთი ძალიან ძლიერი, კრიტიკულ მომენტებში კი ანომალიურად ძლიერი სახელმწიფოა, უაღრესად მტკივნეული საპასუხო დარტყმის მიყენება რომ შეუძლია.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ჩერქეზული გამბიტი



# ამოუყირავებულ დაფაზე

**20 მაისს საქართველოს პარლამენტმა ჩერქეზების გენოციდი აღიარა. ეს ფაქტი საზოგადოების ყურადღების პერიფერიაზე მოექცა, რადგან მომდევნო დღეს ქვეყანაში ოპოზიციის საპროტესტო გამოსვლები და მწვავე დაპირისპირება დაიწყო. აქედან გამომდინარე, პარლამენტის „ჩერქეზული რეზოლუციის“ ანალიზისთვის, სიმართლე რომ ვთქვათ, დიდად არავის ეცალა. არადა, ეს რეზოლუცია და მისგან გამომდინარე სავარაუდო შედეგი ყურადღებას ნამდვილად მოითხოვს.**

**„აღიარებულ იქნას რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში ჩერქეზების (ადიღელების) მასობრივი განადგურება და მათი იძულებითი განდევნა მათი ისტორიული სამშობლოდან გენოციდის აქტად,“** — ნათქვამია რეზოლუციაში.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის — გივი თარგამაძის განცხადების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს მხოლოდ დასაწყისია. **„ჩვენ მოგვიწევს მთლიანად კავკასიის ხალხების სიტუაციის განხილვა, რადგან ჩერქეზები, სამწუხაროდ, არ არიან ერთადერთი ხალხი, რომლებიც იდევნება და რომლის წინააღმდეგ რუსეთი მიზანმიმართულ გენოციდს ახორციელებს,“** — განაცხადა მან.

მსგავსი შინაარსის გადაწყვეტილება დღემდე მსოფლიოს არც ერთ პარლამენტს არ მიუღია. ისევე, როგორც არ შეუფასებია „გენოციდის აქტად“, მაგალითად, ბრიტანული კოლონიური ადმინისტრაციის მოქმედება ინდოეთში, რომელმაც დაახლოებით იმავე პერიოდში ათეულობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ან კიდევ ამერიკის მკვიდრი ინდიელების „მასობრივი განადგურება და იძულებითი განდევნა რეზერვაციებში“. ეს გასაგებიცაა, **არც ერთ პრაგმატულ ქვეყანას XIX საუკუნის იმპერიების მემკვიდრე სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურს. საქართველო ამ მხრივ, როგორც ჩანს, გამონაკლისს წარმოადგენს.**

ცხადია, ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ჩერქეზებს XVIII-XIX საუკუნეებში თავს უდიდესი ტრაგედია გადახდა; ამას არც რუსი მეცნიერები და პოლიტიკოსები უარყოფენ. ალბათ, ნებისმიერი საღად მოაზროვნე ქართველი მიესალმება ჩერქეზებთან, ისევე, როგორც სხვა კავკასიელ ხალხებთან ჰუმანიტარული და ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას. მაგრამ ერთი გარემოება აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ: **ნებისმიერი მკვეთრი ნაბიჯი ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებით, მოსკოვის ინტერესების გაუთვალისწინებლად, ფაქტობრივად, რუსეთისთვის ომის გამოცხადების ტოლფასია.**

ეს მშვენივრად ესმით ვაშინგტონსა და ლონდონში; **რეზოლუციები „ჩერქეზთა გენოციდის შესახებ“ ამ ქვეყნების პარლამენტებს არ მიუღია. აშშ-ც და ბრიტანეთიც, სავარაუდოდ, ცდილობენ, ჩრდილოეთ კავკასიაში სერიოზული თამაში აწარმოონ, თუმცა ამას ძალიან ფრთხილად აკეთებენ, ისე, რომ კვალი არ დატოვონ.** რუსეთი ერაყივით (ფარდობითად) სუსტი ქვეყანა რომ ყოფილიყო, მსგავს დელიკატურობას ადგილი, ალბათ, არ ექნებოდა, თუმცა როგორც თეთრ სახლში, ისე დაუნინგ-სტრიტზე კარგად აცნობიერებენ, რომ რუსეთი ძალიან ძლიერი, კრიტიკულ მომენტებში კი ანომალიურად ძლიერი სახელმწიფოა, უაღრესად მტკივნეული საპასუხო დარტყმის მიყენება რომ შეუძლია.

იმ გარემოებამ, რომ ქართული პარლამენტის რეზოლუციას რუსეთის ოფიციალურმა პირებმა რაიმე განსაკუთრებული კომენტარი არ მოაყოლეს, არ ნიშნავს იმას, რომ კრემლმა ოფიციალური თბილისის ეს ნაბიჯი არ შეამჩნია. რუსული პრესის პუბლიკაციების დაკვირვება ცხადყოფს, რომ **მოსკოვმა ყოველივე აღიქვა როგორც რუსეთის უსაფრთხოების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, შესაძლოა, უფრო სერიოზული, ვიდრე „პირველი საინფორმაციო კავკასიური“ არხის ამოქმედება ან სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებლებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღება.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ **კრემლი საპასუხო დარტყმას განახორციელებს.**

როგორც ჩანს, პარლამენტში ჩათვალეს, რომ ჩვენს ქვეყანას სრული ბედნიერებისთვის მხოლოდ ესღა აკლია.

ისეთი ტემპით, როგორითაც სააკაშვილის ხელისუფლება კრემლის საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამს, მან შეიძლება ძალიან სწრაფად მიგვიყვანოს კიდევ ერთ ომამდე რუსეთთან, მითუმეტეს, რომ არავინ იცის, ხვალ კიდევ რა „ჩრდილოკავკასიური ინიციატივა“ მოუვა თავში სააკაშვილს, მის გარემოცვას ან დასავლელ მრჩევლებს. მთავარი საკითხი კი ძალზე მარტივად დგას: **გვსურს თუ არა რეალური ომი რეალურ რუსეთთან?**

თუ — არა, ალბათ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რათა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით ხელისუფლების გაუაზრებელი აქტიურობა შევზღუდოთ.

**დიმიტრი მონიავა**



**არც ერთ პრაგმატულ ქვეყანას XIX საუკუნის იმპერიების მემკვიდრე სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურს. საქართველო ამ მხრივ, როგორც ჩანს, გამონაკლისს წარმოადგენს.**

## კრემლი საპასუხო დარტყმას განახორციელებს. გვსურს თუ არა რეალური ომი რეალურ რუსეთთან?

## მაჟორიზებულნი

**ზაზა შათირიშვილი,** ფილოსოფოსი:



პრაქტიკულად, საქართველო, გარკვეული აზრით, ლაბორატორიაა, სადაც ექსპერიმენტებს ატარებს ხან ვინ და ხან ვინ — ვისაც რა გრანდიოზული იდეა გაუჩნდება. ეს იდეები იმდენად არაპროფესიონალურად ხორციელდება, რომ კატასტროფული შედეგები მოჰყვება ხოლმე.

*„კვირის პალიტრა“*

**რობერტ სტურუა,** რეჟისორი:



რა ვქნა, იქნებ დამიჭირონ და კედელთან დამაყენონ. სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის მსოფლიოში კარგად ცნობილ სისხლისმსმელ თანამემამულეთა ბოროტი თესლი ჯერ კიდევ ფეთქავს ზოგიერთი ქართველის სულსა და გულში!

*„კვირის პალიტრა“*

**გურამ პეტრიაშვილი,** პოეტი და პროზაიკოსი:



ეს რეჟიმი მალე წარსულის საკუთრება გახდება. საქართველო მალე მოინელებს სააკაშვილს. ამ ვიგინდარას დრო წასულია. სომეხი სააკოვი საქართველოს არ უნდა მართავდეს.

*„ასავალ-დასავალი“*

**ჯაბა ჯიშკარიანი,** „სამოქალაქო ფრონტის“ ლიდერი:



მოვუწოდებთ პოლიციას, ნუ ჩაჰყვებიან მერაბიშვილს პოლიტიკურ საფლავში — ის გაიქცევა, თქვენ კი აქ დარჩებით — თქვენ სახლები აქ გაქვთ! დაყარეთ იარაღი და ხალხის გვერდით დადექით.

*„პირველი“*

**გიორგი თავდგირიძე,** სამხედრო ექსპერტი:



ბურჯანაძემ კი არა, ბაჩო ახალაიამაც რომ სცადოს რამე ავანტიურის მოწყობა, ისიც ხელმოცარული აღმოჩნდება. არ არის ახლა ქვეყანაში ისეთი პოლიტიკური რეალობა, რომ ჯარი პოლიტიკურ პროცესებში ჩაითრიონ.

*„ალია“*

მოკლედ

## «ფუკუსიმა-1»-ის ავარიაზე პასუხისმგებელი გადადგა

**11 მარტის მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად დაზიანებული ატომური ელექტროსადგურის — „ფუკუსიმა-1“-ის ოპერატორი კომპანიის ხელმძღვანელმა მასატაკა სიმიძუმ ავარიაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და თანამდებობიდან გადადგომა გადაწყვიტა.**

მის ადგილს კომპანიის ერთ-ერთი ტოპმენეჯერი კაპუტოსი ჩიკუდატე დაიკავებს. სადგურზე ავარიათა მთელი სერია გაგრილების სისტემის მწყობრიდან გამოსვლამ განაპირობა. გავრცელებული ინფორმაციით, სიტუაციის სტაბილიზაციისთვის ხუთ მილიარდ დოლარზე მეტი დაიხარჯა.



## ახმადინეჯადს წვიმა «მოპარეს»

**ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ ახმადინეჯადი დასავლეთის ქვეყნებს ირანში გვალვის ხელოვნურად გამოწვევაში ადანაშაულებს.** როგორც მან განაცხადა, ევროპის ქვეყნები სპეციალურ მოწყობილებებს იყენებენ იმისთვის, რომ ღრუბლები გაფანტონ და ევროპის ქვეყნებისკენ გადაიტანონ, რათა წვიმამ ირანამდე ვერ მიაღწიოს. ამასთან, ირანის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მან ვიღაც ევროპელი პოლიტიკოსის წერილი წაიკითხა, სადაც ის რამდენიმე ქვეყანაში მოსალოდნელ გვალვაზე საუბრობდა.

პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

„ვარდების რევოლუციის“ შედეგები ძალიან ბინძური, ანტიეროვნული და ანტიქართული აღმოჩნდა, რაც, საქართველოს დიდი ისტორიიდან გამომდინარე, ჩვენი ერისთვის მიუღებელია. როდესაც ხელისუფლების ქმედებები ყოველგვარ ზღვარს სცილდება, ერი ამას უკვე გრძნობს, ამიტომ ხელისუფლების ასეთი თავაშვებულობა დიდი საფრთხის მომტანია.

### რეზო ესაძე:

# ბედნიერი ვიქნები, თუნდაც შევეწირო ამ ყველაფერს

**ცნობილი ქართველი რეჟისორი და „სახალხო კრების“ წევრი რეზო ესაძე მიიჩნევს, რომ ახლა ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება, ვინაიდან ხელისუფლება ქართველი ერის მიმართ ანტიეროვნულ კამპანიას ახორციელებს და მისი თავაშვებულობა ხალხის ნებით უნდა დასრულდეს. „საქართველო და მსოფლიოს“ თავის მოსაზრებებს უზიარებს ბატონი რეზო ესაძე.**



**— აქციაზე ცოტა ხალხია... როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი, ხალხს უბრალოდ აღარ სჯერა პოლიტიკოსების?**

— არა, ტყუილია. ხალხს არ უნდა კიდევ ერთხელ შეცდეს. ხალხი აკვირდება ყველაფერს, 26 მაისს ყველაფერი ისე იქნება, როგორც ხალხს სურს.

**— რას აპირებთ 26 მაისს?**

— მოგეხსენებათ, 26 მაისი დამოუკიდებლობის დღეა და აღლუმი, იცით, რასაც ეძღვნება. ამიტომ უნდა დამთავრდეს ეს პირფერობა, ტყუილი, პოლიტიკური თვალთმაქცობა.

**— თუ არ დათმო ხელისუფლებამ და მაინც ჩატარდა აღლუმი, როგორ იმოქმედებთ?**

— როგორც ბრძენ ქართველ ხალხს საკუთარი გონება და მეობა უკარნახებს, ისე იმოქმედებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება მოტივირებული ხალხის მოქმედება და მე ბედნიერი ვიქნები, თუნდაც შევეწირო ამ ყველაფერს. სამშობლოსთვის სიკვდილი ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება.

**— საქართველოს აქვს რევოლუციური გამოცდილება და ამას ქვეყნისთვის კარგი არაფერი მოუტანია. რას მოუტანს ახალი რევოლუცია საქართველოს?**

— **რევოლუციას ჩვენ არ ვაპირებთ. ერთი სიტყვაც კი არ მიხსენებია მე რევოლუციაზე. რაში გადაიზრდება ეს პროცესები, რა თქმა უნდა, არ ვიცი, საფრთხეც არსებობს, მაგრამ ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს, რა პოზიციას დაიკავებს მსოფლიო.**

**— თქვენ ფიქრობთ, რომ მსოფლიო მხარს დაგიჭერთ?**

— შეუძლებელია, საქართველოს ეროვნული მისია იმდენად დაშორდეს მსოფლიოს სუნთქვას, რომ ის ყველასგან გაუცხოებული აღმოჩნდეს.

საქართველოს უამრავი განსაცდელისთვის დაუღწევია თავი და ქართველი ხალხი ყოველთვის იპოვის გზას მსოფლიოს გულისკენ.

**— სიტუაცია დღითიდღე იძაბება, თუ თქვენი ლიდერების განცხადებებსაც გავითვალისწინებთ, მოსალოდნელია თუ არა ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება?**

— პირადად ჩვენ, „სახალხო კრება“, თავიდან ბოლომდე კონსტიტუციის ფარგლებში ვმოქმედებთ. არ არსებობს, რომ ჩვენ კონსტიტუციურ უფლებებს გადავაჭარბოთ, ვინაიდან „სახალხო კრება“ — ეს არ არის ცალკეული პიროვნება ან პარტია, ეს არის ხალხი, აქედან გამომდინარე, მხოლოდ ხალხის ნების მიხედვით ვმოქმედებთ და ჩვენს ქმედებაში ძალადობა გამორიცხულია.

„ვარდების რევოლუციის“ შედეგები ძალიან ბინძური, ანტიეროვნული და ანტიქართული აღმოჩნდა, რაც, საქართველოს დიდი ისტორიიდან გამომდინარე, ჩვენი ერისთვის მიუღებელია. როდესაც ხელისუფლების ქმედებები ყოველგვარ ზღვარს სცილდება, ერი ამას უკვე გრძნობს, ამიტომ ხელისუფლების ასეთი თავაშვებულობა დიდი საფრთხის მომტანია.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

### ნონა გაფრინდაშვილი:

# თუ გვესვრიან, ტყვიებს წინ პირველი მე დავხვდები, მზად ვარ, თავი გავწირო

**„უკან არ დავიხევთ, უკან დასახევი გზა არ გვაქვს, რადგან ჩვენ უკან საქართველო დგას,“ — აცხადებს „სახალხო კრების“ ლიდერი ნონა გაფრინდაშვილი და ხალხს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს. ცნობილი მოჭადრაკე დარწმუნებულია, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსული ხალხი გაიმარჯვებს, რადგან მარცხის შემთხვევაში საქართველო განწირულია. „საქართველო და მსოფლიოს“ „სახალხო კრების“ მიზნებსა და მოვლენების შესაძლო განვითარებაზე ნონა გაფრინდაშვილი ესაუბრა.**



## ვინც ორმაგ თამაშს თამაშობს, მალე ყველას ლუსტრაცია მოხდება

**— რატომ მოვიდა აქციაზე ასე ცოტა ხალხი?**

— უამრავი ადამიანი დაიჭირეს და იმიტომ. ხალხი შეშინებულია, მაგრამ ჩვენ ვერ გაგვაჩერებენ. სპეცრაზმი, პოლიცია, ზონდერ-ბრიგადები ოპოზიციის მხარდამჭერებს ცალ-ცალკე სახლებში უვარდებიან და აპატიმრებენ. ჩვენს აქციაზე დასასწრებად და ჩვენს მხარდასაჭერად აჭარიდან 70 მანქანა მოდიოდა, მაგრამ, როგორც შეგვატყობინეს, მათ მანქანები წაართვეს. ჩასაფრებულები არიან და აქციის მონაწილეებს იტაცებენ. ხელიდან გვაცლიან აქტივისტებს.

ახლახან ისიც შევიტყვეთ, რომ **უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს უთხრეს, საზღვარგარეთ მოეწყოთ ხელისუფლების მხარდასაჭერი აქცია. მაგრამ მოხდა პირიქით: ბარსელონაში, კატალონიაში მცხოვრებმა ქართველებმა აქცია გამართეს და სოლიდარობა გამოგვიცხადეს. ყველას ვერ გააჩუმებენ.**

გვაქვს ინფორმაცია, რომ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც ლუკმაპურის საშოვნელად გადაიხვეწნენ და ჩვენი საელჩოები არაფერში ეხმარება, არჩევნების დროს იბარებენ და აიძულებენ, მიხეილ სააკაშვილს მისცენ ხმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაშვებითა და საქართველოში დაბრუნებით ემუქრებიან.

ხელისუფლებამ იმდენი ოჯახი გააუბედურა, თითოეული ოჯახიდან ერთი ადამიანიც რომ გამოვიდეს აქციაზე, ეს ხელისუფლება შეიცვლება და მინდა, ხალხს ვუთხრა: **რაც მეტი ხალხი გამოვა და ბევრნი ვიქნებით, მით უფრო უმტკივნეულოდ დასრულდება ყველაფერი.** სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვართ, თუ ახლა დავმარცხდით, დაღუპულია საქართველო.

**— თუ ხალხი არც შემდგომ დღეებში შემოგიერთდათ, როგორ ფიქრობთ, შეძლებთ მიზნის მიღწევას?**

— ჩათვალეთ, რომ პირველ დღეს რამდენი ხალხიც მოვიდა, ორჯერ მეტი მოვიდოდა, მთელი საქართველოს მასშტაბით ხელისუფლებას ტერორი რომ არ დაეწყო. ვინც მოვა, მათთან ერთად დავიწყებთ მოქმედებას. უკან არ დავიხევთ, უკან დასახევი გზა არ გვაქვს.

**— ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ 26 მაისს ხელისუფლებას აღლუმის ჩატარების საშუალებას არ მისცემენ, რას აპირებს „სახალხო კრება“?**

— ხელისუფლებას აღლუმს არ ჩავატარებინებთ, ხელს შევუშლით. თუ გვესვრიან, ტყვიებს წინ პირველი მე დავხვდები, მზად ვარ, თავი გავწირო. მეტი რა გითხრათ...

**ჩვენ იარაღი არ გვექნება, ჩვენს მხარეს არის სიმართლე. ისეთი მხედართმთავარი, რომელიც ომის დროს შეშინებული ძირს ფორთხავდა, ნებისმიერ ქვეყანაში თანამდებობას დატოვებდა. სააკაშვილმა კი აღლუმი უნდა ჩაატაროს?!**

**— აქციის ორგანიზატორებს გათვალისწინებული თუ გაქვთ ყველა მოსალოდნელი საფრთხე და სისხლისღვრის შემთხვევაში ვინ აიღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე?**

— პასუხისმგებლობა მხოლოდ ხელისუფლებას ეკისრება. მე რომ მიხეილ სააკაშვილის გვერდით დავმდგარიყავი და მისთვის მხარი დამეჭირა, მშვენივრად მოვიწყობდი ცხოვრებას, მაგრამ არ მინდა. რადგან ისეთ ქვეყანაში ცხოვრება აღარ მინდა, სადაც ახალგაზრდებს ტელევიზიების მეშვეობით რყვნიან. ახალი ტიპის ახალგაზრდების შექმნა სურთ, რომლებსაც არც მშობლების პატივისცემა ექნებათ, არც საკუთარი ენისა და არც ტრადიციების.

**— რა ინფორმაცია გაქვთ, შემოგიერთდებიან „ოპოზიციურ რვიანში“ შემავალი პარტიები, ლეიბორისტები?**

— არ მაინტერესებს, ვინ რას იზამს. თუ მოვლენ და ხალხის გვერდით დადგებიან, მივესალმებით ამ ნაბიჯს და ხელს ჩამოვართმევთ. „რვიანი“ ხალხს ატყუებს, საარჩევნო გარემოს შევცვლითო. რას შეცვლიან, ვის ატყუებენ? ხელისუფლება არჩევნებზე, რასაც უნდა, იმ შედეგს დადებს. ამიტომ პირდაპირ ვამბობ (ცალ-ცალკე პოლიტიკოსებს არ დავასახელებ), **ვინც ორმაგ თამაშს თამაშობს, ყველას ლუსტრაცია მალე მოხდება.**

ტერიტორიები ხომ დავკარგეთ, თუ ეს ხელისუფლება არ შეიცვალა, მალე საქართველოში ქართული არაფერი დარჩება.

**— თუ პროცესები გასცდა კანონის ჩარჩოებს, ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაშიც კი, საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს რევოლუციურ ხელისუფლებას, ხომ არ აღმოჩნდება საქართველო იზოლაციაში?**

— როგორც ახლო აღმოსავლეთში დაუჭირა მხარი ხალხს საერთაშორისო საზოგადოებამ, საქართველოშიც ასე მოხდება. **უკვე წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სააკაშვილს ყველაფერში მხარს უჭერდნენ. უცხოური მედია საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ობიექტურად აშუქებს. უკვე პირდაპირ ამბობენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ნეობოლშევიკურია და მის წინააღმდეგ საბრძოლველად ხალხი ამიტომ გამოვიდა.**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**



25 მაისს თბილისში ვიქნები



ტყვიებს წინ პირველი მე დავხვდები



25 მაისს ოქრუაშვილი არ ჩამოვა



ბედნიერი ვიქნები, თუნდაც შევეწირო ამ ყველაფერს



აღლუმს მე ჩავიბარებ

**P.S. „სახალხო კრების“ აქციაზე ხალხის ნაკლებობა, აგრეთვე „ქართული პარტიის“ უცნაური ქანქარი ბადებს ეჭვს, რომ საპროტესტო აქციებს ამჯერადაც ძველი დირიჟორი მართავს, ანუ აღლუმს კვლავ ჯონ ბასი ჩაიბარებს. „სახალხო კრება“ კი, დარჩება „მხიარული“**

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ხელისუფლებას ხელთ აქვს პროექტი, რომლის თანახმად თბილისის მოსახლეობა სასმელი წყლის გარეშე დარჩება. ხელისუფლებას აღნიშნული პროექტის განხორციელება საკუთარ ბიზნესზე აქვს გათვლილი, იგი ორმაგად მოგებული დარჩება: ერთის მხრივ, ტექნიკური წყლის გადასახადებით; მეორეს მხრივ, მაღაზიებში გასაყიდი სასმელი წყლის ბიზნესით.



## ლევან კუდუხაშვილი:

# თბილისის წყალი არ დაიქლორება და სასმელი წყლის ნაცვლად ონკანში ტექნიკური წყალი წამოვა

**ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2013 წლიდან დედაქალაქს სასმელი წყლის მიწოდება შეუწყდება და ონკანში მხოლოდ საყოფაცხოვრებო, დასალევად უვარგისი წყალი წამოვა. პროექტზე მუშაობა უკვე დასრულებულია. ხელისუფლებამ თბილისი იმდენად მოიძულა, რომ ქუთაისში გადაბარგებისას მას მხოლოდ საყოფაცხოვრებო წყლის იმედად ტოვებს. თუ რას გულისხმობს 2013 წელს ასამოქმედებელი პროექტი, ვინ დგას ამ პროექტის უკან, რა სარგებელს ელოდება ხელისუფლება, ამ და სხვა მნიშვნელოვან დეტალებს მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი ლევან კუდუხაშვილი ექსკლუზიურად გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" მკითხველს გაანდობს.**

— სანდო და კომპეტენტური წყაროს (ვინაობას ვერ დავასახელებ, რადგან თანამდებობიდან მოხსნიან) მიერ მოწოდებული ინფორმაციით, **ხელისუფლებას ხელთ აქვს პროექტი, რომლის თანახმად თბილისის მოსახლეობა სასმელი წყლის გარეშე დარჩება.** პროექტზე მუშაობა უკვე დასრულებულია, თუმცა ხელისუფლება მას 2013 წლის აპრილამდე არ აამოქმედებს, რადგან პოზიციების გამყარებას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ელოდება. **პროექტის თანახმად, თბილისის წყალი არ დაიქლორება და სასმელი წყლის ნაცვლად ონკანში ტექნიკური წყალი წამოვა, რომელიც იმ დონემდე იქნება დამუშავებული, რომ მხოლოდ საყოფაცხოვრებოდ (გასარეცხად და დასაბანად) გამოდგეს. ხელისუფლება ამ გზით ისედაც უმუშევარ და გაჭირვებულ მოსახლეობას იძულებულს გახდის, სასმელი წყალი მაღაზიებში შეიძინოს, სხვათა შორის — არც თუ ხელმისაწვდომ ფასად. ხელისუფლებას აღნიშნული პროექტის განხორციელება საკუთარ ბიზნესზე აქვს გათვლილი, იგი ორმაგად მოგებული დარჩება: ერთის მხრივ, ტექნიკური წყლის გადასახადებით; მეორეს მხრივ, მაღაზიებში გასაყიდი სასმელი წყლის ბიზნესით.**

სხვათა შორის საყოფაცხოვრებო წყლის ტარიფი უცვლელი (3,2 ლარი) დარჩება. ყოველივე ეს ხდება ქვეყანაში, სადაც წყლის ექსპორტი ზენიტშია.

**ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე არსებული წყლის მასშტაბური „დაზიანებებიც" სწორედ ამ პროექტთან იყო დაკავშირებული. თბილისს არასოდეს ჰქონდა წყლის მიწოდების პრობლემა, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო დაზიანებებს. შესაბამისად, ეს მასშტაბური შეფერხებებიც ხელოვნური იყო.**

თუ ამ პროექტმა დედაქალაქში გაამართლა, გამორიცხული არ არის, ხელისუფლებამ იგი მთლიანად საქართველოს მასშტაბით აამოქმედოს.

ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ჩემს ხელთ არსებული არაოფიციალური ინფორმაციით, **თბილისის წყლის (GWP) აქციების ერთ-ერთი მფლობელი რურუების კლანთან დაახლოებული პირი „ზარალა", იგივე გიორგი რამიშვილი გახლავთ.**

ჩვენი პარტია აღნიშნულ თემაზე ბრიფინგს გამართავს და ალტერნატიულ გზებს შეიმუშავებს, რომ ხელისუფლებას აღნიშნული პროექტის განხორციელებაში ხელი შეუშალოს. იმედია, საზოგადოებაც მხარში დაგვიდგება და ამ უსამართლობის წინააღმდეგ ჩვენთან ერთად აიმაღლებს ხმას, — **აღნიშნა ლევან კუდუხაშვილმა.**

**ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" (GWP) წარმომადგენლობას დავუკავშირდით. კომპანიის გენერალურმა დირექტორმა იორგ მათისმა ასეთი კომენტარი გააკეთა:**

— თბილისის მოსახლეობისთვის ტექნიკური წყლის მიწოდების შესახებ ინფორმაცია ნამდვილად აბსურდულია და არ შეესაბამება სინამდვილეს. კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" ხარისხიან სასმელ წყალს აწვდის თბილისელებს და 2013 წლის შემდეგაც ასევე ხარისხიან სასმელ პროდუქტს მიაწვდის. მეტიც, ტექნიკურადაც შეუძლებელი და გაუმართლებელია, რომ იმ ონკანით, რომელშიც მრავალჯერადად გაფილტრული, დამუშავებული და გაწმენდილი ხარისხიანი სასმელი წყალი მოედინება, მომხმარებელს ტექნიკური წყალი მიაწოდო. ტექნიკური წყლის მისაწოდებლად სხვა დამოუკიდებელი ქსელი და ინფრასტრუქტურა უნდა მოეწყოს და ასეთი წყალი არამც და არამც არ უნდა მოხვდეს წყალსადენის იმ ქსელში და, შესაბამისად, იმ ონკანებში, სადაც სასმელი წყალი გადის. თბილისში ტექნიკური წყლის მისაწოდებლად შესაბამისი ქსელები არც არსებობს და არც არის ამის საჭიროება.

რაც შეეხება ბატონ გიორგი რამიშვილს, ჩვენი მხრიდან შეგვიძლია გითხრათ, რომ ეს ისევე არ შეესაბამება რეალობას, როგორც ინფორმაცია თბილისში ტექნიკური წყლის სამომავლოდ მიწოდებაზე, — **აღნიშნა იორგ მათისმა.**

**მიუხედავად კომპანიის უარყოფისა, ლევან კუდუხაშვილი საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ჯიუტად იცავს თავის პოზიციას და განმარტავს, რომ კომპანია შესაბამისი დანადგარებით უკვე აღჭურვილია.**

სპეციალისტების თქმით, აღნიშნული პროექტის განხორციელება მოსახლეობისთვის ნამდვილი კატასტროფა იქნება, მაგრამ ამით სარგებელს ნახავს თავად კომპანია, მითუმეტეს თუ საყოფაცხოვრებო წყლის ტარიფი უცვლელი დარჩება. კომპანია, ერთის მხრივ, წყლის დამუშავების, დაქლორვისა და გაუვნებელყოფის გარეშე საკმაოდ სოლიდურ თანხებს დაზოგავს; მეორეს მხრივ კი, საშუალება მიეცემა, უკვე არასასურველი ხარჯიანი შტატები გააუქმოს.

**„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" დედაქალაქის მასშტაბით 400 ათასამდე აბონენტს ემსახურება. აქედან 2000-მდე საბიუჯეტო ორგანიზაციაა, 15 ათასამდე კომერციული ობიექტი, დანარჩენი კი — მოსახლეობა. ზემოაღნიშნული პროექტის პირობებში, როგორც ხედავთ, საკმაოდ დიდ რაოდენობას ემუქრება სასმელი წყლის გარეშე დარჩენა. შესაძლოა, სწორედ ამ რაოდენობამ აცდუნა ხელისუფლება და გადააწყვეტინა წყლის ბიზნესის ამგვარი წარმოება.**

**ეკა რობაქიძე**

# მიხეილ სააკაშვილის «ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს»



**„ათასწლეულის გამოწვევის" კორპორაციის დირექტორთა საბჭომ 5 იანვარს საქართველო უფლებამოსილი გახადა, რომ კორპორაციისგან მიეღო მეორე ხუთწლიანი კომპაქტი. პირველი კომპაქტი, რომლის ღირებულებაც 395,3 მილიონ დოლარს შეადგენს, 2011 წლის აპრილში დასრულდა. საქართველოს ხელისუფლების პირველმა პირებმა, მათ შორის ქვეყნის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა, თავი მოიწონეს, რომ „ათასწლეულის გამოწვევის" კორპორაციამ საქართველოს დახმარება მეორედ გამოუყო და რომ მსგავსი პრეცენდენტი მხოლოდ ერთხელ მოხდა. საქართველოსთვის კი ეს გამონაკლისი იმიტომ დაუშვეს, რომ პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ" გაავრცელა ინფორმაცია, რომ პირველი ქვეყანა, რომელზეც დაუშვეს პრეცენდენტი „ათასწლეულის გამოწვევის" კომპაქტი მეორედ მიეღო, არის განა.**

მოგეხსენებათ, ჩვენ ვართ ევროპული ქვეყანა, ნომერ პირველი რეფომატორი, ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით, პირველ ადგილზე მყოფი ევროპაში და ა.შ. განა კი სახელმწიფოა დასავლეთ აფრიკაში, რომელიც რატომღაც არც ერთ ჩინოვნიკს, რომელიც „ათასწლეულის გამოწვევის" პროგრამის გამონაკლისით თავს იწონებდა, არ დაუსახელებია.

სხვათა შორის, ამ პროექტის მონიტორინგს ახორციელებდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" და მან საკმაოდ მწვავე დასკვნები დადო (აღნიშნული მასალები „საქართველო და მსოფლიომ" შემოგთავაზათ), რომლის გათვალისწინებითაც, გადაჭრით თქმა, რომ საქართველომ გამოყოფილი თანხები გეგმაზომიერად გახარჯა, საფუძველს მოკლებულია.

**თუმცა ეს ჩვენი ხელისუფლების არც პირველი ტყუილია და არც უკანასკნელი. ცოტა ხნის წინათ ჩვენ შემოგთავაზეთ ინფორმაცია, თუ როგორ გაასაღა საპარლამენტო ტრიბუნიდან მიხეილ სააკაშვილმა „FINANCIAL TIMES"-ის მიერ გამოქვეყნებული პიარმასალა, რომელშიც ხელისუფლებამ 387 ათასი ლარი გადაიხადა, ამ გაზეთის მოსაზრებად.** მასალის გამოქვეყნების შემდეგ კი ხელისუფლებამ ათასგვარი ტყუილი დაუპირისპირა ამ ფაქტს და ლამის საპარლამენტო მოხსენებაში ამ სტატიაზე საუბარი უარყო.

**თუმცა პრეზიდენტი რომ სახალხოდ ტყუილებს არ ერიდება, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სააკაშვილმა რუსულ გამოცემა „GQ"-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ხელფასი თვეში 8 ათას ლარს, დაახლოებით 4 ათას დოლარს, შეადგენს, ხოლო მისი წინამორბედი პრეზიდენტი 20 დოლარს იღებდა ხელფასის სახით.**

ხელისუფლებამ კი უარყო „Financial Times"-თან დაკავშირებული ინფორმაცია, თუ საშუალება ექნება, განასაც „ამოიღებს" იმ ქვეყანათა ჩამონათვალიდან, რომელთაც „ათასწლეულის გამოწვევამ" კომპაქტი განმეორებით მისცა. მაგრამ **საინტერესოა, რას მოუხერხებს სააკაშვილი ტყუილს, რომელიც მისივე ხელმოწერილი დოკუმენტით ვლინდება? რუსი ჟურნალისტები და მკითხველი სააკაშვილმა მოატყუა, როდესაც განაცხადა, რომ ხელფასი 8 ათასი ლარი ჰქონდა, თუ საქართველოს კანონით დადგენილი მისი ხელფასია არასწორი და პრეზიდენტი დეკლარაციაშიც იტყუება?! არადა, დეკლარაციაში მცდარი ინფორმაციის შეტანა კანონით ისჯება.**

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, „საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა დასახელებისა და თანამდებობების დადგენა: **საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, აგრეთვე, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის მიერ დანიშნულ ან არჩეულ, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობის პირთა თანამდებობრივ სარგოებს ადგენს საქართველოს კანონი".** ხოლო კანონში საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების შესახებ მითითებულია, რომ **„საქართველოს პრეზიდენტის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი განისაზღვროს 4720 ლარის ოდენობით".**

ამ კანონს, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2005 წლის 25 მარტს მოაწერა ხელი. ფინანსთა სამინისტრო სააკაშვილისთვის 7 ათასი ლარის დანიშვნას აპირებდა, მაგრამ, როგორც მაშინ ფინანსთა მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძემ თქვა, პრეზიდენტმა ამაზე უარი განაცხადა. მისი თქმით, ნორმატიული აქტი, რაც დაარეგულირებდა პრეზიდენტის შრომის ანაზღაურებას, მანამდე არ არსებობდა. **წინა პრეზიდენტი ხელფასის სახით ბიუჯეტიდან 400 ლარს, ხოლო განვითარებისა და რეფორმების ფონდიდან 2000 დოლარის ოდენობით დანამატს იღებდა.** 2008 წლის 1 იანვრიდან, ნინო ბურჯანაძის საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ყოფნის პერიოდში, საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების შესახებ კანონში ცვლილება შევიდა, თუმცა თანამდებობრივი სარგოს რაოდენობა არ შეცვლილა და ის 4720 ლარი დარჩა.

**2011 წლის დეკლარაციაში, რომელიც სააკაშვილმა 14 მაისს შეავსო, იგი წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებში წერს, რომ მისმა შემოსავალმა შეადგინა 56 ათას 640 ლარი, რაც, როგორც უნდა ვიანგარიშოთ, თვეში 8 ათას ლარს ნამდვილად არ შეადგენს. გამოდის, რომ პრეზიდენტმა რუს ჟურნალისტებთან — ქსენია სოკოლოვთან და ქსენია სობჩაკთან, უბრალოდ, იცრუა.**

**სოფო გელაშვილი**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**მიხეილ სააკაშვილისთვის და მისი გარემოცვისთვის გაცილებით კომფორტული იქნებოდა, ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო და მათ გეგმებს ხელისუფლების გახანგრძლივებასთან დაკავშირებით არაფერი დამუქრებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, სააკაშვილსა და მის გარემოცვას (მისთვის) ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთება მაინც მოუწევს.**

## გამოხმაურებანი



**ედუარდ შევარდნაძე,** საქართველოს ექს-პრეზიდენტი:

როგორც ჩანს, აქციის ორგანიზატორები დანებებას არ აპირებენ. ასეთ სიტუაციაში, როგორც გითხარით, მე სისხლისღვრას არ დავუშვებდი და გადავდგებოდი, მაგრამ სააკაშვილი ასე ვერ მოიქცევა, ის ეცდება, ხელისუფლებაში ყოფნა გაიხანგრძლივოს, რადგან უკანდასახევი გზა აღარ აქვს.

*„ასავალ-დასავალი“*



**ვალერი კვარაცხელია,** პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე:

დღეს სახალხო კრება კი არა, სახალხო აჯანყებაა საჭირო, ერთადერთი მოთხოვნით — ძირს აშშ-ის უკიდეგანო დიქტატი!

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა ნათელაშვილი,** ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:

სააკაშვილი, საერთოდ, ვერაგი კაცია და ვერაგი მხეცი თავდასხმის ან გაქცევის წინ არის გატრუნული!.. შესაძლოა, სააკაშვილი იმიტომაც არის გატრუნული, რომ რაღაც საშინელი მამაძაღლობის ჩადენა უნდა. აქედან გამომდინარე, ეს გატრუნვა აიხსნება არა მისი სიბრძნითა და კაცობით, არამედ მისი ვერაგობით, ლაჩრობითა და მზაკვრობით.

*„ალია“*



**მანანა ნიკოლაიშვილი,** განათლების ექსპერტი:

ჩვენ უნდა გამოვიდეთ და ვუთხრათ სააკაშვილს, დაგვანებოს თავი. ჩვენ უნდა ვუთხრათ ამერიკასა და ევროპას, რომ შეწყვიტოს მისთვის მხარდაჭერა. იმიტომ, რომ ის არის დამნაშავე.

*„ახალი თაობა“*



**ზვიად ძიძიგური,** „ეროვნული საბჭოს“ წევრი, კონსერვატორი:

მერაბიშვილს ხალხი ჰყავს შეგზავნილი „სახალხო კრებაში“ და რა მიმართულებით წაიყვანენ პროცესებს, ადვილი განსასაზღვრი არ არის.

*„კვირის პალიტრა“*

# ვინ ჩაიბარებს აღლუმს?

**მას შემდეგ, რაც 21 მაისს საპროტესტო აქციები დაიწყო, ქართული საზოგადოება ერთი თავსატეხის ამოხსნას ცდილობს, რომელიც შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: აქვს თუ არა ნინო ბურჯანაძეს ჯოკერი, რომელსაც ჯერჯერობით სახელოში მალავს? არსებობს თუ არა ჯერაც ამოუცნობი ფაქტორი, რომელზეც ის განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს? მიუხედავად იმისა, რომ უკანდახევის ყველა გზა მოიჭრა, ბურჯანაძე აქციებზე იმდენად თავდაჯერებულად გამოიყურებოდა, თითქოს რეზერვში რომის ყველა ლეგიონი და კართაგენის ყველა საბრძოლო სპილო ჰყავდა. გარეგნულად, ბევრი რამ თითქოსდა ისე მიდიოდა, როგორც 2007-09 წლებში, თუმცა იყო ერთი შეხედვით ძნელად შესამჩნევი სხვაობაც, რაც ამჟამინდელ აქციებს გასული წლების უიღბლო გამოსვლებისგან განასხვავებდა.**



## რევოლუციის ევოლუცია

**აქციების საწყის ეტაპზე უცხოეთის წამყვანი მედიასაშუალებები მომიტინგეების მიმართ გაცილებით მეტ კეთილგანწყობას ავლენდნენ, ვიდრე 2007-09 წლებში; ეს, გარკვეულწილად, „ვარდების რევოლუციის“ საწყის პერიოდს მოგაგონებთ.** ამას შეიძლება ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდეს: არაბული რევოლუციებიდან მოყოლებული ინერცია, რომელიც ოპოზიციის მხარდაჭერას ითვალისწინებს ან გავლენიანი წრეების მესიჯი იმასთან დაკავშირებით, რომ მოვლენები სასურველია სწორედ ასეთ ტონალობაში გაშუქდეს.

ცხადია, დასავლური მედია გაცილებით თავისუფალია ვიდრე ქართული და იქ ხელების (უხეშ და ხილულ) გადაგრეხვას ადგილი, დიდი ხანია, არ აქვს. მაგრამ **თუ აშშ-ის ან ბრიტანეთის მთავრობა ჩათვლის, რომ სადღაც შორს, უცხოეთში მიმდინარე პროცესებს წამყვან მედიასაშუალებებში გარკვეული ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს, ის დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევს.** დასავლურ მედიაში დღეისთვის შექმნილი ფონი სააკაშვილის ხელისუფლებას, სავარაუდოდ, ძლიერ ანერვიულებს, რადგან ზოგიერთ პუბლიკაციაში „სტრიქონებს მიღმა“ სფინქსისა და ეგვიპტური პირამიდების აჩრდილი სავსებით ნათლად მოჩანს.

**„სააკაშვილს მოუწევს, გადაწყვიტოს, გამოიყენებს თუ არა ძალას ამ მიტინგების დასაშლელად მუამარ კადაფის სულისკვეთებით, თუ ცვლილებებისა და დათმობების შესახებ განაცხადებს“,** — წერს „The National Interest“-ი. აქ საკმაოდ საინტერესოა თავისთავად საკითხის ფორმულირება, რადგან პერსპექტივაში, როგორც ერთ, ისე მეორე გზას სააკაშვილის ხელისუფლება კრახისკენ მიჰყავს. **მიხეილ სააკაშვილისთვის და მისი გარემოცვისთვის გაცილებით კომფორტული იქნებოდა, ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო და მათ გეგმებს ხელისუფლების გახანგრძლივებასთან დაკავშირებით არაფერი დამუქრებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, სააკაშვილსა და მის გარემოცვას (მისთვის) ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთება მაინც მოუწევს.**



სახელისუფლო პროპაგანდის საშუალებებსა და სოციალურ ქსელებში სააკაშვილის მომხრეთა ერთობ ისტერიული რეაქცია მიმდინარე მოვლენებზე საკმაოდ მკაფიოდ აისახება. როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელთან შედარებით, აქციების პირველ დღეებში ქუჩაში არც ისე ბევრი მომიტინგე იდგა, მათ იგრძნეს, რომ სიტუაცია ნებისმიერ შემთხვევაში დინამიურ მდგომარეობაში გადავა და ამას მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან ბუნდოვანი პერსპექტივა აშინებთ. **თუ ხელისუფლება დროებით მაინც საპროტესტო მოძრაობის ჩახშობას შეძლებს, სააკაშვილის მხარდამჭერები, სავარაუდოდ, შეეცდებიან, ამ დღეებში განცდილი ქვეცნობიერი შიშისთვის შური მთელ ქვეყანაზე იძიონ.**

მაგრამ ცხადია, ეს პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს ვერ მოუხსნის.

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებაზე მიბმულ პოპულაციას აფრთხობს, სავარაუდოდ, ისაა, რომ მათ ქუჩაში დაინახეს ადამიანები, რომლებმაც უკან დასახევი გზა თვითონ მოიჭრეს; ზონდერებს ხელი შეუბრუნეს (22 მაისს), თანაც ისე, რომ ეს უკანასკნელები იძულებული გახდნენ, მოეკურცხლათ. და საერთოდ, გააკეთეს უამრავი ისეთი რამ, რისთვისაც სააკაშვილის საქართველოში ადამიანებს თითქმის 100-პროცენტიანი ალბათობით ციხეში სვამენ. **ზონდერების ცემა თუ იმ მანქანაზე იერიშის მიტანა, სადაც პოლიციელები სხედან, გარკვეული თვალსაზრისით, „უძლეველი“ ხელისუფლების იმიჯის შელახვაც ხომ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ კადრებს ყველა არხი წარამარა ატრიალებს.**

მკაფიოდ დაფიქსირდა, რომ რიგითი მოქა- ▶

---

მოკლედ

## პაკისტანში «თალიბანის» ლიდერი მოკლეს

**პაკისტანში მოძრაობა „თალიბანის“ ლიდერი მულა მოჰამედ ომარი იმ დროს მოკლეს, როდესაც ქალაქ ქვეტადან ავღანეთის სასაზღვრო ოლქში, ჩრდილოეთ ვაზირისტანში მიემგზავრებოდა.** სავარაუდოდ, აშშ ბინ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაციის მსგავსად არც მულა ომარის მოკვლის მტკიცებულებებს გამოაქვეყნებს. თალიბანმა მულა ომარის გარდაცვალების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ჭორი უწოდა.



## ობამამ „ალ ქაიდას“ სხვა ლიდერების ლიკვიდაცია ბრძანა

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გასცა ბრძანება, რომლის მიხედვით ამერიკელი სამხედროები გაანადგურებენ „ალ ქაიდას“ ყველა ლიდერს, ვისაც კი მიაგნებენ.** ობამას თქმით, აშშ პატივს სცემს პაკისტანის სუვერენიტეტს, მაგრამ ვერ დაუშვებს, რომ „ალ ქაიდას“ წინააღმდეგ ბრძოლა აშშ-ის გარეშე განხორციელდეს. „ჩვენ კიდევ გავაგრძელებთ ისეთ სპეცოპერაციებს, როგორიც ბენ ლადენის ლიკვიდაციის დროს განვახორციელეთ,“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

**ყველაზე უკეთ ხელისუფლების საქმე ამ შემთხვევაში „ქართულმა პარტიამ“ გააკეთა (ნებით თუ უნებლიეთ, სხვა საკითხია), როდესაც 24-ში 25 მაისის აქცია გააუქმა. აგრეთვე, პარტიის თავმჯდომარემ სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ, ხმაურიანი ანონსის მიუხედავად, 25 მაისს ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში არ ჩამოვა. ამან საზოგადოება კიდევ უფრო დააბნია. ძნელი სათქმელია, რა იყო ეს — ტაქტიკური მანევრი თუ მიზანმიმართული საბოტაჟი.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# დემონსტრაციულად მასშტაბური აღლუმის მოწყობა ქალაქში, სადაც მრავალათასიანი საპროტესტო აქციები იმართება, უკიდურესი პოლიტიკური სიჩლუნგეა

ლაქეების რიგებში ხელისუფლებას რეალურად შეურიგებელი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ, რომლებმაც საკუთარი თავისთვის უკან დასახევი გზა არ დაიტოვეს. ისინი აშკარად განსხვავდებოდნენ იმ მომიტინგეებისგან, რომლებიც 2009-ში რუსთაველზე „ფოთლებს უფრთხილდებოდნენ“. ამ ევოლუციამ სააკაშვილის მომხრეებში საკმაოდ ნერვული რეაქცია გამოიწვია, რადგან **კონკრეტული მიტინგი კი შეიძლება დაშალო, მაგრამ ეს ადამიანები დარჩებიან და საკუთარ პროტესტს სხვა, შესაძლოა, გაცილებით რადიკალურ ფორმებს მოუძებნიან.** ეს ყველაფერი უკვე იყო, თან არაერთგზის, მაგალითად, კუბაში — დაუვიწყარი 50-იანების მიწურულს.

## O BELLA CIAO, რას ვუშვებით, ძმაო?

**2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ საწყის პერიოდში ქუჩაში უფრო ნაკლები ადამიანი იდგა, ვიდრე — 2011 წლის მაისში, მაგრამ მაშინ უზარმაზარი მასების მობილიზება საჭირო არც იყო. მაშინ, პირველ ეტაპზე, მთავარ ამოცანას საპროტესტო აქციების გადაქცევა ცენტრალურ მოვლენად საინფორმაციო სივრცეში და მოთხოვნების მკაფიო დაფიქსირება წარმოადგენდა. ისიც ფაქტია, რომ „სახალხო კრების“ ლიდერები 21 მაისიდან მოყოლებული მომიტინგეთა ნაკლებობას უჩიოდნენ. მეტიც, აცხადებდნენ, რომ მათი სიმცირე დასახული გეგმების განხორციელებას აფერხებს.**

გარკვეული როლი მომიტინგეების რიგების შეთხელებაში 21-23 მაისს ხელისუფლების აგრესიულმა მოქმედებამ შეასრულა, რომელიც ოპონენტებს ცოფიანი ორანგუტანგის ენთუზიაზმით დაერია, მაგრამ ექვსთვიანი მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში და ბოლო დღეებში „სახალხო კრებამაც“ ბევრი შეცდომა დაუშვა. ავიღოთ თუნდაც ერთი მცირე ეპიზოდი: **21 მაისის აქციის წინ „სახალხო კრებას“ ხმის აპარატურით აღჭურვილი მანქანა (მოძრავი ტრიბუნა) დაუზიანეს, რამაც ძალიან მნიშვნელოვანი მიტინგის დაწყება მინიმუმ ერთი საათით შეაფერხა. აუცილებელი არაა კლაუზევიცი იყო, რომ მიხვდე — ეს მანქანა მიტინგის საკვანძო ელემენტია და მას საგანგებო დაცვა რომ სჭირდება.**

ამასთანავე, „კრების“ საინფორმაციო სტრატეგია მთელ რიგ ხარვეზებს შეიცავდა და ბევრი პოტენციური მომიტინგე გაურკვევლობის, დაბნეულობისა და სახელისუფლო კონტრპროპაგანდის მსხვერპლი გახდა. **მიტინგებზე ხშირი იყო უაზრო პაუზები, ნაკლებად შინაარსიანი გამოსვლები და საერთოდ, ყოველივეს კარგი დრამატურგია აკლდა. ცხადია, ეს სუფთა ტექნოლოგიური ასპექტია, მაგრამ ამის გამო მთელ რიგ ადამიანებს 22-23-ში შეექმნა განცდა, რომ აქცია სუსტდება და გამოსავალი არ ჩანს.**

ამან ერთი უცნაური (ფსიქოლოგიური ხასიათის) შედეგი გამოიწვია: როდესაც 22-ში აქციაზე „ქართული პარტიის“ წარმომადგენლები მივიდნენ, მათი გამოჩენა მომიტინგეთა გარკვეულმა ნაწილმა კრიტიკულად მნიშვნელოვან დახმარებად და ორ თანასწორ ძალას შორის ერთგვარი პაქტის გაფორმებად აღიქვა; არადა, აქციების წინარე პერიოდში ნინო ბურჯანაძე შესაძლო (მაგრამ ნაკლებად სავარაუდო) ალიანსში საკუთარი თავის „უფროს პარტნიორად“ წარმოჩინებას ახდენდა, რომელიც ნებისმიერი სცენარის კალაპოტში „ქართული პარტიის“ დახმარებაზე დამოკიდებული არ იქნება.

მოგვიანებით ბურჯანაძემ გააკეთა კომენტარი, რომლის მიზანი, სავარაუდოდ, ამ განწყობის კორექტირება იყო: **„თუ „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოსთვის „ქართული პარტიის“ რომელიმე გადაწყვეტილება მისაღები არ იქნება, „სახალხო კრება“ ამას არ გააკეთებს, ყოველ შემთხვევაში — „კრების“ ეგიდით“. „სახალხო კრება“ არ დაუშვებს რაიმე ისეთ ქმედებას მისი სახელით და მისი ქუდის ქვეშ, რაც ჩვენთვის მისაღები არ არის“** („ინტერპრესნიუსი“). ამასთანავე, მან დააკონკრეტა, რომ საუბარი ეხება არა „სახალხო კრებისა“ და „ქართული პარტიის“ ერთობლივ აქციას, არამედ „ქართული პარტიის“ მიერ „სახალხო კრების“ აქციის მხარდაჭერას.

დაახლოებით ამავე დროს დაიწყო საუბრები „ჯოკერზე“, რომელიც ბურჯანაძეს თითქოსდა შემონახული აქვს, რადგან აბსოლუტურად გაუგებარი შეიქნა, რა რესურსით (რა ვადებში, რა მეთოდებით) მოხდება ხელისუფლების შეცვლა. თუ გამოცდილება და ინტუიცია რაიმეს ნიშნავს, შემიძლია გამოვთქვა სუბიექტური მოსაზრება, რომ ხსენებული ჯოკერი ბურჯანაძეს ნამდვილად აქვს; მაგრამ შეძლებს თუ არა მის ეფექტურ გამოყენებას, სხვა საკითხია. ამ კონტექსტში შეგვიძლია, ვიფიქროთ გარკვეულ მყარ გარანტიებზე, რომლებიც მან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ მიიღო, თუმცა ამ მსჯელობის შემდგომი გაგრძელება, ალბათ, კონსპიროლოგიაში გადაგვაგდებს.

**23 მაისის მიტინგზე ცნობილი გახდა, რომ 25-ში, 12 საათზე აქციის მონაწილეები თავისუფლების მოედნისკენ დაიძრებოდნენ. ზუსტად იმ დროს, როდესაც ავლაბრის მოედანზე „ქართული პარტიის“ მხარდამჭერები უნდა შეკრებილიყვნენ.** ამ მომენტიდან ძალიან საინტერესო გახდა ხელისუფლების რეაქციის დაკვირვება: თუ ის მიიჩნევდა, რომ ეს ორი პარალელური აქცია მხოლოდ რადიკალურად განწყობილი საზოგადოების ძალების დაქსაქსვას გამოიწვევს, მათთვის ხელი, წესით, არ უნდა შეეშალა, ხოლო თუ ჩათვლიდა, რომ ეს ერთი „არმიის“ ორი კოლონაა, რომლებიც შეთანხმებულად მოქმედებენ და „ბრძოლის ველზე“ უნდა შეერთდნენ, 25 მაისამდე დარჩენილ დროში მათთვის ცალ-ცალკე უნდა დაერტყა, რადგან ოპონენტების ერთობლივი მოქმედება 26 მაისის აღლუმის ჩასაშლელად, როგორც საინფორმაციო, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით, საკმაოდ დიდ რისკებს დაუკავშირდებოდა.

**თუმცა ყველაზე უკეთ ხელისუფლების საქმე ამ შემთხვევაში „ქართულმა პარტიამ“ გააკეთა (ნებით თუ უნებლიეთ, სხვა საკითხია), როდესაც 24-ში 25 მაისის აქცია გააუქმა.**

აგრეთვე, პარტიის თავმჯდომარემ სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ, **ხმაურიანი ანონსის მიუხედავად, 25 მაისს ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში არ ჩამოვა. ამან საზოგადოება კიდევ უფრო დააბნია.**

ძნელი სათქმელია, რა იყო ეს — ტაქტიკური მანევრი თუ მიზანმიმართული საბოტაჟი.

საინფორმაციო ასპექტში სურათი (კადრი, რეპორტაჟი და ა.შ.), სადაც ერთ მხარეს შეიარაღებული ფორმიანი ადამიანებით გარშემორტყმული ხელისუფლების პირველი პირები, ხოლო მეორე მხარეს, უიარაღო სამოქალაქო პირები დგანან, სააკაშვილისთვის უაღრესად წამგებიანი იქნებოდა. უსაფრთხოების თვალსაზრისით კი, სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების თავმოყრა იმ ადგილის უშუალო სიახლოვეს, სადაც ათასობით რადიკალურად განწყობილი ადამიანი იმყოფება, უმართავი პროცესების დაწყების აშკარა საფრთხეს უკავშირდება.



## საპატიო პაციენტის ვნებანი

**26 მაისის აღლუმი ერთგვარ ფსიქოლოგიურ მიჯნად იქცა. არავინ აიძულებდა სააკაშვილს, ასეთ არასტაბილურ ვითარებაში მასშტაბური აღლუმი გაემართა, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ჩათვალა, რომ ძალის დემონსტრირება საუკეთესო გამოსავალია. ეს არის გადაწყვეტილება ლათინოამერიკული, მეტიც, აფრიკული დიქტატურების სტილში, რაც თავისთავად, კონსტრუქციული, უფრო მოქნილი და გონივრული იდეების არარსებობაზე მიანიშნებს.**

26 მაისის აღლუმი „რუბიკონად“ სწორედ სააკაშვილმა აქცია. მან თვითონ შექმნა კოორდინატების სისტემა, სადაც იმ შემთხვევაში, თუ რუსთაველის გამზირზე აღლუმის ჩატარებას ვერ მოახერხებდა, ეს წარმოჩინდებოდა როგორც ხელისუფლების მარცხი. ვინაიდან ოპოზიციის ლიდერები იმთავითვე აცხადებდნენ, რომ ხელისუფლება „აღლუმს მშვიდად ვერ ჩაიბარებდა“,

მომიტინგეების აღლუმის ჩატარების ადგილამდე არმიშვება (და შესაბამისად ძალისმიერი მოქმედება მათ წინააღმდეგ) სააკაშვილისთვის პირველი რიგის ამოცანად იქცა. ყოველივე ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ წარმოიშობა სუბიექტური ფსიქოლოგიური მოტივებისგან, სააკაშვილის პირადი ქიმერებისგან პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ქვეყანას შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს. არადა, **დემონსტრაციულად მასშტაბური აღლუმის მოწყობა ქალაქში, სადაც მრავალათასიანი საპროტესტო აქციები იმართება და პოლიცია მომიტინგეებს სასტიკად უსწორდება, იმავე „დემოკრატიული სამყაროს“ გადასახედიდან გამოიყურება როგორც უკიდურესი პოლიტიკური სიჩლუნგე, რაც სააკაშვილის იმიჯს სერიოზულ (მერამდენე?) დარტყმას მიაყენებს.**

ალბათ, იყო რაღაც უცნაური ლოგიკა იმაში, რომ გასულ კვირას ბუდაპეშტის კორვინის სახელობის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე შემდეგი განცხადება გამოქვეყნდა: **„23 მაისს მის განრიგში გაუთვალისწინებელი ცვლილებების გამო“ მიხეილ სააკაშვილი „ვერ შეძლებს ეწვიოს ჩვენს უნივერსიტეტს მისთვის საპატიო დოქტორის წოდების გადაცემის ცერემონიაზე“.** მართლაც, რაღა დროს „საპატიო დოქტორობაა“, **მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები, როგორც ჩანს, მიუთითებს იმაზე, რომ ის უფრო „საპატიო პაციენტის“ წოდების დაუფლებას ცდილობს.**

ასეთ ვითარებაში ნორმალურ (და ზომიერად არანორმალურ) ქვეყნებში, როგორც წესი, ხელისუფლებაში მყოფი საღად მოაზროვნე პირები არაადეკვატურად მოქმედ პრეზიდენტს აჩერებენ, თუმცა დღევანდელ საქართველოში ამის ალბათობა არც ისე მაღალია. ასე რომ, როგორც ჩანს, ქვეყანა მასშტაბური არეულობის, მეტიც, სისხლისღვრის ზღურბლზე დგას.

**დიმიტრი მონიავა**

## გამოხმაურებანი

**არნო ხიდირბეგიშვილი, „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი:**



მთელი ქართველი ხალხი, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს აერთიანებს — სომხებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს, უკრაინელებს, ქურთებს, ებრაელებს, ბერძნებს, ასირიელებს — ერთსულოვანია იმაში, რომ საქართველოში პრეზიდენტი ქართველი უნდა იყოს!

*„ასავალ-დასავალი“*

**ნინო ბურჯანაძე, „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი:**



ჩვენი დაპატიმრებისთვის ხელისუფლებას არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ აქვს, მაგრამ თუ ხელისუფლება ამაზე წავა, ჩვენ ამასაც გავუძლებთ.

*„პირველი“*

**დავით უსუფაშვილი, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი:**



სააკაშვილი რომ წარმოიდგენს, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება პირველი პირი აღარ იყოს, ეს მისთვის სიკვდილზე მეტია. ამიტომ ამათ სიკვდილი ურჩევნიათ. აი, ეს არის მათი პრობლემა.

*„ახალი თაობა“*

**ვალერი გელბახიანი, დევნილობაში მყოფი ყოფილი პარლამენტარი:**



მიშამ ბრძანება გასცა: არ მაინტერესებს, გაწმინდეთ ქალაქი 26 მაისამდე, მე რომ ჩამოვალ, თბილისი გაწმენდილი დამახვედრეთ. რაც გინდათ, ის მეთოდი გამოიყენეთ, თუ გინდათ, მთელი საქართველოს მოსახლეობა ამოგიხოციათო... ჩემი ინფორმაციით, ამ ოპერაციას ხელმძღვანელობს გიგა ბოკერია.

*„კვირის ქრონიკა“*

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**



სააკაშვილმა ჩერქეზთა გენოციდის ოფიციალური აღიარებით დაამტკიცა, რომ ხელი აქვს ჩაქნეული აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე.

*„ასავალ-დასავალი“*

მოკლედ

## „ისლამის არმია“ ტერორისტულად შერაცხეს

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პალესტინური დაჯგუფება „ისლამის არმია“ ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიტანა.** ამის თაობაზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი იტყობინება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს დაჯგუფება ბაზირებულია ღაზას სექტორში და მრავალრიცხოვან ტერორისტულ აქტზეა პასუხისმგებელი. იმავე განცხადების თანახმად, „ისლამის არმია“ ცდილობს, მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს „ალ ქაიდასთან“.



## იულია ტიმოშენკო დააკავეს

**პეჩორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო დააკავეს.** სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო განყოფილების ხელმძღვანელის — ოლეგ პუშკარის ინფორმაციით, გენერალური პროკურატურის გამომძიებელმა სასამართლოს იმის გამო მიმართა, რომ ტიმოშენკომ არაერთხელ ჩაშალა საგამოძიებო მოქმედებები. ექსპრემიერი სასამართლოში ბადრაგის თანხლებით მიიყვანეს. შეგახსენებთ, რომ ტიმოშენკოს მიმართ სისხლის სამართლის საქმე 480 მილიონი ევროს არამიზნობრივი ხარჯვის ბრალდებით აღიძრა.

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**მარაქველიძის თვითდაზიანებები და თვითმკვლელობის მცდელობაც კი გამოწვეულია მის მიმართ განხორციელებული არამხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური ზეწოლით. ამბობს, რომ ციხეში მისთვის გაუსაძლისი პირობებია — მთელი ღამის განმავლობაში არ აძინებს ხმები. ეს დამახასიათებელია მსგავსი ავადმყოფებისთვის; ციხის პირობებში კი მას მკურნალობის შესაძლებლობა არ აქვს. მას სათანადო მედიკამენტოზური მკურნალობა და ექიმის (და არა ციხის ადმინისტრაციის) მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდება.**

# სულიერად დაავადებულ პატიმარს ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები მორგში ამწყვდევდნენ

„მოგახსენებთ, რომ 2009 წლის 3 ივლისს „რეზბალნიცაზე“ 1 თვის მანძილზე არაადამიანურად მაწამებდნენ, ხშირად მცემდნენ. ვარ ფსიქიურად დაავადებული, ისეთი შიშები დამემართა, რომ ეპილეფსიაც ჩამომიყალიბდა ამდენი ცემისგან. მტოვებდნენ მორგში, პირველ სართულზე. მჭირდება მკურნალობა, მაგრამ შიშით ვერ მივდივარ, როდემდე უნდა მირტყან მაგათმა? უკვე აღარ მაქვს წამლების ყიდვის საშუალება. 15 წელია, ფსიქიურად დაავადებული ვარ. თუ შეგიძლიათ, დამეხმარეთ, მე დაგისახელებთ მათ სახელებსა და გვარებს, ესენი არიან: **გოგა ბუთლიაშვილი, ნიკო ხატიაშვილი, ავთო პაპაშვილი.**

გთხოვთ, მოხვიდეთ, მნახოთ.

პატივისცემით

**ირაკლი მარაქველიძე“.**

**ეს წერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელმა ნინო ანდრიაშვილმა ფსიქიურად დაავადებული პატიმრის, ირაკლი მარაქველიძისგან მიიღო, რომელიც სასჯელს №17 დაწესებულებაში იხდის. მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის გამო მარაქველიძემ არაერთხელ სცადა თვითმკვლელობა. ნინო ანდრიაშვილის განცხადებით, ახლახან პატიმარმა ორივე მკლავზე ვენები გადაიჭრა, ასევე გადაისერა კისერიც.**

**ამასთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიოს“ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელი ნინო ანდრიაშვილი ესაუბრა, რომელიც ირაკლი მარაქველიძის ინტერესებს იცავს.**



— დღეს ირაკლი მარაქველიძე რუსთავის №17 დაწესებულებაში იმყოფება იმ მსჯავრდებულებთან ერთად, რომლებსაც ფსიქიკური პრობლემა არ აქვთ. აღნიშნული მსჯავრდებული კი წლების განმავლობაში არაერთხელ მოხვედრილა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ფსიქიკური პრობლემების გამო, სასჯელს არა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, არამედ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იხდიდა.

მაგრამ ბოლო დანაშაულის შემთხვევაში (როგორც მახსოვს, საუბარია მკვლელობაზე, რომელშიც მან თავი არ ცნო დამნაშავედ), მის მიმართ გამოტანილი იქნა განაჩენი — 20 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. მიუხედავად იმისა, რომ წარდგენილ იქნა არაერთი ცნობა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ცნობები ფსიქიატრიული დაწესებულებიდან, არც დაწესებულების ადმინისტრაციამ და არც დეპარტამენტმა ისინი მხედველობაში არ მიიღო და მარაქველიძე ციხის სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოათავსეს, სადაც არაერთხელ მოეპყრნენ არაადამიანურად და აწამეს. კერძოდ, მისი განცხადებით (რასაც ადასტურებს, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის გაგზავნილი სახალხო დამცველის წერილი, ასევე თავად პატიმრის დედისა და ადვოკატის საჩივრები), **მარაქველიძის მიმართ ხორციელდებოდა წამება — ჩაჰყავდათ მორგში და მიცვალებულებთან კეტავდნენ საათობით, ასევე ათავსებდნენ კარცერში თითქმის შიშველს, საცვლების ამარა, რამაც უფრო გაამძაფრა მისი ფსიქიკური მდგომარეობა.**

დღეს, იმ შემთხვევაში, თუ მე მოვითხოვ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას, რათა მისი ამჟამინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლონ, პატიმარი შიშობს, რომ მის მიმართ კვლავ ზეწოლას განახორციელებენ. ამიტომ იძულებული ვარ, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, პირდაპირ მოვითხოვო მისი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და არა ფსიქიატრიულ განყოფილებაში (რომელიც ექვემდებარება სასჯელაღსრულების დაწესებულებას) გადაყვანა.

**— რატომ ხორციელდება მასზე მსგავსი ტიპის ზეწოლა, ხომ არ უკავშირდება ეს სტრასბურგის სასამართლოში შეტანილ სარჩელს?**

— არ ვიცი, რამდენადაც ამ საქმეში თავიდანვე არ ვიყავი ჩართული. მაგრამ აღნიშნული ქმედებები არამარტო მარაქველიძის მიმართ, არამედ ყველა იმ მსჯავრდებულთა მიმართ ხორციელდება, ▶

# წერილი ციხიდან



**რამაზ პატარაია მასზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის გამო უმძიმეს მდგომარეობაშია. პატიმრობის პერიოდში ის ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ისე სასტიკად სცემეს, რომ პარალიზებული აქვს ქვედა კიდურები და ეტლით გადაადგილდება. მიუხედავად ამისა, მასზე ფიზიკური ზეწოლა დღემდე გრძელდება. გამოძიება კი განზრახ ჭიანურდება. გთავაზობთ რუსთავის №2 კოლონიის პატიმრის, რამაზ პატარაიას წერილს.**

„მომართვა ჩემ მიერ ხორციელდება საფუძველზე იმისა, რომ ჩემზე განხორციელებულ კანონდარღვევების შემდეგ იძულებული ვარ, მივმართო სტრასბურგის სასამართლოს, თქვენი დახმარებით და ქვემოთ მოყვანილი ფაქტებით შევეცადო, გაგარკვიოთ მომხდარ კანონდარღვევებში, რომლებიც ამ ბოლო პერიოდში ხორციელდებოდა ჩემ მიმართ.

1. დავიწყებ იმით, რომ ნუ დამძრახავთ მართლწერაში დაშვებული უზუსტობების გამო, რადგან არ მაქვს სათანადო განათლება უბრალო მიზეზის გამო — სასჯელს 17 წლის ასაკიდან ვიხდი. შემდეგ გეტყვით, რომ ჩემ მიერ მოყვანილ ფაქტებში უმეტეს შემთხვევაში თარიღებს არ ვაკონკრეტებ, რადგან ცდომილების შემთხვევაში ჩემ წინააღმდეგ არ იქნეს გამოყენებული. ახლა კი შევეცდები, გაგარკვიოთ მომხდარ ფაქტებში.

2. ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში გადაყვანილ ვიქენი ქ. რუსთავის №6 საპყრობილიდან, სადაც ვიხდიდი ე.წ. კრიტს, რომელიც მისჯილი მქონდა ექვსი თვით. 2009 წლის ნოემბრის ბოლოს მოხდა აღნიშნული ეტაპირება.

3. ქ. რუსთავის №2 საპყრობილეში შესახლებულ ვიქენი კორპუსზე, სადაც იმყოფებოდნენ მსჯავრდებულები და არა პატიმრები. კონკრეტულად C (ცე) კორპუსზე, №324 საკანში, რომელიც გათვალისწინებული იყო ორ პატიმარზე და ჩემთან ერთად იმყოფებოდა პატიმარი, რომელიც ჩემთან ერთად იქნა ეტაპირებული ქ. რუსთავის №6 საპყრობილიდან.

4. მთავარი კანონდარღვევა, რომელიც ჩემ მიმართ განხორციელდა ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში, მდგომარეობს შემდეგში: უმიზეზოდ მოგონილი ცრუ რეჟიმის დარღვევის ფაქტზე ჩამსვეს ე.წ. კარცერში, სადაც პროტესტის ნიშნად მივიყენე თვითდაზიანება ორივე ზედა კიდურზე. ამის შემდეგ გადამიყვანეს ე.წ. ფუქსებში, სადაც დამიმუშავა ექთანმა ჭრილობები. ამის შემდეგ იქ მყოფმა თანამშრომლებმა მომაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და ცდილობდნენ, გამოვეწვიე, რომ ჩამედინა რაიმე სახის კანონდარღვევა. შემიყვანეს ე.წ. ფუქსში, რამდენიმე ხანში განმეორდა სიტყვიერი შეურაცხყოფა ჩემ მიმართ, რასაც მოყვა კარების გაღება და ჯერ ორი თანამშრომლის ნუგზარ ჟორჟოლიანისა და დათოს (გვარი უცნობია ჩემთვის) შემოსვლა და სიტყვიერი შეურაცხყოფიდან ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადასვლა, რაც გარკვეული ხანი გრძელდებოდა. ამის შემდეგ თანამშრომლებმა, რომლებიც მომხდარ ფაქტს უყურებდნენ, მოიყვანეს ექთანი, რომელმაც გამიკეთა ჩემთვის უცნობი პრეპარატი, ოღონდ განმიმარტა, რომ ეს იყო დამამშვიდებელი. დამაბრუნეს კვლავ ე.წ. ფუქსში და ის ორი ღამე გავათენე იქ, სადაც არ იყო არც სკამი, არც მაგიდა, რომ არაფერი ვთქვა ნარზე. დილით კუთვნილ ულუფაზე უარის თქმის შემდეგ, რა თქმა უნდა, პროტესტის ნიშნად, გადამიყვანეს კარცერში, სადაც მოვითხოვე ექთანი, რომელმაც გამიკეთა ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი „ბარალგეტაქსი“, რომელსაც სისტემატიურად მოვიხმარ დაახლოებით 8 თვეა, თანაც დღეში მინიმუმ ერთ ამპულას, მაგრამ უფრო ხშირად — მეტსაც. ყოველივე ამის შემდეგ ექთანს, რომელმაც მე ნემსი გამიკეთა, ვაჩვენე წინა ღამით ცემის შედეგად (თანამშრომლების მიერ) ჩემზე დატოვებული დაზიანებები და მოვთხოვე, რომ მორიგე ექიმისთვის ეთქვა ყოველივე ამის შესახებ, რათა ჩამოსულიყო ექიმი ე.წ. კარცერში, დავეთვალიერებინე და შესაბამისად დაეფიქსირებინა ჩემს სხეულზე დატოვებული აშკარა დაზიანებები, მაგრამ ეს არ მომხდარა. მოგვიანებით, რამდენიმე საათში, გაძლიერებული ტკივილების ფონზე და ამის შედეგად კვლავ მიყენებული თვითდაზიანებების შემდეგ, დამაბრუნეს საკანში, რომელშიც მანამდე ვიმყოფებოდი, C კორპუსში, №324 საკანში.

5. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ გამირთულდა ისედაც შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობა. კონკრეტულად კი გამიძლიერდა თავის ტკივილები, დამეწყო სისტემატიური სახის აუტანელი და გაუსაძლისი შეტევები, გათიშვები, რაც გრძელდება ხან 30 წუთი, ხანაც უფრო მეტხანს (შეტევისა და გათიშვის შესახებ თანასაკნელებისგან ვიგებ), ხერხემლის ძლიერი ტკივილები და ამ ყოველივეს ფონზე ველარ ვაკონტროლებ თავს და ვიყენებ თვითდაზიანებებს, იქნება ეს ქვედა თუ ზედა კიდური. ამჟამად კი თქვენთვის ცნობილია, რომ ინვალიდის ეტლის გარეშე ვერ გადავაადგილდები, ამ ყველაფრის გამომწვევი ზუსტი დიაგნოზი კი ჩემთვის დღემდე უცნობია.

6. ზემოთ აღნიშნული დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, მე და ჩემი თანასაკნელი გადაყვანილ ვიქენით იმავე ციხის იმავე კორპუსის №302 საკანში, რომელიც გათვალისწინებული იყო 6 ადამიანზე. დანარჩენი 4 იყო მსჯავრდებული და მე პატიმარი, რომელიც კოლონიიდან კრიტის რეჟიმში ვიყავი გადაყვანილი ადმინისტრაციის შეხედულებით, არასათანადო ქცევისა და რეჟიმის დარღვევის გამო.

7. რამდენიმე დღეში ნევროპათოლოგთან კონსულტაციის შემდეგ გადამიყვანეს ციხის სამედიცინო ნაწილში B,R №302-ში, საიდანაც, სავარაუდოდ, ზუსტი დიაგნოზის დასასმელად ეტაპირებული ვიქენი ქ. ქუთაისის №2 საპყრობილიდან ციხის რესპუბლიკურ ▶

**თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ებრაულ იარაღთან დაკავშირებული სკანდალი ჯერ არ ჩაუფარცხავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადეიშვილმა თადარიგი დაიჭირა ისეთი შემთხვევისათვის, თუ კი ფედერალური ბიურო თაღლითური სქემისა და იარაღის მსოფლიო მაფიის სკანდალურ საქმეში თავდაცვის მინისტრის, კეზერაშვილის დროინდელ ცნობილ შესყიდვასაც ამოყრის, ადეიშვილს ეს მასალები წინასწარ უნდა ედოს, ყოველი შემთხვევისათვის. ასეთი მოთხოვნა ეფ-ბი-აის შეფის ვიზიტის დროსაც გაჟღერდა. მაშინ დახურულ შეხვედრას მერაბიშვილი და ადეიშვილი ესწრებოდნენ.**

ნაც-ჩეალობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## მთელი დღე ვერ ახერხებდნენ პატიმრისთვის ძვლამდე დასული ჭრილობიდან სისხლდენის შეჩერებას

◀ რომელთაც მე დღეს წარმოვადგენ და რომელთა საქმეებიც გაგზავნილია სტრასბურგში. აქამდე ირაკლი მარაქველიძის ინტერესებს წარმოადგენდა კერძო ადვოკატი, რომელმაც სტრასბურგის სასამართლოში საჩივარი გააგზავნა, მაგრამ, ვფიქრობ, საჩივარი დახვეწას საჭიროებს. ჩემი ორგანიზაცია თავიდან შეიტანს საჩივარს, დროულად რომ მოხდეს რეაგირება და ევროსასამართლომ სახელმწიფოს მარაქველიძის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანა დაავალოს.

**— მარაქველიძემ ახლახან თვითმკვლელობა სცადა, რით არის ეს გამოწვეული?**

— მარაქველიძის თვითდაზიანებები და თვითმკვლელობის მცდელობაც კი გამოწვეულია მის მიმართ განხორციელებული არამხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური ზეწოლით. ამბობს, რომ ციხეში მისთვის გაუსაძლისი პირობებია — მთელი ღამის განმავლობაში არ აძინებს ხმები. ეს დამახასიათებელია მსგავსი ავადმყოფებისთვის; ციხის პირობებში კი მას მკურნალობის შესაძლებლობა არ აქვს. მას სათანადო მედიკამენტოზური მკურნალობა და ექიმის (და არა ციხის ადმინისტრაციის) მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდება. **პატიმარს ამჟამად ორივე ზედა კიდურზე გადასერილი აქვს ვენები. როგორც ვიცი, მთელი დღე ვერ ახერხებდნენ მისთვის სისხლდენის შეჩერებას, რადგან თითქმის ძვლამდე იყო დასული ჭრილობები. ასევე აქვს ჭრილობა ყელის არეში, ორივე მხრიდან.**

**— თუ დაიწყო გამოძიება იმასთან დაკავშირებით, რამ მიიყვანა პატიმარი თვითმკვლელობამდე და საიდან მოხვდა ბასრი იარაღი მის ხელში?**

— იმის თაობაზე, რომ პატიმარს არაერთხელ ჰქონდა ბასრი იარაღი, მისმა ადვოკატმა საჩივარი შეიტანა, რაზეც აღიძრა კიდეც სისხლის სამართლის საქმე თვითდაზიანების მოტივით. მაგრამ აქცენტი არ გაკეთებული იმაზე, თუ რატომ მიიყენა ამ ადამიანმა ასეთი ჭრილობები, მიუხედავად იმისა, რომ განცხადებაში მომჩივანი მხარე ყოველთვის მიუთითებდა, რომ სწორედ მის მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტების შედეგად მოხდა მარაქველიძის მიერ თვითდაზიანებების მიყენება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენ საჩივრით მივმართავთ სხვადასხვა უწყებას, ასევე სახალხო დამცველს და მოვითხოვთ კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებას.

◀ საავადმყოფოში, სადაც ეტაპირება მოხდა დაახლოებით 2010 წლის იანვრის დასაწყისში.

8. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გატარებული ორი კვირის განმავლობაში ჩემ მიმართ ხორციელდებოდა სიტყვიერი შეურაცხყოფები, მუქარები და ზეწოლა უშუალოდ ამ დაწესებულების დირექტორის გოგა ბუთლიაშვილის მიერ. ამ ფაქტებზე მე ერთ-ერთ წერილში კიდეც ვაცნობე სახალხო დამცველის აპარატს. დაწესებულებაში გატარებული ორი კვირის შემდეგ კვლავ ეტაპირებული ვიქენი ქ. ქუთაისის №2 საპყრობილეში, სადაც ერთი დღით შემასახლეს სამედიცინო ნაწილში, B კორპუსში, №302 საკანში, საიდანაც მეორე დღეს გადამიყვანეს ზემოთხსენებულ C კორპუსზე კვლავ №302 საკანში. იქ გატარებული დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე კვლავ ხორციელდებოდა ციხის თანამშრომლების მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფები და ზეწოლის ფაქტები. 2010 წლის 29 იანვარს ისე, რომ ჩემთვის არაფერი განუმარტავთ, ეტაპირებული ვიქენი კვლავ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ამ ეტაპირებისას გამოგონილი ინციდენტის შემდეგ ბადრაგის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მომაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად დარჩენილი დაზიანებები აღნიშნულია 2010 წლის 29 იანვარს ჩემი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიღებისას შედგენილ ბარათში. დაზიანებებით ვყავდი ნანახი ჩემს ადვოკატს, რომელმაც მომხდარიდან რამდენიმე დღეში მინახულა. ამ დაწესებულებაში ყოფნისას, რომელმაც ორი კვირა გასტანა, ჩემ მიმართ კვლავ ხორციელდებოდა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ზეწოლა და მუქარა, ოღონდ ამჯერად დაწესებულების უფროსის პირველი მოადგილის მხრიდან, რომელსაც ვაჟა ჰქვია, გვარი ჩემთვის უცნობია. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან ჩემი ეტაპირება ქ. რუსთავის №2 კოლონიაში მოხდა 2010 წლის თებერვლის შუა რიცხვებში (აქაც ვაკონკრეტებ, რომ დაახლოებით).

მე მინდა გაითვალისწინოთ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სტრასბურგის სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია ჩემი ციხის საავადმყოფოში გადაყვანა, მე ამაზე უარს ვამბობ. მიზეზი ნათელია და გარკვევით მაქვს მითითებული ზემოთ მოყვანილ ფაქტებში.

**რ. პატარაია“**

**წერილი მოგვაწოდა „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნინო ანდრიაშვილმა.**

# კონტროლის პალატა თავდაცვის სამინისტროს იარაღის შესყიდვებს ამოწმებს

**თავდაცვის სამინისტრო ის უწყებაა, რომელშიც თვით კონტროლის პალატაც კი ძნელად აღწევს. ასე იყო ოქრუაშვილის მინისტრობის დროს, როცა უწყებაში შესული კონტროლის პალატის თანამშრომლები ოქრუაშვილმა კინწისკვრით გამოყარა სამინისტროდან, მიუხედავად იმისა, რომ მათ ყველა საბიუჯეტო უწყების შემოწმება კანონით ევალებოდათ. მაშინ, როცა ეს მაკონტროლებლები ამოწმებდნენ შს სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს კარი მათთვის დახურული იყო. ამ უწყებამ მინისტრი კი შეიცვალა, მაგრამ კონტროლის პალატისთვის იგი მაინც შეუვალი ციხესიმაგრე აღმოჩნდა. ორი წელია, ეს უწყება არ შემოწმებულა. ახლა კი, კონტროლის პალატის ინფორმაციით, ორწლიანი პაუზის შემდეგ, თურმე თავდაცვის სამინისტროსთან ერთად უნდა განსაზღვროს ის სამხედრო პროგრამები, რომლებიც 2011 წელს უნდა შემოწმდეს. მოკლედ, შემოწმება იწყება ახალი აუდიტორული ფორმით, რომელიც კონტროლის პალატამ ლატვიის სახელმწიფოს აუდიტორულ ოფისთან ერთად შეიმუშავა.**





„საქართველო და მსოფლიოს“ ინფორმაციით, ორწლიანი, იძულებითი პაუზის შემდეგ, აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც აღნიშნული მითითება ზურაბ ადეიშვილმა გასცა. ამავე ინფორმაციის თანახმად, **კონტროლის პალატა ბოლო სამი წლის მონაცემებს შეისწავლის, რომლებიც ბაჩო ახალაიასთან ერთად დავით კეზერაშვილის მინისტრობის დროინდელ პერიოდსაც მოიცავს.**

**ვინ დაინტერესდა თავდაცვის სამინისტროს პროგრამების მიმდინარეობით, ოფიციალურად, ბუნებრივია, არ ხმაურდება. სახელისუფლო კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ ადეიშვილის უწყებამ ეს მოთხოვნა დავით კეზერაშვილისა და მისი საეჭვოდ გამდიდრებული გარემოცვის „დასაბერტყად“ გადაწყვიტა.**

როგორც წესი, ასეთი „გასუფთავება“ ოფიციალურად მხოლოდ იმ შემთხვევებში ხდება, როცა საქმე ოპოზიციას ეხება. კეზერაშვილის გარშემო კი ყოფილ მინისტრსა და მის გარემოცვას საეჭვოდ გაუმსხვილდათ ბიზნეს-კომპანიები. მათ შორისაა ნავთობკომპანია „გალფი“, სადაც კეზერაშვილმა და მისმა გარემოცვამ ახალი ბიზნეს-დივიდენდები დააბანდეს.

ამ შემოწმების შედეგად ისიც უნდა დადგინდეს, როგორ ჩამოიწერა კეზერაშვილის დროს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ძვირადღირებული მანქანები და როგორ მოხდა, რომ თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი და სხვა გარემოცვა ძვირადღირებულ „რენჯროვერებში“ ჩასხდნენ. თანაც, **თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ებრაულ იარაღთან დაკავშირებული სკანდალი ჯერ არ ჩაუფარცხავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადეიშვილმა თადარიგი დაიჭირა ისეთი შემთხვევისათვის, თუ კი ფედერალური ბიურო თაღლითური სქემისა და იარაღის მსოფლიო მაფიის სკანდალურ საქმეში თავდაცვის მინისტრის, კეზერაშვილის დროინდელ ცნობილ შესყიდვასაც ამოყრის, ადეიშვილს ეს მასალები წინასწარ უნდა ედოს, ყოველი შემთხვევისათვის. ასეთი მოთხოვნა ეფ-ბი-აის შეფის ვიზიტის დროსაც გაჟღერდა. მაშინ დახურულ შეხვედრას მერაბიშვილი და ადეიშვილი ესწრებოდნენ.**

## ადეიშვილმა მერაბიშვილს ლევან ბეჟაშვილი მიუქსია

სხვათა შორის, ამ ორ მინისტრს შორის დაპირისპირებაზეც ბევრს საუბრობენ კულუარებში. მოგეხსენებათ, კონტროლის პალატის შემოწმების მასალები, თუკი მათში კანონდარღვევაა გამოვლენილი, პროკურატურას ეგზავნება. და **თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თავდაცვის სამინისტრო მერაბიშვილის მარჯვენა ხელის — დათა ახალაიას ძმას, ბაჩო ახალაიას აბარია, თავდაცვის სამინისტროზე შეტევა მერაბიშვილზე შეტევას უდრის, რადგან მინისტრის წყალობითა და დახმარებით, ეს უწყება მერაბიშვილის კონტროლს ექვემდებარება.** სხვათა შორის, მერაბიშვილ-ადეიშვილის ურთიერთობების გაფუჭებაზე მაშინაც ხაზგასმით აღინიშნა, როცა ბათუმში, პოლიციის აღლუმზე, სტუმრებს შორის ადეიშვილი არ გახლდათ.

კონტროლის პალატას მართლაც სერიოზული საკბილო ელის, თუკი ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. მას შეუძლია დაინტერესდეს ყოველწლიური ეროვნული პროგრამებით და პროგრამით „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, რომელშიც სერიოზული ფინანსები იხარჯება. ბაჩო ახალაიას დროს „ლონგებოუ-ლანსელიც“ დაიწყო. ამ უწყებაში, ცხადია, ბევრი რამის აღმოჩენა შეიძლება, მთავარი სურვილი და პოლიტიკური ნებაა.

**მეტად საინტერესოა თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებული პრეტენდენტების საკითხიც, რომლებიც რამდენიმე ასეულათასიან ტენდერს იგებენ, ოღონდ პარალელურად ფულს სახელისუფლო პარტიას ურიცხავენ. მათ შორისაა შპს „ესაბი“, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე კომპანია, რომელსაც „ნაციონალური ყულაბისთვის“ 10 ათასი ლარი შეუწირავს,** როცა სულ რაღაც ცოტა ხნის წინათ მან პორტატული კომპიუტერების შესყიდვაში გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა და თავდაცვის სამინისტროდან მხოლოდ ერთ ჯერზე 80 ათას 220 ლარი მოხსნა. ანალოგიურად მას სხვა კომპიუტერული ტექნიკაც შეუძენია სამინისტროსთვის. ეს კიდევ არაფერი. **კომპანია „ჯი აი ჯის“, რომელმაც „ნაციონალურ მოძრაობას“ 100 ათასი გადაურიცხა, რამდენიმეგზის აქვს მოგებული ტენდერი თავდაცვის სამინისტროში მაზუთის შეძენაზე** და გატანილი აქვს ჯერ 70 ათასი ლარი, ხოლო შემდეგ 62 ათას 300-ლარიანი შესყიდვით თანხები.

იმავე თავდაცვის სამინისტროს ტენდერებში ფიგურირებს **„ჯეომეტალ ჯგუფიც“, რომელსაც 690 ათასი ლარი აქვს ტენდერით მოხსნილი ბიუჯეტიდან. შპს „სოფთმასტერს“ „ნაციონალური მოძრაობის“ ყულაბაში გადარიცხული აქვს 15 ათასი ლარი, სამაგიეროდ, როგორც თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დოკუმენტაციაში მივაკვლიეთ, „სოფთმასტერს“ თავდაცვაში კარგად უყოჩაღია: ჯერ 412 ათასი ლარი მოუხსნია „თეთრეულის კომპლექტაციის შესყიდვაში“, ხოლო შემდეგ დამატებით კიდევ საკმაოდ „ყუათიან“ ტენდერებში გაუმარჯვებია.**

თუმცა, როგორც წესი, ასეთი ტენდერებით მაკონტროლებლები ნაკლებად ინტერესდებიან ხოლმე, მაგრამ ეს მაშინ, სანამ მინისტრი მაგრად დგას, თორემ **ოქრუაშვილის თავდაცვის მინისტრობიდან წასვლის შემდგომ ხომ გაირკვა, რომ თავდაცვაში უპრეცენდენტო კორუფცია ყვაოდა.** მანამდე კი „მემარჯვენეებს“, რომლებიც მუდმივად საუბრობდნენ თავდაცვის სამინისტროს დახურულ ფონდებზე, **სააკაშვილი უმტკიცებდა, რომ ოქრუაშვილი ყველაზე კეთილსინდისიერი მინისტრიაო და კაპიკ-კაპიკ ამოწმებდა მისი უწყების მიერ დახარჯულ თანხებს.**

მერაბიშვილ-ადეიშვილის დაპირისპირებას რამდენიმე წლის წინათ ბევრი მათი თანაგუნდელი შეეწირა, განსაკუთრებით რეგიონებში. ხან ადეიშვილის პროკურატურა უშვებდა ციხეში მერაბიშვილის ხალხს, ხან კი მერაბიშვილის პოლიცია — ადეიშვილის გარემოცვას. სააკაშვილის კარზე ორივე მათგანს პოზიციები კარგად აქვს გამყარებული, თუმცა გააჩნია, რომლის კომპრომატი გადასწონის.

გვერდები მოამზადა **სოფო გელაშვილმა**

საქართველო და მსოფლიო
დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95




ხელისუფლება „ტერორიზმთან ბრძოლის" სახელით თავისუფლებებს ზღუდავს. ადამიანის უფლებათა დამცველები და ოპოზიციური ჯგუფები „თავისუფლების ქარტიას" აკრიტიკებენ და მას „პოლიციური სახელმწიფოსკენ გადადგმულ ნაბიჯს" უწოდებენ.

თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციებისა და ჩრდილოეთ აფრიკაში განვითარებული მოვლენების მიმართ უცხოური პრესა თითქმის ერთნაირად დიდ ყურადღებას იჩენს. პრეზიდენტი სააკაშვილი მუდმივად გვახსენებს, რომ საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. ახლაც ასეა. როგორც ჩანს, მისთვის სულ ერთია, რით მიიქცევს ყურადღებას — მთავარია, ხშირად ახსენონ... ბოლო რამდენიმე დღეა, მისი გვარი ყველა ბრუნვაში ტრიალებს, სააგენტოები ავრცელებენ ინფორმაციებს, ტელევიზიები გადასცემენ სიუჟეტებს თბილისსა და ბათუმში გამართული მიტინგების შესახებ. მაგრამ ნაცროპაგანდის საშუალებებად გადაქცეული ქართული ტელეარხები მაყურებელს უმალავენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ეხმიანება მსოფლიო პრესა ქართულ მოვლენებს. ბუნებრივია, ასეც იქნებოდა — მედია სააკაშვილის რეფორმებზე კი არა, მის ავტორიტარულ რეჟიმზე საუბრობს და ამ რეჟიმის წინააღმდეგ ქუჩებში გამოსული ხალხის პროტესტს აცნობს მკითხველსა და მაყურებელს.

„საქართველო და მსოფლიო" სისტემატურად აქვეყნებს მსოფლიო მედიის უმნიშვნელოვანეს პუბლიკაციებს. ამჯერადაც სწორედ მათეულ შეფასებებს გთავაზობთ და თავად განსაჯეთ, რამდენად ობიეტური არიან ჩვენი უცხოელი კოლეგები და რას გვიმალავენ ნაცტელევიზიები.



# საქართველოს ოპოზიცია «მრისხანების დღისკენ» მოუწოდებს

**საქართველოს ოპოზიციურმა პარტიამ მომავალი ოთხშაბათისთვის „მრისხანების დღისკენ" მოუწოდა, ცდილობს რა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გადადგომა აიძულოს, მას შემდეგ, რაც პოლიციამ დედაქალაქში მომიტინგეების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა.**



საპროტესტო აქციის მონაწილეები, რომელთა რიცხვიც შაბათს 10000-ს უახლოვდებოდა, სააკაშვილს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტოკრატიული მმართველობის დამკვიდრებაში ადანაშაულებენ. საქართველოს ტერიტორიაზე კასპიის რეგიონიდან დასავლეთ ევროპისკენ მიმავალი ენერგეტიკული სატრანზიტო მარშრუტები გადის.

არაბული სამყაროს აჯანყებების ლექსიკის მსგავსად, ოპოზიციური „ქართული პარტიის" თავმჯდომარემ სოზარ სუბარმა განაცხადა: **„ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს მხარდამჭერებს, მოვიდნენ საპროტესტო აქციაზე 25 მაისს. ჩვენ ამ დღეს „მრისხანების დღეს" ვარქმევთ".**

კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ სახელმწიფომ ძალა გამოიყენა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპიკერმა განაცხადა, რომ პოლიცია იმ დროს ამოქმედდა, როდესაც აქციის მონაწილეთა ათკაციანმა ჯგუფმა რკინის ჯოხებით პოლიციის ავტომანქანის ნგრევა დაიწყო. მომიტინგეებმა თბილისში ღამე გაათენეს.

**„პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები აგრესიული მანიფესტანტების ჯგუფის წინააღმდეგ გამოიყენა. აქციის დაშლის განზრახვას ადგილი არ ჰქონია",** – განაცხადა შსს-ს სპიკერმა შოთა უტიაშვილმა.

მანიფესტანტების თქმით, ჯგუფმა პოლიციის ავტომანქანას იმის გამო შეუტია, რომ დაპატიმრებული აქტივისტის გათავისუფლება სურდა. დამოუკიდებელი ტელეკომპანია „მაესტროს" ცნობით, ერთი ქალბატონი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოგვიანებით, თბილისში ტელევიზიის შენობის წინ 2000 ადამიანი შეიკრიბა შემდგომი გეგმების მოსასმენად.

**„ჩვენი კარი ღიაა სხვა პოლიტიკური პარტიებისთვისაც. ჩვენ ველოდებით, რომ ამ პროტესტში უფრო მეტი ადამიანი შემოგვიერთდება და ეს რეჟიმი ძალიან მალე დასრულდება",** — მიმართა შეკრებილთ სააკაშვილის ყოფილმა მოკავშირემ და პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომლიც ქართული ხელისუფლების მიერ იძებნება და პარიზშია ემიგრირებული, პირობა დადო რომ 25 მაისს საქართველოში დაბრუნდება და შეუერთდება კოლეგებს „ქართული პარტიიდან".

**„მე შემიძლია თქვენ ორი რამ დაგპირდეთ: მე ვიქნები საქართველოში 25 მაისს და ეს იქნება უკანასკნელი დღე ამ მთავრობისთვის",** – უთხრა ოქრუაშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს".

აქცია იმ დღის წინა დღეს იგეგმება, როდესაც საქართველო დამოუკიდებლობის 20 წლისთავს აღნიშნავს.

**პროდასავლელი სააკაშვილის ოპონენტები მას ადანაშაულებენ ხელისუფლების მონოპოლიზებაში.**

REUTERS

# პროტესტი სააკაშვილის წინააღმდეგ – მრავალრიცხოვანი დაპატიმრებები

**მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, საქართველოს ქალაქებში – თბილისსა და ბათუმში ათასობით ადამიანი ქუჩაში გამოვიდა. საქმე პოლიციასთან დაპირისპირებამდე მივიდა.**

კავკასიურ სახელმწიფო საქართველოში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგეებსა და პოლიციას შორის შეტაკების დროს ბევრი ადამიანი დააპატიმრეს. საქართველოს დედაქალაქში, თბილისში გამართული აქციის შემდეგ, რომელშიც დაახლოებით 5000 ადამიანი მონაწილეობდა, სპეცრაზმმა მომიტინგეებს რეზინის ტყვიები დაუშინა, იუწყება შინაგან საქმეთა სამინისტრო. მანამდე სახელმწიფო ტელევიზიის შენობის წინ აქციის მონაწილეები ჯოხებით თავს დაესხნენ პოლიციის ავტომანქანას. ოპოზიცია ამ ვერსიას აპროტესტებს. შაბათს, ბათუმში გამართულ აქციაზეც, რომელშიც დაახლოებით 2000 ადამიანი მონაწილეობდა, საქმე ასევე შეტაკებამდე მივიდა. სააკაშვილის ოპონენტები მას ავტორიტარიზმში ადანაშაულებენ.

## ოპოზიცია „მრისხანების დღეს" აცხადებს

**„ის პასუხისმგებელია ქვეყანაში შექმნილ ღრმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისზე",** — განაცხადა თბილისის ცენტრში გამართულ მიტინგზე პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

ოპოზიციამ 25 მაისი „მრისხანების დღედ" გამოაცხადა. სააკაშვილს 2008 წელს რუსეთთან ომში ჩაბმის გამოც ადანაშაულებენ. სისხლისღვრის შემდეგ ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ სეპარატისტული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რესპუბლიკებზე კონტროლი დაკარგა, რომლებიც მოსკოვმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა.



## ახალი დავა რუსეთთან

**საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია რუსეთ-საქართველოს შორის ახალი დავის წარმოქმნის საფუძველს ქმნის. დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთის იმპერიის ხელმძღვანელობამ 1763-1864 წლებში კავკასიის ტერიტორიაზე ჩერქეზების „ეთნიკური წმენდა" განახორციელა.**

მოსკოვი განრისხდა. **„საქართველოს ხელისუფლებას სინამდვილეში არ ანაღვლებს ჩერქეზი ხალხის ტრაგიკული ბედი, არამედ ეს მისი (ანტირუსული) კომპლექსის მორიგი გამოვლინებაა",** — განაცხადა დუმის საგარეო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა კონსტანტინე კოსაჩოვმა.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო ასევე კანონი საჯარო სამსახურებიდან „პოლიტიზირებული" ადამიანების, მაგალითად, „კაგებეს" ყოფილი აგენტების არდაშვების შესახებ. გარდა ამისა, ყველა საბჭოთა ქანდაკება და ტოპონიმი კანონგარეშე გამოცხადდა. **ხელისუფლება „ტერორიზმთან ბრძოლის" სახელით თავისუფლებებს ზღუდავს. ადამიანის უფლებათა დამცველები და ოპოზიციური ჯგუფები „თავისუფლების ქარტიას" აკრიტიკებენ და მას „პოლიციური სახელმწიფოსკენ გადადგმულ ნაბიჯს" უწოდებენ.**

DIE WELT

# მომავალ კვირას სააკაშვილს არჩევანის გაკეთება მოუწევს



**ავტორიტარი ლიდერების მსგავსად, რომლებიც ხელისუფლების შენარჩუნებას ცდილობენ, მომავალ კვირას მიხეილ სააკაშვილსაც მოუწევს გამოცდა. ამის შესახებ ამერიკული გამოცემა „The National Interest"-ი წერს.**

გამოცემის მიხედვით, იმის გამო, რომ ოპოზიცია მასობრივი ქუჩის დემონსტრაციების მოწოდებით გამოდის, **სააკაშვილს მოუწევს, გადაწყვიტოს, გამოიყენებს ძალას ამ მიტინგების დასაშლელად მუამარ კადაფის სულისკვეთებით, თუ ცვლილებებისა და დათმობების შესახებ განაცხადებს.**

**„ქართველები უეჭველად „არაბული გაზაფხულის" სულისკვეთებით და მათი თავისუფლების მოთხოვნებით არიან აღვსილი. ადამიანის უფლებების დარღვევით, დისიდენტების დაპატიმრებებით, თავისუფალი მედიის დახურვით და მისი ვიწრო წრის კორუფციისა და ნეპოტიზმის ბრალდებების უარყოფით, სააკაშვილი იქცეოდა ისე, რომ მან უკეთესად იცის, რა სჭირდება მის მოქალაქეებს, ვიდრე ოპოზიციამ",** — წერს გამოცემა.

THE NATIONAL INTEREST



ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲕᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲐ ᲓᲐ 2008 ᲬᲔᲚᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ.

ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢᲘ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲗ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

**არაბული სამყაროს პოპულარული ამბოხებით შთაგონებული ათასობით ქართველი ქვეყნის დედაქალაქში ქუჩაში გამოვიდა, რათა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომა მოეთხოვა. მათ ასევე მოუწოდეს ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისკენ.**



სააგენტო „ფრანს პრესის“ ცნობით, „სახალხო კრების“ ოპოზიციური ალიანსის დაახლოებით 10000-მა დემონსტრანტმა თბილისში საპროტესტო მსვლელობა მოაწყო, ასზე მეტმა – შავი ზღვის სანაპირო ქალაქ ბათუმში, სადაც აქცია პოლიციამ დაშალა.

**„ჩვენ ვიბრძვით დემოკრატიისთვის და ვიბრძვით ნეობოლშევიზმის წინააღმდეგ“,** — უთხრა AFP-ს ოპოზიციის ლიდერმა და სააკაშვილის მთავრობის პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ.

**„ჩვენ მოვითხოვთ სააკაშვილის გადადგომას იმისთვის, რომ დემოკრატიული არჩევნები ჩავატაროთ“,** — თქვა მან.

აქციაზე გამომსვლელებმა სააკაშვილი ავტორიტარიზმში დაადანაშაულეს, განაცხადეს, რომ მან ვერ შეძლო საყოველთაო სიღატაკის დაძლევა და დაკარგა საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ქვეყნის კატასტროფულ ომში რუსეთთან 2008 წელს.

დედაქალაქში საპროტესტო მსვლელობამ მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ პოლიციამ დაშალა პარალელური აქცია ბათუმში მას შემდეგ, რაც მომიტინგეები ადგილობრივ ტელევიზიაში შეჭრას შეეცადნენ, მოითხოვდნენ რა დემონსტრაციების პირდაპირ ეთერში გადაცემას.

შავი ზღვის რეგიონის აჭარის სახელმწიფო ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა ცირა აბულაძემ ბათუმიდან Reuters-ს ტელეფონით აცნობა, რომ 400-ზე მეტი ადამიანი ტელევიზიის კარს აწვებოდა და ფანჯრებს ქვებს ესროდა.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოსკოვის მხარდაჭერილი აჭარის ლიდერი 2004 წელს გააძევა და რეგიონზე თბილისის კონტროლი გააძლიერა. მაგრამ მოსკოვის მიერ მხარდაჭერილი კიდევ ორი რეგიონი — სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი კვლავ თბილისის კონტროლს მიღმა რჩება.

ოპონენტები სააკაშვილს ადანაშაულებენ, რომ მან საქართველოში ავტოკრატიული მმართველობა დაამკვიდრა. ამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე ძალიან მნიშვნელოვანი საავტომობილო, სარკინიგზო და ენერგეტიკული მარშრუტები გადის.

Reuters-ის თანახმად, მანიფესტანტებმა, რომლებსაც წინ სააკაშვილის ყოფილი მოკავშირე და პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე მიუძღოდა, თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე ჩაიარეს, გადაკეტეს ქუჩა და შემდეგ თავისუფლების მოედანზე შეიკრიბნენ.

**„ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ თქვენთან ერთად. ეს უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლაა ყველა ჩვენგანისთვის და არ ვაპირებთ უკან დახევას“,** — უთხრა შეკრებილთ ნინო ბურჯანაძემ.

2008 წელს ომში დამარცხებისა და 2007 წლის აქციების დარბევის მიუხედავად, სააკაშვილი ქვეყნის ყველაზე ძლიერ ფიგურად რჩება და ბევრი ფიქრობს, რომ ის შეძლებს ქართულ პოლიტიკაში დომინირებას 2013 წლის შემდეგაც, როდესაც მისი საპრეზიდენტო ვადა ამოიწურება.

**ᲛᲣᲡᲢᲐᲤᲐ ᲐᲯᲑᲐᲘᲚᲘ**



# ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲥᲪᲘᲐ «ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘ» ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

**ოპოზიციის ათი ათასობით მომხრემ საქართველოს დედაქალაქ თბილისში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით დემონსტრაცია გამართა.**

ორგანიზატორები ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო პირველი აქცია იმ მრავალ აქციათა შორის, რომლებიც გმობს იმას, რასაც ისინი პრეზიდენტის ავტორიტარულ მმართველობას უწოდებენ. ოპოზიციის ლიდერმა და პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა: **„ჩვენ ვაპროტესტებთ ნეო-ბოლშევიზმს ამ ქვეყანაში. ჩვენ ახლა ნეო-ბოლშევიკურ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ყველა საუბარი დემოკრატიაზე მხოლოდ ლაპარაკი და ფასადია. ჩვენ ვიბრძვით დემოკრატიის, სამართლის, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის“.** ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ბევრ მხარდამჭერს პოლიციამ აქციაზე მისვლის შესაძლებლობა არ მისცა. ამ ბრალდებას შინაგან საქმეთა სამინისტრო უარყოფს.

# ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ

**ოპოზიციის ათასობით დემონსტრანტმა ყოფილი საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში საპროტესტო მსვლელობა გამართა და პრეზიდენტ სააკაშვილს გადადგომისკენ მოუწოდა.**



ოპოზიცია აშშ-ში განსწავლულ და პროდასავლელ ლიდერს კორუფციასა და დემოკრატიული რეფორმების შეზღუდვაში ადანაშაულებს.

**„ეს სააკაშვილისგან საქართველოს გათავისუფლებისთვის დაწყებული გადამწყვეტი ბრძოლაა“,** – მიმართა შეკრებილთ ჭადრაკში ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა და ოპოზიციურმა ლიდერმა ნონა გაფრინდაშვილმა. მისი თქმით, პროტესტი ხუთი დღის განმავლობაში გაგრძელდება.

მეორე ოპოზიციურმა ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ პოლიციამ თბილისისკენ მომავალ გზაზე ასობით აქტივისტი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპიკერმა შოთა უტიაშვილმა ამას „აბსოლუტური ნონსენსი“ უწოდა. შაბათს მეორე საპროტესტო აქცია შავი ზღვის საპორტო ქალაქ ბათუმში გაიმართა. უტიაშვილის თქმით, მომიტინგეების ჯგუფი ტელეკომპანიის შტურმით აღებას შეეცადა, მაგრამ პოლიციამ მათ შენობაში შეღწევის საშუალება არ მისცა.

სააკაშვილი ხელისუფლებაში 2004 წელს პოპულარულ საპროტესტო ტალღაზე მოვიდა, რომელმაც საბჭოთა პერიოდის ლიდერი დაამხო. მისმა მთავრობამ რადიკალური დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმები გაატარა, რომელიც გაღატაკებულ ტრანსკავკასიურ ერს უკიდურესად ესაჭიროებოდა.

იგი გადაურჩა ოპოზიციის ხანგრძლივ დემონსტრაციებს 2009 წელს. ამ აქციებზე მის გადადგომას მოითხოვდნენ რუსეთთან 2008 წლის კატასტროფული ომის გამო, მაგრამ დანაწევრებულმა ოპოზიციურმა ჯგუფებმა კოორდინაცია ვერ მოახერხეს მანამ, სანამ აქციებმა ძალა არ დაკარგა.

# ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲐᲥᲪᲘᲐᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

**საქართველოში პოლიციამ რეზინის ტყვიები დაუშინა იმ საპროტესტო აქციის მონაწილეებს, რომელიც დასავლეთის მხარდაჭერილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. პოლიციამ ეს მას შემდეგ გააკეთა, რაც კვირას მომიტინგეებმა ხალხით სავსე ავტომობილს შეუტია.**



ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოში ადგილობრივმა ტელევიზიამ გაავრცელა კადრები, რომლებშიც კვირას, დილით ანტისამთავრობო აქციის მონაწილეები ჯოხებით უტევენ ავტომობილს, ამსხვრევენ მის მინებს და ცემენ მასში მჯდომ ადამიანებს.

**„პოლიცია იძულებული გახდა, რეზინის ტვიები გამოეყენებინა, რათა მშვიდობიანი მოქალაქეები დაეცვა“,** — უთხრა AFP-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპიკერმა შოთა უტიაშვილმა.

ოპოზიციონერი ლიდერის, სპიკერი ქალბატონის, ნინო ბურჯანაძის თქმით, შეტაკება ავტომობილში მსხდომი ადამიანების მხრიდან იყო პროვოცირებული, რომლებიც შეეცადნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარე აქციის აქტივისტის დაკავებას.

**„მანქანაში მსხდომი პირები შეეცადნენ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის გატაცებას და მომიტინგეები მის დაცვას შეეცადნენ“,** – უთხრა AFP-ს ნინო ბურჯანაძემ.

ინციდენტის შემდეგ ტელევიზიის წინ პროტესტს რამდენიმე ასეული ადამიანი განაგრძობდა, ბევრ მათგანს ხელში ჯოხები ეკავა.

მეორე შეტაკება მაშინ დაიწყო, როდესაც აქციის გაბრაზებულმა მონაწილეებმა ქვები დაუშინეს ავტომობილს, რომელიც დემონსტრაციას მიუახლოვდა, რადგან მათ ეჭვი გაუჩნდათ, რომ ისინი გადაცმული პოლიციელები იყვნენ.

**შაბათს, „სახალხო კრების“ ოპოზიციური ალიანსის დაახლოებით 6000-მა მხარდამჭერმა საპროტესტო მსვლელობა მოაწყო. ისინი პრეზიდენტ სააკაშვილს ავტორიტარიზმში ადანაშაულებენ და მის გადადგომას მოითხოვენ.**

**ᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲛᲝᲐᲬᲧᲝ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲨᲐᲚᲐ, ᲠᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲔᲗᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲐᲡ ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲜᲔᲜ.**

„სახალხო კრების“ განცხადებით, ბოლო სამი დღის განმავლობაში მათი ასობით აქტივისტი დააკავეს.

**„ხელისუფლება ოპოზიციის აქტივისტების წინააღმდეგ ტერორისტულ კამპანიას აწარმოებს“,** — უთხრა AFP-ს ნინო ბურჯანაძემ, სააკაშვილის მთავრობის პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა.

მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს ბრალდება უარყო, განაცხადა რა, რომ მხოლოდ ის პირები დააკავეს, ვინც ატომობილს თავს დაესხა.

**ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲕᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲐ ᲓᲐ 2008 ᲬᲔᲚᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ.**

მაგრამ საქართველოს ოპოზიციაში სერიოზული განხეთქილება არსებობს, რამდენიმე ანტისამთავრობო პარტიამ შაბათის დემონსტრაციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და გამოსვლა ადგილობრივი სტანდარტებით მცირე მასშტაბის იყო.

შაბათს, შინაგან საქმეთა მინისტრმა სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ აქციის მცირე მასშტაბმა დაადასტურა ის, რომ ოპოზიციის რადიკალ ლიდერებს საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვს.

**„ეს ადამიანები იმდენად ცოტანი, იმდენად სუსტები არიან, რომ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ“,** — თქვა მან.

**ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲛᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ 2007 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲠᲑᲘᲐ (ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ) ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ყველაზე დიდ სისასტიკეს ინკვიზიციამ ესპანეთში ტორკვემადას დროს მიაღწია. მისი 18-წლიანი მოღვაწეობის პერიოდში 10 ათასი ადამიანი ცეცხლის ალმა შთანთქა. ტორკვემადას ფუნქცია დღეს მერაბიშვილს აკისრია. სწორედ შსს არის ის უწყება, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში ტოტალური შიშის დანერგვას. ასევე ყველა სადამსჯელო ორგანო, რომელთა ქმედებები ხშირად ადამიანების სიკვდილს იწვევს, მის დაქვემდებარებაშია.**

# ტორკვემადადან სააკაშვილამდე,

## ანუ საქართველო ნეოინკვიზიციის ჭაობში

**ინკვიზიციის ხსენებაზე ნებისმიერ ადამიანს, ვინც იცის მისი გაუგონარი სისასტიკის შესახებ, უსიამოვნო განცდა ეუფლება. მართალია, შუასაუკუნეების სიბნელე და ინკვიზიციის კოცონი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ დროდადრო თავს იჩენს ამჯერად უკვე პოლიტიკური მოტივით წაქეზებული ნეოინკვიზიციური პროცესები, რაც, მართალია, ხშირად ლოკალური მასშტაბისაა, მაგრამ თავისი სულისკვეთებით მაინც უდიდესი ბოროტებაა.**
**ჩვენი მიზანია, ვისაუბროთ თანამედროვე საქართველოში მიმდინარე ნეოინკვიზიციურ პროცესებსა და მის მსგავსებაზე შუა საუკუნეების დროინდელ ინკვიზიციასთან.**

ფრანსისკო გოია — „ინკვიზიციის ტრიბუნალი“



### „ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერია“

**ინკვიზიციის მიზანს წარმოადგენდა „მწვალებლური მანკიერების ძიება“. ნებისმიერი ადამიანი, ვინც „მხილებული“ იქნებოდა ერეტიკულ ცოდვაში, დაუყოვნებლივ ექვემდებარებოდა გასამართლებას. „მხილებისათვის“ კი ადამიანის ერეტიკოსად გამოცხადება საკმარის არგუმენტს წარმოადგენდა.**

სინამდვილეში კი ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ რელიგიის ან მის მსახურთა წინააღმდეგ წარმოთქმული რაიმე უკადრებელი სიტყვისთვის ან განსხვავებული აზრის გამო, რადგან თავისუფალი აზროვნება ღვთის გმობად ითვლებოდა. ასე „აჩირაღდნენ“ ინკვიზიციის კოცონზე ჩეხების ეროვნული გმირი იან ჰუსი, ჯორდანო ბრუნო და ბევრი სხვა უდიდესი მოაზროვნე.

ქართული ნეოინკვიზიცია ბევრი რამით ჰგავს თავის „წინამორბედს“, თუმცა მეთოდები, ხშირ შემთხვევაში, განსხვავებული და მოდერნიზებულია. მაგალითად, **საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა აგებულია პრინციპზე: ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერია და, ვინც ჩემი მტერია, ის ქვეყნის მოღალატეა. ასე დაინერგა პრაქტიკაში ქვეყნის მოღალატეების — რუსეთის აგენტების „გამოვლენა“.** პოლიტიკური მოწინააღმდეგეების კრიმინალებად და მათ თანამოაზრეებად გამოცხადება, თუკი ინკვიზიცია სისასტიკეს „ყოვლისშემძლე ღვთის გულისათვის“ სჩადიოდა, დღეს ყოველივე ეს მისი უდიდებულესობა პრეზიდენტის ძალაუფლების შეურყევლობისთვის კეთდება.

### „ამხილე“ და იბატონე

**ინკვიზიტორებს თავიანთი „წმინდა მიზნის“ მიღწევას უადვილებდა ყოველი ჯურის ნაძირლის მიერ დაწყებული „სასარგებლო“ საქმიანობა — ჯაშუშობა, დასმენა, რაც წმინდა საქმედ ითვლებოდა და წაქეზებული იყო ეკლესიის მიერ.**

სააკაშვილის რეჟიმის „ანტიკრიმინალური“ პოლიტიკა მსგავს პრინციპზეა აგებული. კერძოდ, „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ თავიდანვე დაიწყო „ჩაშვების ინსტიტუტის“ დანერგვა. ზოგადად, მოქალაქის კანონისა და სამართლიანობის აღსრულებაში მონაწილეობა ბოროტება სულაც არ არის. პირიქით, ეს მისი მოქალაქეობრივი ვალია. მაგრამ, თუ ხელისუფლება მსგავს მეთოდებს პოლიტიკური ოპონენტების ან მის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადამიანების წინააღმდეგ უკანონოდ გამოიყენებს, მაშინ ეს დანაშაულია. საქართველოს ხელისუფლება მსგავს ხერხებს ხშირად მიმართავს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები იძაბება. ასეთ დროს **ხელისუფლება ცდილობს, პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაცია მოახდინოს აღიარებითი ჩვენებების გავრცელებით და „ჯაშუშური ქსელის“ გამოვლენით,** რომლის მიზანს საზოგადოებაში საპროტესტო მუხტის შენელება წარმოადგენს.

### შიში შეიქმს... მორჩილებას

**ინკვიზიციის „წმინდა საქმის“ წარმოება ევალებოდა „დომინიკელთა“ ორდენს, რომელმაც პაპის ნდობა სავსებით გაამართლა: უდიდესი ტერორი განახორციელა „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ, რამაც შიშის დანერგვას შეუწყო ხელი.**

ქართულმა ნეოინკვიზიციამ მსგავსი პრინციპით იხელმძღვანელა: სოდ-ისა და კუდ-ის მეშვეობით საზოგადოებაში, ფსიქოლოგიური ტერორის განხორციელების გზით, თანმდევი შიში დანერგა. ამის ნათელი მაგალითი იყო 2007 წლის ნოემბერში აქციის მონაწილეთა გამაყრუებელი შეძახილი — „არ მეშინია“, რაც თავისთავად საზოგადოებაში დაბუდებული ტოტალური შიშის აღიარებას წარმოადგენდა. აქციების ძალით ჩახშობასთან ერთად, შიშის სინდრომი უფრო გაძლიერდა.

დღეს საზოგადოება ტოტალურად არის დაშინებული: ეშინია აქციაზე წასვლის, ხელისუფლების საჯაროდ გაკრიტიკების, ტელეფონით ნაცნობებთან თავისუფლად ვერ საუბრობს, ადეკვატურად ვერ რეაგირებს ქვეყანაში გამეფებულ უკანონობაზე და ა.შ.

### ტორკვემადას მემკვიდრეობა

**ყველაზე დიდ სისასტიკეს ინკვიზიციამ ესპანეთში ტორკვემადას დროს მიაღწია. მისი 18-წლიანი მოღვაწეობის პერიოდში 10 ათასი ადამიანი ცეცხლის ალმა შთანთქა.**

ტორკვემადას ფუნქცია დღეს მერაბიშვილს აკისრია. სწორედ შსს არის ის უწყება, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში ტოტალური შიშის დანერგვას. ასევე ყველა სადამსჯელო ორგანო, რომელთა ქმედებები ხშირად ადამიანების სიკვდილს იწვევს, მის დაქვემდებარებაშია.

### ნულოვანი ტოლერანტობა, ანუ სიკვდილის „ამბორი“

**ერეტიკოსის კოცონზე დაწვა ხშირად საზეიმო დატვირთვის მატარებელი იყო და ერთგვარ რიტუალს წარმოადგენდა, მორწმუნეთა ჭკუის სასწავლებლად და ურწმუნოთა გონზე მოსაყვანად. ასე საზეიმოდ სიკვდილით დასჯას „აქტი სარწმუნოებისა“, ანუ „აუტო-და-ფე“ ეწოდებოდა.**

საქართველოს ხელისუფლებას „აუტო-და-ფე“ ხშირად განუხორციელებია. მაგალითად, ასეთი „აქტის“ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს აფრასიძეების ოჯახის „საზეიმო“ ამოხოცვა. თუმცა **მსგავს ქმედებებს ხელ-ფეხი გაეხსნა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა საზეიმოდ გამოაცხადა „ნულოვანი ტოლერანტობა“ და სამართალდამცავებს მოუწოდა, გაენადგურებინათ ნებისმიერი ადამიანი, ვინც მათ მცირე წინააღმდეგობასაც გაუწევდა. ამის შემდეგ ათეულობით უდანაშაულო ახალგაზრდა დახოცეს ქუჩაში.** მათ შორის იყო ისეთი გახმაურებული მკვლელობები, როგორიცაა: ბუტა რობაქიძის, გიორგი ვაზაგაშვილის, სანდრო გირგვლიანისა და სხვა ათეულობით ახალგაზრდისა, რომლებიც „ნულოვან ტოლერანტობას“ შეეწირნენ.

### „ნამუსახდილი“ თემიდა

**ინკვიზიცია საგამოძიებო და სასამართლო ხელისუფლებას აერთიანებდა, რომელთა შორისაც ფუნქციები გამიჯნული არ იყო და, ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობაც არ არსებობდა.**

საქართველოში მსგავსი სიტუაციაა შექმნილი: სასამართლო დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს ვერ იღებს და აღმასრულებელი ხელისუფლების დირექტივებით ხელმძღვანელობს. რაც ძირს უთხრის საქართველოს სახელმწიფოებრიობას და დემოკრატიულ განვითარებას, რადგან სასამართლოს დამოუკიდებლობის გარეშე ქვეყნის ნორმალური განვითარება ვერ მოხერხდება.

### „გასაჩივრებას არ ექვემდებარება“

**ინკვიზიცია „სამართალწარმოების“ სპეციფიკური წესით ხელმძღვანელობდა: ერეტიკოსს წინასწარ გასამართლებამდე დამნაშავედ აცხადებდა.**

საქართველოს ხელისუფლებაც უდანაშაულობის პრეზუმფციას არ იცავს და დაპატიმრებისთანავე ეჭვმიტანილი დამნაშავედ ცხადდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ეხება.

### იძულებითი აღიარება

**ინკვიზიტორი წამების სხვადასხვა ხერხის გამოყენებით აიძულებდა ერეტიკოსს, ელიარებინა დანაშაული.**

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები ციხეებსა და წინასწარი დაკავების იზოლატორებში ძალადობისა და წამების ღონისძიების გატარებით ცდილობენ, მოიპოვონ აღიარებითი ჩვენება. ამის შესახებ ნათქვამია Amnesty International-ის 2011 წლის ანგარიშში: „საქართველოში დაკავების დროს პოლიციის განყოფილებაში ცუდად მოპყრობა პრობლემად რჩება“.

### „შეზღუდული განათლება“

**ინკვიზიცია დაუნდობლად ებრძოდა „სახიფათო“ და „მავნებლური“ შინაარსის შემცველ წიგნებს, რომლებიც ხელს უწყობდა საზოგადოებაში ცოდნის და თავისუფალი აზროვნების გავრცელებას.** ასეთ წიგნებთან საბრძოლველად სპეციალურად შეიქმნა საცენზურო ორგანო კარდინალ კარაფას ხელმძღვანელობით, რომელმაც შემოიღო „ინდექსი აკრძალული წიგნებისა“, რომლის შედეგადაც განადგურდა ბეკონის, ნიუტონის, გალილეისა და სხვათა წიგნები.

საქართველოში, მართალია, ოფიციალურად ასეთი საცენზურო ორგანო არ არსებობს, მაგრამ **ხელისუფლება მიზანმიმართულად აფერხებს ეროვნული მეცნიერების განვითარებას, უმაღლესი განათლება ლამის მიუწვდომელ მწვერვალად იქცა საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის.** განათლების სისტემა, რომლის უპირველეს მიზანს განათლებული მომავალი თაობის აღზრდა უნდა წარმოადგენდეს, დეგრადაციას განიცდის, რაც თავისთავად ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგია.

### სუიციდის იძულება

**ხშირად ადამიანები ინკვიზიციის მსხვერპლნი ხდებოდნენ სიმდიდრის გამო. კერძოდ, ინკვიზიტორთა მიზანს სიკვდილმისჯილთა ქონების მითვისება წარმოადგენდა.**

ხელისუფლება ბიუჯეტის შევსებას დაჯარიმებულთა ხარჯზე ცდილობს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ტრაგედიით სრულდება. კერძოდ, როგორც ცნობილია, სახელმწიფო რეკეტის შედეგად სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს ღვინის კომპანია „შუმის“ ერთ-ერთმა მეპატრონემ ოთარ ფირანიშვილმა, საბითუმო მაღაზია „დელფინის“ ერთ-ერთმა მფლობელმა პაატა პაპაშვილმა და „ქინძმარაულის მარნის“ დირექტორის მოადგილემ არჩილ სესიაშვილმა. სამივე შემთხვევაში თვითმკვლელობის გამომწვევ მიზეზად აღნიშნულ კომპანიებში საგადასახადო ინსპექციის შესვლა და დიდი ჯარიმები სახელდება.

**თუკი ინკვიზიციის დროს ეკლესიის მსახურებთან სიახლოვე და ტაძრების დახმარება დიდგვაროვანთა უსაფრთხოებას განაპირობებდა, დღეს საქართველოშიც მსგავსი სიტუაციაა შექმნილი.** კერძოდ, ბიზნესმენები, რომლებიც ხელისუფლებას აფინანსებენ და პოლიტიკური პროპაგანდის წარმართვაშიც ეხმარებიან, ხელშეუხებლობით სარგებლობენ, ხოლო განსხვავებულად მოაზროვნე ან თუნდაც დამოუკიდებელი ბიზნესსაქმიანობით დაინტერესებული ბიზნესმენები დევნას და შევიწროებას განიცდიან.

**ზურაბ ჯამბურია**

**P.S. ერთი შეხედვით ცივილიზებული და დემოკრატიული დასავლეთი, წლებია, „ბუშის სინდრომით“ არის შეპყრობილი და საქართველოს „ვარდების ხელისუფლებას“ „დემოკრატიის შუქურად“ მიიჩნევს. სწორედ ეს გაუაზრებელი და უპირობო მხარდაჭერა იწვევს იმ რეპრესიებს, რომელთაც სააკაშვილის რეჟიმი ატარებს და რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.**
**ამიტომ დროა, დასავლეთის ცივილიზებული სამყარო გონს მოეგოს, გაიაზროს საქართველოში შექმნილი უმძიმესი ვითარება და მისცეს ქართველ ხალხს შესაძლებლობა, დემოკრატიის „ჩამქრალი შუქურა“ ქვეყნისა და ეროვნული ინტერესების საკეთილდღეოდ ხელახლა აანთოს.**

**„როგორც კი დააპატიმრეს სტროსკანი, იმავე წამს გამოჩნდა მისი შემცვლელი კანდიდატი აშშ-დან. ამის დამნახავმა ე. წ. ახალმა ქვეყნებმა — ჩინეთმა, ბრაზილიამ, სამხრეთ აფრიკამ, ინდოეთმა, რუსეთმა, თავ-თავიანთ წარმომადგენელს მოარგეს ეს ჩოხა. რატომ უნდა იყოსო ამ მონეტარული ფონდის ხელმძღვანელი მაინც და მაინც დასავლეთ ევროპიდან და, მეორე, თვით ამ ფონდის საკითხიც მსჯელობის საგნად აქციეს. ტროსკანი გადადგა. მის შემცვლელად, უეჭველია, კვლავ ევროპელს აირჩევენ“.**

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# სკანდალი

## დომინიკ სტროსკანი — მოძალადე თუ აშშ სპეცსამსახურების მსხვერპლი?

**მსოფლიო პრესა ამ დღეებში მსოფლიო სავალუტო ფონდის პრეზიდენტის — დომინიკ სტროსკანის დაკავების ფაქტით ტკბება. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მართალია, ყრუდ, მაგრამ მაინც ისმის, რომ ეს კრიმინალური საქმე ძალადობრივ გაუპატიურებასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ მასშტაბურ შეთქმულებასთან. ამ შეთქმულების მსხვერპლიაო სტროსკანი. რაზეა ლაპარაკი? „საქართველოს და მსოფლიოს“ ამ შეკითხვას უპასუხა პროფესორმა დავით იაკობიძემ:**



— დასავლური მასმედიის პუბლიკაციების ავტორთა ერთი ნაწილი სტროსკანის დაპატიმრებას უკავშირებს საფრანგეთის შიდა პოლიტიკურ მდგომარეობას. იგი თავისი პოპულარობით ჯაბნიდა საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზის. ეს ნიშნავს, რომ მომავალ არჩევნებში მას სერიოზული შანსი ჰქონდა, საფრანგეთის სოციალისტური პარტიიდან წარმდგარიყო პრეზიდენტობის კანდიდატად და გაემარჯვა.

აქედან გამომდინარე, აშკარად მიგვითითებენ, თუ ვის შეეძლო განეხორციელებინა შეთქმულება სტროსკანის წინააღმდეგ.

მაგრამ, თუ უფრო ღრმად ჩავუფიქრდებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეთქმულება შეიძლება სულაც არაა ფრანგული „წარმოშობის“. სტროსკანი, რომელიც იუდეველია, თავგადადებული მკვლევარია იუდეიზმის და ეკონომიკის, იუდეიზმის და პოლიტიკის, სერიოზული მეცნიერია, მკაცრ მორალურ-ეთიკურ ნორმებზე დგას. მიაჩნია, რომ ეკონომიკის მთავარი, განმსაზღვრელი, მამოტივირებელი საფუძველი რელიგიიდან უნდა მოდიოდეს. ამით იგი უპირისპირდება სარკოზის. ამასთან, საფრანგეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი წარმოშობით უნგრელია.

ეს დაპირისპირება ისტორიაში ჩახედულ კაცს ერთგვარად 116 წლის წინანდელ ამბავს გაახსენებს, კერძოდ, დრეიფუსის პროცესს, საფრანგეთის არმიის კაპიტნის, იუდეველის, რომელიც 1894 წლის დეკემბერში დააპატიმრეს გერმანიის აგენტობის ბრალდებით, სამხედრო სასამართლომ გაასამართლა და მომდევნო წლის იანვარში სამუდამო პატიმრობა მისჯილი გადაასახლეს ეშმაკის კუნძულზე.

მისი კონტრაგენტი იყო მაიორი ესტერგაზი, უნგრელი, რომელიც სამხედრო ხელისუფლებამ „თამაშიდან გაიყვანა“ და მთელი ცოდვები ალფრედ დრეიფუსს „აჰკიდა“, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ის იყო დამნაშავე. ხოლო „დოკუმენტი“, რომელზეც აიგო ბრალდება დრეიფუსის წინააღმდეგ, ნაყალბევი იყო.

სხვათა შორის, პირველი სკანდალი, რომელიც სტროსკანს აუგორეს, უნგრული წარმოშობის ქალს უკავშირდებოდა.

პარალელი თვალშისაცემია. **ჩნდება ორი ფენა: ერთი მიგვანიშნებს საფრანგეთის ხელისუფლებაზე, მეორე — სიონიზმის ელემენტებზე.**

**— ბატონო დავით, დრეიფუსის დასაცავად მაშინ ხმა აღიმაღლა დიდმა ფრანგმა მწერალმა ემილ ზოლამ, რომელმაც ფრანგულ გაზეთში L'Aurore („ავრორა“) გამოაქვეყნა ღია წერილი საფრანგეთის პრეზიდენტისადმი — „ბრალს ვდებ“. მან პირდაპირ და დაუფარავად განაცხადა, რომ დრეიფუსის საქმე ფალსიფიცირებულია. ამ წერილმა შეძრა საფრანგეთიც და მთელი ევროპაც...**

— ემილ ზოლასნაირი გაბედული მწერლები, ღმერთმა ქნას, გამოჩნდნენ, მაგრამ ეჭვი მეპარება.

რატომ, იცით?

იმიტომ, რომ ის, რაზეც ვილაპარაკე, გადაფარულია მესამე პრობლემით.

**როგორც კი დააპატიმრეს სტროსკანი, იმავე წამს გამოჩნდა მისი შემცვლელი კანდიდატი აშშ-დან. ამის დამნახავმა ე. წ. ახალმა ქვეყნებმა — ჩინეთმა, ბრაზილიამ, სამხრეთ აფრიკამ, ინდოეთმა, რუსეთმა, თავ-თავიანთ წარმომადგენელს მოარგეს ეს ჩოხა. რატომ უნდა იყოსო ამ მონეტარული ფონდის ხელმძღვანელი მაინც და მაინც დასავლეთ ევროპიდან და, მეორე, თვით ამ ფონდის საკითხიც მსჯელობის საგნად აქციეს. ტროსკანი გადადგა. მის შემცვლელად, უეჭველია, კვლავ ევროპელს აირჩევენ.**

დომინიკ სტროსკანი



მაგრამ მთავარი, ჩემი აზრით, თვით ამ მონეტარული ფონდის პრობლემებია.

**— რომლებიც სტროსკანთან არის დაკავშირებული?**

— დიახ. როგორც მსოფლიო მასშტაბის ეკონომისტი-პოლიტიკოსი სტროსკანი 2008 წელს გამოჩნდა, მას შემდეგ, რაც „დიდმა შვიდეულმა“ აღიარა, რომ მსოფლიოში არის ფინანსური კრიზისი.

ეს კრიზისი მსოფლიოში 2006 წელს დაიწყო. მაგრამ ამის ფიქსაცია არ ხდებოდა. ამ მოვლენას ხან რას არქმევდნენ, ხან — რას, მაგრამ „კრიზისის“ ხსენებას გაურბოდნენ. მხოლოდ 2008 წლის ზაფხულში ინგლისის მაშინდელი პრემიერის — ბრაუნის ინიციატივით აღიარეს, რომ სახეზეა კრიზისი. ამის შემდეგ გამოდის სტროსკანი და აცხადებს, რომ ამ კრიზისს ვერ გადავლახავთ, თუ არ შევქმნით სპეციალურ მექანიზმებს მონეტარული ფონდის გასაძლიერებლადო.

**— იგი ამ დროს მსოფლიო სავალუტო ფონდის პრეზიდენტია?**

— 2007 წლიდან უდგას სათავეში. 1998 წელს, კრიზისის პერიოდში, ფონდს ხელმძღვანელობდა მიშელ კამდესიუ.

**— თბილისშიც იყო ჩამოსული.**

— კი, იყო. მან თქვა, რომ საერთაშორისო მონეტარული ფონდი მოწოდებულია, დაალაგოს ეს კრიზისი, და მსოფლიო ბანკთან ერთად, რომლის აღმასრულებელი დირექტორი მაშინ ვულფენსონი იყო, მიხედავდა ამ პრობლემას.

**ეს ტანდემი მართლაც მზად იყო პრობლემის მოსაგვარებლად. მაგრამ კამდესიუმ, რომელიც შინაგანად წესიერი კაცი იყო, ვერ გაუძლო ანტიგლობალისტების შემოტევებსა და შეურაცხყოფას და გადადგა. ამასთან, მას დაუფარავად მიანიშნეს, რომ მისი საქმე არ არის მსოფლიო კრიზისისა და მსოფლიო პრობლემების მოგვარება. წავიდა კამდესიუ, წავიდა ვოლფენსონიც.**

2008 წელს სტროსკანს მიეცა შანსი, კვლავ წამოეწია ეს საკითხი. მაგრამ წამოწია თუ არა პრობლემა, დაუყოვნებლივ აუგორეს სკანდალი, რომელიც უნგრელ ქალთან იყო დაკავშირებული: ტელეფონით ეარშიყებოდაო. ამით დაამუხრუჭეს. ველარ იაქტიურა.

ამასობაში ბრაუნმა, მერკელმა და სარკოზიმ ჩამოაყალიბეს კონცეფცია, რომლის მიხედვით მსოფლიო კრიზისი ბანკებზე სახელმწიფოს მარეგულირებელი ზემოქმედებით უნდა გადაწყვეტილიყო.

**— ეს რას ნიშნავს?**

— ეს ნიშნავს მსოფლიო თავისუფალი ფინანსების დაპირისპირებას მაკროეკონომიკურ-პოლიტიკურ ელემენტებთან. ამაზე დიდი წინააღმდეგობა მსოფლიოში წარმოუდგენელია.

აღნიშნული სამეული დაუკავშირდა ბუშს, რომელიც იმ დროს ფორმალურად რჩებოდა აშშ პრეზიდენტად, რადგან ობამა უკვე არჩეული იყო.

ბუში დაეთანხმა სამეულს და მათი კონცეფცია ძალაში შევიდა. დაეთანხმა, რომ დაერტყათ ბანკებისთვის და ამით გამოეყვანათ მსოფლიო კრიზისიდან. გაზარდეს ფულის ოდენობა მიმოქცევაში, რათა რეცესიის სიმწვავე ოდნავ შეერბილებინათ, და გამოაცხადეს, რომ კრიზისი დაძლეულია.

მაგრამ კრიზისი გრძელდება.

წლეულს, 3 მარტს, სტროსკანი საათ-ნახევრიანი მოხსენებით გამოვიდა ვაშინგტონში საერთაშორისო მონეტარული ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივ სხდომაზე, რომელსაც საქართველოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ამოსავალი დებულება მისი მოხსენების იყო შემდეგი: **მსოფლიო კრიზისი გრძელდება და ამის მიზეზი არის ვაშინგტონის კონსენსუსის ვულგარული, გამარტივებული წარმოდგენა.**

**— ანუ?**

— ანუ ეს არის ვითარება, როცა **ქვეყნები უსაფუძვლოდ ებრძვიან ბიუჯეტის დეფიციტს, ლიბერალურ მეურნეობებს ქმნიან იქ, სადაც საჭირო არ არის, ახდენენ ეკონომიკის დერეგულირებას, როცა ამის აუცილებლობა არ არის და ა.შ. განაცხადა, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდს აქვს უნარი და შესაძლებლობა, დაიცვას თავისი პოზიცია და მსოფლიო კრიზისის შეჩერებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.**

თავისთავად ეს კონცეფცია შეიძლება მეხივით გავარდნილიყო, მსოფლიოს ძლიერ ქვეყნებს მხარი რომ დაეჭირათ. მაგრამ ისინი გაისუსნენ. რაც ავის მომასწავებელი იყო, და ერთი თვისა და ათი დღის შემდეგ, 14 აპრილს აუფეთქეს სკანდალი.

**— რამდენად საფუძვლიანია, თქვენი აზრით, ის ბრალდება, რომლის გამოც სტროსკანი დააპატიმრეს?**

— **ჯერ ერთი, ეჭვის საფუძველს იძლევა ის, რომ „ძალადობის“ ობიექტი უარს ამბობს 6 მილიონ დოლარზე, რომელიც კომპენსაციის სახით შესთავაზეს. მეორე, ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ გარეგნობის განელმა ქალმა მოხიბლოს ვინმე. მესამე, ეს მეტრისა და 80 სანტიმეტრის სიმაღლისა და ოთხმოცდაათი კილოგრამის წონის ქალი, უფრო ადვილია, მოძალადედ წარმოიდგინო, ვიდრე ძალადობის მსხვერპლად. მეოთხე. რა გაუჭირდა სტროსკანს ისეთი, რომ მაინც და მაინც აივ-ინფექციით დაავადებულზე მიეტანა სექსუალური იერიში?!** ეს ქალი ამ უკურნებელი სენით დაავადებულთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. სოციალური დახმარების ობიექტია.

ამ ეჭვების საფუძველზე შეიძლება განვაცხადოთ, რომ სტროსკანის წინააღმდეგ მოაწყვეს შეთქმულება თანამდებობიდან მისი ჩამოცილების მიზნით. ნიჭიერადაა წარმოდგენილი: ან ფრანგების მოწყობილი ინტრიგაა, ან ებრაელების ვერაგული ჩანაფიქრი სიონიზმის გასაძლიერებელი ახალი ტალღის ასაგორებლად. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ სტროსკანი იუდეველია?

**— იუდეველი გაწირეს სიონიზმის გასაძლიერებლად?**

— აქეთკენ სურთ წაიყვანონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. ხოლო ის ძალა, რომელსაც სურს, მსოფლიო კრიზისის რეალური მიზეზები არ დადგინდეს, ამ ვერსიებს ამოეფარა.

ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას მაძლევს აი კიდევ რა. **როცა სტროსკანმა გააკრიტიკა ვაშინგტონის კონსესუსის — მსოფლიოს ქვეყნების ერთნაირი განვითარების საფუძვლების — გამარტივებული წარმოდგენები, იქვე დასძინა, რომ ეკონომიკის ასეთი მიმართულებით სვლა გლობალიზაციას კაპიტალისტურ ხასიათს ანიჭებს. ჩვენ კი ვალდებული ვართ, გლობალიზაცია ადამიანური სახით წარმოვადგინოთო.**

**— ამით მან თავისი პოლიტიკური კრედო წამოაჩინა.**

— სწორედაც რომ. სტროსკანს ებრძვიან არა იმიტომ, რომ არ სურთ საფრანგეთის პრეზიდენტობა მისი, არც ამორალობის გამო ებრძვიან. **მის წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო იმიტომ, რომ იგი ებრძვის დღეს არსებულ გლობალიზაციის მეთოდს. ხოლო გლობალიზაციის დღევანდელი მეთოდი არის ძლიერთა სტატუსკვოს შენარჩუნება.**

**— რამდენად დამაჯერებლად მიგაჩნიათ მომჩივანის ადვოკატის განცხადება, რომ „მისი დაცვის ქვეშ მყოფმა“ არაფერი იცოდა სტროსკანის შესახებ, მაშასადამე, არც შეიძლებაო სტროსკანის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაზე ლაპარაკი?**

— დამაჯერებელია. საქმეც ის არის, რომ იმ ქალმა არც სტროსკანი იცის, არც 6 მილიონი დოლარის ფასი. სპეციალურად არის შერჩეული ასეთი „ობიექტი“, ზუსტად არის გათვლილი სტროსკანის სისუსტეებზე, ანუ სპეცსამსახურების ჩვეული მეთოდია: დაარტყან იქ, სადაც გაწყდება. სკანდალი ტექნოლოგიურად დამაჯერებლადაა მოწოდებული. მაგრამ სტროსკანის თემა გაუპატიურების ფაქტიდან არ გამომდინარეობს. იგი უკავშირდება მსოფლიო კაპიტალის თავისუფალი გადადინების პრობლემას.

**— გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ სტროსკანს დაუნიშნეს სპეციალური მეთვალყურეობა, თავი არ მოიკლასო. მართალია, დეპრესია მის ქცევაში არ შეიმჩნევა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვისო...**

— ესეც გათვლილია.

**— შეიძლება „გაასაღონ“?**

— ასეთი რამ ხელს არ აძლევთ. დისკრედიტაცია სახეზეა. რომ „გაასაღონ“, მისი მოხსენება ხომ რჩება? რჩება. მაშასადამე, ამ მოხსენების იდეები დროის შემდეგ ისევე შეიძლება გაიხსენონ. სტროსკანს დამნაშავეობა, სექსუალური ძალადობა უნდა დაუმტკიცდეს იმიტომ, რომ მომავალში მისი იდეების, კონცეფციის გამეორება სირცხვილი იყოს. სახელგატეხილი კაცის აზრები რა მოსატანია?! ასეთია ამ შეთითხნილი სკანდალის აზრი.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. გასულ პარასკევს სასამართლომ სტროსკანი 1 მილიონი დოლარი გირაოს საფასურად ციხიდან გაათავისუფლა. გამოძიების პერიოდში მას საშინაო პატიმრობა და ქალაქიდან გაუსვლელობა მიუსაჯეს. ფრანგულ პრესაში გაჩნდა წერილი სათაურით „გათავისუფლება და მიუსაჯეს“, რომელშიც სტროსკანის ისტორია შეფასებულია, როგორც ამერიკული ყაიდის „საპნის ოპერა“. ფრანგი ფემინისტები კი მის მკაცრად დასჯას მოითხოვენ.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

კარგი მკითხველი სამჯერ ჯობია გლახა პოეტს. იმიტომ, რომ ის არის პოეზიის სალარო. მისთვის იქმნება ყველაფერი ღირებული. იმ ადამიანების გადასარჩენია დღეს პოეზია, ვისაც ჭეშმარიტად ესმის მხატვრული სიტყვა, კულტურის ფასი და მნიშვნელობა.



## რეზო ამაშუკელი:

# ხალხი ისეა გამწარებული, რომ პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომით არ დაკმაყოფილდება, და ნება რომ მისცე, მაგათი დამწვარი გვამებით ირბენს ქუჩებში

შევთანხმდით — არავითარი პოლიტიკა. პოეზიაზე ვილაპარაკებთ, უწინარეს ყოვლისა, ხელოვნებაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, თორემ რეზო ამაშუკელის მასმედიური სახე ერთგვარად ცალმხრივია — მებრძოლი, უშიშარი, სიმართლის მეციხოვნე, სიტყვის ორლესური მახვილის უბადლოდ მფლობელი და ა.შ. ეს ყველაფერი შესანიშნავია, რადგან მამულიშვილურია, ერისკაცობაა.

მაგრამ არის კიდევ რეზო ამაშუკელი, პიროვნება, რომელიც ამ ყველაფერთან ერთად ჩვენთაგანია ერთ-ერთი, თუმცა გამორჩეული და ყოველმხრივ პატივდებული.

იგი პოეტია!

და პირველი შეკითხვაც, ცხადია, ამ რიგისაა.

კიდევ ერთი: სტუდენტობიდან მოყოლებული, ჩვენი ურთიერთობის მიუხედავად, მკითხველთან გაშინაურებას არ ვაპირებთ, და კადრს მიღმა ვტოვებთ მხარზე ხელების ტყაპუნით ინტერვიუს წარმართვას.

### გემოვნებაზე სწორედ რომ დაობენ

**— ბატონო რეზო, რა საიდუმლოებას ფლობთ ისეთს, რომ „ლექსის ჩუქურთმის“ ჩამოსხმის ჟამს ბუნების ძალებიც რეზონირებენ თქვენს პოეტურ ჟინთან და ერთი შტრიხით, კალმის ერთი მოსმით ემოციის მეცხრე ცაზე ადიხართ მკითხველთან ერთად:**

**„მთვარე, მე, შენ და არაგვი,**
**მთვრალი ვიყავით ოთხივე“.**
**თუნდაც ეს.**
**საიდან მოდის?**

— ეს ისეთი შეკითხვაა, რომ კაცმა შეიძლება ადვილად გაგცეს პასუხი, ან შეიძლება, ვერაფერი გითხრას.

თავისთავად ყველაფერს შრომა უნდა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ლექსის წერა აბსოლუტურად სპონტანურია. პირველი სტრიქონი მოდის და არც ვიცი, შემდეგ რა მოხდება. „რახილი“ სიზმარში მაქვს დაწერილი. რომ გავიღვიძე, მაშინ გადავიტანე ქაღალდზე.

ადამიანი ყველა სხვადასხვანაირად არის მოწყობილი, ამიტომ ვერ გაიგებ, საიდან რა და როგორ მოდის.

ერთი რამეა ცხადი — გაადამიანურების ერთი რეგისტრი არის ის, რომ ადამიანი პოეზიით სუნთქავს... რასაც, სამწუხაროდ, კაცობრიობა თანდათან კარგავს, და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დაკარგოს.

იაპონელები ამბობდნენ, რომ მოვა დრო, როცა რობოტები დაიწყებენ ადამიანების მართვას. მაშინ ეს სასაცილოდ არ გვყოფნიდა. მაგრამ, ახლა რომ ვუყურებ, შეიძლება რეალობასთან ახლოს იყოს.

**— სულიერებაგამოცლილი ადამიანები...**

— თუ რამით შეიძლება კაცობრიობამ იამაყოს გაქრობამდე, ამასაც არ გამოვრიცხავ, რადგან ყველაფერს აქვს დასასრული, როგორც დასაწყისი, ეს ის სალაროა, სადაც პოეზია ყველაფრის წარმმართველია.

ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენო. მხოლოდ გემოვნებაზე დაობენ, ჩემი დაკვირვებით. გემოვნება არის ის ატომი, რომლის გარშემოც ბრუნავს ყველაფერი — სულიერება, მენტალიტეტი...

პოლ ვალერის მზარეულმა თქვა, მე სადილებს ვაკეთებ, ბევრი საქმე მაქვს და სხვა რამისთვის არ მცალია, თუმცა ვიციო. ფილოსოფიურად განსაჯა.

თუ ჩვენც ამ თვალით შევხედავთ რეალობას, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ არსებული სხვადასხვაობა, ნაირფერობა ისე უნდა გავაერთიანოთ, შევუთავსოთ ერთმანეთს, მოვახერხოთ გაზავება ისე, რომ ხსნა ჰქონდეს ადამიანის სულიერებას. ასეთი ჰარმონიის მიღწევის მუხტი პოეზიას აქვს, იგია კულტურის ანიც და ჰოეც. ხოლო ქართული კულტურის გარეშე მსოფლიო კულტურის წარმოდგენა შეუძლებელია. სწორედ ამის გაკეთებას ცდილობენ დღეს ყოველნაირად.

**— თქვენ ახსენეთ დასაწყისი და დასასრული. გამახსენდა სახარების ერთი პასაჟი: მაცხოვარს მოწაფეებმა ჰკითხეს: — როგორი იქნება დასასრული? იესომ უპასუხა: — იცით კი დასაწყისი? როდის დაიწყო რეზო ამაშუკელი როგორც პოეტი?**

— **ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ მეტისმეტი თავმდაბლობა უზრდელობას ჰგავს, ვაცხადებ: მე რომ პატრონი მყოლოდა, პირველად ლექსი რომ დავწერე, მაგრად უნდა ვეცემე და ამ უბედურებას გადავრჩებოდი მეც და მკითხველიც.**

სანამ წერა-კითხვას ვისწავლიდი, დედაჩემისგან მახსოვს, ლექსებს ვამბობდი, დაულაგებელს, ბავშვურს.

დედა, თავისი გენიალური გარეგნობის მიუხედავად, მკაცრიც იყო. ძალიან ლამაზი იყო. ყველა დედა ყველა შვილისთვის ლამაზია, მაგრამ... პირდაპირ ვაცხადებ, რომ ჩვენი ხელისუფლების მესვეურების დედებზე ლამაზი იყო დედაჩემი... მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ პოლიტიკას არ შევეხებოდით.

დედას სახეები ახსოვდა. მეც მისგან დამემადლა, ეტყობა.

მე სხვა პროფესია არც მქონია, არც მდომებია. თუმცა, 14 წლის რომ გავხდი, დირიჟორობაზე დავიწყე ოცნება, მინდოდა, რომ ჩემი „ბიგ-ბენდი“ — „დიდი ბანდა“ მყოლოდა.

ზოგ-ზოგს ჰგონია, რომ პრეზიდენტობა პროფესიაა და აცხადებს, პრეზიდენტი რომ არ ვყოფილიყავი, არქიტექტორი გამოვიდოდიო...

**— ვის წაუკითხეთ პირველი ლექსი?**

— არ მახსოვს. მაგრამ ქართულის მასწავლებლები პატივისცემით რომ მექცეოდნენ, მათემატიკის მასწავლებელი კი „გიჟპოეტას“ მეძახდა და სამელნე მოვარტყი თავში, ეს მახსოვს. კინაღამ გამრიცხეს მაშინ სკოლიდან. გადამარჩინა დირექტორმა ტიტე სურგულაძემ.

**— „გიჟპოეტობა“ რა საკადრისია, მაგრამ შემოქმედი ადამიანები საკმაოდ თავისებურები რომ არიან, ეს, კარგახანია, შემჩნეულია.**

— შემოქმედ ადამიანს, თუკი მართლა შემოქმედია და არა ხელოსანი, გარკვეული გადახრები ექნება. გადახრებში იმას არ ვგულისხმობ, ახლა რომ აქვს ზოგიერთს. მაგრამ თავისებური ფსიქიკის ადამიანია და ცოტა უფრო მეტი შემწყნარებლობაა მის მიმართ საჭირო. არ ვამბობ, რომ მე ვინმემ შემიწყნაროს, რადგან მე თვითონ აღარ ვარ შემწყნარებელი.

დიდ ხელოვანთა ბიოგრაფიებიც გვიდასტურებს, რომ ხშირ შემთხვევაში ვერ უგებენ მათ სხვა ადამიანები.

**— არაერთხელ გითქვამთ და ასეცაა, რომ ხართ სახეებით მოაზროვნე ადამიანი, ასეთი მსოფლაღქმა გაქვთ, მეტაფორული.**

— ქართველ კაცში, როგორც კურკა ხილში, ისეა ჩადებული ლტოლვა პოეტური აზროვნებისკენ. რამდენი ადამიანი ვიცი, ვისაც სტრიქონი არ დაუწერია და არც აქვს პოეტობის პრეტენზია, მაგრამ სწორედაც რომ პოეტური აზროვნება აქვს.

რატომ, იცით? იმიტომ, რომ **კარგი მკითხველი სამჯერ ჯობია გლახა პოეტს.** იმიტომ, რომ ის არის პოეზიის სალარო. მისთვის იქმნება ყველაფერი ღირებული.

იმ ადამიანების გადასარჩენია დღეს პოეზია, ვისაც ჭეშმარიტად ესმის მხატვრული სიტყვა, კულტურის ფასი და მნიშვნელობა. ამიტომ ცდილობენ ამ ყველაფრის ჩაკვლას. მაგრამ ეს სხვა ჭრილია და მე შევეცდები, ავარიდო თავი მის განვრცობას.

გაივსო ნაგვით ფილმებიც და წიგნებიც, თუმცა წიგნი დღეს აღარავის უნდა.

## მე ვიცი რუსთაველის პრემიის ზოგიერთი ლაურეატი, ვის დანახვაზეც ხალხი იფურთხება

### „პატრიარქმა გადამირჩინა ბაია“

**— მეგობრის დაკარგვა ყოველთვის ცალმხრივი არ არის. ზოგჯერ ჩემი ბრალიც შეიძლება იყოს, თქვენიც. ხართ თვითკრიტიკული?**

— როგორ არა! მიზეზს, პირველ რიგში, საკუთარ თავში ვეძებ. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა აუცილებლად, რომ ძალიან ხშირად ვერ ვპოულობ ამ მიზეზს საკუთარ თავში. არ ვთქვა ეს? თვალთმაქცობენ, როცა სურთ, დიდ ქრისტიანებად წარმოგვიდგინონ თავი და ყველა ცოდვას საკუთარ თავზე იღებენ. არ არის ასე.

უცოდველი, რა თქმა უნდა, არ ვარ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მოქნეული ხანჯალი, რომელიც ზურგში ჩამცეს, ჩემი მიზეზით არ იყო. დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ.

**— ქრისტიანობა ახსენეთ. რეზო ამაშუკელი და ეკლესია, ეგებ, ამ თემასაც შევეხოთ. მე მახსოვს კრიტიკული, ძალიან მძიმე მომენტი თქვენს ცხოვრებაში, როცა ეკლესიას მიენდეთ და ღმერთმა დაგიფარათ.**

— პატრიარქმა გადამირჩინა მაშინ ბაია. ყოველთვის ღრმადმორწმუნე არ ვიყავი. როგორ შეიძლებოდა, ეკლესიურად მეცხოვრა, როცა ყომარბაზობა, დროსტარება და ა.შ. არ დამკლებია. მაგრამ, როცა პირველი საღამო გამიმართეს ფილარმონიის დიდ დარბაზში კომუნისტების დროს (ახლა ვიღაცა გამომიხტება და მეტყვის, ნოსტალგია გაქვსო. დიახ, მაქვს ნოსტალგია. ბევრი რამის გამო მაქვს ნოსტალგია. თუ ვინმეს აინტერესებს, დამიჯდეს და წვრილად გავურჩევ, რატომ და რის გამო მაქვს ნოსტალგია. რაშიც არ მაქვს, იმასაც ვეტყვი), ვიღაცამ წერილი გამომიგზავნა (ეგონა, დავმალავდი და არ ვუპასუხებდი): ამასწინათ ეკლესიაში გნახეთ. რით აგვიხსნით ამას? — მეკითხებოდა იმ ბარათის ჩასაფრებული ავტორი.

გამოვედი და სახალხოდ ავუხსენი, რატომაც ვიყავი ეკლესიაში. ყოველთვის დავდიოდი ეკლესიაში, ყოველთვის.

**ერთხელ ცეკაში რომ ვმუშაობდი, სტუმრები ჩამოგვივიდნენ და წავყევი ეკლესიაში. ცეკას პროპაგანდის განყოფილების გამგე იყო დამიანე გოგოხია, ბრძენი კაცი. მეძახის ბატონი დამიანე, ეკლესიაში სანთლები ხომ დაანთე, წადი და ჩემი სახელითაც დაანთეო. შევტრიალდი** ▶

მოკლედ

## ავღანეთში თორმეტი დემონსტრანტი მოკლეს



**ავღანეთში პოლიციამ ნატოს წინააღმდეგ მიმართული აქციის დემონსტრანტებს ცეცხლის გაუხსნა და 12 ადამიანი მოკლა, 80 კი მძიმედ დაჭრა.** ქალაქ ტალოკანში გამართულ დემონსტრაციაზე სულ ორი ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. დემონსტრანტებთან ერთად დაჭრილია ორი გერმანელი ჯარისკაცი. ავღანელები ქვეყანაში ნატოს ჯარების მოქმედებას აპროტესტებენ. ტალოკანში გამართული აქციის დროს მათ ალიანსის ერთ-ერთი სამხედრო ბაზის აღება მოინდომეს, რასაც შეტაკება მოჰყვა.

## ესპანეთის ეგვიპტური სცენარი

**მადრიდის მოსახლეობა დასაქმებას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, კრიზისის შექმნაზე პასუხისმგებელთა დასჯას და უფრო მეტ დემოკრატიას მოითხოვს.** დემონსტრანტები თავს არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან არ აიგივებენ, თუმცა ძალიან კარგად არიან ორგანიზებულნი. ეგვიპტელების მსგავსად, მადრიდელები სამოქალაქო კომიტეტებს აყალიბებენ, რომლებიც დემონსტრანტებს საკვები პროდუქტებით ამარაგებენ, სისუფთავეს აკონტროლებენ და იურიდიულ საკითხებს აგვარებენ. ისინი ერთმანეთთან ურთიერთობისთვის სოციალურ ქსელებს იყენებენ.

**ტელევიზიით მოვისმინე — ეკრანებთან რომ სხედხართ, შემოგვიერთდით, თქვენი ადგილი აქ არისო. ვუპასუხებ: მე რომ მარტო ვიბრძოდი, მათი სახსენებელი არსად იყო. შუბლი ტყვიისთვის რომ მქონდა მიშვერილი, ესენი ლიმუზინებში ისხდნენ და მილიარდებს შოულობდნენ. ყველამ თავის ბინძურ წარსულს მიხედოს. ჩემზე რადიკალურები ეგენი ვერ იქნებიან, მე კარგად ვიცი ანატომია ამ მანქურთების.**

## ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**წასასვლელად, მიმაბრუნა: — არაო, ჩემი ფულით უნდა დაანთოო. მომაწოდა ფული. გამოვართვი და შევუსრულე თხოვნა. შინაგანად ქართველი კაცი ყოველთვის იყო ქრისტიანი.**

დღეში სამჯერ ვანთებ შვიდ-შვიდ სანთელს, აქ პატარა ეკლესია მაქვს მოწყობილი ჩემთვის.

როცა ღმერთმა განსაცდელი გამომიგზავნა შვილის ავადმყოფობის სახით, ჩემი ხელით გადავპარსე თავი ბაიას, მე თვითონ ავიყვანე მოსკოვის ბურდენკოს სახელობის კლინიკის საოპერაციოში. ამას ჩემს მეტი ვერავინ გაუძლებდა. თავის ქალის ტრეპანაცია გაუკეთეს. მაგრამ ხომ ხედავთ, ბაია ბარე ხუთ კაცს სჯობია დღეს.

ვიმეორებ, პატრიარქმა გადაგვარჩინა მაშინ. **უწმინდესი ჩემი სულიერი მამაა. და გარდა იმისა, რომ იგი არის თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრონი, გარდა იმისა, რომ ბრძენია, გარდა იმისა, რომ მისი ყოველი ეპისტოლე არის პროგრამა ქართველი ერისთვის, იგი ჩემი მეგობარიცაა.**

ხშირად მანებივრებს საჩუქრებით. ერთხელ ფეხსაცმელი გამომიგზავნა. რომ მივედი, რად არ გაცვიაო, მკითხა. როგორ შემიძლია, თქვენი ნაჩუქარი ფეხსაცმელი ჩავიცვა, — ვუპასუხე, — პიანინოზე მიდევს-მეთქი.

თამაზ წივწივაძე და გოგი ხარაბაძე რომ შემომიჩნდნენ, ცალ-ცალი გავყიდოთ და ფულს გავაკეთებთო, ესეც ვუთხარი და ამაზეც ბევრი იცინა.

ადამიანურად ბედნიერი ვარ, რომ მაქვს უფლება, ხანდახან შევხვდე, დაველაპარაკო და მისი ხმა გავიგონო.

**— სიმბოლისტების აზრით, პოეზია არის ფერისა და მუსიკის სინთეზი. თქვენ უკრავთ, თქვენ ხატავთ, თქვენ ხართ პოეტი. მაშასადამე, პრაქტიკულად ადასტურებთ მათ შეხედულებას.**

— მე ვერ ვიტან სიუჟეტურ პოეზიას, როცა ამბებს ყვებიან, ზედმეტად ფილოსოფოსობენ. ზოგიერთმა ყურიდანაც გამოყო ენა და ჰგონია, რომ რაღაც ახალი შექმნა. ჩემთვის პირადად პირველადია სიტყვა, მაგრამ სიტყვაში თუ არ არის გასხივებული ფერი და არ არის მუსიკა, ის სიტყვა მკვდარია.

**როგორც უნდათ, ისე გაიგონ, შეიძლება ვინმემ დამაბრალოს, რომ ცოტა ხმამაღლაა ნათქვამი ეს წინადადება: მე ვაღიარებ და პატივს ვცემ მხოლოდ არისტოკრატიზმს პოეზიაში.**

### „სხვისი კარგი ლექსი ჩემს ჯულაბაში ჩაყრილი განძია“

— არსებობს ხალხური პოეზია, რომლის შედევრებში ხშირად უფრო მეტი არისტოკრატიზმია, ვიდრე ძალიან ერუდირებული და გადატყლარჭული პოეტების ლექსებში. ყველა ქართველი თავისი საქციელითა და ბუნებით არისტოკრატია, რისი წაშლაც უნდათ, რაც იკარგება. აი ამის გამოა, გაცოფებული რომ ვარ.

**— პიანინოზე დაკვრა, ხატვა ვინ გასწავლათ?**

— ერთი ნოტი არავის უსწავლებია. ხატვის სწავლა, არ ვიცი, როგორ შეიძლება.

**— ესე იგი, თუ კაცი ნიჭიერია, ყველაფერში ნიჭიერია?**

— ყოველმხრივ ნიჭიერებაზე გამახსენდა. ბობ დილანი ჩემი პირადი სტუმარი იყო. დავპატიჟე ჩემთან. იქ მობრძანდა ერთი ახალგაზრდა, რომლის გვარს არ დავასახელებ და რომელსაც მიაჩნია, რომ არის ერთდროულად მხატვარი, პოეტი, მომღერალი, დეპუტატი. მოვიდა და ბობ დილანს თავის გიტარაზე ავტოგრაფი წააწერინა: საზოგადოებაში თავის გამოსაჩენად და თავისი მრავალმხრივი ნიჭიერების დასადასტურებლად...

არ შეიძლება ბევრი დედის შვილი იყო. ერთ რამეს უნდა შეწირო შენი სული და ცხოვრება. ასე მწამს. მე რომ ვუკრავ და ვხატავ, ეს არაფერია, გართობაა მხოლოდ. მე რომ ვუტყაპუნებ პიანინოს კლავიშებს, ასე ნახევარი საქართველო უკრავს.

მაგრამ პირდაპირ ვაცხადებ: **რასაც ჩემს საქმედ ვთვლი და ხელს ვკიდებ, იქ ყოველთვის პირველი ვიქნები. შედარებითია ეს, რა თქმა უნდა, მაგრამ, თუ ამბიცია არ გაქვს, უნდა გადააგდო კალამი. პირდაპირ ვაცხადებ: — საშუალო ექიმი ექიმია, მაგრამ საშუალო პოეტი არაფერი არ არის.**

**— მაგრამ ეს ამბიცია თქვენ ხელს არ გიშლით, აღიაროთ თანამედროვე მეკალმეთა ნიჭი და პოეტობა.**

— რასაკვირველია. სხვანაირად როგორ შეიძლება! ჩემთვის ყველა კარგი ლექსი, რასაც ქართველი პოეტი დაწერს, ასეთები კი ძალიან ბევრია, ჩემს ჯულაბაში ჩაყრილი განძია. ჩემი ამქარია.

ჩემს სათქმელს ვერავინ იტყვის ისევე, როგორც მე ვერ ვიტყვი სხვისას. ამ მრავალფეროვნებაშია აზრი პაექრობის. უნდა ეჯიბრებოდე კარგსა და ნიჭიერს, თორემ უნიჭოებთან პაექრობას რა აზრი აქვს.

გადახედეთ ჩემს წიგნებს და დარწმუნდებით, რომ ორმოცამდე მიძღვნა მაქვს. ეს მათდამი ჩემს სიყვარულსა და პატივისცემაზე მეტყველებს. ისეთებსაც მივუძღვენი ლექსები, რომლებმაც მერე ხანჯალი მომიქნიეს.

არიან ასეთებიც.

მაგრამ ხომ არ შეიძლება, სულ მე გეფერებოდე და პატივს გცემდე? შენ რატომ გიჭირს, მალიარო?..

შიშის ზღვარს რომ გადალახავ, იმის იქით უკიდეგანო უშიშრობაა. ეს დიდმა სიყვარულმაც იცის და დიდმა სიძულვილმაც.



ავტოპორტრეტი: „ბებერი კაქტუსი“

# ზოგს ჰგონია, რომ პრეზიდენტობა პროფესიაა და აცხადებს, პრეზიდენტი რომ არ ვყოფილიყავი, არქიტექტორი გამოვიდოდიო

**— მიმტევებელი ხართ?**

— ძალიან მიმტევებელი ვარ. შემიძლია ჩემი შეურაცხყოფა მივუტევო კაცს. დამერწმუნეთ, ეს არ არის საგანგებოდ მოფიქრებული, გაპრანჭული ფრაზა. შეურაცხყოფას გააჩნია, რა თქმა უნდა. ბევრისთვის მიპატიებია. მაგრამ, **რაც შეეხება ჩემს სარწმუნოებას, ჩემს სამშობლოს, ჩემს (როგორც ქართველის) თვითმყოფადობას, ჩემს ისტორიას, კულტურას, ჩემს ქართველობას, იქ დაუნდობელი ვარ და საკუთარ შვილს არ ვაპატიებ!** პატრიარქმა ბრძანა, ქართველობა გვაკლიაო. ერთ ლექსში მაქვს: „არა პურითა, ქართველობით განვიცდი შიმშილს“.

მეორე ლოყის მიმშვერი აღარა ვარ, ვაცხადებ ამას ხმამაღლა.

**— ბატონო რეზო, ალბათ, გახსოვთ, პირველად უნივერსიტეტში ლექსები რომ წაიკითხეთ, როგორი ტაშით დაგაჯილდოვათ სტუდენტურმა აუდიტორიამ.**

**წლების შემდეგ თქვენ გერგოთ პატივი და აღიარება რუსთაველის სახელმწიფო პრემიის მონიჭებით. რომელი უფრო ღირებულია თქვენთვის?**

— ახლა ამ უმაღლეს ეროვნულ პრემიას საგანგებოდ უკარგავენ ფასს. ეს საყოველთაოდ ცნობილია და თქვენს მკითხველებსაც კარგად მოეხსენებათ.

ხალხის სიყვარული წყაროს ის სათავეა, რომელიც პრემიით გვირგვინდება. ამად აქვს ამ პრემიას ფასი.

**მე ვიცი რუსთაველის პრემიის ზოგიერთი ლაურეატი, ვის დანახვაზეც ხალხი იფურთხება. ისიც ვიცი, ვის როგორი წვალებით აქვს მიღებული რუსთაველის პრემია. ისიც ვიცი, რომ ყველაფერს კადრულობდნენ ამ პრემიის მისაღებად.**

მე რუსთაველის პრემია ორჯერ მაქვს მიღებული. ერთხელ, როცა ხმების დათვლის შემდეგ გამოაცხადეს, რომ რეზო ამაშუკელს ერთი ხმა დააკლდაო. მაშინ ადგა დიდი ქართველი მერაბ ბერძენიშვილი, ღმერთმა სულ კარგად გვიმყოფოს, და თქვა: — მე ჩემი ხმა არავისთვის მიმიცია და ახლა ვაძლევ რეზო ამაშუკელსო.

კომისიაში მეც ვიყავი, მეკუთვნოდა თანამდებობრივად, და გეუბნებით, ჩემი გვარი მე თვითონ წავშალე: თუ მეკუთვნის ჩემი ხმის გარეშეც მომცემენ-მეთქი. ჩემ თავთან უნდა ვყოფილიყავი მართალი!

**დასხდნენ კომისიის წევრები, ითათბირეს და გამოაცხადეს, არ გამოვა, რადგან ხმები ისე გადანაწილდაო... რაღაც აბდაუბდა თქვეს. საქმე კი ის იყო, რომ ირაკლი აბაშიძეზე იძია შური მურმან ლებანიძემ, რომელიც პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის თავმჯდომარე იყო.**

მეორეჯერ, როცა მომცეს პრემია, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიყავი, რადგან ეს ძალიან დიდი აღიარებაა.

ხოლო ის ტაში, რომლითაც უნივერსიტეტში დამაჯილდოვეს, დღემდე სულს მითბობს.

მაგრამ სიძულვილიც ძალიან ბევრია ჩემ გარშემო. ეს იმიტომ, რომ პირში მთქმელი კაცი ვარ, არ შემიძლია დავმალო ის, რასაც ზოგი კარგად ნილბავს. **მეტსაც გეტყვით, ჩემდა სამარცხვინოდ, სუფრიდან გამიგდია კაცი, რომელიც აქებდა და ადიდებდა მეორეს, და მაქებარმაც და ქების ადრესატმაც კარგად უწყოდნენ, რომ მე ვიცოდი, როგორ ეზიზღებოდათ ერთმანეთი.**

### „არ მჯერა და მაქვს უფლება, არ მჯეროდეს“

**ჩვენი საუბარი კარგახანს გაგრძელდა, ბევრი თემა გავარჩიეთ, მათ შორის, ვილაპარაკეთ პარიზში, მოლიერის თეატრში რეზო ამაშუკელის სამჯერ გამართულ შემოქმედებით საღამოებზე, იქ, სადაც „ნობელიანტების გარდა ცხვირი არავის შეუყვია“, და როცა მეგონა, რომ შეთანხმებისამებრ, პოლიტიკის გარეშე გავედით ბოლოში, თბილისში „სახალხო კრების“ აქცია დაიწყო.**

**ამას გვერდს ვერ ავუვლიდით. დავურეკე და კომენტარი ვთხოვე.**

— ხალხს, — **თქვა ბატონმა რეზომ,** — უკიდურესი და რადიკალური მოთხოვნები აქვს, ვიდრე იმ პარტიებს, ხალხის სახელით რომ ბრავირებენ. ხალხი ისეა გამწარებული, რომ პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომით არ დაკმაყოფილდება, და ნება რომ მისცე, მაგათი დამწვარი გვამებით ირბენს ქუჩებში.

**ტელევიზიით მოვისმინე — ეკრანებთან რომ სხედხართ, შემოგვიერთდით, თქვენი ადგილი აქ არისო. ვუპასუხებ: მე რომ მარტო ვიბრძოდი, მათი სახსენებელი არსად იყო. შუბლი ტყვიისთვის რომ მქონდა მიშვერილი, ესენი ლიმუზინებში ისხდნენ და მილიარდებს შოულობდნენ. ყველამ თავის ბინძურ წარსულს მიხედოს. ჩემზე რადიკალურები ეგენი ვერ იქნებიან, მე კარგად ვიცი ანატომია ამ მანქურთების.**

— ხელისუფლებაზე ამბობთ?

— **ხელისუფლებაზე ვამბობ. ექეთებინათ ქართული საქმეები და არავის გაუჩნდებოდა კითხვა — ვინ სომეხია, ვინ — მონღოლი, ვინ — მექსიკელი. ერთხელ ვთქვი და ვიმეორებ: არც მხარგრძელები იყვნენ ქართველები.**

ჩემი საქმე ისაა, რასაც ვწერ და ვამბობ. მე დროშის ქნევას ვერ დავიწყებ. არ ვარ მიტინგების ადამიანი.

მამუნათებენ, რატომ არ დგახარ ჩვენთანო. მე ყოველთვის იქ ვდგავარ, სადაც საქართველოა! ჩემთვის არ არსებობს პარტია. ჩემი პოლიტიკა ის არის, რომ როგორმე გადავარჩინო ჩემი სულიერება და ღირებულებები, რისთვისაც მთელი ცხოვრება ვომობდი.

ხალხს თუ დასჭირდება, ოღონდ ისე არა, პოლიტიკოსები საპნის ბუშტივით რომ გაუშვებენ ფრაზას, რომელიც მალევე სკდება, მზად ვარ, თავი შევწირო. თუ დააკვირდებიან, მე ოჯახიანად მაქვს თავი გადადებული და უკან არ დამიხევია არაფერზე, მაშინ, როცა ესენი ოქროსა და ფულში ცურავდნენ — გინდ ხელისუფლება, გინდ — ოპოზიცია.

არ მჯერა და მაქვს უფლება, არ მჯეროდეს!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# ექეთებინათ ქართული საქმეები და არავის გაუჩნდებოდა კითხვა — ვინ სომეხია, ვინ — მონღოლი, ვინ — მექსიკელი

მოკლედ

## სტროსკანი გადადგა



**საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრეზიდენტი დომინიკ სტროსკანი, რომელიც სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით მის მიმართ წაყენებულ ყველა ბრალდებას კვლავაც უარყოფს, თანამდებობიდან გადადგა და ამის შესახებ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას უკვე აცნობა.** „მინდა დავიცვა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელსაც სინდისიერად და ერთგულად ვემსახურებოდი. ახლა კი განსაკუთრებით მინდა, მთელი ენერგია საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად მივმართო“, — აღნიშნა დომინიკ სტროსკანმა.

## ისრაელის პარლამენტი სომხების გენოციდს აღიარებს

**ისრაელის პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომისიას ოსმანთა იმპერიაში სომხების გენოციდის საკითხის განხილვა და პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენა დაევალა.** ქნესეთის პლენარულ სხდომაზე საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ზაევ ელკინმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ისრაელს მორალური უფლება არ აქვს, იგნორირებით უპასუხოს ტრაგედიას, რომელიც სომეხმა ერმა 1915 წელს განიცადა.

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95




## მფრინავიღა აკლია

**ჩინეთში ახალი, თავის კლასში ყველაზე დიდი უპილოტო ვერტმფრენი „V750“ შექმნეს.** მისი სიჩქარეა 161 კმ/სთ, ფრენის ხანგრძლივობა — 4 საათი, „V750“-ს 80 კილოგრამამდე ტვირთის გადატანა შეუძლია. მისი მართვა სამეთაურო პუნქტიდან 150 კილომეტრის რადიუსში შეიძლება, თუმცა „V750“-ს ავტონომიური გაფრენის განხორციელებაც შეუძლია.

## მოკლედ

### პირველი უკრაინული კორვეტი



**უკრაინაში პირველი ეროვნული კორვეტის (პროექტი 58250) აგება დაიწყო. ის მზად, სავარაუდოდ, 2016 წელს იქნება.** ხომალდის წყალწვა 2500 ტონაა, სიგრძე — 112 მ.; სიგანე — 10,1 მ.; სიჩქარე — 32 კვანძი. მოქმედების რადიუსი — 7500 კმ.; ავტონომიურობა — 30 დღე. შეიარაღება: საარტილერიო — 3x1 76 მმ. „Super Rapid-ი, ხომალდსაწინააღმდეგო — 8 „EXOCET MM40 Block3“ (რადიუსი 200 კმ.), საზენიტო-სარაკეტო — 16 „ASTER 15 SAAM“-ი (რადიუსი 30 კმ.), სატორპედო- 6 „MU90 Eurotorp“-ი. საავიაციო ჯგუფი — 1 ვერტმფრენი; ეკიპაჟი — 110 მეზღვაური.

### აზერბაიჯანში «ALCA»-ს ააწყობენ



**ჩეხურმა კომპანიამ „Aero Vodochody“-მ აზერბაიჯანს მსუბუქი მრავალმიზნობრივი მოიერიშე თვითმფრინავების — „L-159 ALCA“-ს ერთობლივი წარმოება შესთავაზა.** „APA“-ს ცნობით, თვითმფრინავებს აზერბაიჯანში ააწყობენ და რეგიონის ქვეყნებში გაყიდიან („L-159“-ს ღირებულება დაახლოებით 15 მილიონი დოლარია). შეთანხმების დეტალები გასულ კვირას, ჩეხეთის პრეზიდენტის ბაქოში ვიზიტის დროს განიხილეს.

### ისრაელში «სპილო» აფრინეს



**ისრაელის არმია შეიარაღებაზე მიიღებს კომპანია „Elbit“-ის მიერ შექმნილ უპილოტო საფრენ აპარატ „Flying elephant“-ს („მფრინავი სპილო“).** მას ქვედანაყოფების მომარაგებისთვის რამდენიმე კილომეტრის რადიუსში ერთ ტონამდე ტვირთისა და შეიარაღების გადატანა შეუძლია. „სპილოს“ სანავიგაციო სისტემა „GPS“ ტექნოლოგიის გამოყენებას ეფუძნება.

### კანადელებს ბომბები გაუთავდათ



**კანადის თავდაცვის სამინისტრო სასწრაფოდ აპირებს, შეიძინოს 1300 ხუთასფუნტიანი ავიაბომბი ლაზერული დამიზნებით „Paveway“.** ეს ლიბიაში საჰაერო კამპანიის დროს ბომბების სწრაფ ხარჯვას უკავშირდება. ოპერაციაში ამჟამად 7 კანადური „F-18“ მონაწილეობს. 31 მარტიდან დღემდე ნატოს ავიაციამ ლიბიაში 7000-მდე გაფრენა განახორციელა, მათ შორის 2700-მდე — საბრძოლო იყო.

# სპეც-სუბმარინები — რუსეთის სტრატეგიული არგუმენტი

**დღეს რუსეთის ყველაზე გასაიდუმლოებულ სუბმარინებზე ვისაუბრებთ. პირველად ჩვენი რუბრიკის ისტორიაში ილუსტრაციებთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეგვექმნება, რადგან ამ წყალქვეშა ნავების ფოტოები, ძველ მოდიფიკაციებს თუ არ ჩავთვლით, უბრალოდ, არ არსებობს.**









ოფიციალურად ამ წყალქვეშა ნავებს „ატომური წყალქვეშა სადგურები“ ეწოდება. სტრუქტურულად ამ სუბმარინებისგან შემდგარი ბრიგადა ჩრდილოეთის ფლოტის შემადგენლობაში შედის, თუმცა ფლოტი მხოლოდ მის მომარაგებაზე ზრუნავს, ხოლო ბრძანებებს ამ ბრიგადის მეზღვაურები საზღვაო ძალების ინსტანციების გვერდის ავლით, უშუალოდ მოსკოვიდან, (დაუზუსტებელი ინფორმაციით) გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილებიდან იღებენ, რომლის მუშაობის შესახებ ინფორმაციას არა მხოლოდ მედია, არამედ რუსი ადმირალების ნაწილიც არ ფლობს. ეს ერთგვარი „პარალელური“ წყალქვეშა ძალებია.

**2003 წლის 13 აგვისტოს მწყობრში ჩადგა ახალი (პროექტი 210) სპეციალური დანიშნულების სუბმარინა. საზეიმო ღონისძიებაზე არა მხოლოდ პრესა, არამედ გემთმშენებელი საწარმოს ხელმძღვანელების ის ნაწილიც არ მიიწვიეს, რომელსაც ამ პროექტთან შეხება არ ჰქონდა. ამ პროქტის ატომური სუბმარინები უაღრესად მშვიდობიან სახელს ატარებენ — „Лошарик“-ი** (საბჭოთა მულტფილმის პერსონაჟი, რომლის სხეული პატარა ბურთებისგან შედგებოდა), **თუმცა მათი შესაძლებლობები ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება.**

„Лошарик“-ი ორკორპუსიანი სუბმარინაა, მისი შიდა კორპუსი სფერული ფორმის ნაკვეთურებისგან შედგება (სახელწოდება სწორედ აქედან მოდის), რომელიც მსუბუქი გარე კორპუსის შიგნით მდებარეობს. ბატისკაფის პრინციპის ამგვარი რეალიზება „Лошарик“-ს, არც მეტი, არც ნაკლები, 6 ათასი (!) მეტრის სიღრმეზე დაშვეების შესაძლებლობას აძლევს. ცხადია, ვერც ერთი თანამედროვე წყალქვეშა ნავი ამ მაჩვენებელთან ახლოს ვერ მივა. სუბმარინის სიჩქარე წყალქვეშ 30 კვანძს აღწევს, მისი ეკიპაჟი კი, დაუზუსტებელი ინფორმაციით, 25 მეზღვაურს შეადგენს (ყველა ოფიცერია). გადმოცემით, **„ატომური წყალქვეშა სადგურების ბრიგადის“ რიგებში დაახლოებით იმდენივე საბჭოთა კავშირისა და რუსეთის გმირია, რამდენიც კოსმონავტების რაზმში, უბრალოდ, მათი ვინაობა მკაცრად გასაიდუმლოებულია.**

**ამერიკელი ექსპერტები ერთხმად (რაც იშვიათობაა) აღიარებენ, რომ არაფერი მსგავსი აშშ-ის საზღვაო ძალებს არ აქვთ და ახლო პერსპექტივაში არ ექნებათ. ამასთანავე, ისინი ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მსგავსი მახასიათებლების მქონე სუბმარინის აღმოჩენა ოკეანეში და საჭიროების შემთხვევაში განადგურება ამერიკული ფლოტის შესაძლებლობებს აღემატება.**

რა შეუძლია „Лошарик“-ს? პოტენციურად ძალიან ბევრი რამ: მაგალითად, შეუქმნას უსერიოზულესი პრობლემები ნატოს აკუსტიკური აღმოჩენის სისტემას „SOSUS“ ისლანდია-ფარერების ბარიერზე და ატლანტიკაში რუსული სტრატეგიული წყალქვეშა ძალების გარღვევა უზრუნველყოს. მას შეუძლია მიაღწიოს კავშირგაბმულობის ნებისმიერ წყალქვეშა კაბელამდე და უქნას ის, რაც მოეხასიათება — ან გადაჭრას, ან უბრალოდ მიუერთდეს (აპარატურა ამისთვის აქვს). შეუძლია ფსკერიდან ამოიღოს ნატოს ჩაძირული თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების აპარატურა, რაც, დაუზუსტებელი ინფორმაციით, უკვე არაერთგზის მომხდარა. აგრეთვე, მას შეუძლია შეუმჩნევლად მიაღწიოს აშშ-ის ნაპირებამდე ან ნებისმიერ სხვა წერტილამდე, წყლის ზედაპირისკენ ანტენა აწიოს და დაახლოებით 300 კილომეტრის რადიუსში ჰიდროაკუსტიკური დაზვერვა აწარმოოს. ბოლოს და ბოლოს, მას შეუძლია იმავე ნაპირებამდე მძლავრი ბირთვული მოწყობილობა მიიტანოს და, ტექტონური თვალსაზრისით, პრობლემურ ადგილას ჩადოს.

**„Лошарик“-ს შეუძლია ფსკერზე რამდენიმე თვის განმავლობაში „იწვეს“. საჭიროების შემთხვევაში პატრულირების დრო შეიძლება გახანგრძლივდეს, რადგან მისი და სხვა სპეც-სუბმარინების** (პროექტი 1910 „Кашалот“, პროექტი 1851 „Палтус“ და სხვ.) **მომარაგებისთვის საგანგებოდ ამ მიზნისთვის განკუთვნილი ატომური წყალქვეშა ნავი „Оренбург“-ი არსებობს, რომელიც სტრატეგიული რაკეტმზიდიდან გადააკეთეს.**

## «მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი სამი ადამიანია — აშშ-ის პრეზიდენტი, რუსეთის პრეზიდენტი და ატომური წყალქვეშა ნავის კაპიტანი»

როგორც ვხედავთ, „Лошарик“-ისა და სხვა სპეციალური დანიშნულების სუბმარინების მომარაგებისთვის მოსკოვს სტრატეგიული წყალქვეშა ნავიც არ „დაენანა“. „Оренбург“-ი, ისევე როგორც „Ленок“-ი (პროექტი 940), რომელიც იმავე მისიას ადრე ასრულებდა, აღჭურვილია სპეციალური აპარატით „Бестер“-ი, რომელიც მომარაგების დროს მასა და ფსკერზე მყოფ სპეცსუბმარინას შორის ერთგვარი „წყალქვეშა ლიფტის“ როლს ასრულებს. მხოლოდ მას შეუძლია იმ სიღრმეზე ჩააღწიოს, სადაც „Лошарик“-ი იმყოფება, თუ, რა თქმა უნდა, სათვალავში არ ჩავაგდებთ **მინი-სუბმარინას „Русь“, რომელიც კიდევ ერთი სპეციალური დანიშნულების წყალქვეშა ნავის — „AC-12“-ის ბორტზე იმოფება და რომელსაც, დაუზუსტებელი ინფორმაციით, უფრო დიდ სიღრმეზე შეუძლია მოქმედება, ვიდრე „Лошарик“-ს.**



ამერიკული ავიამზიდი „George H. W. Bush (CVN-77)“, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ხომალდია. მისი წყალწვა 97 ათასი ტონაა, სიგრძე კი — 333 მეტრი. მაგრამ ამ უძლიერესი ხომალდის კაპიტანი ვერასოდეს დაიძინებს მშვიდად, თუ ეცოდინება, რომ მისი ხომალდის სიახლოვეს სპეციალური დანიშნულების რუსული სუბმარინები მოქმედებს, თუნდაც იგივე „Лошарик“-ი, რომლის სიგრძე სულ რაღაც 60 მეტრია. მაგრამ კაპიტანი ამას ვერასოდეს გაიგებს, რადგან ამ სუბმარინების აღმოჩენა არ შეუძლია და, უბრალოდ, იგულისხმება, რომ სიღრმიდან მის ბრწყინვალე ხომალდს ვიღაც უხილავი ძალიან დიდი ყურადღებით აკვირდება.

**სპეციალური დანიშნულების სუბმარინები რუსეთის სტრატეგიული ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ისინი განსაკუთრებულად აქტუალურს ხდიან ფრაზას, რომელმაც ამერიკულ ფილმ „Crimson Tide“-ში** გაიჟღერა: **„მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი სამი ადამიანია — აშშ-ის პრეზიდენტი, რუსეთის პრეზიდენტი და ატომური წყალქვეშა ნავის კაპიტანი“.**



## სლოვენიას თაგვები უტევენ

**თაგვებმა მწყობრიდან გამოიყვანეს სლოვენიის საჰაერო ძალების სამი სასწავლო თვითმფრინავი „Pilatus PC-9".** სლოვენიის თავდაცვის უწყების ოფიციალური განცხადების თანახმად, თაგვებმა თვითმფრინავების ელექტროგაყვანილობა გაანადგურეს. სულ სლოვენიას 12 „Pilatus PC-9" ჰყავს.



არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# როგორი იყო პირველი სატანკო ბრძოლა

**მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ პირველი ბრძოლა ტანკებს შორის გასული საუკუნის 30-იან წლებში ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს გაიმართა, საკმაოდ გავრცელებულია. არადა, პირველად ბრძოლის ველზე ტანკები ერთმანეთს ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, 1918 წლის 24 აპრილს სოფელ ვილერ-ბრეტონთან შეხვდა.**





გერმანული არმია მაშინ ქალაქ ამიენის მისადგომებს მიუახლოვდა, რომლის დაკავება მას მნიშვნელოვან სტრატეგიულ წარმატებას მოუტანდა. ქალაქზე საარტილერიო იერიშების მიტანისთვის საჭირო იყო ორი სოფლის — კაშისა და ვილერ-ბრეტონის დაკავება. აცნობიერებდა რა ამ პოზიციის მნიშვნელობას, ორივე მხარემ ფრონტის ამ მონაკვეთზე თავი მოუყარა დიდ ძალებს, მათ შორის ტანკებს.

**24 აპრილს, დილის ოთხ საათზე, გერმანულმა არტილერიამ მასირებული ცეცხლი გახსნა, ხოლო 6:45-ზე ფრონტის ვიწრო მონაკვეთის გარღვევაზე სამი დივიზია წავიდა. თითოეულ მათგანს სატანკო ჯგუფი მიამაგრეს; ერთი — 3, მეორე — 4, მესამე კი 6 „A7V" ტიპის ტანკისგან შედგებოდა.** დილის 7 საათზე გერმანული ტანკები ადგილიდან დაიძრნენ, ერთ-ერთი მათგანი მალევე გაფუჭდა და იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო. ორი ჯგუფი სოფელ ვილერ-ბრეტონისკენ გაემართა, მათ საბრძოლო ამოცანა შესანიშნავად შეასრულეს. ბრძოლაში მხოლოდ ერთი ტანკი „M" (№501) დაიკარგა (მაშინ თითოეულ გერმანულ ტანკს სახელი ჰქონდა — „Gretchen", „Hagen, „Herkules" და ა.შ.). „M" ბრძოლაში არ განადგურებულა, მან, უბრალოდ, მოძრაობის გაგრძელება ვერ შეძლო და მიატოვეს. დღეს ეს ტანკი ავსტრალიაში, ქუინსლენდის მუზეუმში ინახება.



> **პირველად ბრძოლის ველზე ტანკები პირველი მსოფლიო ომის დროს, 1918 წლის 24 აპრილს გამოჩნდა ვილერ ბრეტონთან**

მესამე, ოთხი ტანკისგან შემდგარი ჯგუფი (№525 „Siegfried, №542 „Elfriede, №561 „Nixe და №504 „Schnuck) კი სოფელ კაშისკენ გაემართა, მაგრამ ძლიერი ნისლის გამო მარშრუტს ასცდა და მოწინააღმდეგის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. „Elfriede" ხევში გადავარდა. ეკიპაჟმა ტანკი დატოვა. ტანკისტები ბრიტანელ ქვეითებთან ბრძოლაში ჩაებნენ და მალე მეთაურიც დაკარგეს. რამდენიმე კვირის შემდეგ მათი მიტოვებული ტანკი მოკავშირეთა ხელთ ჩავარდა.

დარჩენილმა ტანკებმა გზა განაგრძეს და 9:30-ზე სამ ბრიტანულ „Mk IV"-ს შეეჩეხნენ. ორი მათგანი ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ მოდიფიკაციას მიეკუთვნებოდა და მხოლოდ ერთს (მეთაური — ლეიტენანტი ფრენკ მიტჩელი) ორი 57 მმ. ქვემეხი ჰქონდა. გერმანული ტანკებიდან კი თითოეული 57 მმ. ქვემეხით (და ტყვიამფრქვევებით) იყო აღჭურვილი. ინგლისელებმა გერმანელები პირველებმა შეამჩნიეს. ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულმა „Mk IV"-ებმა უკანდახევა დაიწყეს. მათდა საბედნიეროდ, გერმანულმა ტანკებმა (№525 „Siegfried და №504 „Schnuck) ცუდი პოზიციები დაიკავეს და, ფაქტობრივად, ბრძოლას გამოეთიშნენ. №561 „Nixe"-მ (მეთაური — ლეიტენანტი ბილცი) შეამჩნია ორი ინგლისური ტანკი, რომელიც უკან იხევდა, შეჩერდა და ცეცხლი გაუხსნა. ორივეს რამდენიმეჯერ მოარტყა და სერიოზულად დააზიანა. მაგრამ ეკიპაჟი მთავარ მოწინააღმდეგეს, მიტჩელის „Mk IV"-ს ვერ ხედავდა.

უზარმაზარი დაჯავშნული მონსტრები ნისლში სულ რაღაც 10-12 კმ/სთ სიჩქარით მანევრირებდნენ. მიტჩელს ბრძოლის დასაწყისში ტანკი ზიგზაგით მიჰყავდა, მაგრამ ამის გამო მისი არტილერისტები (მაშინ ეკიპაჟის ამ წევრებს ,,არტილერისტებს" და არა ,,ტანკისტებს" უწოდებდნენ) ნორმალურ დამიზნებას ვერ ახერხებდნენ. ბოლოს მიტჩელი მიხვდა, რომ მოწინააღმდეგე მის ტანკს ვერ ხედავდა და შეჩერდა. ამის შემდეგ მისმა არტილერისტებმა „Nixe"-ს ზედიზედ სამი ჭურვი მოარტყეს. გერმანულ ტანკში დაიღუპა არტილერისტი და სასიკვდილოდ დაიჭრა ეკიპაჟის კიდევ 2 წევრი (ეკიპაჟი, არც მეტი არც ნაკლები, 18 ადამიანისგან შედგებოდა). დაზიანდა ტანკის ჯავშანი და რადიატორი, ლეიტენანტმა ბილცმა ტანკის დატოვების ბრძანება გასცა. რამდენიმე საათის შემდეგ გერმანელებმა მიტოვებული ტანკის ევაკუირება მოახერხეს. გამარჯვებულმა ინგლისურმა ტანკმა კი ბრძოლის ველი ისე დატოვა, რომ კიდევ ორი გერმანული ტანკი ვერ შეამჩნია (ვერც მათ შეამჩნიეს).

**ლეიტენანტი მიტჩელი აზარტში შევიდა და ამჯერად სოფელ ვილერ-ბრეტონისკენ გაემართა, მიუხედავად იმისა, რომ დისლოკაციის ადგილას უნდა დაბრუნებულიყო. ვილერ-ბრეტონი ამ დროისთვის გერმანელებს უკვე დაკავებული ჰქონდა. მიტჩელმა შეამჩნია პირველი ორი გერმანული ჯგუფის ტანკები, რომლებიც სოფლიდან გამოდიოდა და 1000-მდე მეტრის მანძილიდან ცეცხლი გაუხსნა. გერმანელებმა ის ან ვერ შეამჩნიეს, ან ბრძოლაში ჩაბმა საჭიროდ არ ჩათვალეს და გზა განაგრძეს. ამ დროს მიტჩელის ტანკს მუხლუხო გაუფუჭდა და ის ბრძოლას გამოეთიშა.**

დარჩენილი ორი გერმანული ტანკი პოზიციას არ იცვლიდა და ელოდებოდა ქვეითებს, რათა შეტევა სოფელ კაშიზე მათთან ერთად განეხორციელებინა. მათ სიახლოვეს სასტიკი ბრძოლა მიდიოდა, მოწინააღმდეგეები ბრძოლის ველზე სულ უფრო მეტ რეზერვს აგზავნიდნენ. დაახლოებით 11 საათზე სოფელ კაშის მიდამოებში ერთბაშად შვიდი ინგლისური ტანკი „Mark A" გამოჩნდა. მათმა შეტევამ გერმანელ ქვეითებში პანიკა გამოიწვია. მაგრამ ძლიერი ნისლის გამო ინგლისელმა ტანკისტებმა ვერ შეამჩნიეს 300 მეტრში მდგომი №525 „Siegfried"-ი (მეთაური ფრიდრიხ ბიტერი), გერმანელებმა კი ისინი შეამჩნიეს. **პირველივე გასროლა წარმატებული გამოდგა, ერთ-ერთი ბრიტანული ტანკი აფეთქდა. ამ დროს გერმანული არტილერია ამოქმედდა. განადგურდა კიდევ სამი ბრიტანული ტანკი, ძნელი სათქმელია, რამდენი მათგანი გაანადგურა ბიტერის ეკიპაჟმა, ხოლო რამდენი — არტილერისტებმა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ გადარჩენილმა ბრიტანელებმა ბრძოლის ველი ისე დატოვეს, რომ ბიტერის ტანკი ვერ აღმოაჩინეს.**

ამდენი სროლის შედეგად, „Siegfried"-ის ქვემეხი მწყობრიდან გამოვიდა და ის დისლოკაციის ადგილისკენ გაემართა. 12 საათისთვის კი ძირითადი ბრძოლა ფრონტის ამ მონაკვეთზე დასრულდა. გერმანელებმა დაიკავეს ვილერ-ბრეტონი, კაშის აღება კი ვერ მოახერხეს.





## გაფრაზებული

**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**



რუსეთის ფედერაცია გააგრძელებს დაჩქარებულად თავისი ბირთვული პოტენციალის განვითარებას, იმ შემთხვევაში, თუკი ვერ მოახერხებს დასავლეთთან მოლაპარაკებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხში. იმედი მაქვს, რომ იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენ ჩემი მეგობარი პრეზიდენტის ბარაკ ობამას წინაშე დავაყენეთ, გვიპასუხებენ და შევძლებთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის საკითხში თანამშრომლობის მოდელის შემუშავებას.

*vedomosti.ru*

**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**



მშვენივრად მახსოვს თეოდორ რუზველტის ფოტო, რომელზეც იგი აღბეჭდილია არა მხოლოდ იარაღით ან ანკესით ხელში, არამედ მის მიერ მოკლულ ლომთან ერთად. აშშ-ის პრეზიდენტი ობამაც გასულ ზაფხულს ათობით ფოტო და ვიდეო კამერის წინ მექსიკის ყურეში, რბილად რომ ვთქვათ, „ჰალსტუხის გარეშე" ცურავდა. თქვენ ამაში არაპოლიტკორექტული ქცევის ნიშნებს ხედავთ? მე — ვერა და ჩემი ეროვნება აქ არაფერ შუაშია.

*newsru.com*

**ბერკან იაშარი,**
**ცსს-ს ექსაგენტი:**



1992 წლის სექტემბერში ჩეჩნეთში გახლდით, სწორედ მაშინ შევხვდი პირველად ადამიანს, რომელსაც ბენ ლადენი ერქვა. შეხვედრა გროზნოში, იმ ორსართულიან სახლში შედგა, რომლის მეორე სართულზეც იმხანად თავისი ქვეყნიდან გამოძევებული საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ოჯახი ცხოვრობდა. ჩვენი შეხვედრა პირველ სართულზე შედგა, უსამა იქვე ცხოვრობდა.

*newsru.com*

**იერჟი ბუზეკი,**
**ევროპარლამენტის თავმჯდომარე:**



საქართველოში აუცილებელია რეფორმები ისეთ სფეროებში, როგორიცაა სასამართლო სისტემა, კანონის უზენაესობა, მედიაპლურალიზმი და თანამშრომლობა ოპოზიციასთან. ევროპარლამენტს არ სურს საქართველოს რაიმე მოახვიოს თავს, არამედ სურს, ეს ინიციატივები თავად საქართველოს მოქალაქეებიდან და ხელისუფლებიდან მომდინარეობდეს.

*ipn.ge*

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

1997 წლიდან ხუთი წელი ქოზიფის მამათა მონასტრის წინამძღვარი ვიყავი და მახსოვს თითოეული დღე, წუთი და წამი დაარსების დღიდან იქ გატარებული. უდიდესი შრომა გაწია ყველამ — ერმა და ბერმა. უფლის წყალობით, მეუფე იობის კურთხევითა და მორწმუნე მრევლის დახმარებით, დღეს ქოზიფაში შვიდი მოქმედი ეკლესია გვაქვს, თუმცა ამათგან ყველაზე პირველად შიო მღვიმელის სახელობის ეკლესია ამოქმედდა. ქოზიფის შემდეგ ხეობაში კიდევ ბევრი მონასტერი აღდგა. ამიტომაც ვამბობთ, რომ ქოზიფა დედა მონასტერია, მისი მადლი უწყვეტ ნაკადად გადმოდინდა და მთელს ძამის ხეობას მოეფინა; მდინარე ძამას მთელი ხეობა მადლით აივსო!

# არქიმანდრიტი შიო ხარძეიშვილი: არც კი მინდა, წარმოვიდგინო ის სასტიკი სასჯელი, რაც აღსარების გამცემ მოძღვარს მოელის!

**არქიმანდრიტი შიო ხარძეიშვილი... ნიკოლოზობას და შიო მღვიმელის ხსენების დღეს ყინწვისში მყოფს განსაკუთრებულად გვტკივა ეს გამორჩეული მოძღვარი. მასთან ეს საუბარი 2006 წლის ივლისში ჩავწერე, 2006 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა. მაშინ იგი ყინწვისის მამათა მონასტრის წინამძღვარი იყო, სადაც განისვენებს. გუშინდელ დღესავით მახსოვს, როგორ მომიახლოვდა ერთი გოგონა, მამა შიოს სულიერი შვილი, თვალებში უდიდესი სიყვარული ჩაბუდებოდა, მოკრძალება, სითბო. ისიც ჩემსავით გარინდებული შეჰყურებდა ყინწვისის ანგელოზს. შემდეგ ხმადაბლა, მოწიწებით წარმოთქვა: „მამა შიო თითქოს გამჭვირვალეა, ჩავიხედავ და მის მიღმა მთელ სამყაროს ვხედავ, მაგრამ არა ისეთს, როგორიც ჩვენ ირგვლივაა, არამედ სინათლით, სიწმინდით, სითბოთი, მადლით, სიყვარულით სავსეს... ეს სამყარო საკუთარი სულივით ტკბილია და უზომოდ მიყვარსო...“. გავიხედე და ტაძრის შესასვლელიდან მამა შიოს მოვკარი თვალი. მას ყინწვისის ანგელოზისფერი, ლაჟვარდისფერი, უძირო თვალები ზევით, უსასრულობისკენ მიეპყრო, იმ თვალუწვდენელი უსასრულობისკენ, სადაც მარადიული ჭეშმარიტება და სიყვარულია.**

**შორენა სიხარულიძე**



**— ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ და ძალიან ხშირად ბავშვობაში გადადგმული ნაბიჯები განსაზღვრავს ჩვენს მომავალს. მამა შიო, პირველად როგორ მიხვედით ტაძრამდე?**

— ჩვენს სოფელში ორი ეკლესია იყო: მთავარანგელოზისა და წმ. გიორგის სახელობისა, თუმცა არც ერთი იყო მოქმედი. მთავარანგელოზთა ეკლესიაში მოუვლელობისგან ალიზი ცვიოდა და მახსოვს, ხან მეგობრებთან, ხანაც მარტო, ბევრჯერ ავსულვარ და დიდი სიყვარულით დამისუფთავებია; მინდოდა, სულ იქ ვყოფილიყავი, რადგან ტაძართან ყოველი მიახლოება რაღაც საოცარ, მაშინ ჩემთვის, ბავშვისთვის, აუხსნელ სიამოვნებას მანიჭებდა... მშობლებს დავყვებოდი ტრადიციულ ლიტანიობებზე, ღამესაც ვათევდი, სანთელსაც ვანთებდი. მაგრამ მაშინ გაცნობიერებული არ მქონდა, ამას რატომ ვაკეთებდი, უბრალოდ, ჩემს ბავშვურ სულს ახარებდა ეს ყველაფერი და თანაც ვიცოდი, რომ ეს ტრადიცია იყო, მამა-პაპათაგან გადმოცემული და ამ ადათებისთვის პატივი უნდა მეცა... ასე გამოვხატავდი მოკრძალებას სარწმუნოების, წინაპართა მიმართ...

**— ადამიანები, ადრე თუ გვიან, ვირჩევთ მომავლის გზას, იმ ბილიკს, რომელზეც უნდა ვიაროთ... მამაო, თქვენ როდის გადაწყვიტეთ ბერობა?**

— ცხოვრებამ ჯერ კიდევ ბავშვობაში ძალიან ბევრი რამ დამანახა... უაზროდ, ფუჭად მივიჩნიე წუთიერი, მიწიერი ცხოვრება და უკვე 14 წლის ასაკში ღმერთისკენ, ღვთისმსახურებისკენ გამიწია გულმა... იმ დროს უკვე ბოლომდე გააზრებული მქონდა, რა მინდოდა და სად მივდიოდი...

**— თითოეული ადამიანის ცხოვრებაში ხდება რაღაც, რაც ამქვეყნიურ ამაოებამდე მიიყვანს. 14 წლის მოზარდისთვის ამის გააზრება ჩვეულებრივი მოვლენა ნამდვილად არ არის. ვიყოთ გულწრფელნი, მამაო, ეს იყო გლობალურ მასშტაბებში აღქმული ამქვეყნიური ამაოება, თუ იყო რაღაც პირადი ტკივილი, რამაც ამ აზრამდე მიგიყვანათ?**

— გულწრფელად გეუბნებით, პირადი ნამდვილად არაფერი ყოფილა. პირიქით, მანამდე სკოლაში იმდენად კარგად ვსწავლობდი, რომ ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ვითვლებოდი. ყოფილი მასწავლებლები დღესაც ვერ მალავენ გაოცებას ჩემი არჩევანის გამო... ეკლესიურ ცხოვრებაში რომ გავერკვიე, ბოლო კლასებში სწავლაზე გული ავიყარე, რაღაცნაირი პროტესტის გრძნობა გამიჩნდა სკოლაში სწავლის მიმართ, მიმაჩნდა, რომ ჩემი გონებისთვის ზედმეტი იყო ის ინფორმაცია, რომელსაც მაწვდიდნენ. აღმოსავლური ორთაბრძოლებით ვიყავი გატაცებული, კარატეთი და 15 წლისას უკვე 30 მოსწავლე მყავდა. კარატეში რამდენიმე ქამრის მფლობელიც ვარ. მწვანე ქამარი მქონდა, ლურჯი ქამარიც მოვიპოვე, თუმცა არ ამიღია, თავი დავანებე... შემდეგ ძალიან გამომადგა ჩემი სპორტული გამოცდილება, გაკაჟებული უფრო მეტად ვიტანდი იმ რთულ პირობებს, რომელიც ბერულ ცხოვრებაში მრავლად მქონდა.

**ყველაზე მეტად რამაც იმოქმედა ჩემზე და რასთან შეგუებაც არ მინდოდა, ეს იყო წარმავლობა, დროებითობა ამქვეყნიურობისა — დროებითი, მოჩვენებითი და წარმავალი იყო მწუხარებაც, სიხარულიც, სიყვარულიც, მე კი უფრო მეტი მინდოდა, მეტს ვეძებდი... მინდოდა ის, რაც სრულყოფილი, მარადიული იყო... ერში ასეთი არაფერია... და მეც აქეთ, უფლისკენ, მარადიული ჭეშმარიტებისკენ წამოვედი...**

**— ესე იგი, ბუნებით მაქსიმალისტი ხართ და მაქსიმალური სრულყოფილებისკენ მიილტვოდით...**

## ქართველმა ქალმა, რომელიც მონასტერში მოდის, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს უნდა სცეს პატივი და ნახევრადშიშველი არ უნდა მივიდეს იქ, სადაც ბერები არიან...

— დიახ, ამას მეც ვგრძნობ... არ მიყვარს შუაში დგომა, უკიდურესობა მჭირს — ან აქეთ უნდა ვიდგე, ან იქით... ამიტომაც გამომიწია ტაძრისკენ გულმა — მინდოდა სრულყოფილი სიხარული, სიყვარული, სიწმინდე, მადლი, ღმერთთან სიახლოვე. ეს იყო მთავარი მიზეზი ჩემი ამ გზაზე დადგომისა.

**— 14 წლისას უკვე განსაზღვრული გქონდათ თქვენი მომავალი... როგორ გადადგით პირველი ნაბიჯები, როგორც სასულიერო პირმა?**

— გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მეუფე იობი მანგლელი ეპისკოპოსი გახლდათ და ჩემი ძმა მისი მორჩილი იყო. შემდეგ მეუფე ბათუმ-შემოქმედელ ეპისკოპოსად აკურთხეს და ჩემი ძმაც სხვა მორჩილებთან ერთად მასთან გაჰყვა. ერთხელ მეუფე რამდენიმე ბერთან ერთად ოჯახში სტუმრად გვეწვია. 15 წლის ვიყავი და ბერები ასე ახლოს პირველად მაშინ ვნახე. მეუფის საუბარმა და საერთოდ მისმა პიროვნებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე, აღფრთოვანებული ვუსმენდი... მოგვიანებით თვითონ მეუფე იხსენებდა, იმხელა წყურვილი გქონდა ბერობის, რომ გაოცებული ისრუტავდი ჩვენს საუბარსო. შემდეგ ბათუმის სასულიერო სემინარიაში გავნაგრძე სწავლა, სადაც მეუფე იობი ძველ აღთქმას გვიკითხავდა. მისი ლექციები ყველას განსაკუთრებით გვიყვარდა... მასთან რეზიდენციაში ვცხოვრობდი, მისი სტიქაროსანი ვიყავი, მის გვერდით გავიზარდე და, თუ რამე ვიცი, ბერად ჩამოვყალიბდი, ეს მისი დამსახურებაა. მეუფე უდიდესი ადამიანია... ბათუმის წლებს ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი ვიხსენებ.

ბერად 19 წლისა აღვიკვეცე ბათუმის სამების ტაძარში ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს — 4 დეკემბერს. შემდეგ ბათუმის საკათედრო ტაძარში ვმსახურობდი დიაკვნად. 1996 წელს მეუფე იობი ურბნისისა და რუისის ეპარქიას ჩაუდგა სათავეში. მღვდლად ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში მაკურთხეს, დიდ მარხვაში, 30 მარტს... 20 წლისა უკვე მოძღვარი ვიყავი.

**— როგორ შეეგუა თქვენი ოჯახი თქვენს არჩევანს?**

— ოჯახში ძალიან დიდი წინააღმდეგობა შემხვდა, ყოველ დღე კამათი გვქონდა სარწმუნოებასთან დაკავშირებით. საოცარი ის იყო, რომ მას შემდეგ, რაც მე და ჩემმა ძმამ ეკლესიური ცხოვრება დავიწყეთ, ჩვენი დაც მონასტერში გაიპარა. ეს ყველაფერი ერთდროულად მოხდა. ამან მშობლებს წონასწორობა დააკარგვინა. თანაც ჩემი სოფლიდან მე პირველი ადამიანი ვიყავი, ვინც ბერად შედგა. ჩემი ცხონებული პაპა ამბობდა — რაღა თქვენ გამოხვედით ყველაზე ჭკვიანებიო. შეურაცხყოფას მაყენებდა, წიგნების დაწვითაც მემუქრებოდა, მაგრამ ვერც ამან შემაცვლევინა გადაწყვეტილება. სკოლაში სწავლას თავი დავანებე, **ვერანაირმა მუქარამ ვერ შეძლო ჩემი შეჩერება ან რა შეგაჩერებს, როცა უფალი გეძახის?!** ბერად ისე აღვიკვეცე, მშობლებმა არაფერი იცოდნენ... დედისგან კურთხევა არ ამიღია, რადგან ვიცოდი, არ მომცემდა. სახლში რომ ჩავედი, უკვე დიაკვანი ვიყავი, დედამ რომ დამინახა, იტირა, მისთვის ბერად შედგომა დიდი ტრაგედია — სიკვდილის ტოლფასი იყო...

შემდეგ თანდათანობით ყველაფერი შეიცვალა — ჩემმა ძმამ და დამაც ოჯახი შექმნეს. დღეს დედა ბედნიერია, მიხვდა, რამხელა მადლი და წყალობაა, ოჯახში ბერი რომ გყავს, რაოდენ დიდი ძალა აქვს ბერის ლოცვას. როცა მშობლებს ეუბნებიან, ბედნიერები ხართ, შვილი ბერი რომ გყავთო, ძალიან უხარიათ. დედამაც გააცნობიერა, რომ ბერობა სიკვდილს არ ნიშნავს....

**— მამაო, განა ბერობა მართლა სიკვდილს არ ნიშნავს?.. მოკვდინებას ამ ქვეყნისთვის?**

**— დიახ, ბერში ძველი კაცი კვდება, მაგრამ ახალი ხომ იბადება უფლისთვის...** ჩემი მშობლებიც შეეგუენ ჩემს ახლადდაბადებას და დღეს თვითონაც ეკლესიურად ცხოვრობენ.

**— სასულიერო პირი მუდმივად ბრძოლაშია, ბოროტი ათას საცდურს დებს მის წინ. ხშირად მსმენია, 21-ე საუკუნეში იყო ბერი ან მონაზონი — ეს იმას ნიშნავს, გაღვივებულ კოცონზე იდგეო. დიდია ალბათობა იმისა, რომ ცდუნებას ვერ გაუძლო და ამ მოგიზგიზე კოცონის ალმა დაგწვას. მამაო, თქვენ ძალიან პატარა ასაკში აღიკვეცეთ ბერად... ამ წლების განმავლობაში ოდესმე თუ გიფიქრიათ, რომ იმაზე დიდი ტვირთი იტვირეთ, ვიდრე შეგეძლოთ?**

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრი განსაცდელი, სულიერი ბრძოლა მქონდა, გულწრფელად გეტყვით, რომ მსგავსი აზრი გულში არასოდეს გამივლია. ღვთის წინაშე ვამბობ, არასოდეს მიფიქრია, რომ არასწორი არჩევანი გავაკეთე. პირიქით, **როგორც უნდა გამიჭირდეს, ყოველთვის ვეუბნები საკუთარ თავს — შენ ბერი ხარ და მეტის დათმენა გმართებს... თავიდან რომ დავიწყო ცხოვრება, ისევ ამ გზას ავირჩევ... მიუხედავად სიმძიმისა, ტკივილისა, იმ სიმწარისა, რასაც ბერი შინაგანად განიცდის და ხალხი ვერ ხედავს, ბერობა მაინც ტკბილია.** სახარება გვამცნობს, ვინც მთელი თავისი არსებით შეუდგება უფალს, მას თავს მიუძღვნის, მისი ტვირთი მსუბუქი იქნება, უღელი კი — ტკბილიო... **„უღელი ჩემი ტკბილ არს, ტვირთი ჩემი მსუბუქ არს“. დიახ, ტკბილია ტვირთი ბერობისა, სულივით ტკბილი...**

**— ხშირად ჩვენი სულიერი ტკივილის თუ სიხარულის გამო რომელიმე წმინდანს გამორჩეულად შევიყვარებთ და მეოხებას ვთხოვთ. თქვენ თუ გყავდათ გამორჩეული რომელიმე წმინდანი?**

— 14 წლის ვიყავი, როცა ჩემმა მეგობარმა „წმინდანთა ცხოვრება“ მაჩუქა. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ასურელ მამათა ცხოვრებამ. პირველად მაშინ გავიგე, რა არის ბერობა. განსაკუთრებით ჩამრჩა სულში შიო მღვიმელი. მოგვიანებით, როცა ბერად კურთხევისას მისი სახელი მიწოდეს, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, უფალს მადლობას ვწირავდი, ჩემი შიო მღვიმელისადმი დიდი მოკრძალება და სიყვარული ასე რომ დააფასა. შემთხვევით ამქვეყნად ხომ არაფერი ხდება... ეროვაში შალვა მერქვა. ძალიან მიყვარს შალვა ახალციხელიც. უდიდესია მისი, როგორც ერისკაცის, ასევე მოწამის ღვაწლიც. **დიდი სურვილი მაქვს, რომ ქრისტესთვის მოწამებრივად აღვესრულო.**

ღირს მამათა ღვაწლი, ვფიქრობ, განსაკუთრებულია, ისინი ხომ სარწმუნოებისათვის ყოველ დღე ეწამებოდნენ, როგორც შიო მღვიმელი... თუმცა ყველა ქართველისთვის გამორჩეულად საყვარელი და ახლობელია წმ. გიორგი. ალბათ, გაგიჭირდებათ ისეთი ქართველის პოვნა, ამ წმინდანისადმი განსაკუთრებულ სიახლოვეს, კრძალვას რომ არ გრძნობდეს. მისი სიყვარული სისხლში გვაქვს ქართველებს.

**— თქვენ ჩვენი ეპარქიის ბევრ ტაძარში გიმსახურიათ — ხაშურის საკათედრო ტაძარში, სურამის იობ მრავალვნებულის, კვირაცხოვლის, ურბნისის, რუისის, ტბეთის მონასტრებში... თქვენ ახლადდაარსებული ქოზიფის მამათა მონასტრის პირველი წინამძღვარი ბრძანდებოდით. ჩემთვის ცნობილია, რომ ქოზიფის სამონასტრო კომპლექსის აღმოჩენა თქვენ გიკავშირდებათ... მამა შიო, გვიამბეთ, როგორ მიაკვლიეთ ქოზიფის ნანგრევებს.**

— ისტორიულ წყაროებში იგი გუგომის კომპლექსად იხსენიება. ვახუშტი ბატონიშვილს აქვს აღწერილი ძამის ხეობის მონასტრები, ქოზიფასთან დაკავშირებით ამბობს, რომ ეს არის დიდებული სამონასტრო კომპლექსი შესანიშნავი ფრესკებით. ნახსენები იყო ასევე აბუხალოს მონასტერიც, ისიც ძამის ხეობაშია, და ერთი მხრიდან გორის რაიონს, სოფელ ლევიტანს ესაზღვრება. ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, რომ აბუხალოში არის ნახევრადდანგრეული ეკლესია, სატრაპეზო და სენაკები. ვიფიქრეთ, რომ ცოტას ხელს შევავლებდით და ბერები შევძლებდით იქ ცხოვრებას. მონასტრის უნახავად მეუფემ აბუხალოს მამათა მონასტრის წინამძღვრად მაკურთხა. როცა ამ მონასტრის სანახავად წავედით, თან მქონდა შიო მღვიმელის პატარა ხატი, რომელიც გულის ჯიბეში მედო და სულ თან დავატარებდი. ძალიან ცუდი გზა იყო და ერთ ადგილას იძულებული გავხდით, მანქანიდან გადმოვსულიყავით და ქვები ხელით გადაგვეგორებინა. ამ დროს შიო მღვიმელის ხატი ამომივარდა და სადღაც დავკარგე. ვერსად ვიპოვე, რამაც ძალიან დამაღონა.

აბუხალომდე დიდი წვალებით მივაღწიეთ, ორი საათი ფეხით ვიარეთ და ფრიალო კლდეს მივადექით, სადაც მთლიანად დანგრეული ეკლესია დაგვხვდა... აღარც სატრაპეზოს, აღარც სენაკების კვალი იყო, არც ერთი მხრიდან გზაც არ მიდიოდა, რომ მისი აღდგენა შეძლებულიყო. იქ ადამიანის ცხოვრება შეუძლებელი იყო. გული დაგვწყდა. უკან რომ ვბრუნდებოდით, გზად ჩემი ხატი ვიპოვე — ქვაზე იდო და ჩვენი მანქანა ზუსტად იმ ქვას მიადგა. მეუფის აზრით, ეს ნიშანი იყო იმისა, რომ მაშინ შიო მღვიმელმა არ ისურვა აბუხალოში მონასტრის დაარსება... ამ ამბავმა ქოზიფაზე ფიქრი კიდევ უფრო გაგვიმძაფრა.

▶

**...ადამიანს ცოდვას ეშმაკი ჩააგონებს, როცა იგი მას უმეგობრდება, მისი ახლობელი ხდება. იცით, როცა აღსარებას ვისმენ, ზოგჯერ ისეთ რამეს გავიგებ, მიჭირს გააზრება — ნუთუ შეიძლება ადამიანმა ასეთი რამ ჩაიდინოს-მეთქი, გავიფიქრებ. მამათა ცხოვრებიდან ერთი რამ მინდა გავიხსენო: დიდ მარხვაში ერთ მორჩილს კვერცხი მოუნდა და სანთლის ალზე შეწვა, როცა ჩადენილისთვის პასუხი მოსთხოვეს, ეშმაკს დააბრალა. ამ დროს ეშმაკი გამოჩნდა და თქვა — ასეთ რამეს მე ვერც კი მოვიფიქრებდიო. მოძღვარს უდიდესი მოთმინება და სიყვარული გმართებს, რომ ნებისმიერი ცოდვა, თუნდაც გაუგონარი, მოისმინო და დაითმინო...**

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ზამთარი იდგა. სოფელ ტყემლოვანაში (ახლა ბერთუბანია) ერთმა ოსი ეროვნების კაცმა მიახლოებით მიგვასწავლა ის ადგილი, სადაც ნატაძრალი შეიძლებოდა ყოფილიყო. რადგან სამანქანო გზა არ არსებობდა, მეუფემ გვაკურთხა და ჩვენ, ბერები სხვადასხვა მხარეს ფეხით გავუყევით ბილიკებს იმ იმედით, რომ რომელიმეს გაგვიმართლებდა და ქოზიფის მონასტრის ნანგრევებს მივაგნებდით. უფლის შეწევნით, ზუსტად იმ მიმართულებით წავედი, სადაც ტაძრის ნანგრევები იყო. ვერ აგიწერთ იმ სიხარულს, რომელიც მაშინ განვიცადე! ეს ენით აუწერელი განცდა იყო! ტაძრის წინა მხარე შემორჩენილიყო და პატარა ბავშვივით გახარებული ხმამაღლა ვყვიროდი: „მეუფე, ვიპოვე, ტაძარი ვიპოვე!".

ღვთის განგებით და მეუფის კურთხევით, შემდეგ მე ჩამბარდა ეს მონასტერი. ძალიან მძიმე პირობებში, ზამთრის იმ სუსხიან, ყინვიან დღეებში მე — ერთი ბერი და სამი მორჩილი კარვებში ვცხოვრობდით, რადგან ჯერ კელიებიც არ გვქონდა. **1997 წლიდან ხუთი წელი ქოზიფის მამათა მონასტრის წინამძღვარი ვიყავი და მახსოვს თითოეული დღე, წუთი და წამი დაარსების დღიდან იქ გატარებული. უდიდესი შრომა გაწია ყველამ — ერმა და ბერმა. უფლის წყალობით, მეუფე იობის კურთხევითა და მორწმუნე მრევლის დახმარებით, დღეს ქოზიფაში შვიდი მოქმედი ეკლესია გვაქვს, თუმცა ამათგან ყველაზე პირველად შიო მღვიმელის სახელობის ეკლესია ამოქმედდა. ქოზიფის შემდეგ ხეობაში კიდევ ბევრი მონასტერი აღდგა. ამიტომაც ვამბობთ, რომ ქოზიფა დედა მონასტერია, მისი მადლი უწყვეტ ნაკადად გადმოდინდა და მთელს ძამის ხეობას მოეფინა; მდინარე ძამას მთელი ხეობა მადლით აივსო!**

**— ვიცი, რომ ქოზიფაში მამათა საძვალეც არის... როგორ მიაკვლიეთ მას?**

— საძვალე მორჩილებმა შემთხვევით აღმოაჩინეს. ძვლები საწნახელში იყო მოთავსებული და ზემოდან მიწა ეყარა. მიწისგან გავასუფთავეთ და, სხვა მონასტრებში აღმოჩენილ ნაწილებთან ერთად, შიო მღვიმელის პატარა ტაძარში მოვათავსეთ. მახსოვს 1997 წელს, 19 აგვისტოს, უწმინდესმა რუისის ფერისცვალების სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვა აღავლინა. მეუფის თხოვნით, იგი ქოზიფის მამათა მონასტერს ეწვია. შიო მღვიმელის ეკლესიაში რომ შებრძანდა და საძვალე იხილა, ცრემლი მოერია — იმხელა მადლი სუფევდა იქ... მოგვიანებით წმ. ლაზარეს სახელობის ტაძარში საძვალე მოვაწყვეთ და მამათა ძვლები იქ გადავაბრძანეთ...

ერთი შემთხვევა განსაკუთრებით დამამახსოვრდა... ერთხელ სარკოფაგი აღმოვაჩინე, რომელშიც გულხელდაკრეფილი ბერი განისვენებდა. ჩონჩხს ყველა ნაწილი ჰქონდა, მხოლოდ თავის ქალა აკლდა... ეს ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ხეობის მონასტრები არაერთხელ დაურბევია მტერს; ბერებს აქაც განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ ისევე, როგორც მთელ საქართველოში...

**— როგორ მიგიღოთ ძამის ხეობის მოსახლეობამ? ცნობილია, რომ საქართველოს ეს კუთხე უმეტესად ეთნიკური ოსებით იყო დასახლებული.**

— მოსახლეობასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვქონდა. როგორც შეეძლოთ, გვეხმარებოდნენ და ჩვენც ვცდილობდით, მათ მხარში ამოვდგომოდით. მახსოვს, მონასტრის მანქანით მათ შეშას ვუზიდავდით, რამდენიმე ზამთარი ასე გაჰქონდათ თავი. დღესაც სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ და მისტირიან იმ დღეებს... ჩვენ რომ ხეობაში ავედით, სოფელ ტყემლოვანაში სულ შვიდი კომლი ცხოვრობდა — ერთი იეღოველი, ერთი ბაპტისტი, ერთი ორმოცდაათიანელი, დანარჩენები კი მონათლულნიც არ იყვნენ. ისინი ჩვენ მოვნათლეთ. რამდენიმე მათგანი უკვე აღესრულა და მათ ლოცვებში ვიხსენიებთ. **სექტანტებთანაც მშვიდობიანი ურთიერთობა გვქონდა, სარწმუნოებაზეც გვიკამათია, მაგრამ ვცდილობდით, მათთვის სითბოთი და სიყვარულით გვეჩვენებინა მართლმადიდებლური სარწმუნოება.** როცა ხეობაში სამონასტრო ცხოვრება აღმავლობის გზას დაადგა და კიდევ ბევრი მონასტერი გაიხსნა, მერე უკვე განკითხვაში ჩავარდნენ, აღარ მოსწონდათ, თუმცა მათთან ურთიერთობა არც მაშინ გაგვირთულებია.

**— მამაო, სულ ორი თვეა, რაც ყინწვისის მამათა მონასტრის წინამძღვარი ბრძანდებით. რას უნდა გრძნობდეს ბერი, რომელიც ამ დიდებულ ტაძარში აღავლენს წირვას?**

— **უფალი ბრძანებს, სადაც არის საუნჯე შენი, იქ არის გული შენიო...** იცით, ნატვრად მქონდა გადაქცეული, ყინწვისის ტაძარში წირვა აღმევლინა და დღეს უზომოდ ბედნიერი და გახარებული ვარ აქ ყოფნით. ყინწვისის მამათა მონასტრის წინამძღვრობა უზომოდ ბევრს მავალდებულებს. როცა ყინწვისის ანგელოზის მადლით განათებულ ტაძარში წირვას აღავლენ და თამარი გიყურებს, სასულიერო პირისთვის განა ამაზე დიდი რა უნდა იყოს? ეს ენითაუწერელი ნეტარებაა! **ყინწვისის ტაძარი ჩემში უდიდეს შინაგან კრძალვას იწვევს და ვცდილობ, უფრო წმინდად ვემსახურო უფალს... თუმცა, მიუხედავად ჩემი უდიდესი სულიერი ბედნიერებისა, აქ გადმოსვლის დღიდან ვუთხარი მეუფეს, რომ, თუ მისი კურთხევა იქნება, მზად ვარ, ნებისმიერ წამს დავტოვო ეს დიდებული ტაძარი და წავიდე იქ, სადაც მაკურთხებს. ადამიანი მიჯაჭვული არაფერზე უნდა იყო... ჩემთვის ყველაზე უმთავრესი კურთხევის შესრულებაა.**

**— ყინწვისში ყოველდღიურად უამრავი მომლოცველი, ქართველი თუ უცხოელი ტურისტი მოდის. დღესაც, წირვაზე ჩემ გვერდით ერთი ამერიკელი სტუმარი იდგა, რომელსაც იმდენად მოკრძალებულად ეცვა, რომ, სანამ არ დამელაპარაკა, ვერ მივხვდი, რომ უცხოელი იყო. ამ ამერიკელი გოგონას შემხედვარეს, გულწრფელად გეტყვით, საშინელი პროტესტის გრძნობა დამეუფლა იმ ქართველი გოგონების მიმართ, რომელნიც თავიანთი ჩაცმულობის გამო, საკმაოდ უხამსად გამოიყურებოდნენ... ამასწინათ ერთ-ერთ გაზეთში საკმაოდ ხმამაღლა გაგაკრიტიკეს იმის გამო, რომ ქალბატონებს მიუთითეთ, რბილად რომ ვთქვათ, ტანთ ჩაეცვათ და ტაძარში მაინც არ მობრძანებულიყვნენ შიშველნი... ალბათ, ძალიან ხშირად გიხდებათ ქალებისთვის იმის შეხსენება, რომ ტაძარში იმყოფებიან...**

— იცით, ხანდახან ტაძარში ისეთი ჩაცმულები მოდიან, რომ გულახდილად გეუბნებით, მათ მაგივრად მე მრცხვენია. ისინი, უბრალოდ, ქალებს არ გვანან, მორწმუნეობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. რაც შეეხება იმ „საგაზეთო ინციდენტს," ჩვენმა ერთ-ერთმა ბერმა ერთ შარვლიან ქალბატონს უბრალოდ მიუთითა, რომ შარვალზე საფარველი მოეხვია, ტაძრის შესასვლელში უამრავი მანდილი დევს სპეციალურად ნახევრადჩაცმული ქალბატონებისთვის. ამან ჩვენი სტუმარი საშინლად გაალიზიანა...

იცით, სულ ვცდილობთ, რომ უხეშად არ მივმართოთ სტუმრებს, მაგრამ **ქართველმა ქალმა, რომელიც მონასტერში მოდის, არ აქვს მნიშვნელობა ეკლესიურია იგი თუ არა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს უნდა სცეს პატივი და ნახევრადშიშველი არ უნდა მივიდეს იქ, სადაც ბერები არიან...**

**ამას წინათ ასეთი შემთხვევაც მქონდა: ერთი ქალბატონი შარვლით შემობრძანდა ტაძარში, მივუთითე, შარვალზე შემოიფარეთ-მეთქი. მან ჩემი ნათქვამი იუკადრისა და საშინლად გაღიზიანებულმა მიპასუხა: „შენ ვინა ხარ? მე შენთან კი არა მთავარანგელოზთან მოვედიო". დამერწმუნეთ, ყინწვისის ანგელოზს ნამდვილად არ გაახარებდა ტაძარში შარვლიანი ქალბატონის ხილვა...**



იცით, როცა ქართველი ქალი თამარის ფრესკას უყურებ, უფლება ნამდვილად არ გაქვს, ულირსად გამოიყურებოდე... თქვენც ხომ ნახეთ, ის ამერიკელი პროტესტანტი გოგონა როგორ მოკრძალებულად იდგა წირვაზე? თურმე, სანამ ტაძარში წამოვიდოდა, რომ შეიტყო, აქ მამათა მონასტერია, მასპინძლისთვის რამდენიმეჯერ უჩვენებია სამოსი, რომლითაც აქ მოსვლას აპირებდა — ისე მინდა შევიმოსო, როგორც წესი და რიგიაო და კოჭებამდე კაბით მობრძანდა მხრებდაბურული. როცა სხვა ერისა და სარწმუნოების წარმომადგენელი ასეთი კრძალვით ეპყრობა ჩვენს ეკლესიას, ადათ-წესებს, მაშინ ქართველი ქალების ასეთი დამოკიდებულება, რბილად რომ ვთქვათ, სირცხვილია.

**— მამა შიო, ერთი შეკითხვა მინდა დაგისვათ, რომელიც დღეს, ვფიქრობ, ძალიან აქტუალურია და უამრავ ადამიანს სურს მასზე პასუხის მიღება. ჩემს ცხოვრებაში ბევრი კარგი ადამიანი შემხვედრია, არამართლმადიდებელი, განსხვავებული მრწამსისა და ეროვნების. თუკი მხოლოდ მართლმადიდებელთ გვაქვს საშუალება ცხონებისა, ნუთუ ისინი ყველანი ჯოჯოხეთში წავლენ მხოლოდ იმიტომ, რომ არამართლმადიდებლები არიან? იცით, მამაო, ზოგიერთი მათგანი იმდენად კარგი ადამიანია, რომ გულწრფელად გეტყვით, არ მინდა იმის დაჯერება, რომ დასაღუპად არიან განწირული...**

— ეს საკითხი ყველაზე სადავოდ არის მიჩნეული; ერშიც და ბერშიც დღეს ყველა ამაზე კამათობს... შევეცდები, გიპასუხოთ, თუმცა ვიცი, რომ ჩემს პასუხზე საზოგადოებას არაერთგვაროვანი რეაქცია ექნება. **თავის ეპისტოლეში პავლე მოციქული ბრძანებს — „ერთ არს ღმერთი, ერთ არს სარწმუნოება, ერთ არს ნათლისღება".** თუ ერთ ღმერთს სხვადასხვა სარწმუნოება მიესადაგება და ყველა სარწმუნოება ერთ ღმერთს ემსახურება, მაშინ მთლიანად სარწმუნოება უაზრობა გამოდის, ამას, უბრალოდ, აბსურდამდე მივყავართ. არის აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგო სარწმუნოებები: ქრისტიანობა გვასწავლის მტრის სიყვარულს, თუ ერთ ლოყაში გაგარტყეს, მეორე მიუშვირეო. ამ დროს ისლამი ქადაგებს — იქამდე სდიე შენს მტერს, სანამ არ მოკლავო. როგორ შეიძლება მუსლიმანი და ქრისტიანი სასუფეველში ერთად მოხვდნენ? ეს ეკუმენისტური აზროვნების შედეგია.

ორი გზა არსებობს მხოლოდ — არის ღვთის გზა და არის ეშმაკის გზა. მესამე გზა არ არსებობს. თუ შენ ქრისტეს ბეჭედი არ გექნება, თუ შესამოსელი არ გეცმევა სამეუფეო, ქორწილში ვინ მიგიშვებს? სახარებიდან ამის ბევრი მაგალითი არსებობს. **თითქოს მკაცრი ნათქვამია — ვინც მართლმადიდებელი არ არის, ის ვერ ცხონდებაო, მაგრამ ასეა: თუ ადამიანს არ ექნება ჭეშმარიტი სარწმუნოება, როგორი კეთილი და სათნოც არ უნდა იყოს, სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს. ადამიანი უფალს მხოლოდ ჭეშმარიტი სარწმუნოებით მიეახლება. ჩვენს ეკლესიას არაერთი წმინდანი ჰყავს, რომელნიც დაბადებიდან სხვა რწმენისანი იყვნენ, თუმცა უფალმა ისინი ისე შეიყვარა, რომ თავის გზაზე დააყენა და ისინი ქრისტესთვის ეწამნენ...**

ჯოჯოხეთისთვის არ გვემეტება ის კარგი, არამართლმადიდებელი ადამიანებიო, ამბობენ. განა ჩვენ, ადამიანებს, შეიძლება ღმერთის მიერ გაჩენილი ადამიანის მიმართ უფრო მეტი სიბრალული გვქონდეს, ვიდრე თავად უფალს აქვს? ჩვენ გვინდა ადამიანი გადარჩეს და უფალს არ უნდა? უფალს იმხელა სიყვარული აქვს თავისი თითოეული შვილის მიმართ, დედამიწაზე კაცად, ადამიანად გარდამოვიდა, ენით აუწერელი ტკივილები აიტანა — ჯვარს გაეკრა კაცობრიობის გადასარჩენად! განა მას არ სტკიოდა? განა ადამიანური ტკივილი მისთვის უცხო იყო? მაგრამ დაითმინა... ადამიანისთვის! ის საოცარი მზრუნველობით ეპყრობა თითოეულ ადამიანს, სახარებაშიც ამბობს — ერთი ცხვარიც რომ დაიკარგოს ფარიდან, მთელი ფარა დაუტევე იმ ერთისთვის, იმ ერთის მოსაბრუნებლად გაეშურეო. უფალს თავისი არც ერთი შვილი ემეტება დასაღუპად! უფალი ადამიანის გულებს უყურებს, ხედავს, ვის აქვს ნება, ჭეშმარიტი სარწმუნოებით იაროს და მის გულში დაივანებს.

**დღეს მართლმადიდებლობა ისე ნათობს ქვეყანაზე, როგორც მზე და, თუ ადამიანი მზეს ხედავს, მაგრამ მაინც ამბობს, რომ მზე არ არსებობს, ან თვალებს ძალით იბრმავებს, ესე იგი, მას, უბრალოდ, მზის დანახვა არ უნდა.** სახარება ყველა ქვეყანაში იქადაგება; ადამიანზეა დამოკიდებული, როგორ მიიღებს ამას, უნდა თუ არა, რომ გაიგოს, ჭეშმარიტება დაინახოს... განა ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლით უფალი მთელს კაცობრიობას არამცნობს, რომ მხოლოდ მართლმადიდებლობაა ჭეშმარიტი სარწმუნოება? განა ღვთაებრივ ცეცხლს ერთნაირად არ ხედავს მუსლიმანი, ბუდისტი, კათოლიკე, ბაპტისტი, იეღოველი და კიდევ სხვა მრავალი სექტანტი? და თუ ამის აღიარება არ უნდა, სმენას იყრუებს და თვალს იბრმავებს, ეს უკვე მისი ნებაა, მისი არჩევანია — გადარჩეს თუ არა...

თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო — **არიან ისეთი მართლმადიდებლებიც, რომელნიც ჯვარსაც ატარებენ, ეკლესიაშიც დადიან და სანთელსაც ანთებენ, მაგრამ მათი ცხოვრების წესი ძალზედ შორსაა ჭეშმარიტებისგან. ისინი არაფრით განსხვავდებიან იმ არამართლმადიდებელთაგან, რომელთათვისაც სახარებისეული სწავლება სრულიად უცხოა... სასუფეველი მათთვისაც მიუღწეველი რეალობაა...**

**— მამაო, თქვენი მრევლი ყოველთვის განსაკუთრებულ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავს თქვენ მიმართ. როგორ ფიქრობთ, რა არის ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც მათ ასე ძალიან უყვარხართ? მკაცრი ხართ? და საერთოდ, რა არის მთავარი მოძღვრისა და მრევლის ურთიერთობაში?**

— სიყვარული ცალმხრივი ვერ იქნება... **უდიდესი სულიერების ადამიანი უნდა იყო, რომ ვინმეს სძულდე, შენ კი გიყვარდეს.** ჩემგან სიყვარულს გრძნობენ, ერთგულებას, სჯერათ, რომ მათი სულისთვის ვიღვწი და ვცდილობ, თითოეული მათგანი სწორ გზაზე დავაყენო, ყველაზე აღმატებული, სულიერი ღირებულებები დავანახო, რადგან მინდა, გადარჩნენ, ცხონდნენ... მოძღვრის მოვალეობაც ხომ ეს არის?! მოძღვარი არ უნდა იყოს არც ძალიან მკაცრი და არც ზომაზე მეტად ლმობიერი. **ჩვენი მიზანი არის, ღმერთთან მივიყვანოთ ადამიანი. როგორც იოანე ოქროპირი ბრძანებს, მოძღვარი ყველანაირად შემკული უნდა იყოს — სიყვარულიც უნდა შეეძლოს და სიმკაცრეც უნდა ჰქონდეს. ვერც მხოლოდ დაყვავებითა და ტკბილი სიტყვით გაზრდი შვილს და ვერც მხოლოდ გაბრაზებითა და ჩხუბით. მოძღვარი მკაცრიც უნდა იყოს და თბილიც. მრევლს, უპირველეს ყოვლისა, მართებს მოძღვრის მორჩილება, რადგან, სადაც მორჩილებაა, იქ ღვთის მადლი სუფევს, სადაც ღვთის მადლია, იქ ურთიერთობები ისე ყალიბდება, როგორც უფლისთვისაა სათნო. მრევლისთვის მოძღვარზე მთელი გულით მინდობაა აუცილებელი. შენს სულიერ მოძღვარს ბოლომდე უნდა ენდობოდე, სხვანაირად, მთლიანობა დაიმსხვრევა...**

...ადამიანს ცოდვას ეშმაკი ჩააგონებს, როცა იგი მას უმეგობრდება, მისი ახლობელი ხდება. იცით, როცა აღსარებას ვისმენ, ზოგჯერ ისეთ რამეს გავიგებ, მიჭირს გააზრება — ნუთუ შეიძლება ადამიანმა ასეთი რამ ჩაიდინოს-მეთქი, გავიფიქრებ. მამათა ცხოვრებიდან ერთი რამ მინდა გავიხსენო: დიდ მარხვაში ერთ მორჩილს კვერცხი მოუნდა და სანთლის ალზე შეწვა, როცა ჩადენილისთვის პასუხი მოსთხოვეს, ეშმაკს დააბრალა. ამ დროს ეშმაკი გამოჩნდა და თქვა — ასეთ რამეს მე ვერც კი მოვიფიქრებდიო. მოძღვარს უდიდესი მოთმინება და სიყვარული გმართებს, რომ ნებისმიერი ცოდვა, თუნდაც გაუგონარი, მოისმინო და დაითმინო...

**— ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, ჩადენილი ცოდვების მიხედვით მოგვეკითხება... ისეც ხომ ხდება, რომ მოძღვარი აღსარების საიდუმლოს გასცემს. მას რა ეშველება, ამ საშინელი ცოდვის ჩამდენს?**

— ეს უდიდესი ცოდვაა... ხანდახან შეიძლება მოძღვარმა პიროვნება არ დაასახელოს და მხოლოდ ცოდვა გაამხილოს, მაგრამ ის ადამიანი ხომ ამ ცოდვაში თავის თავს პოულობს, მას ხომ გული საშინლად სტკივა? **როცა ადამიანი აღსარებას გაბარებს, შენ კი მას ვერ შეინახავ, იუდას ემსგავსები, რომელმაც ქრისტე მაცხოვარი გასცა. დიახ, ის იუდაა! არც კი მინდა წარმოვიდგინო ის სასტიკი სასჯელი, რაც აღსარების გამცემ მოძღვარს მოელის!**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**2011 წლის 20 იანვარს ინსაიდერმა ტრიპოლში აშშ-ის საელჩოს აცნობა, რომ ლიბიის საინვესტიციო ფონდმა აშშ-ის ბანკში 32 მილიარდი დოლარის დეპონირება განახორციელა. ერთი თვის შემდეგ ამერიკის ხაზინამ ეს აქტივები „გაყინა“. ამერიკის ადმინისტრაციის ოფიციალური განცხადებით, საუბარი ეხებოდა „აშშ-ში დაბლოკილ ყველაზე დიდ თანხას, რომელსაც ვაშინგტონი დეპოზიტზე შეინახავდა ლიბიის მომავლისთვის“. ცხადია, ეს ფული მხოლოდ ლიბიის მომავალს კი არა, აშშ-ის აწმყოსაც მოხმარდება. მისი ვალი ხომ დღეისთვის 14,3 ტრილიონს შეადგენს. ბიუჯეტის საქმეები გამოასწორა ბრიტანეთმაც, რომელმაც, აშშ-ის მსგავსად, ლიბიური აქტივების 45 მილიარდი ევრო გაყინა.**



# ლიბიის ძარცვა

## არსებობს კი დაცვა გლობალური რეიდერობისგან?

**1 მაისს ლიბიის ნაციონალური ტელევიზიით მსოფლიომ კვლავ იხილა მოამარ კადაფი, რომლის ათდღიანი არყოფნა ტელეეკრანებზე დასავლეთმა მისი დაჭრისა და გარდაცვალების შესახებ ჭორების გასავრცელებლად გამოიყენა. ომში ჭორები იმისთვის არსებობს, რომ მოწინააღმდეგე დაასუსტოს, მაგრამ გაუგებარია, რატომ გამორჩა მხედველობიდან რუსულ მასმედიასაც, კადაფის არამეგობარი დასავლური მასმედიის მსგავსად, მაისის პირველი დეკადის ცენტრალური მოვლენა ტრიპოლში — ლიბიის ყველა თემის ორდღიანი ნაციონალური კონფერენცია. არადა, ეს შთამბეჭდავი ფორუმი იყო, 400-ზე მეტი თემის ორი ათასზე მეტმა წარმომადგენელმა ლიბიისთვის საბედისწერო და „მსოფლიო საზოგადოებისთვის“ ჭკუის სასწავლებელი გადაწყვეტილება მიიღო. კონფერენციაზე მოიწონეს ოცამდე პრინციპული რეზოლუცია და მონაწილეებმა ცალსახად განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ მოამარ კადაფის, გამოდიან ლიბიის ერთიანობისა და სუვერენიტეტის დასაცავად. დასავლეთის ხელიდან ნაკვებ მეამბოხეებს, რომლებიც ქვეყნის დასაშლელად იღვწიან, რეზოლუციამ „მოღალატეები“ უწოდა.**





რეზოლუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ლიბია დამოუკიდებელი ქვეყანაა, ამიტომ გარედან ჩარევა დაუშვებელია, მხოლოდ ლიბიელ ხალხს აქვს უფლება, განსაზღვროს თავისი ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური წყობა და განახორციელოს სახელმწიფოს მართვა. სამხედრო ძალებთან შეთქმულებაში მონაწილენი იზოლირებული უნდა იქნენ. კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მოწოდება, ქვეყანაში რაც შეიძლება სწრაფად აღდგეს მშვიდი საზოგადოებრივი გარემო და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, რომელიც ახლანდელი კრიზისის არასამხედრო გზით გადაწყვეტისკენ იქნება მიმართული. რეზოლუციაში შევიდა წინადადებები, მეამბოხეების მიერ აღებულ რაიონებში მშვიდობის მარშების მოწყობის შესახებ. **ყველა თემმა საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება, ერთიანი ფრონტის სახით დადგნენ სახელმწიფო საკუთრების — აეროპორტების, პორტების, ქარხნების, ფაბრიკების, სტრატეგიული საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების დასაცავად.**

ლიბიის კონფერენციის მიმართ კორპორატიული გლობალური მასმედიის მდუმარების შეთქმულება სავსებით გასაგებია. სულ ცოტა ხნის წინათ მათ ერთხმად ადიდეს პროპაგანდისტული სიყალბე, რომელიც ფრანგმა „გლობალურმა ინტელექტუალმა“ ბერნარ-ანრი ლევიმ შექმნა და რომლის თანახმადაც ლიბიის 61 თემის წარმომადგენლები ლიბიელი ხალხის სახელით კადაფის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვდნენ. „მიმართვა“ ბატონმა ლევიმ ლიბიელი ხალხის აზრად მონათლა ფრანგულ გამოცემა „Express“-ში და დიდი ტირაჟითაც გაავრცელა ინგლისურენოვან პრესაში. თავად ლევი ტროცკისტიც იყო, მაოისტიც, ბოლოს კი სიონისტად დამკვიდრდა სარკოზის „ინტელექტუალური მრჩეველის“ რანგში და აფრიკის „კრეატიული ნგრევის“ ძველი იდეების რეანიმირებით დაკავდა. საერთოდ, ეს ადამიანი ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ მისი მისტიური „61 თემის“ მიმართვა მაინც ვერ შეედრება ლიბიის მოსახლეობის ყველა ძირითადი ჯგუფის — ოთხასამდე თემის ერთსულოვან და ცალსახა გამოსვლას სუვერენული ქვეყნის საქმეში ყველანაირი საგარეო ჩარევის წინააღმდეგ.

**«ოპოზიციას» წინასწარ დართეს ნება, დღეში 400 000 ბარელის ექსპორტი განეხორციელებინა, რაც, მაშინდელი ტარიფის მიხედვით, თვეში 1,4 მილიარდ დოლარს უდრიდა**

მეორეს მხრივ, **5 მაისს რომში შეიკრიბა ეგრეთ წოდებული საკონტაქტო ჯგუფი, რომელიც 2011 წლის 29 მარტს ლონდონის კონფერენციაზე გაეროს უშიშროების საბჭოს №1973 რეზოლუციის მხარდამჭერი ქვეყნებისა და გერმანიისგან შედგა. რუსეთი და ჩინეთი კონფერენციაზე არ მიიწვიეს, აფრიკულმა კავშირმა მონაწილეობაზე უარი განაცხადა, არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ მეორეხარისხოვანი წარმომადგენლები გაგზავნა, რითაც თავისი უკმაყოფილება გამოხატა საერთაშორისო საზოგადოების ცალმხრივი ინიციატივების მიმართ. კონფერენციას ესწრებოდნენ ვატიკანის „დამკვირვებლებიც“.**

შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ „გლობალური მართვის“ ადეპტების ჩვეული სტილის საინიციატივო ფორუმი მიმართული იყო გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციიდან კოორდინირებული გადახვევისაკენ მისივე შესრულების მიზნით. მინაწილე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს მეამბოხეებისა და ლიბიის „ოპოზიციის“ მხარდამჭერი ქვეყნებისათვის ლიბიის მათ მიერვე წინასწარ გაყინულ აქტივებთან წვდომა დაეშვათ და გაეხმოვანებინათ „ალტერნატიული“ გადაწყვეტილება, რომელიც „საკონტაქტო ჯგუფს“ ლიბიის ნავთობის გაყიდვის ნებას აძლევს.

რამდენადაც ეს დღისით, მზისით ძარცვა ვიღაცას შეიძლება არც მოსწონებოდა, მაშინვე დადგა საკითხი მეამბოხეთა ცალმხრივი შეიარაღების შესახებ. **სხვისი ქონების განკარგვის საკუთარი თავისათვის მინიჭებულმა უფლებამ ცხადყო, რომ ლიბიის ნაციონალური რესურსების დანაწილება დაიწყო.** ნატოს დაბომბვების შემდგომი სცენარი მნიშვნელოვან კორექტირებას არ დაქვემდებარებია „საკონტაქტო ჯგუფის“ წევრების მიერ ბენღაზის „ნაციონალური გარდამავალი საბჭოს“ აღიარების წყალობით. მეამბოხეების სხვადასხვა მხრიდან მხარდაჭერის შედეგად „კონტაქტორებმა“ მოახერხეს, ცვალებადი წარმატებით შეენარჩუნებინათ კონტროლი ნავთობსაბადოებისა და ნავთობგადამუშავების ცალკეულ ზონებზე.

„ოპოზიციას“ წინასწარ დართეს ნება, დღეში 400 000 ბარელის ექსპორტი განეხორციელებინა, რაც, მაშინდელი ტარიფის მიხედვით, თვეში 1,4 მილიარდ დოლარს უდრიდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონსა და „გარდამავალი ეროვნული საბჭოს“ ემისრის — მაჰმუდ ჯებრილს შორის გამართული ორი „სამუშაო შეხვედრის“ შედეგების მიხედვით, შედგა შეთანხმება ლიბიის „გაყინული“ სახელმწიფო საკუთრებიდან დასაწყისისთვის 3,3 მილიარდი დოლარის მეამბოხეთა სასარგებლოდ „გაღლობა“. **ლიბიური ნავთობის გაყიდვის მართვა ყატარის გავლით გადაწყდა.**

„საკონტაქტო ჯგუფის“ უკანასკნელ შეხვედრას „ლეგიტიმური რეიდერობის“ არჩეულ გზაზე, რომელსაც ხანდახან საერთაშორისო სამართლის უნიათოდ მომხსენიებელი საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ სახელმწიფოების მხრიდან შეხვედრა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკო ფრატინისა და ყატარის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის შეიხ ხამად ბინ ჯასიმ ბინ ალ თხანის ორმაგი თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. ლიბიური ოპოზიციის ფინანსური დახმარება შეხვედრის მთავარი თემა იყო. იტალიელი მინისტრისა და ჰილარი კლინტონის გამოსვლების სტენოგრამა იმდენმა საინფორმაციო საშუალებამ გამოაქვეყნა, რომ ყველას შეუძლია საკუთარი თვალით იხილოს, რამდენად გასცდნენ „კონტაქტორები“ გაეროს რეზოლუციას. ლიბიელმა „მეამბოხეებმა“ კი უმალ ისარგებლეს „სპეციალური ფონდით“, რომელსაც აშშ და იტალია მართავს. **ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსმა, რომელმაც კიდევ ერთხელ გაიმეორა მოარული სენტენცია, რომ კადაფი უნდა წავიდეს, მხარი დაუჭირა ოპოზიციისთვის ფინანსურ „დახმარებას“, რომელიც სამხედრო დახმარებასაც მოიცავს. ჰილარი კლინტონმა ასევე თანხმობა განაცხადა მეამბოხეების მიერ ლიბიის ნავთობის გაყიდვაზე. იტალიის პოლიტიკური გამოცემის „Il Manifesto“-ს წამყვანმა ექსპერტმა მანლიო დინუჩიმ ლიბიაში კოალიციის ოპერაციას „საუკუნის ძარცვა“ უწოდა.**

„ლიბიური ნავთობისა (რომლის 60 მილიარდი ბარელის მარაგიც აფრიკაში უდიდესია და მოპოვებისას ყველაზე ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს) და ბუნებრივი გაზის (1500 მილიარდი კუბური მეტრის რეზერვი) მიმართ ინტერესი ტრიპოლში აგრესიის თავდაპირველი მიზანი არ იყო“, — წერს მანლიო.

ნატო დაარსების დღიდან აცხადებდა პრეტენზიას, რომ ყოფილიყო პლანეტის „მართვისა და კონტროლის“ ცენტრი და ამ ავანტიურულ-აგრესიულ და ლამის საოჯახო საწარმოში ფულის დამბანდებელი მოხალისე-ინვესტორების გაუმაძღარი მადა დაეკმაყოფილებინა. ევროკავშირი, ნატო, გაერო, მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ვაშინგტონის ადმინისტრაცია და სხვები, რომელთა სახელწოდებაში აუცილებლად ფიგურირებს რაიმე „გლობალური“ და რომელთა სამეთვალყურეო საბჭოებში მსოფლიოს ოცამდე ბრენდული ოჯახის ერთი და იმავე სახეების მეტს ვერავის შეხვდებით, თითქმის ასი პროცენტით ურთიერთჩანაცვლებადია.

**ლიბიის „სუვერენული ფონდების“ მიტაცების ოპერაცია „კოლექტიური მართვისთვის“ ჩვეულ რეჟიმში ხორციელდებოდა ლიბიის საინვესტიციო ფონდის ინსაიდერის მოსყიდვის ფონზე.** ინფორმაციამ ერთ-ერთი დიპლომატიური ტელეგრამიდან ვიკილიკსზე გაჟონა: **2011 წლის 20 იანვარს ინსაიდერმა ტრიპოლში აშშ-ის საელჩოს აცნობა, რომ ლიბიის საინვესტიციო ფონდმა აშშ-ის ბანკში 32 მილიარდი დოლარის დეპონირება განახორციელა. ერთი თვის შემდეგ ამერიკის ხაზინამ ეს აქტივები „გაყინა“. ამერიკის** ▶





„ძალთა ბალანსი თუ არა, პრესტიჟის ბალანსი აშშ-სა და ჩინეთს შორის შეიცვალა... ჩინურ-ამერიკული შეჯიბრი სახიფათო გზებით ჩვენსა და საბჭოთა კავშირს შორის ცივი ომის პერიოდის შეჯიბრს ემსგავსება. თუმცა, ამჯერად საბჭოთა კავშირის მსგავს ფინანსურად არამდგრად პოზიციაზე ამერიკა დგას, ჩინეთი კი იმ ეკონომიკურად ჯანსაღ როლს ასრულებს, რომელსაც ოდესღაც ჩვენ ვთამაშობდით“.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ ადმინისტრაციის ოფიციალური განცხადებით, საუბარი ეხებოდა „აშშ-ში დაბლოკილ ყველაზე დიდ თანხას, რომელსაც ვაშინგტონი დეპოზიტზე შეინახავდა ლიბიის მომავლისთვის“. ცხადია, ეს ფული მხოლოდ ლიბიის მომავალს კი არა, აშშ-ის აწმყოსაც მოხმარდება. მისი ვალი ხომ დღეისთვის 14,3 ტრილიონს შეადგენს. ბიუჯეტის საქმეები გამოასწორა ბრიტანეთმაც, რომელმაც, აშშ-ის მსგავსად, ლიბიური აქტივების 45 მილიარდი ევრო გაყინა.

**დასავლეთის ბანკებში გაყინული ლიბიის ათობით მილიარდი საფრთხეს უქმნიდა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონოპოლიას მესამე მსოფლიოს „განვითარების პროექტებში“ ინვესტირების საქმეში. ახლა ეს ფული დასავლეთის ფინანსური ინსტიტუტების ინტერესებში ამოქმედდება.**

ლიბიის ფონდების მიტაცება დრამატულად აისახა ქვეყნის უმსხვილეს პროექტებზე, რომლებიც აფრიკის განვითარებისკენ იყო მიმართული, ქვეყნის ბიუჯეტისთვის ასობით მილიონი დოლარის ყოველწლიური შემოსავლის მომტანი პროექტები გაჩერდა, მაგრამ ლიბიისა და მისი ეკონომიკისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო აფრიკული კავშირის იმ პროექტის რეალიზება, რომლის თანახმადაც დამოუკიდებელი ფინანსური ინსტიტუტები უნდა ამოქმედებულიყო და რომელსაც აფრიკის ქვეყნები მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კონტროლისგან უნდა დაეხსნა.

რაც შეეხება ლიბიის ნავთობისა და გაზის რესურსების მიტაცებას, ამით განპირობებული ზარალი ჯერ კიდევ დასაანგარიშებელია. **ჯერ საფრანგეთის, შემდეგ კი ბრიტანეთის მიერ „ნაციონალური გარდამავალი საბჭოს“ ლიბიის კანონიერ წარმომადგენლად აღიარებამ დასავლეთის ტრანსნაციონალურ კომპანიებს კონტრაქტების საფუძვლიანი გადახედვისა და რესურსების ექსპლოატაციისათვის ლიბიისთვის სიმბოლური თანხის გადახდის საშუალება მისცა.** იმავე მანლიო დინუჩიმ ამ ახალ მონაცემს კლასიკური კოლონიალური ომის ნიმუში უწოდა. რაც შეეხება ლიბიის „გარდამავალ ნაციონალურ საბჭოს“, მისი შექმნის თაობაზე ინტრიგა, ცხადია, არა ბენღაზში, არამედ ვაშინგტონში, ლონდონსა და პარიზში დაიბადა. საბჭო არა მხოლოდ ნავთობკონტრაქტების გადახედვის, არამედ ლიბიის რესურსების „მართვის ცენტრის“ მიტაცების „ლეგიტიმაციისათვისაც“ იყო საჭირო.

**„გაერთიანებული დამცველების“ გეგმა სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრივატიზებას ითვალისწინებს იმ „დახმარების“ სანაცვლოდ, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამავე კოალიციის მიერ დარბეულ-განადგურებული მრეწველობისა და ინფრასტრუქტურის აღსადგენად გაიღებს.**

warandpeace.ru

# ამერიკული დიპლომატიის ვეტერანი: ჩვენ საბჭოთა კავშირი ვხდებით!

**ჩას ფრიმენი პრეზიდენტ ნიქსონის თარჯიმანი გახლდათ 1972 წელს ამერიკის ლიდერის ისტორიული ვიზიტისას ჩინეთში. ახლა, დიპლომატიურ სფეროსა თუ თავდაცვის უწყებაში შთამბეჭდავი 40-წლიანი კარიერის შემდეგ, იგი ჩინურიდან თარგმნის. გასულ კვირას ფრიმენმა თქვა:**



**„ძალთა ბალანსი თუ არა, პრესტიჟის ბალანსი აშშ-სა და ჩინეთს შორის შეიცვალა... ჩინურ-ამერიკული შეჯიბრი სახიფათო გზებით ჩვენსა და საბჭოთა კავშირს შორის ცივი ომის პერიოდის შეჯიბრს ემსგავსება. თუმცა, ამჯერად საბჭოთა კავშირის მსგავს ფინანსურად არამდგრად პოზიციაზე ამერიკა დგას, ჩინეთი კი იმ ეკონომიკურად ჯანსაღ როლს ასრულებს, რომელსაც ოდესღაც ჩვენ ვთამაშობდით“.**

ფრიმენი დიდი ხანია გლობალურ პროვოკატორად ითვლება, მისი გულახდილი და პირდაპირი შეხედულებები ახლო აღმოსავლეთსა და ჩინეთთან დაკავშირებით საბედისწეროდ აისახა ობამას განზრახვაზე, ორი წლის წინათ ნაციონალური სადაზვერვო საბჭოს უფროსად დაენიშნა. გასულ კვირას ფრიმენი იმ საკვანძო საკითხზე საუბრობდა, რომლებიც წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში ამერიკული ფლოტის ყოფნას ეხება — რატომ არ უნდა გაღიზიანდეს პეკინი და რატომ არ უნდა ითამაშოს ამერიკის ნერვებზე მის გვერდით პატრულირებით?

ცუდი ამბავი: **„ჩინეთი ოთხი ათწლეულის მანძილზე ითმენდა, მაგრამ ახლა ის აქტიურად ფიქრობს, როგორ წაართვას აშშ-ს ჩინეთსა და ტაივანს შორის ურთიერთობის სამხედრო როლი ისე, რომ ჩინელებმა ტაივანის საკითხების გადაწყვეტა თავიანთ კოლეგებთან ერთად ტაიბეში შეძლონ. მე ამას აშშ-თან დაკავშირებით პოლიტიკის გადახედვის პრინციპულ მომენტად მივიჩნევ. გავრცელებული შეტყობინებების მიხედვით, ჩინეთი ამის განსახორციელებლად მზადაა. ამერიკელებს არ შეუძლიათ თვლიდნენ, რომ მათი მხრიდან ტაივანისათვის იარაღის მიყიდვა და ჩინეთის მიერ ამის გაპროტესტება მხოლოდ ფორმალობაა“.**

უფრო ცუდი ამბავი: **„ეს ყველაფერი არაა მხოლოდ სიტუაცია, როდესაც ჩინეთი და სხვები აღადგენენ რეგიონალურ უპირატესობას, რომელიც აწ გარდაცვლილი დასავლური კოლონიალიზმის ერამდე ჰქონდათ. ეს იმ სიტუაციის ასახვაცაა, როდესაც ამერიკის არათანმიმდევრული პოლიტიკა ფიტავს როგორც უცხოელებს, ასევე საკუთარ მოქალაქეებს. ამერიკის ფინანსური სისტემა და ეკონომიკური მდგომარეობა მთელი მსოფლიოს თვალში დისკრედიტირებულია. ცოტა ვინმე თუ მიგვიჩნევს ლიდერად გლობალურ ან რეგიონალურ საკითხებში. სრულად პატივს სცემენ მხოლოდ ჩვენს სამხედრო ძალას. მაგრამ, როგორც ვუჩვენეთ მსოფლიოს ერაყში, ავღანეთში, ახლა კი ლიბიაშიც, იმას, რისი მიღწევაც მხოლოდ სამხედრო ძალითაა შესაძლებელი, საზღვარი აქვს. ჩინეთი აღიქმება როგორც წესრიგის დამმყარებელი, თავდაჯერების მომპოვებელი და საქმეზე ორიენტირებული ქვეყანა, აშშ კი აღიქმება, როგორც უსაშინელესი პრობლემებით გარშემორტყმული ქვეყანა, რომელიც ბევრს არაფერს აკეთებს თუნდაც ზოგიერთი პრობლემის გადასაჭრელად“.**

ფრიმენმა ამ საკითხებზე სამხედრო-საზღვაო კოლეჯის ჩინეთის საზღვაო კვლევების ინსტიტუტში, ნიუპორტში, როდ-აილენდში ისაუბრა. ნუ ელით, რომ ამგვარ თემას თქვენს საყვარელ ტელეარხზე განიხილავენ ან პრეზიდენტობის პრეტენდენტები წამოწევენ.

**მარკ ტომპსონი**
**TIME**

# სკანდალი კეთილშობილ ოჯახში

**აშშ-სა და პაკისტანს შორის ურთიერთობა ასე დაძაბული არასდროს ყოფილა. პაკისტანის ახალგაზრდა დემოკრატია, ქვეყანაში ბრიტანელი კოლონიზატორების ათწლოვანი მბრძანებლობის შემდეგ, ძალზე მტკივნეულად რეაგირებს სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევებზე. ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე ამერიკელი სამხედროების უცერემონიო ქცევა, პაკისტანის საჰაერო სივრცეში ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატების ნადირობა თალიბებზე, დიდი ხანია, აღიზიანებს ისლამაბადს. 2010 წელს უპილოტო საფრენმა აპარატებმა „თალიბებზე“ ასზე მეტი სარაკეტო დარტყმა განახორციელეს და ამ დარტყმების მსხვერპლნი არაერთხელ გახდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის წარმომადგენლები. პაკისტანის მთავრობა მსხვერპლთა შესახებ მონაცემებს არ აქვეყნებს, ეს კი მხოლოდ აძლიერებს საზოგადოებრივ პროტესტს.**



ბენ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაცია, რომელიც ამერიკელებმა ყველანაირი საერთაშორისო ნორმისა და ორმხრივი შეთანხმების დარღვევით განახორციელეს, პაკისტანურ საზოგადოებაში უკმაყოფილების ახალი ტალღის ბიძგად იქცა. პაკისტანის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც უნდა გადაიხედოს ამერიკასთან ურთიერთობები, ქუჩებში კი მასობრივმა დემონსტრაციებმა ანტიამერიკული ლოზუნგებით ჩაიარა. რეზოლუციაში განიკითხება ამერიკული ოპერაცია და წამოყენებულია მოთხოვნა, აიკრძალოს ნატოს ძალების გადაადგილება ავღანეთის მიმართულებით პაკისტანის გავლით მანამდე, ვიდრე აშშ უპილოტო საფრენი აპარატებიდან მიწისზედა სამიზნეებზე დარტყმებს არ შეწყვეტს.

**ამავე დროს, პრეზიდენტი ობამა დაჟინებით მოითხოვს, რომ საზღვაო ქვეითებს, აუცილებლობის შემთხვევაში, ავღანეთის საზღვრებს გარეთაც შეეძლოთ ბრძოლით გზის გაკვალვა. იმ შემთხვევისთვის, თუ 79 ადამიანისა და 4 ვერტმფრენისაგან შემდგარ რაზმს პაკისტანის ჯარები აღმოაჩენდნენ და მის ბლოკირებას შეეცდებოდნენ, ამერიკელებს პაკისტანელებთან ბრძოლაში ჩართვისა და მათი ლიკვიდაციის სანქცია ჰქონდათ.**

**ბენ ლადენის მკვლელობისათვის შურისძიებად მონათლულმა ტერაქტებმა მდგომარეობა მხოლოდ გააუარესა.** პაკისტანის უწყებათშორისი დაზვერვის ხელმძღვანელმა, გენერალ-ლეიტენანტმა შუჯა ფაშამ გადადგომა ითხოვა, მაგრამ თავდაცვის მინისტრმა ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. იმავე დღეებში გამოჩნდა პაკისტანში ცსს-ს რეზიდენტის სახელი, რაც ამერიკელებმა ბენ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაციის ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლობის გამო შურისძიებად ჩათვალეს.

**მდგომარეობა იძაბება ვაშინგტონშიც, სადაც ირწმუნებიან, რომ „ალ ქაიდასთან“ პაკისტანის ხელისუფლების კავშირების გარეშე საქმე ვერ ჩაივლის.** ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ არ აქვთ პირდაპირი მტკიცებულებები იმისა, რომ პაკისტანის ტერიტორიაზე ბენ ლადენი ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების ნებართვით აფარებდა თავს, მაგრამ პაკისტანის სამხედრო ობიექტებიდან ხელის გაწვდენაზე მდებარე მისი რეზიდენცია ამერიკულ-პაკისტანურ ურთიერთობებს კრიზისულამდე ძაბავს. **აშშ-ის კონგრესში უკვე ითხოვენ პაკისტანისათვის ეკონომიკური დახმარების შეკვეცას.**

ვაშინგტონში პაკისტანის „დასჯის“ მოწოდებები ისმის, განსაკუთრებით იმ შემთხვევისათვის, თუ ამ ქვეყნის ხელისუფლება უარს განაცხადებს იმ მასალების გადაცემაზე, რომლებიც ამერიკულმა სპეცრაზმმა ბენ ლადენზე შეტევისას ვერ წაიღო. ამბობენ, რომ სეიფის ნაცვლად, საზღვაო ქვეითებმა „ტერორისტ №1“-ის რეზიდენციიდან პორნოფილმების დისკები წაიღეს, ღირებული მასალები კი პაკისტანელებს დარჩათ. მართალია, ცსს ამ მასალების ხელში ჩაგდებას იმედოვნებს, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არაა. **ჯერჯერობით პაკისტანში მსჯელობენ, როგორი ურთიერთობა ააწყონ ვაშინგტონთან სამომავლოდ, ვაშინგტონს კი ამის გაგება არ სურს.**

ამერიკელები იმედოვნებენ, რომ ხელში ჩაიგდებენ ბენ ლადენის სამ ქვრივსაც, რომლებიც ამჟამად პაკისტანელებს ჰყავთ. მათგან ორი საუდის არაბეთის მკვიდრია, ერთი კი — იემენის. პაკისტანის ხელისუფლება აცხადებს, რომ დაკითხვის შემდეგ ქალებს სამშობლოში დააბრუნებს, რაც, ცხადია, ამერიკელებს არ მოსწონთ.

მთელ ამ ისტორიაში მთავარი ისაა, რომ **ვაშინგტონში უკვე არ შეუძლიათ ან დემონსტრაციულად არ სურთ, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის პოზიციიდან დაარეგულირონ.** რითაც არ უნდა დასრულდეს ეს საქმე, ერთი რამ ცხადია — პაკისტანში ამერიკისადმი დამოკიდებულება გაუარესდება და არც თუ უსაფუძვლოდ.

FONDSK.RU

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**შესაძლოა, ნალექების წარმოქმნისთვის ხელშემშლელი ნივთიერებების გარდა, გამოიყენება სხვა ნივთიერებები სხვა არანაკლებ ნეგატიური მიზნებისთვის, მაგალითად, ადამიანთა ცნობიერებით მანიპულირებისთვის ან ტექტონიკური, სეისმური იარაღის გამოყენებისთვის. ცნობილია, რომ 1940-დან 1979-წლამდე ინგლისის დასახლებული რაიონებისა და ოლქების დიდი ნაწილის თავზე თვითმფრინავებმა საიდუმლოდ 2000-ზე მეტჯერ მოაფრქვიეს ბიოლოგიური მიკროორგანიზმები და ტოქსიკური ქიმიკატები.**

# HAARP — კლიმატური იარაღი, ანუ ამინდის გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10-17

**პირველად ამინდზე ხელოვნური ზემოქმედება 1946 წელს განხორციელდა. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსმა ვინსტონ შატერმა თვითმფრინავიდან კილოგრამ-ნახევარი მშრალი ყინული გადმოყარა, რამაც თოვლის მოსვლა განაპირობა. ნალექების პროვოცირების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ღრუბლებში თვითმფრინავის, რაკეტების ან ჭურვების საშუალებით იფანტება სპეციალური რეაგენტები — ვერცხლის, მშრალი ყინულის ან ჩვეულებრივი ცემენტის შენაერთები. ისინი იზიდავს სისველეს, რომელსაც ატმოსფერო შეიცავს, მძიმდება და შემდეგ წვიმის ან სველი თოვლის სახით მოდის. აშშ-ში 40-იანი წლების დასასრულს ნალექების ხელოვნურად გამოწვევის შესაძლებლობათა ნამდვილი ბუმი იყო. კომერციული ფირმები პირდაპირ სთავაზობდნენ ფერმერებს კლიმატურ მომსახურებას. ბუნებრივი სტიქიის კოლოსალური ძალა შეიძლებოდა მასობრივი განადგურების იარაღად ქცეულიყო.**



**ფრენსის მანდემი**, ბიოლოგიის დოქტორი:

— ნიადაგს წელიწადში 10-20 მილიონ ტონა ალუმინის მარილებს აფრქვევენ. ტბებიდან, ნიადაგიდან, მდინარეებიდან აღებულ სინჯებში ალუმინის დონე დასაშვებ ზღვარს 60 ათასჯერ აჭარბებს. ამგვარ ნიადაგში ნორმალური თესლი არ ხარობს. ფერმერები იძულებული არიან, მანსანტისა და სხვა მსგავსი კომპანიებისაგან ალუმინგამძლე თესლი შეიძინონ.





მანსანტას ალუმინმდგრადი გენების შემცველი თესლის წარმოებაზე პატენტი აქვს. ჩემს ოჯახს აქ, ჰავაიზე, ორგანული, ანუ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის ფერმა აქვს. მაგრამ უკვე რამდენიმე წელია, ყოველდღიურად გვაფრქვევენ თვითმფრინავებიდან ზემოხსენებულ ნივთიერებებს. ეს უკვე ძლიერად აისახა როგორც ჩვენს ჯანმრთელობაზე, ასევე ჩვენი ბუნების მდგომარეობაზეც. ხეების ქერქი უკვე კატასტროფულად დარბილდა. უკვე იძულებული ვართ, ზემოხსენებული თესლი ვიყიდოთ, იმიტომ, რომ ნატურალური კულტურები აქ უკვე ველარ ხარობს.







**კონსტანტინე სივკოვი**, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცეპრეზიდენტი:

— არსებობს ნივთიერებების მთელი სპექტრი, რომელთა უმნიშვნელო რაოდენობით ადამიანის ორგანიზმში მოხვედრა მასში უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს განაპირობებს. ამის მიზეზი იგივეა, რაც ამინდის წარმოქმნაზე ჰარპის მნიშვნელოვანი ზეგავლენის შემთხვევაში იყო. ადამიანის ორგანიზმი ფაქიზია, ამიტომ ზოგიერთი ნივთიერების უმცირესი რაოდენობით მასში მოხვედრის შემთხვევაშიც კი, შესაძლოა, შედეგი მისი გარდაცვალება ან რაიმე დაავადებების გაჩენა იყოს.



ამიტომ, როდესაც ქვეყნის ტერიტორიის თავზე ამ ნივთიერებების მოფრქვევას ახორციელებენ, ეს შეიძლება სახიფათო იყოს ამ ქვეყნის მოსახლეობისათვის. თუ ამგვარი რამ რუსეთშიც ხდება, აუცილებელია მიღებულ იქნეს ზომები იმის გასარკვევად, თუ კონკრეტულად რა ნივთიერებების მოფრქვევა ხდება, რა რაოდენობით და კონკრეტულად რომელ რეგიონებში. ამის შემდეგ კი აუცილებელია სპეციალური გამოკვლევის ჩატარება, გამოვლენილი ნივთიერებების მოფრქვევის შედეგების დასადგენად.



(B) Such terms include exotic weapons systems such as--

(i) electronic, psychotronic, or information weapons;

(ii) chemtrails;

(iii) high altitude ultra low frequency weapons systems;

(iv) plasma, electromagnetic, sonic, or ultrasonic weapons;

(v) laser weapons systems;

(vi) strategic, theater, tactical, or extraterrestrial weapons; ar

(vii) chemical, biological, environmental, climate, or tectonic w

(C) The term `exotic weapons systems' includes weapons designe
as the ionosphere and upper atmosphere) or climate, weather, and
damage or destruction upon a target population or region on eart

2001 წლის 2 ოქტომბერს აშშ-ში მიიღეს აქტი „H.R. 2977“ კოსმოსური სივრცის დაცვის შესახებ. ამ აქტში მე-7 B პუნქტში მოტანილია სამხედრო დამარცხების ეგრეთ წოდებული ეგზოტიკური სისტემების სია, რომელშიც ქიმტრეილები ზემოქმედების ერთ-ერთ სახეობადაა მოხსენიებული. ზემოქმედების ამავე სახეობას განეკუთვნება ელექტრონული, ფსიქოტროპული, საინფორმაციო ზეგავლენა, დაბალსიხშირიანი ტალღური ზემოქმედება, პლაზმური, ელექტრომაგნიტური, ულტრახმოვანი სისტემები, ლაზერული დაბომბვის სისტემები, ასევე ქიმიური, ბიოლოგიური, ბუნებრივი, კლიმატური და ტექტონიკური ბომბები. ამ აქტის მიხედვით აბსოლუტურად ნათელია, რომ ქიმტრეილები მასობრივი განადგურების იარაღის ერთ-ერთი სახეობაა.



(vi) strategic, theater, tactical, or extraterr

(vii) chemical, biological, environmental, clir

(C) The term `exotic weapons systems' includes
as the ionosphere and upper atmosphere) or cli
damage or destruction upon a target populatior

ამავე აქტის მე-7 C პუნქტი განმარტავს, თუ რას გულისხმობს ტერნიმი „სამხედრო განადგურების ეგზოტიკური სისტემები“. ეს არის სისტემა, რომელიც მოიცავს კოსმოსური სივრცის ან ცოცხალი ეკოსისტემების განადგურების სისტემებს, ისეთებს, როგორიც, ვთქვათ, იონოსფერო ან ატმოსფეროს ზედა შრეებია. გარდა ამისა, ის მოიცავს კლიმატზე ზემოქმედების სისტემას, ტექტონიკურ სისტემებს, მოსახლეობის ჯგუფისათვის ზიანის მიყენების მიზნით, მათზე, მიწის ნაკვეთზე ან საჰაერო სივრცეზე.



თუ ოპტიკურ ხელსაწყოებს გამოვიყენებთ, შესაძლებელი გახდება დავინახოთ, რომ ამგვარი თვითმფრინავის მიერ დატოვებული კვალი წარმოადგენს მტვრადქცეულ ქიმიურ ნივთიერებას, რომელიც საწვიმარი ღრუბლების წარმოქმნას აფერხებს და, შესაბამისად, გვალვას განაპირობებს. ამგვარი ხელოვნური გვალვა კი ხელოვნურადვე განაპირობებს მოსავლის განადგურებას და შესაძლოა — ამით გამოწვეულ შიმშილსაც. გარდა ამისა, ეს ნივთიერებები ხელოვნურად ქმნის სათბურის ეფექტს და საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას.





Millions were in germ war tests

Much of Britain was exposed to bacteria sprayed in secret trials

Antony Barnett, public affairs editor
Sunday April 21, 2002
The Observer

The Ministry of Defence turned large parts of the country

შესაძლოა, ნალექების წარმოქმნისთვის ხელშემშლელი ნივთიერებების გარდა, გამოიყენება სხვა ნივთიერებები სხვა არანაკლებ ნეგატიური მიზნებისთვის, მაგალითად, ადამიანთა ცნობიერებით მანიპულირებისთვის ან ტექტონიკური, სეისმური იარაღის გამოყენებისთვის.

ცნობილია, რომ 1940-დან 1979-წლამდე ინგლისის დასახლებული რაიონებისა და ოლქების დიდი ნაწილის თავზე თვითმფრინავებმა საიდუმლოდ 2000-ზე მეტჯერ მოაფრქვიეს ბიოლოგიური მიკროორგანიზმები და ტოქსიკური ქიმიკატები.



**ახალი ამბების სიუჟეტიდან:**

**არც თუ დიდი ხნის წინათ არკანზასის შტატის მცხოვრებლებმა აღმოაჩინეს პატარა ნაწილაკები, რომლებიც ციდან ცვიოდა. შეგროვებული ნიმუშების ტესტირება ლაბორატორიაში განხორციელდა და გაირკვა, რომ მათში შედიოდა ბარიუმი და სხვა ელემენტები, რომლებიც მრავალჯერ აჭარბებს დაშვებულ ნორმებს. გარემოს ხარისხის დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ეს მეტად უჩვეულო სურათია, მაგრამ ჰაერში ბარიუმის მოხვედრის წყაროს განსაზღვრა იოლი ამოცანა არაა.**



**ბარიუმი იმ სხვა კომპონენტების მარკერია, რომელთაც ბიოლოგიურ და ქიმიურ ცდებსა თუ ექსპერიმენტებში იყენებენ. მომხდარმა ლოს-ანჯელესის ტელევიზიის ყურადღება მიიპყრო. იმან, რომ ადამიანებში ქიმიური ნივთიერებების გაბნევა შეიძლებოდა საიდუმლო ბიოლოგიური ან ქიმიური ექსპერიმენტების ნაწილი ყოფილიყო, 1977 წლის ინფორმაციებთან დაბრუნება განაპირობა. მაშინ 239 დასახლებული პუნქტი ბიოაგენტებით მოწამვლის მსხვერპლი გახდა. ეს მოწამვლა 1949 წლიდან 1979 წლამდე გრძელდებოდა. რამდენად შესაძლებელია, რომ მსგავსი ▶**

# მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ბარიუმის მარილების, პოლიმერული ბოჭკოებისა და სხვა ქიმიური რეაგენტების ნარევი, რომელიც ატმოსფეროში იფრქვევა, შეიძლება იყოს მოულოდნელი და აუხსნელი სისხლდენების, ასთმების, ათასგვარი ალერგიის, პნევმონიის, ზედა სასუნთქი გზების დაავადებების, ართრიტებისა და შაქრიანი დიაბეტის მიზეზი.



არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ საიდუმლო ექსპერიმენტები ახლაც გრძელდებოდეს? აბსოლუტურად თვალნათლივ ჩანს, რომ რაღაც ნივთიერებები ახლაც არის ჰაერში გაბნეული და შესაძლოა, ამ ეტაპზე არც იწვევს სერიოზულ დაზიანებებს, მაგრამ მინდა ვიცოდე, რა ხდება.



**მარკ რაიანი**, მოწამვლის კონტროლის ცენტრის დირექტორი:

— „ახალი ამბები 12"-ის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ აჩვენა, რომ ჰაერში მოფრქვევისთვის გამოყენებული ნივთიერებები კლასიფიცირებულია დოკუმენტში HR2977, რომელიც 2001 წელს ჰაერის დაცვის აქტის სახით შეიქმნა. მაგრამ სამხედროები ამ აქტის არსებობას საერთოდ უარყოფენ და, შესაბამისად, — მის გამოყენებასაც. აღმოჩნდა, რომ 2001 წლამდე ამერიკის ხელისუფლებას აბსოლუტურად კანონიერად შეეძლო მოსახლეობაზე საიდუმლო ექსპერიმენტების ჩატარება. ამ კანონში კორექტირებები მხოლოდ მოგვიანებით შეიტანეს.



**ლეონიდ ივაშოვი**, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-პოლკოვნიკი:

— უკვე ქმნიან პლაზმოიდურ ღრუბლებს, ეს უკვე ისწავლეს. პლაზმოიდური ღრუბელი, ერთის მხრივ, წინააღმდეგობას ქმნის რადიოელექტრონული საშუალებების მუშაობისთვის — დაბალორბიტული თანამგზავრებისთვის, უპირველეს ყოვლისა კი, ბალისტიკური რაკეტებისთვის; მეორეს მხრივ კი, ეს არის კლიმატური იარაღი. 100 კილომეტრამდე რადიუსის ეს პლაზმოიდური ღრუბლები განაპირობებს გადაულებელ წვიმებს.

მოსკოვის თავზე 2009 წლის ოქტომბერში უჩვეულო, წრეწირის მსგავსი ღრუბელი გაჩნდა.



**ალექს მერკლინგერი**, მფრინავი-გამომცდელი:

— 40 წელზე მეტი ხნის სტაჟის მქონე მფრინავი ვარ, ფრენის საათების დათვლა 3500 საათის შემდეგ შევწყვიტე. ჩემი სერთიფიკატები, რეაქტიულის გარდა, ყველა თვითმფრინავის მართვის უფლებას მაძლევს. ახლა მინდა ცაში უჩვეულო ფენომენის არსებობის შესახებ გითხრათ. ადრე დილით თუ დააკვირდებით, ცაში დიდი რაოდენობით ტრეილების ზოლებს შენიშნავთ. შუადღისთვის კი უკვე მთელი ცა ღრუბლების კვამლითაა დაფარული. ეს სულაც არაა ბუნებრივი მოვლენა. ხელისუფლება ირწმუნება, რომ ეს კონდენსტრეილებია, ანუ ცაში ბილიკები ჰაერის კონდენსირების შედეგია, რაც გარკვეულ სიმაღლეზე ნებისმიერი თვითმფრინავის ფრენის შედეგად ჩნდება. მაგრამ ეს ასე არაა. კონდენსირებული წყალი მალე ქრება, ამას სულ ერ-



თი წუთი ან ოდნავ მეტი დრო სჭირდება ფრენის სიმაღლის შესაბამისად. ამ დროის შემდეგ კონდენსირებული წყლის კვალი აღარსად ჩანს. მაგრამ ზოლები, რომელზეც გესაუბრებით, ცაში მთელი დღის განმავლობაში რჩება, თუ ძალზე ძლიერი ქარი არ გაფანტავს. დროთა განმავლობაში მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება. ამ პრობლემის შესახებ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ველაპარაკე ადამიანებს და, როგორც გაირკვა, ზუსტად იგივე მდგომარეობაა ჩემთვის ცნობილ უკლებლივ ყველა ქვეყანაში, სულ მცირე, 50 მათგანში. სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ადამიანები იქ ნანახ შოკისმომგვრელ ფაქტებს ყვებიან. ამგვარი ზემოქმედების შედეგად ადამიანებს რესპირატორული დაავადებები ემართებათ და ეს უშუალოდ მას შემდეგ ხდება, რაც ისინი თვითმფრინავიდან ნივთიერებების მოფრქვევის რაიონებში მოხვდებიან. ამის გამო ადამიანები ძალზე ღელავენ, მათ მშვენივრად ესმით, რომ ეს ყოველივე ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, არამედ ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზეც.



**ალან ვატი**, ისტორიკოსი, სოციოლოგი:

— რაღაცებს ისე გვაფრქვევენ, როგორც მწერებს და ამას პირდაპირ ჰაერიდან ახორციელებენ თვითმფრინავების დახმარებით. ისინი უბრალო მწერებად მიგვიჩნევენ და მასმედიიდან არავის სურს, ამის შესახებ სიმართლე გვიამბოს. ეს იმიტომ ხდება, რომ თავად მასმედია ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი ბერკეტია.




1968 წლიდან ალიასკას შტატის ქალაქ ფერბენნსში მუშაობს პოკერფლედის კვლევითი ცენტრი. როგორც ცნობილი გახდა, მხოლოდ 1994 წელს აქედან სხვადასხვა ქიმიური რეაგენტებით დატვირთული 250 რაკეტის გაშვება განხორციელდა. ამ ექსპერიმენტების მიზანი იყო, გაეგოთ, როგორ შეიძლება გლობალური კლიმატური ცვლილებების გამოწვევა. 1980 წელს პროექტ „ვატერლოოს" შესრულებისას ამ ცენტრმა გაანადგურა ჩრდილოეთის ნათება, 1983 წლის თებერვალში კი მან გაუშვა ორი ბლექბიორნისა და ორი ნაიკორიონის რაკეტა. ამ რაკეტებმა მაღალ სიმაღლეზე გაუშვეს ბარიუმი და ხელოვნური ღრუბლები შექმნეს. ეს ღრუბლები კანადიდიან ნიუ მეხიკომდე ჩანდა.





**ედვარდ გრიფინი**, მრავალი წიგნისა და დოკუმენტური მასალის ავტორი ქიმტრეილერების თემაზე:

— თვალნათელია, რომ ყველა ჩვენგანის წინააღმდეგ მეთოდური ომი მიმდინარეობს. ამ განადგურებაში ჩვენ მძევლები ვართ. დეპუტატებმა, კონგრესმენებმა და სხვა ადამიანებმა, რომლებმაც ფიცი დადეს, რომ დაიცავენ ადამიანთა კონსტიტუციურ უფლებებს, არა მხოლოდ მშვენივრად იციან იმის შესახებ, რაც ხდება, არამედ აქტიურად მონაწილეობენ ამ ყველაფერში. თითოეული ჩვენგანის უმნიშვნელოვანესი ვალია, დღესვე დავდგეთ საკუთარი თავისა და ჩვენი ახლობლების დასაცავად. ყველამ უნდა იცოდეს, რატომ ირევა ტონობით საწამლავი ჩვენს ნიადაგში, წყალსა და ჰაერში ყოველდღიურად. რატომ იზრდება ასე შემაშფოთებლად ალუმინითა და სხვა მძიმე მეტალებით მოწამვლასთან დაკავშირებული დაავადებების რაოდენობა. ეს არის ომი, რომელიც ყოველი ჩვენგანის წინააღმდეგ მიმდინარეობს და რომელიც, უკვე კარგა ხანია, თითოეულ ჩვენგანს შეეხო. ამიტომაც, ჩვენ არ გვაქვს დუმილის უფლება. მხოლოდ ერთობით შეგვიძლია ამ მკვლელობების შეჩერება ჩვენი შვილების გადასარჩენად. ახლა ისტორიაში კრიტიკული მომენტი დგას. ჩვენ, ადამიანებმა, უნდა გადავწყვიტოთ: ან განვაგრძობთ მუხლებზე დგომასა და მუდმივ შიშში ცხოვრებას მაშინ, როდესაც ვილაცები ყოველდღიურად რაღაც ნივთიერებების მოფრქვევით ჩვენს ხოცვას განაგრძობენ, ან წამოვდგებით და დავიწყებთ ცხოვრებას ისე, როგორც უნდა ცხოვრობდნენ ადამიანები, რომელთაც სამართლიანობა და მშვიდობა სჭირდებათ.



მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ბარიუმის მარილების, პოლიმერული ბოჭკოებისა და სხვა ქიმიური რეაგენტების ნარევი, რომელიც ატმოსფეროში იფრქვევა, შეიძლება იყოს მოულოდნელი და აუხსნელი სისხლდენების, ასთმების, ათასგვარი ალერგიის, პნევმონიის, ზედა სასუნთქი გზების დაავადებების, ართრიტებისა და შაქრიანი დიაბეტის მიზეზი.



**ტომას ვილიამსი**, ჟურნალისტი, ავტორი წიგნისა „ქიმტრეილები":

— ქიმტრეილების მოფრქვევის შემდეგ კანადის სხვადასხვა ქალაქში შეინიშნებოდა გრიპისმაგვარი დაავადების ეპიდემია. ასეთივე დაავადება გავრცელდა მთელი აშშ-ისა და ინგლისის ტერიტორიაზე. მხოლოდ ერთმა საავადმყოფომ ერთ დღეს 307 ავადმყოფი მიიღო. ყველა მათგანს მწვავე სიმპტომები აღენიშნებოდა. ინგლისში დაიქირავეს უამრავი სატვირთო რეფრეჟერატორული მანქანა, რომელთაც გარდაცვლილთა ტრანსპორტირე-



ბისთვის იყენებდნენ. ამის თაობაზე ინფორმაცია BBC-ის არხებით ვრცელდებოდა.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის შეფასებით, ეპიდემია 12 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. ეს იყო გრიპისმაგვარი დაავადების ეპიდემია, რომელსაც პნევმონიის სწრაფი განვითარება ახასიათებდა. წელს სახეზე იყო ზუსტად იმავე დაავადების 19-კვირიანი ეპიდემია. მასმედია ამ დაავადებას გრიპს უწოდებს, მაგრამ მე დღეს აქ იმისთვის ვარ, რომ გითხრათ, ეს არ არის გრიპი.



ჩვეულებრივი გრიპისათვის საჭიროა გარკვეული დრო ადამიანთა პოპულაციაში გავრცელებისათვის, ეს ფსევდოგრიპი კი, პრაქტიკულად, ერთი ღამის განმავლობაში ვრცელდება. არსებობს მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლის შესახებაც მასმედიას სიტყვაც არ დაუძრავს: ნივთიერებათა ძლიერი მოფრქვევა ყოველთვის ემთხვეოდა ეპიდემიების დასაწყისს. ეპიდემიოლოგიის ცენტრის დირექტორი ამბობდა, რომ ეს 4-5 დღის განმავლობაში კლავდა თვით ჯანმრთელ ადამიანებსაც კი.

მე მაქვს იმ ადამიანების ნათესავებისაგან მოწერილი უამრავი წერილი, რომლებიც აბსოლუტური ჯანმრთელობის ფონზე მოულოდნელად პნევმონიით დაავადდნენ და ერთი თვის განმავლობაში გარდაიცვალნენ.



ბარიუმის მარილები ძალზე კარგად გაიწოვება კუჭთოვან ქსოვილსა და საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. ამავე დროს, არ არსებობს არანაირი კლინიკური მაჩვენებელი, რომლებიც ადამიანის ორგანიზმზე ბარიუმის მარილების მცირე დოზებით ხანგრძლივი ზემოქმედების პროცესს გამოავლენდა. ბარიუმის მარილებით ძლიერი მოწამვლის სიმპტომებია ჭარბი ნერწყვდენა, პირის ღრუსა და საჭმლის მომნელებელ სისტემაში წვის შეგრძნება, მუცლის ტკივილი, კოლიტები, ფაღარათი, გულისრევა, მომატებული სისხლის წნევა, მკვეთრად არასწორი პულსირება, ციება, პარალიჩები, სახისა და კიდურების ჩალურჯებები, ჭარბი რაოდენობის ცივი ოფლი, სიარულისა და მეტყველების ფუნქციების მოშლილობა, საერთო სისუსტე, კუნთების, საყლაპავისა და ენის პარალიჩი, ჰაერის უკმარისობა, თავბრუსხვევა, ხმაური ყურებში, მხედველობის დაქვეითება.



გაგრძელება შემდეგ ნომერში

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**როგორც მოსალოდნელი იყო, მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ პეტიციის შესახებ ინფორმაცია მიიღო, რამდენიმე თვის განმავლობაში ჩინოვნიკები აშშ-ის მთავრობასთანაც და ILO-სთანაც კატეგორიულად უარყოფდნენ იმას, რასაც ისინი რეალურად აკეთებენ. მხოლოდ ბოლო რამდენიმე კვირაა, რაც „სიბრაზის“ საფეხურზე გადავიდნენ. ამ სიბრაზის მანიფესტაცია კი იმაში გამოიხატა, რომ მათ გააორმაგეს მშრომელთა უფლებებისა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთადერთი რეფორმირებული პროფკავშირული ორგანიზაციის დანგრევის ძალისხმევა.**

# ვარდისფერი სათვალით დანახული საქართველო

**სააკაშვილის ხელისუფლების ავტორიტარულად მოხსენიება უცხოური პრესისთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა. თუკი ადრე ისინიც ვარდისფერი სათვალით უყურებდნენ ჩვენთან მიმდინარე პროცესებს, ახლა ქართულ პრესას ტოლს არ უდებენ ყოფილი ფავორიტის კრიტიკაში. ამას ადასტურებს THE HUFFINGTON POST-ში გამოქვეყნებული ტიმოთი რაიანის წერილი, რომელმაც გადაწყვიტა ამ გავლენიანი გამოცემის მკითხველისთვის გაეცნო თავისი თვალსაზრისი. აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ავტორი „სოლიდარობის ცენტრის“ აზია/ევროპის პროექტების დირექტორია და მისი მოსაზრებები ანგარიშგასაწევია იმ ადამიანებისთვის, ვინც ჯერ კიდევ აგრძელებს სააკაშვილის მფარველობას.**



**„ჩემს ბავშვობაში, ცივი ომის დროს, ამერიკა ჩვენთვის აბსოლუტური იდეალი იყო“**

*(პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ჩარლი როუზის შოუ, 2011 წლის 11 მარტი)*

მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში 2004 წელს უსისხლო „ვარდების რევოლუციით“ მოვიდა, რევოლუციით, რომელმაც ახალი, დემოკრატიული მისწრაფებების მქონე მთავრობის მოსვლის შესახებ გვამცნო, რომლის მზერაც ევროპისა და ამერიკისკენ იყო მიპყრობილი. ეს როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკაშიც გამოიხატა. 2006-07 წლებში ეკონომიკა მკვეთრად (თუმცა არათანაბრად) გაიზარდა, მაგრამ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს და 2008 წელს დაწყებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამო დაზარალდა. გასული შვიდი წლის განმავლობაში მთავრობა შეეცადა ინვესტიციების მოცულობის გაზრდას, ნორმატიული მოთხოვნებისა და გაბატონებული კორუფციის შეზღუდვას, ის თითქოს პოლიტიკური დემოკრატიისკენაც მიისწრაფვოდა, მაგრამ ვარდი გაუფერულდა.

მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობა საჯაროდ აქებს შეერთებულ შტატებს, ის, როგორც ჩანს, საკუთარ თავს პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით სინგაპურთან აიგივებს, ერთპარტიულ სახელმწიფოსთან, რომელსაც ხელისუფლების დასაბალანსებლად არ გააჩნია დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მისი ოპოზიცია სიმბოლური და არაეფექტურია. **სინამდვილეში მთავრობა მუდმივად ლახავს მშრომელი ქალებისა და მამაკაცების საბაზისო (და ახლახან შეძენილ) დემოკრატიულ უფლებებს.**

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან საქართველო ერთადერთია, რომლის პროფესიული კავშირების ფედერაციამ, სადაც ერთ დროს მთავრობა დომინირებდა, საკუთარი თავის რეფორმირება მოახდინა და შეეცადა, მართლაც დამოუკიდებელი და წარმომადგენლობითი შრომითი ორგანიზაცია გამხდარიყო, თუმცა დემოკრატიის ეს კონკრეტული გამოვლინება, როგორც ჩანს, სააკაშვილის მთავრობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და, პროფკავშირების განადგურების მიზნით, ამ პროცესში ჩარევა დაიწყო.

**ეკონომიკურად საქართველომ, განხორციელებული რეფორმების თვალსაზრისით, შექება დაიმსახურა, თუმცა ამ რეფორმების კურსი მკვეთრად ლიბერტარიანული იყო, რის გამოც ქვეყანა კიდევ უფრო უარეს დღეში ჩავარდა. მან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად გარდაქმნა საკუთარი საინვესტიციო კანონები** (მაგალითად, უცხოური კაპიტალი ილვრება სამშენებლო პროექტებში შავი ზღვის სანაპიროზე)**, მოახდინა კომუნალური მომსახურების პრივატიზება, ისეთის, როგორიცაა ჯანდაცვა** (რამაც ისედაც ცუდი ჯანდაცვის სისტემა კიდევ უფრო გააუარესა) **და განახორციელა შრომითი კანონმდებლობის რეფორმა, რომელმაც დასაქმებულები, ფაქტობრივად, უუფლებოდ დატოვა.**

საქართველოს ძალიან უნდა ევროკავშირში გაწევრიანება, მაგრამ ამავე დროს ის ყოფილ მოკავშირეებში სულ უფრო მეტ გაუცხოებას იწვევს. 21 მარტს „ღია საზოგადოების ინსტიტუტში“ გამართულ სემინარზე, საქართველოს ევროკავშირში მისწრაფების სურვილთან დაკავშირებით, **საქართველოში საფრანგეთის ელჩმა ერიკ ფურნიემ განაცხადა: „ჩვენ არანაირი პროგრესი არ გვაქვს. აქ არის პრობლემები მედიის თავისუფლების მხრივ, მშრომელებისა და პროფესიული კავშირების აბსოლუტური უგულვებელყოფა. ეს ყველაფერი ნეობოლშევიკურ სახელმწიფოს ჰგავს, სადაც არანაირი თავისუფლება არ არის“.**

## ავტორიტარული სახელმწიფო ლიბერტარიანულ სამოსში

**2006 წელს საქართველომ მიიღო დრაკონული შრომის კოდექსი, რამაც პირდაპირ ხელყო მშრომელთა უფლებები. ის მკვეთრად გააკრიტიკა შრომითი კანონმდებლობისა და პოლიტიკის სფეროში გაეროს საექსპერტო სტრუქტურამ „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ“ (ILO International Labor Organization).**

2008 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ მთელი ძალით შეუტია საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციას (GTUC) და ბევრ მის ფილიალს, მათ შორის ყველაზე დიდს — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების თავისუფალ პროფკავშირებს (ESFTUG). პედაგოგთა კავშირი საქართველოს მშრომელთა მოძრაობის ნახევარს შეადგენს. **საჯარო სექტორში** (მაგალითად, რკინიგზა, საავადმყოფოები და სკოლები) **მთავრობა ცდილობს ადამიანების დაშინებას, რათა მათ უარი თქვან პროფკავშირების წევრობაზე, და მათ დაფინანსების წყაროებს უკეტავს.**

ზოგიერთ შემთხვევაში, მთავრობა იმდენად შორს წავიდა, რომ დაბლოკა დაფინანსების ნებაყოფლობითი გადარიცხვა კავშირის წევრების ინდივიდუალური საბანკო ანგარიშებიდან კავშირის ანგარიშზე. ამგვარად ის აკონტროლებს იმას, თუ როგორ ხარჯავენ საკუთარ ფულს ქვეყნის ცალკეული მოქალაქეები. პედაგოგების შემთხვევაში ეს ფული მათი ხელფასია, რომელიც თვეში დაახლოებით 100 დოლარს შეადგენს.

თუმცა ზოგიერთები გაბრუებული არიან მთავრობის აგრესიული რიტორიკით და არ აღიარებენ იმას, რომ ეს ქვეყნის ყველაზე დიდ სამოქალაქო-საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე თავდასხმაა და ეს ეწინააღმდეგება თავისუფლებას, როგორც ეკონომიკურს, ასევე — პოლიტიკურს. მაგალითად, **ამერიკის მწარმოებელთა ინსტიტუტის (American Enterprise Institute) წარმომადგენელმა რიკ ჰესმა 2010 წლის 30 ივნისს საკუთარ ბლოგზე დაწერა: „საქართველო მომხიბლავი ქვეყანაა და მისი გაცნობა ნამდვილად ღირს. განსაკუთრებით რეფორმატორებისთვის საინტერესოა იმის ხილვა, თუ როგორ ამოიწურა რეალურად ლიბერტარიანული მთავრობის მიერ სულ რაღაც ხუთი წლის წინ არჩეული კურსი“.**

## დაცვა საერთაშორისო შეთანხმებების გზით

**მშრომელთა საერთაშორისო მოძრაობა საქართველოს დამოუკიდებელი შრომითი ორგანიზაციების დაცვას სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმებით ცდილობს. საქართველოს პროფკავშირთა კონფედერაციამ მშრომელთა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად საქართველოს მთავრობას უჩივლა.**

ინდუსტრიული ორგანიზაციების მშრომელთა კონგრესის ამერიკულმა ფედერაციამ (AFL-CIO) საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ „პრეფერენციების საერთო სისტემის“ (GSP) საფუძველზე 2010 წელს პეტიცია წარადგინა (GSP სავაჭრო კანონი, რომელიც იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც პატივს სცემენ მშრომელთა საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს, მაგალითად: გაერთიანების თავისუფლებასა და კოლექტიური შეთანხმების უფლების დაცვას, შეერთებულ შტატებში საექსპორტო პროდუქციაზე საბაჟო შეღავათებს აწესებს). აშშ-ის მთავრობამ სიტუაცია საკმაოდ სერიოზულად აღიქვა და საქართველოს მთავრობას აცნობა, რომ ის მიიღებს განხილვისთვის ამ შუამდგომლობას, როგორც კი კონგრესი კანონის ხელახალ ავტორიზაციას მოახდენს (კანონს ახლახან ვადა გაუვიდა საძილე ტომრების იმპორტთან დაკავშირებული დავის გამო).

**AFL-CIO ცდილობს სხვა მექანიზმების გამოყენებასაც. მაგალითად, ამერიკის ფედერალურმა სააგენტომ, „კერძო საგარეო ინვესტიციების კორპორაციამ“ (OPIC Private Investment Corporation) ახლახან მოიწონა 58 მილიონი დოლარის საკრედიტო გარანტიის გაცემა საქართველოში ჰიდროელექტრო პროექტისთვის. OPIC შეზღუდულია საექსპლუატაციო მეთოდებში, რომლებიც შეესაბამება აშშ-ის სტანდარტებს და GSP-ის შრომით სტანდარტებს ქვეყნის დონის შესაბამისად.**

AFL-CIO ამ პროექტის მონიტორინგს ახდენს, რათა დარწმუნდეს იმაში, რომ ეს ღირსეული საკონტრაქტო პირობებია, რომლებიც მშრომელებს მისცემს იმის საშუალებას, რომ განახორციელონ თავიანთი საერთაშორისოდ აღიარებული უფლებები ყველაზე ცოტა ერთ ადგილას, საქართველოში მაინც. ანალოგიურად, **ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია განიხილავს — გააგრძელოს თუ არა შემდეგი მულტიმილიონიანი (დოლარი) „კომპაქტი“ საქართველოს მთავრობისთვის პროექტების გასავითარებლად. მისი ინდიკატორებიც მოითხოვს იმას, რომ მიმღები ქვეყანა იცავდეს ადამიანის შრომის უფლებებს. AFL-CIO დაკავებულია იმით, რომ, ვიდრე ნებისმიერი ახალი „კომპაქტის“ საქმე გადაწყდება, ხელი შეუწყოს კრიტიკული შრომითი რეფორმების განხორციელებას.**

## რეალობის უარყოფის მიღმა

**როდესაც სიტუაცია გამოუვალი ხდება, მთავრობების უმრავლესობა „ელისაბედ კალვერ-როსის „უბედურების ხუთ საფეხურს გადის“: უარყოფა, ბრაზი, მოლაპარაკებები, დეპრესია, აღიარება. მართალია, მთავრობები იშვიათად აღწევენ „აღიარების“ საფეხურს, თუმცა უმრავლესობა საფრთხეს სერიოზულად უდგება. უარყოფისა და ბრაზის ხანმოკლე ფაზების შემდეგ ისინი დაიწყებენ თანამშრომლობას აშშ-ის მთავრობასთან, ორგანიზაციასთან, რომელმაც ამ უკანასკნელს პეტიციით მიმართა. იმ შემთხვევაშიც, თუკი ის, რასაც ისინი აკეთებენ, დიდწილად ცარიელი სიტყვები ან, უბრალოდ, პიარია, ეს მაინც გარკვეული მცდელობაა, „მოლაპარაკებების“ ეტაპს შედარებით სწრაფად უახლოვდებიან.**

როგორც მოსალოდნელი იყო, მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ პეტიციის შესახებ ინფორმაცია მიიღო, რამდენიმე თვის განმავლობაში ჩინოვნიკები აშშ-ის მთავრობასთანაც და ILO-სთანაც კატეგორიულად უარყოფდნენ იმას, რასაც ისინი რეალურად აკეთებენ. მხოლოდ ბოლო რამდენიმე კვირაა, რაც „სიბრაზის“ საფეხურზე გადავიდნენ. ამ სიბრაზის მანიფესტაცია კი იმაში გამოიხატა, რომ **მათ გააორმაგეს მშრომელთა უფლებებისა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთადერთი რეფორმირებული პროფკავშირული ორგანიზაციის დანგრევის ძალისხმევა.**

გადავლენ თუ არა ისინი „მოლაპარაკებების“ საფეხურზე, თუნდაც მხოლოდ პიარისთვის? მართლა შეეცდებიან თუ არა ამ პრობლემის მოგვარებას? 19 მაისი საქართველოს მთავრობისთვის ამ თავდასხმის შესუსტების მორიგი შესაძლებლობაა. განათლების სამინისტრო ცდილობს, პედაგოგთა პროფკავშირების პრეზიდენტის არჩევნები უკანონოდ სცნოს. არადა, ის კანონიერად აირჩიეს შარშან, ოქტომბერში, საერთაშორისო დამკვირვებლების თანდასწრებით და დემოკრატიული პროცედურების დაცვით. სასამართლო პროცესმა შეიძლება განათლების სამინისტროს ჩინოვნიკს ამ თანამდებობის დაკავებისა და ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროფკავშირული ორგანიზაციის კონტროლის შესაძლებლობა მისცეს. შესაბამისად, პროფკავშირებზე საბჭოთა სტილის სამთავრობო გავლენა აღდგება.

**ნუთუ „ვარდების რევოლუციის“ მიზანი ამ ანტიდემოკრატიულ, ავტორიტარულ დიქტატთან ბრძოლა არ იყო?** და თუკი ამერიკა „აბსოლუტური იდეალია“, როგორც ამას პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, უნდა მიბაძოს თუ არა საქართველოს მთავრობამ სინგაპურის კონტროლირებულ ეკონომიკასა და საზოგადოებას?

**ტიმოთი რაიანი,**
**აზია/ევროპის პროექტების დირექტორი „სოლიდარობის ცენტრში“, რომელიც საქართველოში პროგრამებს ახორციელებს და მსოფლიოში მშრომელებს დემოკრატიული კავშირების მშენებლობასა და მშრომელთა უფლებების მხარდაჭერაში ეხმარება, ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.**

**THE HUFFINGTON POST**
**18 მაისი, 2011 წელი**

დღეისათვის ინგლისური ენა სახელმწიფო ენის სახით მსოფლიოს ყველა ქვეყნის ერთ მესამედ ნაწილშია გაბატონებული. ამ რეალობას შემდგომი გაფართოების ტენდენცია ახასიათებს, ანუ ახლო პერსპექტივაში ეს ბევრ სხვა ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც, ემუქრება.

ფოსტა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ენობრივი აგრესია

## აშშ ყველა მზაკვრულ ხერხსა და საშუალებას იყენებს, რათა თავისი ეგოისტური ინტერესებით განახორციელოს მსოფლიოს გლობალიზება-გაერთიანების ვერაგული დოქტრინა

**მსოფლიოში 200-ზე მეტი ქვეყანაა და აქედან 100-ზე მეტს სახელმწიფო ენად არა მშობლიური, აბორიგენული, არამედ უცხო ქვეყნის ენა აქვს თავსმოხვეული. ბუნებრივია, მკითხველი იტყვის: საქართველოს სახელმწიფო ენა ქართული უნდა იყოს, სომხეთის — სომხური, საფრანგეთის — ფრანგული, თურქეთის — თურქული და ა.შ. ჩამოთვლილ და ბევრ სხვა ქვეყანაში მართლაც ასეა, მაგრამ მრავლადაა ისეთი სახელმწიფოც, განსაკუთრებით აფრიკაში, ამერიკის კონტინენტზე, აზიასა და ავსტრალია-ოკეანეთში, რომლებშიც სახელმწიფო ენად დაკანონებულია სრულიად სხვა ენები — კერძოდ, ინგლისური, ფრანგული, ესპანური და სხვ. ყოველივე ეს ისტორიულმა ქარტეხილებმა, განსაკუთრებით კი იმპერიალისტთა კოლონიურმა პოლიტიკამ, განაპირობა.**

გივი გურეშიძე



ინგლისური ენა, გარდა საკუთრივ ინგლისისა, სახელმწიფო ენის სტატუსით კიდევ მსოფლიოს ერთ მესამედზე – 68 ქვეყანაშია დაკანონებული, მათ შორის 12 ქვეყანაში — ადგილობრივ ხალხთა ენებთან ერთად. მაგალითად, ინდოეთის შესახებ შესაბამის წყაროში ვკითხულობთ: **„ინდოეთის სახელმწიფო ენად ჰინდი ენასთან ერთად ინგლისური ენაცაა დაკანონებული“** (იხ. „მთელი მსოფლიოს ქვეყნები – ენციკლოპედიური ცნობარი“; მინსკი, ჰარვესტი, მოსკოვი, 2001 წ., გვ. 212, რუსულად). **როგორც ვხედავთ, ანგლო-საქსებმა თავიანთი ენა დიდ ინდოელ ხალხს სახელმწიფო ენად მოახვიეს თავს და ჩვენ, პატარა ხალხს – ქართველებს, რა ხეირს დაგვაყრის? დიდი სიფრთხილე გვმართებს, ეს უბედურება თავიდან რომ ავიცილოთ.**

ზემოთ აღნიშნულ და სხვა ენციკლოპედიურ ცნობარებში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით ვეცნობით, რომ ინგლისური ენა ერთადერთ სახელმწიფო ენად დაკანონებულია აფრიკის ისეთ მოზრდილ და დღეს დამოუკიდებლად აღიარებულ ქვეყნებში, როგორიცაა: ტანზანია, ზიმბაბვე, უგანდა, ლიბერია, ზამბია, მავრიკია, ბოსტვანა, ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა და ბევრი სხვა. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან გამორჩეულია ნიგერია, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობით – 135 მილიონ 560 ათასი – პირველ ადგილზეა აფრიკაში. ნიგერიაში რამდენიმე ეთნიკური ჯგუფის მოსახლეობაა, რომელთაგან მრავალრიცხოვნებით გამოირჩევიან ჰაუსა (26 მილიონი), იორუბა (21 მილიონი) და იგბო (17 მილიონი). მიუხედავად ასეთი დიდი რიცხოვნებისა, ნიგერიის ამ ხალხთა ენებმა ვერ მოიპოვეს სახელმწიფო ენების სტატუსი და ისეთივე სალაპარაკო ენებად რჩებიან, როგორც მეგრული ან სვანური საქართველოში. ძნელი სათქმელია, მიაღწევენ თუ არა ნიგერიის აღნიშნული ეთნიკური ჯგუფები, რომ ახლო მომავალში თავიანთი ენები თავიანთი ქვეყნების სახელმწიფო ენებად აქციონ.

**აფრიკაში გამონაკლისი მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაა. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ინგლისის ამ ყოფილ კოლონიაში, რომელსაც სათავეში ცნობილი პატრიოტი ნელსონ მანდელა ედგა, ხალხმა გადააგდო ინგლისელებისგან თავსმოხვეული აპარტეიდის რასისტული რეჟიმი და დამოუკიდებლობას მიაღწია. თუ ადრე ამ ქვეყანაში სახელმწიფო ენად მხოლოდ ინგლისური ითვლებოდა, დღეს ინგლისურის თანაბრად სახელმწიფო ენის აღიარება კიდევ 12 ეთნიკური ჯგუფის მრავალმილიონიანმა ადგილობრივმა მოსახლეობამაც მოიპოვა; ესენია: სესოტო, კოსა, ზული, ლებოა, სისკატი და სხვები.**

აზიის ქვეყნებიდან ინგლისური ენა სახელმწიფო ენად დაკანონებულია სინგაპურში, ბრუნეიში და, როგორც ზემოდ ითქვა, ინდოეთში.

ამერიკის კონტინენტზე ინგლისურ ენას გაბატონებული სახელმწიფო ენის სტატუსი მინიჭებული აქვს: აშშ-ში, კანადაში, იამაიკაში, გრენადაში, ბელიზში, დომინიკის რესპუბლიკაში, ბაგამისა და ბერმუდის კუნძულოვან სახელმწიფოებში და სხვ.

ავსტრალია-ოკეანეთის 17 სახელმწიფოს სამუშაო ენად ასევე ინგლისურია დაკანონებული. კერძოდ: ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, პაპუა – ახალ გვინეაში, მიკრონეზიაში, ფიჯის რესპუბლიკაში და სხვ.

ევროპის ქვეყნებიდან ინგლისური ენა სახელმწიფო ენად აღიარებულია ირლანდიაში, გიბრალტარში, მალტაში და, რა თქმა უნდა, დიდ ბრიტანეთში.

როგორც უკვე ითქვა, **დღეისათვის ინგლისური ენა სახელმწიფო ენის სახით მსოფლიოს ყველა ქვეყნის ერთ მესამედ ნაწილშია გაბატონებული. ამ რეალობას შემდგომი გაფართოების ტენდენცია ახასიათებს, ანუ ახლო პერსპექტივაში ეს ბევრ სხვა ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც, ემუქრება.**

ინგლისური ენის შემდეგ სახელმწიფო ენის რანგში რიცხოვნებით მეორე ადგილზე ფრანგული ენაა, ძირითადად, საფრანგეთის ყოფილ კოლონიებში, რომლებიც დღეს დამოუკიდებელი ქვეყნებია; კერძოდ: **სენეგალი, ჩადი, რუანდა, მალი, ნიგერი, მაგადასკარი, მავრიტანია, კოტ-დიუარი (ყოფილი სპილოს ძვლის ნაპირი), კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა** და სხვ.

**მთელ რიგ ქვეყნებში, მაგალითად, კანადაში, კამერუნში და სხვ. — ფრანგული სახელმწიფო ენად ინგლისურ ენასთან ერთადაა დაკანონებული.** ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა **მონაკო, ლუქსემბურგი, შვეიცარია** და **ბელგია** ფრანგული ენა სახელმწიფო ენად ითვლება სხვა ენების თანაბრად. **სულ, საფრანგეთის ჩათვლით, ფრანგული ენა სახელმწიფო ენის სახით მსოფლიოს 30 ქვეყანაში მუშაობს.**

მესამე ადგილს სახელმწიფო ენის რიცხოვნებით არაბული ენა იკავებს, რომელიც სახელმწიფო ენის სტატუსით აფრიკა-აზიის 23 ქვეყანაში მუშაობს. კერძოდ: **ალჟირში, მაროკოში, ტუნისში, ლიბიაში, ეგვიპტეში, იორდანიაში, საუდის არაბეთში** და სხვ. აზია-აფრიკის 5 ქვეყანაში – **ისრაელში, ჩადში, ერიტრეაში, სომალსა** და **ჯიბუტში** არაბული ენა სახელმწიფო ენის როლში სხვა ენებთან ერთად გამოდის.

**მეოთხე ადგილზე ესპანური ენაა, რომელიც სახელმწიფო ენის სახით მსოფლიოს 23 ქვეყანაში მუშაობას:** ევროპაში — საკუთრივ **ესპანეთში, აფრიკაში — ეკვატორიულ გვინეაში.** ყველა დანარჩენი ქვეყანა ამერიკის კონტინენტზეა (**მექსიკა, გვატემალა, ვენესუელა, პანამა, კუბა, ეკვადორი, პარაგვაი, ურუგვაი, ბოლივია, კოლუმბია, ჩილე, არგენტინა** და სხვ.).

**პორტუგალიური და გერმანული ენები სახელმწიფო ენათა სახით 7 ქვეყანაში გამოიყენება, უპირატესად — სხვა სახელმწიფო ენათა გვერდით. ასევე, სხვა სახელმწიფო ენებთან ერთად, ჰოლანდიური ენა 5 ქვეყანაშია, ხოლო იტალიური – 4 ქვეყანაში.**

ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო ენებიდან დღეს ყველაზე მეტად მხოლოდ ინგლისური ენა მძლავრობს, რაც, პირველ რიგში, ინგლისურენოვანი აშშ-ის აშკარა აგრესიული ქმედებებით აიხსნება. **აშშ ყველა მზაკვრულ ხერხსა და საშუალებას იყენებს, რათა თავისი გემოვნებით, თავისი ეგოისტური ინტერესებით განახორციელოს მსოფლიოს გლობალიზება-გაერთიანების ვერაგული დოქტრინა. ბუნებრივია, მიზნის მისაღწევად აშშ ენობრივ აგრესიასაც აქტიურად იყენებს.** თუ არსებულ პროცესებს იგი კვლავაც გააღრმავებს, 10-15 წლის შემდეგ ინგლისური ენა სახელმწიფო ენად კიდევ ბევრ ქვეყანას მოევლინება. ამ მიმართულებით საშიში ტენდენცია საქართველოსაც ემუქრება, რამეთუ მისი დღევანდელი ხელისუფალნი, ამერიკული დოლარებით მოსყიდულნი, ანგლო-საქსი ბატონების საამებლად აქტიურად ატარებენ ანტიქართულ და პროამერიკულ პოლიტიკას.

ანგლო-საქსები სხვისი ხელით ნარის გლეჯის დიდოსტატები რომ არიან, ეს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან არის ცნობილი. ასეთ პოლიტიკას ისინი დღეს კიდევ უფრო აქტიურად იყენებენ. აკი მოგებული თვითონ დარჩნენ, როცა 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილს ცხინვალში ომისკენ უბიძგეს. **სწორედ ანგლო-საქსებმა ჩამოაქვეითეს საქართველო განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყნიდან განვითარებად ქვეყნამდე და არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქართული სახელმწიფო ენა, უბრალოდ, მარტო სალაპარაკო ენამდე ჩამოგვიქვეითონ, ხოლო ინგლისური სახელმწიფო ენად გაგვიხადონ.**

ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, ღირსების შელახვად უნდა მივიჩნიოთ მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელი განცხადება ინგლისური ენის ცოდნისთვის მასწავლებლებისთვის ხელფასზე 100-200-ლარიანი გასამრჯელოს დამატების შესახებ. გამოდის, რომ **მათემატიკის თუ ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელიც საშუალო დონეზე ფლობს სასკოლო საგანს, მაგრამ სანაცვლოდ ინგლისური ენა კარგად იცის, ხელფასზე სოლიდურ დანამატს მიიღებს, ხოლო მათემატიკის ის მასწავლებელი, რომელიც საგანს შესანიშნავად ფლობს და აღიარებულია საზოგადოებაში როგორც ცნობადი სახე, ხელფასზე დანამატს ვერ მიიღებს, რამეთუ „საუბედუროდ“ ინგლისური ენა არ იცის.**

**მსგავსი სიბეცე და დანაშაულებრივი პრაქტიკა სოციალიზმის წლებში თავში არავის მოუვიდოდა; რუსული ენის ცოდნისთვის მათემატიკის, ისტორიის თუ ქიმიის მასწავლებელს ხელფასზე დანამატს არავინ მისცემდა.** მე ქუთაისში, ხოლო ჩემს კოლეგა პედაგოგ-ლექტორს მოსკოვში ერთნაირი საგანაკვეთო დატვირთვის შესრულებისთვის აბსოლუტურად ერთნაირი ხელფასი გვეძლეოდა; ამაში პრაქტიკულად დავრწმუნდი, როცა მოსკოვში კვალიფიკაციის კურსები გავიარე. ხაზგასმით უნდა განვაცხადო: **სააკაშვილის ძალისხმევა — ინგლისური ენის ცოდნისთვის ხელფასზე დანამატი დაუწესოს მასწავლებლებს; სკოლებში პირველივე კლასიდან შემოიღოს ინგლისური ენის სწავლება; ათასობით ინგლისურენოვანი მასწავლებელი მოიზიდოს აშშ-დან, ინგლისიდან, კანადიდან თუ სხვა ქვეყნებიდან – სხვა არაფერია, თუ არა მიზანი ინგლისური ენა ახლო მომავალში სახელმწიფო ენად გვიქციოს, ხოლო ჩვენი ქართული თამაშგარე მდგომარეობაში ჩაგვიყენოს.** აღნიშნულ საშიშროებას აშკარად ვხედავ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ ამ საშინელების თავიდან ასაცილებლად. უყოყმანოდ უნდა დავეთანხმოთ ცნობილ მეცნიერს, პედაგოგიკური აზროვნების მესაჭეს, ბატონ ლევან ჩიქვანაიას, რომელმაც სულ ახლახან მეცნიერული არგუმენტით დაგმო პირველ კლასში 6 წლის ბავშვებისთვის უცხო ენის სწავლების შემოღება (იხ. „ასავალ-დასავალი“ №18).

უბედურება ისიცაა, რომ **იმ ათასობით ინგლისურენოვან მასწავლებელთა შორის მრავლად შეიძლება მოვიძიოთ შემთხვევითი პირები, დღევანდელი მუსიე ბობრე** (გაიხსენეთ რუსი ჭაბუკის – გრინიოვის ფრანგული ენის მასწავლებელი, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ პარიკმახერი იყო და ა. პუშკინმა რომ ამხილა მოთხრობაში „კაპიტნის ქალიშვილი“). **ეს კიდევ არაფერი — ჩამოსულ ვაიმასწავლებლებს შორის მორალურად გახრწნილებიც მოიძებნებიან, ვინმე ფლეთჩერის მსგავსი.**

**უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ქართული ენა ათმაგად უფრო დანაგვიანდა, ვიდრე 200 წლის მანძილზე — რუსეთთან ურთიერთობით. დღეს უცხო სიტყვები, უპირატესად ინგლისური, გვიტევს სარეკლამო წარწერებიდან, ტელეეკრანებიდან, პრესის ფურცლებიდან და ა.შ**. არადა, ჩვენი ენა ისეთი მდიდარია, რომ ყველა უცხო სიტყვას მოეძებნება შესატყვისი.

**სააკაშვილს რომ დავაცადოთ, სამხრეთ აფრიკიდან მართლაც ჩამოასახლებს თავისი ცოლოურის წინაპარ ბურებს, რომლებიც დღეს ინგლისურენოვნები არიან. ბურები პლუს ე. წ. თურქი მესხები, პლუს თურქები, არაბები თუ ჩრდილოკავკასიელები, სხვა ჯურის ხალხები, რომლებიც ნამდვილად რომ გადააჯიშებენ ჩვენს ერსა და ქვეყანას და ქართველთა ხვედრითი წილი მთელი მოსახლეობის ჯამში 30-40 პროცენტამდე ჩამოქვეითდება.** აი, საით მიჰყავთ პროცესები ქართველი ხალხის მტრებს და მათ ერთგულ მსახურს — სააკაშვილს. ეს მოსალოდნელი უბედურება რაც შეიძლება მალე უნდა შევაკავოთ და ავლაგმოთ. ქართველმა ხალხმა სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს ჭეშმარიტად ბრძნული, ჭეშმარიტად ეროვნულ-პატრიოტული რჩევები, სულ ახლახან თავის სააღდგომო ეპისტოლეში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ რომ გააჟღერა.

სააკაშვილი კი, რომელმაც საქართველოს გარდასახვა ამერიკა-დასავლეთის ნეოკოლონიურ ქვეყნად წარმატებით დააგვირგვინა, საერთო-სახალხო ძალისხმევით ხელისუფლებას რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოვაცილოთ.

მე, ისტორიკოს-პოლიტოლოგი, 82-ე წელში გადამდგარი, მივმართავ მრავალ ჭირვარამგამოვლილი ქვეყნის პრეზიდენტს:

**რა გეშადრევან-გეატრაქციონ-გეციგურება, ბატონო მიხეილ სააკაშვილო; ნუთუ არ იტანჯებით, ლომის წილი რომ შეიტანეთ აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონისა და კიდევ 130-მდე ქართული სოფლის დაკარგვაში, მრავალი დედის, მეუღლის, ბავშვის დამწუხრებაში?! გადადექით და ამით მწვანე გზა მოგვეცემა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისთვის, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისთვის, ქართული ენის ღირსების შენარჩუნება-დაცვისთვის. თქვენ კი უმუშევრად არ დაგტოვებთ; საწმყსოდ თქვენივე ინიციატივით შექმნილ „ოკუპაციის მუზეუმს“ ჩაგაბარებთ...**

**გივი გურეშიძე,**
პოლიტოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ქ. ქუთაისი

საქართველო და მსოფლიო
ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**პრეზიდენტად ისეთი იშვიათი ეგზემპლარი გავაჩალიჩეთ, რომ თქვენც კი გაგიკვირდებათ, უვერაგესო გარყვნილებავ! მისი მთავრობის თათბირების მაყურებელი მთელი საქართველო დაშოკილია. ხან მშენებარე სახლის სახურავზე სხედან, ხან — მინდორში, ხან ტბის და ხან ზღვის პირას; გამოქვაბულშიც ჩაატარა სხდომა, მაგრამ შენ იმით გაგასწრო, რომ იმ სხდომებზე არავის არ ალაპარაკებს. სანამ ტელევიზიით იღებენ, უამრავ აბდაუბდას ლაპარაკობს და მთავრობის წევრებიც რობოტებივით სხედან, რათა ბოლოს ტაში დააქუხონ. ამ ტელეშოუს შემდეგ დიდი ფაცხაფუცხი აქვთ, რათა შემდეგ თათბირზე დროულად წამოსხდნენ. ის კი აგინებს რუსეთს და დასდევს მის მსგავს სულგაყიდულთა ხროვა.**

**სიზმრის მოყოლას არ ვაპირებ; შეიძლება გამოცხადებაა, რომელიც ძილქუშში მყოფი ქართველი ერის გამოფხიზლების მცდელობას შეუწყობს ხელს, რაც დროულად უნდა მოხდეს, რამეთუ ყოველი დღე ახალ-ახალი უბედურების მომტანია, რომელსაც ღალატის ბაცილაშეყრილი ერი მოსპობისკენ მიჰყავს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ქართველებში გათითოკაცებამ, ქვეყნის ბედ-იღბალზე ზრუნვის ნაცვლად ქონების დაგროვების ველურმა ჟინმა იმძლავრა.**

# ქაჯთა გნიასი

**ადამიანებს ავიწყდებათ ან იციან და სულაც არ აშფოთებთ, რომ მოხვეჭას, გაუმაძღრობას, ვერაგობას, ღალატს, კარიერიზმს, ცილისწამებას, ჩაგვრას, მეზობლის, საკუთარი ქვეყნის ადამიანთა ექსპლუატაციას, ძარცვასა და დამათხოვრებას შენი სამშობლო დაკნინების, დაცემის, დაბეჩავების, და ბოლოს, მოსპობისკენ მიჰყავს. სამშობლოს სიყვარული ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოები, მკერდზე მუშტის ბრაგუნით ბოლომდე გამოცლილი დიდი ყანწი კი არა, სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაღვრილი ოფლი და სისხლია. ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ იმაზე მეტის მოხვეჭა, რაც მას სჭირდება, მხოლოდ უბედურების მომტანია.**

**კაცობრიობა სიკეთისა და ადამიანთა ბედნიერი ცხოვრებისკენ მიდის, მაგრამ რაც უფრო ღრმავდება ეს პროცესი, სატანური ბოროტება და გამხეცებაც ინილბება, ვითარდება, ცხოვრებას ეგუება და, როგორც შესაფერისი პირობები შეექმნება, ისეთ ბოროტების ქარბუქს დაატრიალებს, რომ ყველა ადრინდელ საშინელებას გაახუნებს. ამიტომ კაცობრიობა მუდამ ფხიზლად უნდა იყოს, რათა სატანამ ადამიანობა მხეცობით არ დაამცროს.**

**ამჟამად კი ბელზებელი ძალიან კარგ ხასიათზე იყო. ის ცულით გაჩორკნილ მაგიდასთან იჯდა დაბალჭერიან გამოქვაბულში. მოშორებით, უზარმაზარ ორმოში კუპრი დუღდა, რომელშიც ადამიანის მსგავსი არსებანი დასახრჩობად განწირულებივით ფართხალებდნენ. ზოგი ახერხებდა მდუღარე კუპრიდან მხრებამდე ამოწევას, რათა მცირედი შვება ეგრძნო, მაგრამ ნაპირზე მდგარი რქებჩლიქიან-კუდიანი ეშმაკები ორკაპა ჯოხებით თავზე აწვებოდნენ და ისევ აყვინთვინებდნენ ადუღებულ კუპრში.**

**ბელზებელმა ჩლიქი ჩლიქს შემოჰკრა და მაშინვე გამოეჭიმა დაცვის ეშმაკი.**

— შემოვიდნენ! — **ბრძანა და რიგში ჩამდგარი კუდიანები ჯერ-ჯერით შემოუსხდნენ გაჩორკნილ მაგიდას.**

— ყველამ შემომხედეთ და ნამუსის ძარღვი შეიმოწმეთ, ხომ არ გაგიჩნდათ რომელიმეს უამრავ ადამიანთან ბოდიალში! — **ბრძანა.**

**აფუსფუსდნენ, აჭყვლიპინდნენ, ცოტათი განაწყენდნენ კიდეც. ერთი ფეხზე ადგა და მოწიწებით მოახსენა: — თქვენო უწმინდურ, უბოროტეს, უვერაგესო გარყვნილებავ! სადაც ჩვენი მოქმედების სფერო ვრცელდება, ყველგან ვამრავლებთ სიძულვილს, სიცრუეს, ძალადობას, შურს, ღვარძლს, მტრობას, ღალატს, სიკეთის და სიყვარულის მოშთობას. შენი ლოცვა-კურთხევით აღჭურვილნი დედამიწაზე ვანადგურებთ ადამიანურ სიკეთეს და კეთილდღეობას. ხელს ვუწყობთ გამდიდრებისა და მოხვეჭის გაუმაძღრობაშეყრილთა დაწინაურებას თავისი ქვეყნისა და ერის მოღალატეთა ხელმძღვანელ პოსტებზე.**

— ძალიან კარგია, მაგრამ ადამიანებმა არ უნდა გაიგონ, რომ მათმა ხელმძღვანელებმა სული მე მომყიდეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჯერ გამარჯვებულები არა ვართ და არც ხალხია მთლად დაბეჩავებული, მე რომ ძილქუში შევყარე. ახლა მომახსენეთ, რა მდგომარეობაა თქვენი მოქმედების ზონებში, — **ბელზებელი ჩლიქებით დაეყრდნო მაგიდას და შეკრების მონაწილეებს მიაჩერდა.**

— ამერიკის შეერთებულ შტატებს რომ ეძახიან, ხომ იცით; მაგრად მიდის იქ ჩვენი საქმეები, — **ფეხზე ადგომით მოახსენა ყველაზე ახალგაზრდა და გრძელკუდიანმა ეშმაკმა. ბელზებელმაც სიამოვნებით ცქვიტა ყურები.** — რომელი ქვეყანაც არ მოსწონთ, დემოკრატიის დამცველთა ნიღბით, სულ ქარბუქს ატრიალებენ იმათთან. ქალის ქალზე და კაცის კაცზე ქორწინებამაც მაგრად მოიკიდა ფეხი. ასეთებს ლესბოსელებს, მამათმავლებს, პედერასტებს და ათას ოხრობას ეძახიან. თანაც ამ გარყვნილებას სხვა ქვეყნებშიც ამრავლებენ, რომ პატიოსნებას, სინდისსა და ნამუსს კუდით ქვა ასროლინონ. თუ სწრაფი ტემპით გაგრძელდა ასე, ადამიანები აღარ დაიბადებიან და მსოფლიო ჩვენ დაგვრჩება!

— რა კარგია! — **ბელზებელმა გაიხარა.**

— ევროპაშიც ეგრეა, უწმინდურო, უბოროტესო, უვერაგესო გარყვნილებავ! ერთი მეტიჩარა ბალანდაწნული და გამოპრანჭული ეშმაკი ფეხზე წამოდგა.

— კიდევ რა ხდება თქვენთან საყურადღებო? — **ბელზებელმა კმაყოფილებით შეხედა მეტიჩარას.**



— თოფიანები რომ შეიყარნენ ერთად და ნატო დაირქვეს, ამერიკელთ კუდები, ახლა ლიბიას ბომბავენ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის საბაბით და ანადგურებენ მშვიდობას.

— ვახახააა! — **ბელზებელი სიამოვნებით ახარხარდა და სხვებიც აჰყვნენ.**

— შენ რაღაც ენერგიულად არ ხარხარებ! — **ბელზებელი წითურ, აყლაყუდა რქამოტეხილ ეშმაკს მიაჩერდა.**

— მთლად საზეიმოდ არა მაქვს საქმე, დიდო გარყვნილებავ! რუსეთის დაშლას რომ ვგეგმავდით, არ ხერხდება; პირიქით, თანდათან ძლიერდება და ფეხზე მყარად დგას. ლესბოსელები, პედერასტები და ყველა ჯურის გარყვნილები იქაც ჩავთესლეთ, მაგრამ მართლმადიდებლური ეკლესია იმათ გასაქანს არ აძლევს. საბჭოთა კავშირი ნაციონალიზმის, სეპარატიზმის, შოვინიზმის, მომხვეჭელობის, ეგოიზმისა და ათასი ვერაგობის გაღვივებით დავშალეთ, მაგრამ ახლა თანდათან გონს მოდიან და მათ შორის შეიძლება სიყვარულმა ისევ იმძლავროს და მაშინ ვაი სიძულვილს და ბოროტებას! ბელორუსია ხომ ძველებურად ჩახუტებულია რუსეთთან. უკრაინაშიც გაქარბუქდა ჩვენი გამარჯვება და ისევ დაუმეგობრდნენ რუსეთს; მთელი შუა აზიაც ხომ მასთან სამეგობროდ იწევს...

— რა ხდება, რამ დაგადუნათ ეგრე?! — **იყვირა ბელზებელმა და რქამოტეხილ ეშმაკს ჩლიქი დაუქნია.**

— სამაგიეროდ, თქვენო გარყვნილებავ! თქვენგან მოძულებულ საქართველოში დიდ წარმატებას მივაღწიეთ; იქ შენი იდეების ზეიმია! — **სცადა თავის გამართლება წითურმა ეშმაკმა.**

— საქართველოში სიმუხთლის, სიცრუის, ბოროტების, ღალატისა და გარყვნილების ზეიმი ჩემი დამსახურებაა. — **სკამიდან წამოხტა შავტუხა, კუზიანი, კოჭლი, თვალებდაფანტული და პირვიწრო ეშმაკი,** — შენ ისიც ვერ შეძელი, რომ რუსებისთვის ქართველები შეგეძულებინა; სულ იმას გაიძახიან, ქართველები ჩვენი განუყრელი, ერთმორწმუნე ძმები არიანო! — **კუზიანმა ეშმაკმა მთელი ღვარძლი რქამოტეხილზე დაანთხია.**

— შე ბებერო მეტიჩარა, ტრაბახიც და ტყუილიც კარგად გეხერხება. შე ოხერო, რაც ქართველი ერი არსებობს, მისი მოსპობის საქმე გაბარია და მუდამ ჩასვრილი გამოდიხარ. ახლა ისეთი რა ხდება, ასე ტრაბახით რომ იკლებ აქაურობას?! — **ბელზებელმა შეუტია გათავხედებულ კუზიანს.**

— რაც აქამდე სირცხვილი მაჭამეს, სულ ახლა უნდა ამოვაბალღამო ქართველებს; ისეთი ჭირი შევყარე, ველარასოდეს გამოკეთდებიან.

— მიდი, ჩამოკაკლე, რას მიაღწიე!

— ადრე თეთრ მელად მონათლული შენი თაყვანისმცემელი რომ დავასვით ქართველებს თავზე, ისეთ ბოროტებას, ღალატს, თვალთმაქცობასა და რბევას ჩაუყარა საფუძველი, რომ აყვავებულ და განვითარებულ საქართველოში ნგრევა და გაპარტახება დაიწყო. ახლა ის უკვე ბებერი მელაა და თავისი მოღვაწეობის შესახებ ტრაბახით იკლებს იქაურობას. მის ადგილზე კი მასზე უარესი მის გამოზრდილთა მთელი ხროვა მოვიდა და საქართველოს კიდეც უგებენ ანდერძს. ყველაფერი გაყიდეს, მიითვისეს და გააჩუქეს. საქართველოს დაქუცმაცება შენ რომ გინდოდა, ისინი ისეთი წარმატებით აკეთებენ, მეც კი მიკვირს. ქუთაისსა და ბათუმში ამზადებენ სეპარატიზმის ბუდეებს; მერე კი მშვიდობით, ქართველთა არსებობავ.

პრეზიდენტად ისეთი იშვიათი ეგზემპლარი გავაჩალიჩეთ, რომ თქვენც კი გაგიკვირდებათ, უვერაგესო გარყვნილებავ! მისი მთავრობის თათბირების მაყურებელი მთელი საქართველო დაშოკილია. ხან მშენებარე სახლის სახურავზე სხედან, ხან — მინდორში, ხან ტბის და ხან ზღვის პირას; გამოქვაბულშიც ჩაატარა სხდომა, მაგრამ შენ იმით გაგასწრო, რომ იმ სხდომებზე არავის არ ალაპარაკებს. სანამ ტელევიზიით იღებენ, უამრავ აბდაუბდას ლაპარაკობს და მთავრობის წევრებიც რობოტებივით სხედან, რათა ბოლოს ტაში დააქუხონ. ამ ტელეშოუს შემდეგ დიდი ფაცხაფუცხი აქვთ, რათა შემდეგ თათბირზე დროულად წამოსხდნენ. ის კი აგინებს რუსეთს და დასდევს მის მსგავს სულგაყიდულთა ხროვა.

— შედეგი რა არის?

— შედეგი ქართველი ერის გაბითურებაა.

**ბელზებელმა რისხვით შეხედა:**

— მეტიჩრებს ვერ ვიტან! სად არის ახლა ის აკარაკი, თქვენ პრეზიდენტს რომ ეძახით? მაგის წყალობით შეიძლება ქართველი ხალხი ძილქუშიდან ისე გამოვიდეს, რომ ეშმაკის ნაშიერთაგან რქები და ჩლიქებიღა დატოვონ. მე სულ იმას გეუბნებით, რომ თავი არ გაამჟღავნოთ. თქვენ ერისკაცების სახით ხელისუფლებაში შემძვრალი სატანის ნაშიერები ხართ და ამის გამჟღავნება არაფრით არ შეიძლება, რამეთუ ეს ჩვენი როკვის დასასრული იქნება; ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ამ ბოლო დროს ქართველებში ძილქუშიდან გამოსვლის პროცესი შეინიშნება და შეიძლება ჩემი მაგიაც კი აღარ ეყოს შესაკავებლად.

**ბელზებელი კარგა ხანს დუმდა, ღრმა ფიქრებში გაბლანდული.**

— ქართველებში ჩემი მაგია მეტ-ნაკლებად ჭრიდა; ღალატიც გვარიანად ვახარე. ერთმანეთთან ომი, შუღლი და მტრობა ჩემმა ლეკვებმა თესეს, რის შედეგადაც საქართველოს ხშირად ვაკნინებდი. ისეთი დროც ყოფილა, როდესაც მის მოსპობას აღარაფერი აკლდა, მაგრამ ეს დაწყევლილი უფლისმიერი სიკეთით ნაკურთხი მამულიშვილები დროულად მოევლინებოდნენ ხოლმე ამ ჩემგან გატანჯულ, კაცთმოყვარე და შეუპოვარ ერს (ბელზებელს ისედაც დაჭმუჭნილი სიფათი საშინლად დაეღმიჭა). რომ მეგონა, მათ ველარაფერი გადაარჩენდა, უფალმა დავით აღმაშენებელი მოუვლინა ჩემი გულის გასახეთქად, ბოროტების ნაცოდვილარი სულ გამიქარბუქა, — **ამოიკვნესა ბელზებელმა.** — მე მაინც არ მოვისვენე და კვლავ დავაკნინე. ახლა გამოჩნდა ცოტნე დადიანი და ისეთი გმირობა ჩაიდინა, რომ მთელ ქართველ ერს სიამაყით ავსებს და ჩემი მაგიის შხამს ახლაც კი უკარგავს ძალას. ახლა ის დიმიტრი თავდადებული, ჩემი ლეკვის — უტლუ ბუღის დასმენით კი მოვასპობინე, მაგრამ რა, ერის უკვდავების კვარცხლბეკზე მისი ხსოვნა დღესაც სიამაყის გრძნობით ავსებს ქართველთა სულს. ახლა იმ გიორგი ბრწყინვალემ მომიშალა ნერვები, მაგრამ მაგრად ჩავნერგე ფეოდალებსა და ბაგრატიონთა ულირს შთამომავლებში სეპარატიზმი; და- ▶

მოკლედ

## ბენ ლადენის შემცვლელი აირჩიეს

**უსამა ბენ ლადენის მკვლელობის შემდეგ საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფება „ალ ქაიდას“ ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად ეგვიპტელი საიფ ალ-ადელი აირჩიეს.** ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა თათბირზე „ალ ქაიდას“ ახალ მუდმივ ლიდერად მეორე ისლამისტი მუჰამმად მუსტაფა იამნი დაინიშნა. ეგვიპტელი საიფ ალ-ადელი „ალ ქაიდას“ იდეოლოგთან, აიმან აზ-ზავაჰირთან დაახლოებული პირია და დაჯგუფებაში იგი საერთაშორისო კონტაქტებზე იყო პასუხისმგებელი.



## კადაფის ჯარმა ნატოს საბრძოლო გემი ააფეთქა

**ხმელთაშუა ზღვაში, მისურატის რაიონში, კადაფის ერთგულმა ჯარისკაცებმა ნატოს საბრძოლო გემი ააფეთქეს.** გემს ცეცხლი მას შემდეგ გაუხსნეს, რაც ალიანსის გემმა ლიბიის სიდიდით მესამე ქალაქს შეუტია. ნატო აღნიშნულ ინფორმაციას ოფიციალურად არ ადასტურებს, მაგრამ ლიბიის მხარის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა ალიანსის გემს სერიოზული ზიანი მიაყენეს.

**შენ ბოროტებას ემსახურებოდი და ამას გერმანელი ხალხის გაძლიერებით ახერხებდი. ესენი კი ბოროტებას, მუხთლობას, სიცრუეს, ღალატსა და მომხვეჭელობას საქართველოს დაკნინება-დაბეჩავებისთვის იყენებენ. შენ ტყუილის თქმაც შეგეძლო, შანტაჟიც და კარგი ავანტიურისტიც იყავ, მაგრამ ამათთან მაინც ვერ მოხვალ. შენ საბჭოთა კავშირს ბევრი რამ დააბრალე და თავს დაესხი, მაგრამ არ გითქვამს, რომ ომი საბჭოთა კავშირმა დაიწყოო. ამათ საკუთარ ხალხს ცხინვალში ომი დაუწყეს, მერე სამარცხვინოდ გამოიქცნენ და ახლა იძახიან, ომი რუსეთმა დაიწყო და ჩვენ გავიმარჯვეთო. როგორია? ხომ არიან ჩემი იდეების შენზე უკეთესი მსახურები?! — ბელზებელი კმაყოფილი ღიმილით მიაჩერდა.**

## ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ აქუცმაცეს კიდეც საქართველო და ერთმანეთის მტრობით თითქმის მოსპობის კარამდე მივაყვანინე. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, უფალმა ახლა პატარა კახად მონათლული ერეკლე მეორე მოავლინა და ქართველ ხალხს ძლიერი მეგობარი გაუჩინა ერთმორწმუნე რუსეთის სახით და მიაღწია კიდეც საქართველომ არნახულ გაძლიერებას. ჰოდა, ჩვენი უპირველესი ამოცანა იყო ქართველებში რუსეთის სიძულვილის ჩანერგვა. ძალიან ძნელია, რომ მოხერხდეს, მაგრამ ისეთი ხელისუფლება გავაძვრინეთ, რუსეთის სიძულვილის იმხელა შხამს ანთხევენ, მეშინია, თვითონ არ მოიწამლონ.

**ადამიანში გაძლიერებული მხეცური ინსტინქტები ყოველგვარ ადამიანურს სპობს. ბევრის მოხვეჭის გაუმაძღრობა, ჭამა, სექსუალური აღვირახსნილობა სამშობლოსა და ერის სიყვარულს არ სცნობს. ჰოდა, სწორედ ჩვენი სატანური თვისებები: სიძულვილი, სიცრუე, დაუნდობლობა, ვერაგობა, ღალატი უნდა ჩავუნერგოთ იმ ადამიანებს, ვისზეც ჩვენი მაგია ჭრის. დანარჩენები უნდა მოვსპოთ, არარაობად და ლაქიებად ვაქციოთ, რომ ლუკმა პურის შოვნის გაწამაწიაში სამშობლოს მტერ-მოყვრის გარჩევისთვის ვეღარ მოიცალონ. ამასობაში კი ბოროტებას ისე გავამძლავრებთ, რომ დაკნინებულ სიკეთეს ჩვენი მაგიის მსხვერპლი აღარ მოუსმენს და ქართველი ერის მოსასპობად ღვარძლს არ დაზოგავს.**

ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ უფალი ქართველ ხალხს მფარველობს და ყველაზე მძიმე ჟამს დახმარებას არ მოაკლებს. ამიტომ ისე უნდა დავაბეჩავოთ, რომ უფლის დახმარებამ ისევე ვერ უშველოს, როგორც შიმშილით გარდაცვლილს — თავზე დაყრილმა ფლავმა, — **ბელზებელს თვითონვე მოეწონა თავისი ნათქვამი, მაგიდაზე შეხტა და როკვა დაიწყო. მას სხვებიც აჰყვნენ. როცა სიშმაგემ გაუარათ, სკამებზე ჩამოსხდნენ და ბელზებელმა განაგრძო:** — უფალს პირისპირ ვერ შევეჭიდები, ძალიან ძლიერია. თავს ისე ვაჩვენებ, ვითომ მისი ერთგული ვარ. მაგრამ რას გამოვაპარებ. ხშირად ამიწევს ხოლმე ყურებს. მეც სისტემატურად ვღალატობ და მის კეთილ საქმეებს ბოროტებით ვწამლავ. თუმცა იცის ჩემი მუხთლობის შესახებ, მაინც მოთმინებით ცდილობს, რომ გამაკეთილშობილოს, რასაც ვერასდროს ეღირსება. მე ბოროტება, შური, სიძულვილი და ყველაფერი ეშმაკისეული მასულდგმულებს.

რამდენი ხანია, ვიბრძვი ღვთისმშობლის რჩეული საქართველოს მოსასპობად, მაგრამ ყოველთვის თითქმის გამარჯვებამდე მისულს ხელი შემიშალეს და მოსპობის ზღვარზე მისული ერი აალორძინეს, გაამრავლეს და გააძლიერეს. ახლა კი ხელს ვეღარაფერი შემიშლის, რამეთუ თვითონ ქართველებში ისეთი ჭირი ჩავთესლე „ნაციონალთა“ სახით, რომ ამ უკურნებელ სენს ვეღარ დაუსხლტებიან! — **ბელზებელი ახარხარდა.**

— ახლა კი ნება მოგვეცი, უწმინდურ, უბოროტესო, ცოტა ხანს კუპრის აუზში ვიჭყუმპალაოთ, — **სთხოვეს შეკრების მონაწილეებმა და თანხმობის მიღებისთანავე ადუღებულ კუპრის ორმოში გადაეშვნენ. კარგა ხანს იჭყუმპალავეს და ამოსვლისთანავე სველ კატასავით სიამოვნებით გაიბერტყეს ცხელკუპრიანი ბალანი.**

— ჩვენც ამოვალთ, უწმინდურესო! მოგვწყინდა აქ ყოფნა! — **აღრიალდნენ შუბლზე ხუთჯვრიანდროშაგამოსახული ჯვაროსნები.**

— სანამ სულმთლად არ განიწმინდებით ადამიანობისგან და მოზრდილი რქებით არ შეიმოსებით, მანდ უნდა იყოთ, — **აუხსნა ბელზებელმა.**

— ჩვენ რქები მაშინ ამოგვივიდა, როცა ადამიანებს დიდ ქვაბში ვხარშავდით; ბავშვებს, მოხუცებს და ორსულებს ვფატრავდით, — **აყვირდნენ ჯვაროსნები.**

— ცოდვებით დამძიმებულები მაგიტომ ვერ დაგიმაგრათ სამოთხის ვიწრო ხიდმა. ახლა მანდ ეყარეთ და დაელოდეთ რქების ბოლომდე ამოსვლას! — **ბრძანა.**

— ჩვენ შეცდომით მოვხვდით აქ. მთელი ჩვენი მოღვაწეობა ხომ უფალს მივუძღვენით, — **ახმაურდნენ ინკვიზიტორები და ორმოს კიდეს შეაფოფხდნენ. ბელზებელი ახარხარდა:** — თქვენ უფალს კი არა, მე მემსახურებოდით, როცა უფლის სახელით უდანაშაულო ადამიანებს კოცონზე წვავდით კუდიანობის ბრალდებით. უფალს ერთგულებას ეფიცებოდით ჩემი ერთგული მსახურები და ახლაც ჩემთან ხართ. ჩუმად იყავით მანდ! — **დაიღრიალა ბელზებელმა.**

**ახლა სვასტიკიანი თავების მთელი ხროვა ამოტივტივდა. ერთი ეშმაკი ბელზებელთან მივიდა და მოახსენა:** — შენი რჩეული შიკლგრუბერი თუ ნაკელის ხოჭო — ჰიტლერი არ ისვენებს, შენთან შეხვედრას ითხოვს; ჩავაგდო ისევ ორმოში თუ გაესაუბრებით?

— ეგ ისეთი უბოროტესი ვერაგი არის, რომ ჩემთან საუბარს იმსახურებს. გამოუშვით! — **ბრძანა და სკამზე შესწორდა.**

— გამიშვი ზევით, უწმინდურ-უვერაგეს-უბოროტესო, რომ ადამიანთა მოდგმაში უბედურების ქარბორბალა დავატრიალო! — **მარჯვენა ხელის ფაშისტური აქნევით მოახსენა ჰიტლერმა.**

— ახლა ის დრო აღარ არის, ჩემო ნაკელის ხოჭო, შენი მეთაურები მოძველდა. მე ზევით შენზე უკეთესი ახალი თაობა მყავს, მუხთლობით რომ გააკვირვებენ ეშმაკეთს, — **დინჯად უპასუხა.**

— ჩემზე მაგრები როგორ უნდა იყვნენ, როცა მე ადამიანთა მოდგმა შევაძრწუნე და კინაღამ სიგიჟე შევყარე! — **გაიოცა ჰიტლერმა.**

— კარგი. მაშინ მე გეტყვი: გახსოვს? ეპისკოპოსი გალენის დაპატიმრება რომ ბრძანე და ესესელებმა ვერ გაბედეს, რადგან ხალხმა მის წინ დაიჩოქა და მხარი დაუჭირა.

— მახსოვს, როგორ არა, — **ჰიტლერმა ხსოვნის მტვერში მოძებნა ეს ამბავი.**

— საქართველოს ნაცისტებმა კი გლდანის ეკლესიის კარი სამხედრო მანქანით შელეწეს, უამრავ მრევლს თავპირი უჟეჟეს, მოძღვარი გამოათრიეს და ციხეში შეაგდეს; ეს ყველაფერი მთელი საქართველოს ტელევიზიით აჩვენეს. როგორია? — **ბელზებელი ჰიტლერს მიაჩერდა.**

— საქართველომ რა ქნა? — **იკითხა ჰიტლერმა.**

— ხმაც არავის ამოუღია. მოძღვარი კი კარგა ხანს აყურყუტეს ციხეში.

— ვააა!!! — **ჰიტლერი გაოცდა.**

— კარგი. შენ რომ იყო საქართველოს პრეზიდენტი, გორში სტალინის ძეგლის აღებას თუ გაბედავდი?

— ეგ იმ დეგენერატმა ხრუშჩოვმაც კი ვერ გაბედა, მე იმაზე გაცილებით ჭკვიანი ვარ, გორში სტალინის ძეგლის აღებით რომ გავტალახებულიყავ.

— იმან კი გაბედა და იმხელაზე ტუტუცია, რომ გატალახებას არ მოერიდა. თავის სასაცილო შოუებზე იმდენ სისულელეს ყვება, რომ უკიდურესად გაჭირვებულ ქართველებსაც კი ახარხარებს, — **ბელზებელი ფრიადოსანი მოსწავლის დამრიგებელივით ამაყად შესწორდა სკამზე.**

— სტალინი ჩემნაირად არავის სძულს, მაგრამ გორში მისი ძეგლის ამღებს საღი აზროვნების გრამი ტვინიც არ ექნება. სამაგიეროდ პატრონის ლუკმაზე დახარბებულ ტუტუცს შეუძლია ამგვარი თავქარიანი საქციელი, — **განმარტა ჰიტლერმა.**

— დღეს სწორედ ტუტუცი თავქარიანები გვჭირდება, არაფრის რომ არ რცხვენიათ და ჩასვრილი ამაყად ტრაბახობენ თავიანთ სისპეტაკეზე.

— ბევრი გყავთ ასეთი ჩასვრილები?! — **ჰკითხა გაკვირვებულმა ჰიტლერმა.**

— ქვეყნის ყველა უბანზე ვამრავლებ უკიდურეს მუხთლობის მკადრებლებს, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მაგრად საქართველოში გამიმართლა. შენ ხომ გქონდა პარტია ნაციონალ-სოციალისტების „ფაშისტური“, ამათ აქვთ ნაციონალური მოძრაობა „ჯვაროსნული“. თქვენ სვასტიკით იწონებდით თავს, ამათ ჯვაროსნული ხუთჯვრიანი დროშა მიითვისეს და, თუ ასე გაუგრძელდათ გულაობა, თქვენს სვასტიკასაც დაიჩემებენ. შენ ბოროტებას ემსახურებოდი და ამას გერმანელი ხალხის გაძლიერებით ახერხებდი. ესენი კი ბოროტებას, მუხთლობას, სიცრუეს, ღალატსა და მომხვეჭელობას საქართველოს დაკნინება-დაბეჩავებისთვის იყენებენ. შენ ტყუილის თქმაც შეგეძლო, შანტაჟიც და კარგი ავანტიურისტიც იყავ, მაგრამ ამათთან მაინც ვერ მოხვალ. შენ საბჭოთა კავშირს ბევრი რამ დააბრალე და თავს დაესხი, მაგრამ არ გითქვამს, რომ ომი საბჭოთა კავშირმა დაიწყოო. ამათ საკუთარ ხალხს ცხინვალში ომი დაუწყეს, მერე სამარცხვინოდ გამოიქცნენ და ახლა იძახიან, ომი რუსეთმა დაიწყო და ჩვენ გავიმარჯვეთო. როგორია? ხომ არიან ჩემი იდეების შენზე უკეთესი მსახურები?! — **ბელზებელი კმაყოფილი ღიმილით მიაჩერდა.**

— რუსეთი, ოხ, რუსეთის გახსენებაზე ეკალს მაყრის. სტალინი არ ყოფილიყო, დავჭმუჭნიდი, დავფხრეწავდი, მოვსპობდი! — **ჰიტლერმა სიმწრისაგან ხელზე იკბინა.**

— რა გინდოდა, დიდო უწმინდურობავ! ჩემს ჭირად რად დამხვედრე რუსეთში სტალინი?! ორ კვირაში მთელ საბჭოთა კავშირს ნაცარტუტად ვაქცევდი და მერე გენახა დანარჩენების დაწიოკება; მთელ მსოფლიოში უწმინდურობას ვაზეიმებდი! — **ჰიტლერი აქვითინდა.**

— ეხ, სტალინი უფლის რჩეულია, მე იმასთან ვერაფერს გავხდი. ეგ იმ ქართველი ხალხის შვილია, ვის მოსპობასაც საუკუნეთა განმავლობაში ვცდილობ და ჯერჯერობით ვერაფერს ვახერხებ, რადგან ისინი ღვთისმშობლის მფარველობაში არიან და სიკეთის მსახურნი ყველგან სპობენ ბოროტებას. სტალინის გენიამ კი ჩემი სატანური ჩანაფიქრები არარაობად აქცია. კაცობრიობის ჭირი — ფაშიზმი მოსპო და მსოფლიო უწმინდურობის, ბოროტების, მუხთლობისა და გამხეცებისგან იხსნა. იმ ჩემმა დაუძინებელმა მტრებმა — ქართველებმა გმირულად იომეს ჩვენ წინააღმდეგ. შენ რომ ბუნკერში იმალებოდი, მეორე ქართველმა — ქანთარიამ რეიხსტაგის თავზე დაარჭო საბჭოთა კავშირის გამარჯვების წითელი დროშა. ეხ, ყოფილიყო მაშინ სტალინის ადგილზე ის კრეტინი ხრუშჩოვი ან ის დეგენერატი თავტყირპიანი გორბაჩოვი. ერთ კვირაში დავაჩოქებდით რუსეთს და მთელ მსოფლიოში სატანის ზეიმს დავამკვიდრებდი; ახლა კი ყველაფრის თავიდან დაწყება მიწევს, — **ბელზებელმა ამოიოხრა.**

— ეხ, სტალინის გახსენებაზე შიშისგან ჭკუა მეკეტება. არადა, რა კარგად ავაწყე ადამიანების გაზის კამერებში მოშთობა; კონცლაგერში წამება და ბოლოს თქვენი უწმინდურობის თესლის მოთესვა ფაშისტთა ნაკვალევზე, — **ჰიტლერმა არყის ბოთლდამსხვრეული ლოთის სინანული დაატანა ნათქვამს.**

— მაგ მხრივ დიდი სატრაბახო არა გაქვს. ას, ჰა, ჰა სამას კაცს შეაგდებდი გაზის კამერაში, დააბოლებდი იქაურობას და ამ საქმეში უამრავი ხალხი გყავდა ჩართული. მეც კი არ ვიცოდი, რამდენი წელი დაგჭირდებოდა ადამიანთა მოდგომის გაზის კამერაში გასატარებლად. ამერიკელებმა კი ერთი ბომბი ჩამოაგდეს ხიროსიმაში და მთელი მოსახლეობა გოჭებივით შებრაწეს; ამას მეორე ქალაქიც მიაყოლეს და იმდენი ხალხი გაჟუჟეს, რომ შენი გაზის კამერებით ათწლეულობით ვერ დაეწეოდი მათ სატანურ ნამოქმედარს. აქაც სტალინი რომ არ გადაგვლობებოდა და ამერიკელები საბჭოთა კავშირში შექმნილი ბომბით არ შეეჩერებინა, მერე გენახა ჩემი ზეიმი.

შენ ხომ ებრაელების მოსპობა გინდოდა, გვარიანადაც გაჟუჟე და ამით კეთილშობილი კაცობრიობის სიძულვილი დაიმსახურე. ამერიკელებმა კი მთლად ამოწყვიტეს ინდიელები. დიდი ადამიანის სკალპში ხუთ დოლარს, ხოლო მოზარდისაში სამს აძლევენ მკვლელებს. გადარჩენილი ინდიელები თავიანთსავე მიწაწყალზე რეზერვაციებში შეყარეს პირუტყვებივით. ამისათვის მათთვის საყვედურიც არავის უთქვამს. პირიქით, ადამიანთა უფლებების დამცველად და მსოფლიოში დემოკრატიის მედროშეებად ითვლებიან. ამრიგად, ჩემო ნაკელის ხოჭო, შენი მეთოდებით სიკეთის, სიყვარულისა და ბედნიერების მოსასპობად ბრძოლა მოძველდა. ჩემს სამსახურში უნდა იყო და სახეზე სიკეთის დამცველის ნიღაბი გეფაროს; ხალხი აწამო, დაამშიო და გაჟუჟო ხალხის უფლებების დამცველის სახელით.

ამგვარად მეც ძალიან მიადვილდება ჩემი ჯადოქრობით ადამიანებისთვის განუკითხაობის ძილქუშის შეყრა. ჰოდა, სანამ ისინი გამოგონდებიან, სუყველა ბოროტების, ძალადობის, სიცრუის და გარყვნილების ჭაობში ისე აფართხალდებიან, რომ იქიდან კაცობრიობა ვეღარასოდეს გამოვა და დედამიწაზე ჯოჯოხეთის დამკვიდრებაში უფალი ხელს ვეღარ შეგვიშლის. ასეა, ჩემო ნაკელოს ხოჭო, მზად იყავით ყველა არამზადები. მალე კაცობრიობას ნიღაბმოხსნილები დავერევით და ქაჯთა გნიასს დავამკვიდრებთ! — **ბელზებელი ფეხზე ადგა და ჰიტლერი გააცილა, რომელიც ფაშისტური ხელის აქნევით გამოემშვიდობა და მომავლის იმედით გათამამებული ჩახტა ადუღებული კუპრის ორმოში, სადაც ამ ამბის გაგების შემდეგ ისეთი ჭყუმპალაობა ატეხეს, რომ ნაპირზე მოდარაჯე ეშმაკები დააფრთხეს.**



**სტალინი ჩემნაირად არავის სძულს, მაგრამ გორში მისი ძეგლის ამღებს საღი აზროვნების გრამი ტვინიც არ ექნება. სამაგიეროდ პატრონის ლუკმაზე დახარბებულ ტუტუცს შეუძლია ამგვარი თავქარიანი საქციელი, — განმარტა ჰიტლერმა.**

**გივი სომხიშვილი**
მწერალი
10 მაისი, 2011 წელი

## დაცვა — მიგრანტების შემოტევისგან

**არიზონის კანონმდებლებმა გადაწყვიტეს, მექსიკის საზღვართან მიგრანტების შემოტევისგან თავდასაცავად კედელი ააშენონ.** კედლის აშენებას არიზონას ფედერალური ხელისუფლება შემოწირულობებითა და პატიმრების იაფი მუშახელის გამოყენებით აპირებს. 20 ივლისს ძალაში შევა ახალი კანონი, რომლის თანახმადაც შესაძლებელი იქნება მექსიკის საზღვართან ხელოვნური ბარიერების შექმნა.



## ბრიტანეთი ერაყიდან გადის

**როგორც ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ლიამ ფოქსმა განაცხადა, 22 მაისს დიდმა ბრიტანეთმა ერაყის ომში რვაწლიანი მონაწილეობა დაასრულა და ერაყის ბრიტანელი ჯარისკაცები სახლში დააბრუნა.** 2003 წელს, ოპერაციის ფარგლებში, დიდმა ბრიტანეთმა ერაყში 46 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი გაგზავნა. არმიის დიდმა ნაწილმა ერაყი ჯერ კიდევ 2009 წელს დატოვა. ერაყის ომს ბრიტანეთის მხრიდან 178 სამხედრო მოსამსახურე და თავდაცვის სამინისტროს ერთი სამოქალაქო პირი შეეწირა.

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, პოლკოვნიკი კოლუბიანიკი: 1855 წელს იმერეთის მწყობრმა ლაშქარმა დიდი ხნით შეაკავა ომერ-ფაშა. ბოლო დროს თავისი ყოველდღიური პარტიზანული თავდასხმებით სამეგრელოში მან დაამტკიცა ენერგიულობა, შეუპოვრობა და ქედმოუხრელი ერთგულება.**
**ყარსის აღებას რუსეთი ადგილობრივ თავადაზნაურობას უნდა უმადლოდეს, რადგან იმერეთი, ასე ვთქვათ, მოალყე კორპუსის კონტრვალაციურ ხაზს წარმოადგენდა.**

# ყირიმის ომი

დასასრული. დასაწყისი იხ. №15-17

**1855 წლის 25 ოქტომბერს მოხდა ენგურის ცნობილი ბრძოლა. ომერ-ფაშა მთელი თავისი ჯარით პირველად რუხის გადასასვლელს ეკვეთა, მაგრამ აქ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ ომერ-ფაშამ გადაწყვიტა, მოწინააღმდეგე მოეტყუებინა; მან რუხის პოზიციებთან ორი ზარბაზანი დატოვა, რომლებიც განუწყვეტლივ ისროდა, თვითონ კი მთავარი ძალებით ფარულად დაეშვა ქვევით და სრულიად მოულოდნელად სანარმანიოს გადასასვლელზე მიიტანა იერიში.**




სანარმანიოს პოზიციებთან გაჩაღდა უთანასწორო სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც თითქმის საღამომდე გაგრძელდა. თურქები იერიშზე გადავიდნენ კოკის რაიონშიც და ალყის მუქარით რუსებისა და ქართველების შეერთებული ჯარები აიძულეს, უკან დაეხიათ. სანარმანიოსთან ბრძოლაში დაიღუპნენ ამ ბრძოლის სარდლები ზვამბაია და შემდეგ მისი შემცვლელი პოლკოვნიკები: იოსელიანი, ივინი და კობელევი. 25-26 ოქტომბრის ღამით რეგულარულმა ჯარებმა და მილიციამ უკან დაიხიეს, ხოლო **ენგურის ბრძოლის რამდენიმე დღის შემდეგ გენერალმა ივანე მუხრან-ბატონმა სრულიად მოულოდნელად დატოვა სამეგრელო, გურიაში აკეთის პოზიციები და მთელ ჯარებს ცხენისწყლის მარცხენა ნაპირთან, სოფ. მარანთან მოუყარა თავი.**

**რუსის ჯარების წასვლის შემდეგ სამეგრელო ომერ-ფაშას ხელთ რჩებოდა. მთელი საქართველო სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ მოსახლეობა ადვილად როდი შეეგუა თურქთა ჯარების მიერ ქვეყნის ოკუპაციას. მთელი სამეგრელოს ტერიტორიაზე ნამდვილი პარტიზანული ბრძოლა გაჩაღდა.**

ომერ-ფაშა შეეცადა სამეგრელოს მთავრის, ეკატერინე დადიანის გადმობირებას. იგი ეკატერინეს სწერდა, რომ ოსმალეთი რუსეთის დამპყრობლურ მისწრაფებათა ჩასაშლელად იბრძვის, — ეკატერინესა და მის მცირეწლოვან შვილს, ლეჩხუმის სოფელ მურში გახიზნულებს, ზუგდიდში ეპატიჟებოდა და ორივეს სამეგრელოს მმართველად აცხადებდა.

ეკატერინე დადიანი, როგორც ამავე წერილიდან ირკვევა, ომერ-ფაშას საყოველთაოდ აჯანყებული სამეგრელოს მოსახლეობის დასამორჩილებლად სჭირდებოდა. მაგრამ ეკატერინე მტკიცედ იდგა რუსეთის ორიენტაციაზე. იგი ომერ-ფაშას მიერ გამოგზავნილ წერილებს რუსეთის სარდლობას უგზავნიდა, თვითონ კი ფაშას დუმილით პასუხობდა.

**რუსეთის რეგულარული ჯარების სარდლობამ სათანადოდ ვერ შეაფასა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოებული ბრძოლა და სახალხო ლაშქრის დარაზმვას არ მოჰკიდა ხელი. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა მოსახლეობამ ოსმალთა განდევნის საქმეში დიდი როლი შეასრულა.** მათ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ეკატერინეს მაზლი, გენერალი გრიგოლ დადიანი და ყოველგვარ პირობებში, ავდარსა თუ დარში, დღისით თუ ღამით, სამეგრელოს მილიცია მოსვენებას არ აძლევდა „დაუპატიჟებელ სტუმრებს". იმ ხანებში სამეგრელოში კოკისპირული წვიმები დაიწყო. ადიდდა და სრულიად გადაულახავი შეიქნა მდინარეები; გზები და მინდვრები ერთიან, გაუვალ ჭაობებად იქცა. პარტიზანული ბრძოლის გაშლისთვის საუკეთესო პირობები შეიქმნა. **ომერ-ფაშამ ვერც დაპირებებით, მოსყიდვითა და შთაგონებებით, ვერც რეპრესიებით შეძლო მოსახლეობის მიმხრობა-დამშვიდება.**

**ოსმალები სასტიკად უსწორდებოდნენ მათ წინააღმდეგ მებრძოლ მოსახლეობას, წვავდნენ სახლებსა და სოფლებს მთლიანად. მარტო სენაკში, თეკლათსა და ზუბში განადგურებული იყო 700 სახლი. ზუგდიდის მაზრაში 22 სოფელი დაინგრა.**



ამავე ხანებში ყარსის ციხესიმაგრის აღებისთვის წარმოებული ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა. ყარსში მომწყვდეულ თურქეთის ჯარებსა და მათ მთავარსარდალს, ვილიამსს ომერ-ფაშასგან დახმარების მიღების იმედი აღარ ჰქონდათ. გარშემორტყმულმა რუსეთის არმიამ კი, გენერალ ბაკლანოვის ხელმძღვანელობით, სრულიად დაუხშო გარნიზონს გარესამყაროსთან ურთიერთობის ყოველგვარი საშუალება. თურქეთის ჯარს გამოელია სურსათი, წყაროებისა და მდინარეების გაყინვის გამო სასმელი წყლის კრიზისსაც განიცდიდნენ, გავრცელდა ეპიდემიური ავადმყოფობანი და სხვ.

**1855 წლის 12 ნოემბერს ყარსის გარნიზონის უფროსმა მუშირ ვასიფ-ფაშამ და ინგლისის გენერალმა ვილიამსმა გადაწყვიტეს, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა და 14 ნოემბერს ყარსის ციხესიმაგრე რუსებს დანებდა. ყარსის აღებამ დააჩქარა ყირიმის ომის დამთავრება.**

რუსების ხელში აღმოჩნდა კარგად გამაგრებული და თავისი გეოგრაფიული მდებარეობით თურქეთის დაცვისთვის მეტად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე ყარსი და ყარსის საფაშო. მომავალი საზავო მოლაპარაკების დროს რუსებს საშუალება ექნებოდათ, ყარსის საკომპენსაციოდ ყირიმისა და სევასტოპოლის გათავისუფლება მოეთხოვათ.

ყარსის გარნიზონის კაპიტულაციის შემდეგ ომერ-ფაშამ გასცა განკარგულება საექსპედიციო ჯარების უკანდახევის შესახებ. ამავე დროს **დასავლეთ საქართველოს სახალხო ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა. ეკატერინე დადიანი თვითონ შეუერთდა სახალხო ლაშქარს და პარტიზანულ ბრძოლებში რუსეთის რეგულარული ჯარების დამატებითი ნაწილები გადმოვიდა.** დაიწყო ომერ-ფაშას ჯარების წინააღმდეგ შეტევა. სამეგრელოს მილიცია მოწინავე პოზიციებზე იბრძოდა. ოსმალები ზღვისპირისკენ იხევდნენ და გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდნენ. მათ გაძარცვეს და დაწვეს სამეგრელოს მთავრის სასახლეები, უმოწყალოდ გაჩეხეს ეკატერინე დადიანის მიერ ზუგდიდში გაშენებული იშვიათი პარკი და სხვ.

ოსმალთა ჯარებს ყირიმის ომის საზავო მოლაპარაკებამ ყულევში მოუსწრო. 1856 წლის 18 მარტს დადებული ზავის საფუძველზე მებრძოლ მხარეებს ერთმანეთისთვის უნდა დაებრუნებინათ დაპყრობილი ტერიტორიები. ყარსის ნაცვლად რუსეთმა დაიბრუნა ყირიმში დაკარგული ქალაქები, სამეგრელოს ნაწილი (ყულევის მიდამოები) და აფხაზეთი. სოხუმი ოსმალებმა 27 მაისს დაცალეს. დასავლეთ საქართველოში მშვიდობიანობა დამყარდა, მაგრამ ომიანობის გამო ქვეყნის მეურნეობა საფუძვლიანად შერყეული იყო.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, პოლკოვნიკი კოლუბიანიკი წერდა, რომ **„ომმა მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოავლინა ადგილობრივი თავადაზნაურობის გულადობა. 1854 წელს ადგილობრივი მილიციის ჩინებულმა იერიშმა გადაწყვიტა ჩოლოქის ბრძოლის ბედი. ძლევამოსილად დაამთავრა პირველი კამპანია და დიდი ხნით უზრუნველყო ამიერკავკასიის საზღვაო სანაპირო ზოლის სიმშვიდე. 1855 წელს იმერეთის მწყობრმა ლაშქარმა დიდი ხნით შეაკავა ომერ-ფაშა. ბოლო დროს თავისი ყოველდღიური პარტიზანული თავდასხმებით სამეგრელოში მან დაამტკიცა ენერგიულობა, შეუპოვრობა და ქედმოუხრელი ერთგულება.**

**ყარსის აღებას რუსეთი ადგილობრივ თავადაზნაურობას უნდა უმადლოდეს, რადგან იმერეთი, ასე ვთქვათ, მოალყე კორპუსის კონტრვალაციურ ხაზს წარმოადგენდა.**

მთავარსარდალს, მხოლოდ იმერლების სიმტკიცით სრულიად დაიმედებულს, შეეძლო არ შეშფოთებულიყო ომერ-ფაშას შემოტევით, ან ჩვენი გენერლების წარუმატებლობით ალყა არ მოეხსნა".

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი"**




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
მეთვრამეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

**ქართველი ხალხი თანაგრძნობით შეხვდა თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას, რადგან იმედოვნებდა, რომ მას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისგან გათავისუფლება. საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის იდეა, რაც რუსეთის გამათავისუფლებელ (ობიექტურად) როლს ჯერ კიდევ ერეკლე მეორემ დაუკავშირა, XIX ს-ის 60-70-იან წლებში ფართოდ გავრცელდა ქართველ საზოგადოებრიობაში.**

მემკვიდრეობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და საქართველო

**XIX საუკუნის 70-იან წლებში აღმოსავლეთის საკითხი კვლავ მოექცა საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრში. გაძლიერდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა ბრძოლა თურქეთის მემკვიდრეობის გაყოფისთვის. ავსტრია-უნგრეთს, რომელსაც სურდა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ხელში ჩაგდება, აშინებდა რუსეთის გავლენის ზრდა ბალკანეთზე. ინგლისი გაბატონებული იყო თურქეთის ბაზარზე და მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მიერ ბოსფორ-დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდების ცდებს. გერმანია ხელს უწყობდა აღმოსავლეთის საკითხის გამწვავებას, რადგან ეს აძლევდა მას მოქმედების თავისუფლებას ცენტრალურ ევროპაში.**



**1875 წელს ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში იფეთქა ანტითურქულმა აჯანყებამ. მალე აჯანყებას შეუერთდნენ ბულგარეთი, სერბია და ჩერნოგორია, რის შემდეგ მან მიიღო სლავი ხალხების ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომის ხასიათი.**

ბალკანეთის სლავების ეროვნულ-გამათავისუფლებელ ომს მტრულად შეხვდნენ ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი. მათ არ უნდოდათ ბალკანეთში დამოუკიდებელი სლავური სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რადგან სლავებს რუსული ორიენტაცია ჰქონდათ. **ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი ეხმარებოდნენ თურქეთს სლავთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვის საქმეში.**

**სლავთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მიმართ სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიკავა რუსეთმა. სლავებისთვის დახმარების იდეამ მოიცვა რუსეთის საზოგადოების ფართო წრეები. მოსკოვში დაარსებული სლავური კომიტეტის მეშვეობით ბალკანეთში იგზავნებოდა კერძო შეწირულობანი და მოხალისეთა რაზმები.** მეფის მთავრობას აშინებდა სლავებისთვის დახმარების ხალხის ფართო მასებიდან მომდინარე ინიციატივა, მაგრამ მას არ შეეძლო, გარკვეული ანგარიში არ გაეწია საზოგადოებრივი აზრისთვის. მით უმეტეს, თუ თურქეთის განდევნა ბალკანეთიდან და შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდება ცარიზმის საოცნებო საგანს შეადგენდა. **რუსეთის მთავრობამ თავის ხელში აიღო ინიციატივა და მას შემდეგ, რაც ევროპის დიდი სახელმწიფოების მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, 1877 წლის 24 აპრილს ომი გამოუცხადა თურქეთს. რუსეთის ჯარებმა გადალახეს თურქეთის საზღვრები როგორც ბალკანეთში, ისე კავკასია-მცირეაზიაში.**

**ქართველი ხალხი თანაგრძნობით შეხვდა თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას, რადგან იმედოვნებდა, რომ მას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისგან გათავისუფლება. საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის იდეა, რაც რუსეთის გამათავისუფლებელ (ობიექტურად) როლს ჯერ კიდევ ერეკლე მეორემ დაუკავშირა, XIX ს-ის 60-70-იან წლებში ფართოდ გავრცელდა ქართველ საზოგადოებრიობაში.**

ქართველი პატრიოტები ცდილობდნენ, კვლავ აღედგინათ ოსმალეთის საქართველოსთან კავშირი. ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, მ. გურიელმა, ა. მეფისაშვილმა, ივ. კერესელიძემ, გ. წერეთელმა და სხვ. ივ. კერესელიძე შეხვდა აჭარელთა ყველაზე თვალსაჩინო თავკაცს შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს, რომელიც, თურმე ოცნებობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან შეერთებაზე და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა, რომ მთელი ხალხი აემხედრებინა თურქეთის წინააღმდეგ.

**1875 წელს თურქეთის მთავრობამ აჭარლებს ჯარში წასვლა და აჯანყებულ ჰერცოგოვინელთა წინააღმდეგ გალაშქრება მოსთხოვა. მძიმე გადასახადებით უკმაყოფილო აჭარლებმა არ შეასრულეს სულთნის ბრძანება და აჯანყდნენ.** „დროების" კორესპონდენტი წერდა, რომ აჭარელთა აჯანყების მიზეზის გამოსარკვევად ოსმალეთის უმაღლესმა მთავრობამ მოსამართლე იბრეიმ აღა გამოგზავნა, მაგრამ ხალხმა უარი თქვა მასთან გამოცხადებაზე და შეუთვალა — **„ჩვენ მაგისთანა სასამართლოში, სადაც უსამართლობისა და ქრთამის მეტი არა სწარმოებს რა, არ გეახლებითო; საიდანაც მობრძანებულხართ იქვე წაბრძანდითო".** ცნობას აჭარელთა ანტითურქული აჯანყების შესახებ ქართველი საზოგადოებრიობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ს. მესხი ე. მელიქიშვილს სწერდა: **„ქობულეთში ოსმალოს ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს?.. იქნებ რამე გამოვიდეს. ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დააწიოკონ, იქნებ ეს ჩვენი ქართველები, რომელნიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი), ჩვენ შემოგვიერთონ".**

ილია ჭავჭავაძე, რომელიც დაძაბული ადევნებდა თვალს მოვლენათა განვითარებას, კარგად ითვალისწინებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან შემოერთების შესაძლებლობას და წერდა: **„არ გვაშინებს... ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთ დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ და ქართველი... დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს... და თუ საჭიროა, რომ სიყვარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა".**

**საქართველოს ისტორიული საზღვრების აღსადგენად, მართლაც, საჭირო გახდა ქართველთა სისხლის დაღვრა. თურქეთის წინააღმდეგ ომისთვის ემზადებოდნენ არა მარტო რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილები, არამედ ქართველი მოლაშქრეებიც.**

რუსეთის მთავრობა დიდ იმედს ამყარებდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. როცა სარდლობა შეუდგა ქართული ლაშქრის (მილიციის) ნაწილების შედგენას, გლეხობის საგრძნობი ნაწილი თავის სურვილით ეწერებოდა მოხალისეთა რაზმებში. გაზეთი „დროება" იტყობინებოდა, რომ შორაპნის მაზრაში მთავრობის მოთხოვნილებით ყოველ ას გლეხზე ორი გლეხი უნდა წასულიყო ლაშქარში, მსურველი კი ათჯერ მეტი აღმოჩნდაო. განსაკუთრებული ხალისით მიდიოდნენ ლაშქარში გურულები. ომის მონაწილე ი. მაყაშვილი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა გურიის ლაშქრის საბრძოლო დამსახურებას, გადმოგვცემს, რომ ახალგაზრდები ცრემლმორეული ითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ ჩაერიცხათ ისინი ჯარში და გაეგზავნათ ბრძოლის ველზე.

მოსახლეობის ასეთი განწყობილების პირობებში მილიციონერთა ნაწილების ჩამოყალიბება დაუბრკოლებლად ხდებოდა. **ომის დაწყებისას ამიერკავკასიაში უკვე შექმნილი იყო მილიციონერთა 8 ქვეითი და 3 ცხენოსანი პოლკი, 6 ქვეითი რაზმი, 4 ცხენოსანი დივიზიონი და 3 ქვეითი ასეული. აქედან ქართველი მოლაშქრეებით დაკომპლექტდა 6 ქვეითი რაზმი, 1 ცხენოსანი პოლკი, 2 დივიზიონი და 2 ასეული. ომის მსვლელობაში მილიციონერთა ნაწილები თანდათან მრავლდებოდა. ბრძოლის ველზე გავიდა დაახლოებით 30 ათასი ქართველი მოლაშქრე.**

**ომის დაწყებისას რუსეთის იმ არმიაში, რომელიც კავკასიაში იმყოფებოდა, 180 ათასი კაცი და 400 ქვემეხი ითვლებოდა. კავკასია-მცირეაზიის ფრონტზე გაიგზავნა 43 ქვეითი ბატალიონი, რეგულარული კავალერიის 16 ესკადრონი, კაზაკთა 65 ასეული, 15 საარტილერიო ბატარეა (120 ქვემეხით) და სხვ. — სულ 60 ათასამდე კაცი. ომის მსვლელობაში მოქმედ კორპუსს ახალ-ახალი რეგულარული ნაწილები ემატებოდა. საომარ ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მილიციონერებიც.**

კავკასიის არმიის მოქმედი კორპუსი შეტევის გეგმით დასახული ოთხი მიმართულების შესაბამისად (ოზურგეთიდან ბათუმისკენ, ახალციხიდან არტაანისკენ, ალექსანდრეპოლიდან ყარსისკენ და ერევნიდან ბაიაზეთისკენ) ოთხ ნაწილად გაიყო. ოზურგეთის რაზმს სათავეში ჩაუყენეს გენერალი ოკლობჟიო, ახალციხისას — გენერალი დეველი, ალექსანდრეპოლისას — გენერალი გეიმანი და ერევნისას — გენერალი ტერ-გუკასოვი. მოქმედი კორპუსის სარდლად დაინიშნა გენერალი ლორის-მელიქოვი.

**თურქეთი საკმაოდ კარგად იყო მომზადებული ომისთვის. თურქთა ჯარის მეოთხე კორპუსში, რომელიც ანატოლიის ძლიერ ციხესიმაგრეებში იდგა, 70 ათასი კაცი და მრავალი ასეული ქვემეხი ითვლებოდა. არმია აღჭურვილი იყო კრუპის ფირმების ქვემეხებით და უახლესი სისტემის თოფებით.**

ომის დაწყებისთანავე რუსეთის ჯარმა და ამიერკავკასიის მილიციონერებმა გადალახეს საზღვარი და საომარი ოპერაციები თურქეთის ტერიტორიაზე გააჩაღეს. რუსთა ჯარის სარდლობა ყოველნაირად ცდილობდა თურქეთის საზღვრებში მცხოვრები ქართველებისა და სომხების კეთილგანწყობის მოპოვებას, მათ ამხედრებას საერთო მტრის წინააღმდეგ. **სიძნელე თუ სიადვილე ჩვენი ოპერაციებისა,** — სწერდა კომაროვი სვიტოპოლკ-მირსკის, — **დიდადაა დამოკიდებული ჩვენ მიმართ აჭარის მოსახლეობის მიერ დაკავებულ პოზიციაზე. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ, თუ რუსთა ჯარი ბათუმს დაიკავებს და სათანადო ღონისძიებებს ჩაატარებს, აჭარლები ჩვენს წინააღმდეგ არ იმოქმედებენო.** აჭარაში შესულ მებრძოლებს გენერალი ოკლობჟიო მოუწოდებდა, რომ მათ არ დაერღვიათ მოსახლეობის ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი და პატივისცემით მოპყრობოდნენ ხალხს. **„დაე, გახსოვდეთ, რომ თქვენ წინ გადაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის ათასობით მილიციელი და მოლაშქრე ამჟამად ჩვენს რიგებში დგას და საერთო მტერს ებრძვისო".**

რუსთა ჯარის შეტევა მარცხენა ფრთაზე საკმაოდ წარმატებით დაიწყო. ომის გამოცხადებიდან 6 დღის შემდეგ 1877 წლის 30 აპრილს გენერალ ტერ-გუკასოვის ნაწილებმა დაიკავეს ქ. ბაიაზეთი და მისი მთელი დაბლობი. 10 მაისს რუსთა ჯარის ორმა კოლონამ გენერლების გეიმანისა და დეველის მეთაურობის ალყა შემოარტყა ქ. არტაანს. მტკვრის ზემო წელში მდებარე ამ ციხე-ქალაქის გამაგრებას თურქებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ყირიმის ომის შემდეგ. ევროპელ ინჟინერთა ხელმძღვანელობით აიგო ახალი სიმაგრეები, სადაც დაიდგა უახლესი სისტემის მსხვილკალიბრიანი 95 ქვემეხი. არტაანს 8-ათასიანი გარნიზონი იცავდა.

**16 მაისს პოდპოლკოვნიკ მუსხელიშვილის სარტილერიო დივიზიონის ზალპით რუსთა ჯარმა დაიწყო საერთო შეტევა. ელიზავეტპოლის პოლკმა, რომელსაც ამირეჯიბი მეთაურობდა, გმირული ბრძოლით გაანადგურა მტრის ბანაკი ჰელიავერდის მთაზე და გზა გაუხსნა შემტევ ჯარებს ქალაქისკენ. 17 მაისს 2-საათიანი გააფთრებული იერიშის შემდეგ რუსთა ჯარმა აიღო არტაანი. თურქებმა ბრძოლის ველზე 2000 გვამი დატოვეს. მტრის 1000 ჯარისკაცი მდინარეში დაიხრჩო, 300 კი ტყვედ იქნა წამოყვანილი. არტაანის აღება იყო რუსთა ჯარის პირველი დიდი გამარჯვება რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში.**

არტაანის აღების შემდეგ არტანუჯისა და ართვინის გავლით გზა გაიხსნა ბათუმისკენ, მაგრამ რუსთა სარდლობამ სათანადოდ ვერ შეაფასა ამ მიმართულების ხელსაყრელობა და ბათუმის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო ოზურგეთიდან. არტაანის იერიშში მონაწილე რუსთა ჯარები კი ყარსისკენ გაემართნენ.

ყარსის ციხე-სიმაგრე მიუვალად ითვლებოდა. იგი აგებული იყო შემაღლებაზე და ბუნებრივი თუ ხელოვნური სიმაგრეების კომპლექსს წარმოადგენდა. მოალყე ჯარი მოკლებული იყო ციხე-სიმაგრის მიდამოებში საარტილერიო ბატარეების დადგმის შესაძლებლობას და თვით იერიშიც უნდა ჩატარებულიყო ღია პოზიციაზე, რაც გარნიზონს თავდაცვას უადვილებდა. 13-14 ივნისს, ღამით გენერალ დეველის ნაწილები შეეცადნენ, ჩუმად მიახლოებოდნენ ყარსის ციხეს და განელაგებინათ იქ საარტილერიო ბატარეები. მეორე მხრივ, დაიძრნენ გენერალ გეიმანის ნაწილებიც. იმის გამო, რომ ყარსს — თავისთავად ძლიერ ციხესიმაგრეს — თურქთა მრავალრიცხოვანი გარნიზონი იცავდა, რუსთა ჯარის შეტევას წარმატება არ მოჰყოლია.

ბოლოს და ბოლოს, რუსთა სარდლობა მიხვდა, რომ მიუვალ ყარსის ციხესთან დიდი ჯარების დაბანდება შეცდომა იყო, რადგან თვით მისი აღებაც კი არ წყვეტდა სტრატეგიულ ამოცანას. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი არზრუმის მიმართულებით გალაშქრება, მაგრამ რუსთა სარდლობამ დაიგვიანა.

**იმ დროს, როცა რუსთა ჯარის ძირითადი ნაწილები ყარსის ალყით იყვნენ დაკავებული, ანატოლიის კორპუსის სარდალი მუსთარ ფაშა თანდათან იკრებდა ძალებს და ჯარის უმეტეს ნაწილს თავს უყრიდა ზივინის მიდამოებში, რომელიც სტრატეგიული პუნქტი იყო ყარსის, ოლთისისა და ალაშკერტის დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე.**

**„ჟამი ხსნისა",**
**ნაწილი მეექვსე**

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



## უცნაური ფსიქოლოგიური პრობლემები

### COTARD'S SYNDROME

**ეს დაავადება არა მხოლოდ ძალიან უცნაურია, არამედ თითქმის წარმოუდგენელიც და რთულად სამკურნალოც.** სინდრომს სხვაგვარად ,,მოსიარულე მკვდრების სინდრომსაც" უწოდებენ. დაავადებულებს სჯერათ, რომ ისინი უკვე მკვდრები არიან. ზოგჯერ მათი ფანტაზია იმდენად შორს მიდის, რომ ეჩვენებათ, თითქოს სისხლი უკვე ყარს, ხოლო სხეული — გახრწნილია. ბუნებრივია, ეს რწმენა დაავადებულთა ყოველდღიურ ქცევაზეც აისახება. მათ სრულიად განსხვავებული ხედვა აქვთ და ნორმალური ადამიანებისგან აბსოლუტურად განსხვავებულად აზროვნებენ. ზოგიერთ შემთხვევაში ავადმყოფი იმდენად დარწმუნებულია თავის სიკვდილში, უარს აცხადებს საკვების მიღებაზე, რადგან მიიჩნევს, რომ მკვდარ სხეულს კვება არ ესაჭიროება. ეს სინდრომი ხშირად შიზოფრენიით დაავადებულებს ემართებათ.

# ლოგოები და მათი საიდუმლოებანი

**Amazon.com**
ამაზონის მომხმარებლებს, ალბათ, შეგინიშნავთ ლოგოზე პატარა ისარი. ამ ისარს ორმაგი სიმბოლური დატვირთვა აქვს. უპირველეს ყოვლისა, ის აღნიშნავს ღიმილს ამაზონის კლიენტების სახეზე. რაც შეეხება მეორეს, ის აღნიშნავს, რომ ამაზონზე ყველაფერია (A-დან Z-მდე).

**Big Ten**
„დიდი ათიანი" არის უნივერსიტეტის გაერთიანება. ამ უნივერსიტეტებიდან ბოლო მათ მოგვიანებით დაემატათ, მაგრამ გაერთიანების მესვეურთ სახელის შეცვლა არ სურდათ და ამიტომ რიცხვი „11" ლოგოშივე დამალეს.

**Body Wisdom**
„სხეულის სიბრძნე" სპა სალონია. ხელები მასაჟისა და სხეულის დამშვიდების სიმბოლოა, ხოლო ბუ – სიბრძნის.

**Elle Hive**
ასოებში „E" და „H" ტრაქტორია ჩამალული. საქმე ისაა, რომ ეს ფირმა სწორედ ტრაქტორებს უშვებს.

**Forkwire**
ამ ლოგოს უკან ონლაინ სერვისი დგას. მისი დახმარებით შეგიძლიათ საკვები გამოიწეროთ. დაღუნული ჩანგალი „ძაღლუკას" მოგაგონებთ.

**Horror Films**
ერთი შეხედვით 4 უბრალო წრეა (1 თეთრი და 3 შავი), მაგრამ კარგად თუ დააკვირდებით, დაინახავთ თეთრ მოჩვენებას, რომელიც კივის.

**Logo Review**
ქართულად „ლოგოების განხილვა" – სიტყვაში Review დამალულია პატარა აღნიშვნა V-ს სახით.

**Pakuy**
კომპანია, რომელიც საქონელს ფუთავს. ასო „P" მის ლოგოში ღია ყუთია.

**Toblerone**
ეს შოკოლადის კომპანიაა. ტობლერონი შვეიცარიის ქალაქ ბერნში მზადდება, რომელსაც მეორენაირად „დათვების ქალაქს" უწოდებენ. კარგად თუ დააკვირდებით, მთაზე თეთრ დათვს შენიშნავთ.

**Yoga Australia**
ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ლოგოა, მაგრამ თუ დააკვირდებით, ქალის ხელ-ფეხს შორის ადგილი ავსტრალიის რუკას ჰგავს.

**Piano Forest**
კომპანია „პიანინოების ტყის" ლოგოზე ორივე ნათლად ჩანს — ტყეც და პიანინოს კლავიშებიც.

**Cisco**
სახელწოდება ქალაქ სანფრანცისკოდან მოდის. ტალღისებრი დიაგრამა აღნიშნავს „Golden Gate Bridge"-ს, რომელიც, როგორც ცნობილია, სწორედ სანფრანცისკოში მდებარეობს.

**Hanuet Wine**
ეს ღვინის კომპანიაა, რომელიც „H" ასოში ღვინის ჭიქებს მალავს.

**Hartford Whalers**
ამ ლოგოში „H"-ც არის, „W"-ც და ვეშაპის კუდიც.

**LG**
ამბობენ, რომ LG-მ ლოგოს შესაქმნელად PacMan-ი გადააკეთა — მისი ლოგოდან, უბრალოდ, ნაწილი ჩამოჭრა და ქვევით ჩამოიტანა.

**Milwaukee Brewers**
ბეისბოლის გუნდი, რომელიც „M" და „B" ასოებში ბეისბოლის ხელთათმანს მალავს.

**Portrait Photos**
ეს ფოტო-ატელიეს ლოგოა, რომლის დიზაინის შემქმნელებმაც კამერაში პორტრეტი ჩამალეს.

**Raven**
გერმანული სარეკლამო კომპანიის ლოგოზე გამოსახულ სამ ყორანში დამალულია მეოთხე, რომელიც ასო V-ს ჰგავს.

roxy

quiksilver

**Roxy**
ეს კომპანია „Quicksilver"-ის ფილიალია, რომელიც მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის სპორტულ ტანსაცმელს უშვებს. ლოგოდ გამოიყენეს თავად „Quicksilver"-ის ლოგო, ოღონდ ისე შეაერთეს, რომ გულის ფორმა მიიღო.

**Summit**
კომპანიას, რომელიც მთამსვლელთათვის ტანსაცმელს უშვებს, სიმეტრიული და სამგანზომილებიანი ლოგო აქვს, მაგრამ მასში წარწერაცაა და ადამიანიც.

**Tostitos**
ჩიფსების კომპანიის ლოგოში ასო „I"-ს წერტილი სალსას წვენით სავსე ჯამია, ზევიდან კი ჩიფსი ადევს.

**Sony Vaio**
ეს კარგად ცნობილი ბრენდია, რომელიც ლეპტოპებს უშვებს. პირველი ორი ასო (VA) აღნიშნავს კომპიუტერულ სიგნალს ვიზუალურად (დიაგრამა), ხოლო ბოლო ორი ასო (IO) 1-იანს და 0-იანს ჰგავს. ეს კომპიუტერული სიგნალის ციფრული ვერსიაა.

**Sun Microsystems**
დააკვირდით „UN"-ებს და შეამჩნევთ, რომ 4 მიმართულებით წერია სიტყვა „Sun".

**NorthWest Airlines**
ეს არის „ჩრდილო-დასავლეთის ავიახაზების" ძველი ლოგო. ლოგოში დაინახავთ როგორც „N", ისე „W" ასოს. მაგრამ, კარგად თუ დააკვირდებით, N-ის გაგრძელება პატარა ისარია, რომელიც სწორედ ჩრდილო-დასავლეთისკენაა გაშვერილი.

## უცნაური ფსიქოლოგიური პრობლემები




◀ Capgras Delusion

**აშლილობის ეს სახე მეტად სახიფათოა, მაგრამ არა იმდენად თავად დაავადებულებისთვის, რამდენადაც გარშემომყოფთათვის.** ავადმყოფი ზოგჯერ ამოიჩემებს რომელიმე ახლობელს და დარწმუნებულია, რომ ეს ის ადამიანი კი არა, ვიღაც უცხოა. ამ დროს დაავადებულები ყველანაირად ცდილობენ, თავი დაიცვან „უცხოსაგან“ და, რაც უფრო მეტად ცდილობს მსხვერპლი ავადმყოფთან ჩვეულებრივი, ახლობლური ურთიერთობის აღდგენას, მით უფრო ტრაგიკული შეიძლება იყოს ფინალი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# საოცრება, რომელიც მალე გაქრება

**ტურისტულმა პორტალმა „Budget Travel“-მა გაქრობის პირას მისული ბუნების 10 საოცრების ნუსხა გამოაქვეყნა. მათი განადგურების თარიღად მეცნიერები დაახლოებით 2030 წელს ასახელებენ.**



### ბელიზის ბარიერული რიფი

ბელიზის ბარიერული რიფი მნიშვნელოვნად დაზარალდა. მრავალ ადგილას მან მარჯნების 50% დაკარგა, ისინი ამ დრომდე განაგრძობენ გაუფერულებას, რისი მიზეზიც გლობალური დათბობაა.



### ევერგლეიდსის ეროვნული პარკი

აშშ-ში, ფლორიდის პარკის ტერიტორია ერთადერთი ადგილია, სადაც ფლორიდული პანტერა ბინადრობს, პარკის მოცულობა კი უკვე 60%-ით შემცირდა.



### ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსები




გლობალური დათბობა განადგურებით ანტარქტიდის პინგვინების 80%-ს ემუქრება. არქტიკაში ამ ბედს თეთრი დათვებიც გაიზიარებენ. პოლარული ყინულის დადნობასთან ერთად მთელი ეკოსისტემები იღუპება. 20-40 წლის შემდეგ ანტარქტიდაში ყინულის ახალი მასივები აღარ წარმოიქმნება.



### კონგოლეზის ღრმული

ეს ამაზონის შემდეგ სიდიდით მეორე მასივია, რომლის ფლორისა და ფაუნის ორი მესამედი, გაეროს დასკვნის თანახმად, 2040 წლისთვის განადგურდება. მისი გადარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გარემოს დამცველები ეფექტურ ღონისძიებებს გაატარებენ. ამჟამად ტყეებს ინტენსიურად ჩეხენ, რადგან ფერმერები პირუტყვისთვის საძოვრის ნაკლებობას განიცდიან. აფრიკაში მაღაროების ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს.



### მადაგასკარი

თუკი ამ აფრიკული სახელმწიფოს ტყეების გადარჩენაზე არ იზრუნებენ, 35 წელიწადში ისინი მთლიანად გაიჩეხება და დაიწვება, მადაგასკარის მკვიდრნი კი დაიღუპებიან.





### ვეფხვების პოპულაცია

ვეფხვების ნახევარზე მეტი ინდოეთის ბინადარია. მსოფლიოში მათი რაოდენობა ამჟამად 3200-ია. ვეფხვები, შესაძლოა, 12 წელიწადში მთლიანად განადგურდეს. მარტო ჩინური ტრადიციული მედიცინის საჭიროებისთვის დღე-ღამეში საშუალოდ თითო ვეფხვს კლავენ.



### მკვდარი ზღვა

ბოლო 40 წლის განმავლობაში მისი მოცულობა მესამედით შემცირდა, ზღვის დონემ კი 24 მეტრით დაიკლო. თუ ტენდენცია არ შეიცვლება, დაახლოებით 50 წელიწადში მკვდარი ზღვა აღარ იარსებებს. ამასთან, კოსმეტიკის მწარმოებლები ზღვის ფსკერის მინერალურ მარაგს ანადგურებენ.



### მალდივის კუნძულები

თუკი გლობალური დათბობის პროცესი გაგრძელდება, ეს კუნძულები, რომლებიც ზღვის დონიდან დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ჩაიძირება.



### იანდზის მდინარის აუზი

მკვლევარებმა აღიარეს, რომ ამ რეგიონში არსებული ფლორა და ფაუნა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. მაგრამ ტურისტების მიერ დახარჯულმა თანხებმა, შესაძლოა, ბუნება განადგურებისგან იხსნას.



### ტაჰუამანუს ჯუნგლები

პერუს პროვინციაში მადრე დე დიოსში წითელი ხის მარაგი მოიპოვება. წითელი ხე ტაჰუამანუს ჯუნგლებში ხარობს. უკანონო ჩეხვის გამო ხეების რაოდენობა დღითიდღე ნადგურდება. მხოლოდ აშშ წითელი ხის 80%-ს მოიხმარს. ამ ხისგან ავეჯს აწარმოებენ.

დემურ გიორხელიძე:

# არც ერთ ქვეყანაში პენსიონერი ისეთი ღირსებაშელახული არ არის, როგორც საქართველოში



**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ „აყვავებული" ეკონომიკის „მდგრადობას" ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე აფასებს. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მკითხველს ქვეყნის ეკონომიკის ზოგად მიმოხილვას სთავაზობს.**

## «ჩვენი ხელისუფლების პირობებში ყველაზე დიდი, რასაც შეიძლება ადამიანმა მიაღწიოს, «ელიავას» ტიპის ბაზრობაზე ერთი პატარა ჯიხურის ჩადგმაა»

— ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ ჰკითხოთ, ქვეყანაში ლიბერალური გარემოა, ლიბერალური ეკონომიკაა. არადა, პენსიებისა და სხვადასხვა სოციალური დახმარების კუთხით საშინელ დამთრგუნველ მდგომარეობას ვაწყდებით. პენსიონერი არც ერთ ქვეყანაში ისეთი ღირსებაშელახული არ არის, როგორც საქართველოში. ის სიმბოლური, დამამცირებელი თანხები, რომლითაც პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველებს უწყალობებენ, რეალურად არაფერია, მითუმეტეს, როცა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფასები სტაბილურად იმატებს. **ასეთი სოციალური უზრუნველყოფისა და ხელფასების მქონე ქვეყანაში ფასების ამ მასშტაბით მატება საკვებ პროდუქტებზე, წამლებზე, სამედიცინო მომსახურებაზე არაბუნებრივია. საქართველო ჯუნგლებს დაამსგავსეს — ვისაც გაძლება არ შეგიძლიათ, კისერიც გიტეხიათ და სულიც გაგძრობიათო.**

მონოპოლიებს საქართველოში ზემოგებებზე ამუშავებენ, მაშინ, როცა ჯანმრთელ ადამიანს სამუშაო ოცნებად უქციეს. ჩვენთან, წინა წლების მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ, დამოუკიდებელი წარმატებული საქმიანობა სახიფათოა. დღეს ეკონომიკაში ხელისუფლება დომინირებს და, ვინც დამოუკიდებლად რაიმეს წამოიწყებს, უდიდეს პრობლემებს აწყდება. **საქართველოში ადამიანი საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობის რეალიზაციას ვერ ახდენს, რადგან აბსოლუტურად დაუცველია ჩინოვნიკების თვითნებობისგან. საქმის ობიექტურად განხილვის საშუალებას კი სასამართლო არ იძლევა.** ქვეყანაში, სადაც ხელისუფლებასთან დაახლოებული მონოპოლიური ჯგუფები იქმნება, რომლებიც არასახელისუფლო ჯგუფებს ძირავს, ბიზნესი ვერ განვითარდება. ჩვენი ხელისუფლების პირობებში ყველაზე დიდი, რასაც შეიძლება ადამიანმა მიაღწიოს, „ელიავას" ტიპის ბაზრობაზე ერთი პატარა ჯიხურის ჩადგმაა.

**— საბანკო სისტემა თუ უწყობს ხელს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას?**

— ხელს კი არ უწყობს, პირდაპირ ასამარებს ადგილობრივ ბიზნესს. აქ არსებული ბანკები უცხოურ ინვესტორებს, ყველაზე დიდი, 7%-იან კრედიტებს აძლევს, ხოლო ადგილობრივ ბიზნესმენებს — 15%-ს. ასეთი მაღალი პროცენტის გადახდა კანონიერ გზაზე მდგარ კომპანიებს არ შეუძლიათ. 15%-იანი კრედიტი თვით „ჯენერალ მოტორსს" რომ შესთავაზოთ, სახე მოექცევათ ამ სუპერ კომპანიის მენეჯერებს.

**ხელისუფლების მიერ პრივილეგირებული ჯგუფების გარდა, ბანკებს სესხის გაცემა ეკრძალებათ. მათგან არალობირებულ პროექტზე; რაც უნდა გონივრული იყოს იგი, ბანკები კრედიტს არ გასცემენ. საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს, თუ ვინმე დამიმტკიცებს, რომ ეს ასე არ არის.**

არადა, **ეს მექანიზმი შეგნებულადაა ამუშავებული, ვიწრო წრის გარდა, წელი რომ ვერავინ წამოიდგას და ბიზნესში კონკურენტუნარიანობა ჩაკლან. ამჯერად ხელისუფლებასთან დაახლოებული რამდენიმე გავლენიანი ჯგუფის მიერ ქონების გადანაწილებისა და სიმდიდრის დაგროვების პერიოდია, თუმცა იმდენად არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციაა ქვეყანაში, ცვლილებებით იმდენად მივაყენეთ შეურაცხყოფა ჩვენს კონსტიტუციას და იმდენად არამყარი კანონმდებლობაა ქვეყანაში, რომ ამ ხალხს მოხვეჭილი ქონების შენარჩუნების არანაირი გარანტია არ გააჩნია.** არასტაბილურ ქვეყნებში მემკვიდრეობითობის პრინციპი ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშაა. მხოლოდ იმაზე არიან დამოკიდებული, ძლიერნი ამა ქვეყნისანი თუ უჭერენ მხარს.

**— ანუ თქვენ ამტკიცებთ, რომ საქართველოში ყველა ინვესტორი ხელისუფლებასთანაა შეკრული?**

— საქართველოში დამკვიდრებული ინვესტორები — ყველა, ხელისუფლებასთან ასოცირდება. არადა, ლიბერალურ ეკონომიკურ გარემოს პრეზიდენტთან და მთავრობასთან შეთანხმება არ სჭირდება, არამედ — მხოლოდ კანონთან.




**— ქვეყნის საგარეო ვალებზე რას გვეტყვით?**

— ამ მხრივ მთავარი პრობლება ისაა, რომ არავინ იცის აღებული საგარეო ვალის ხარჯის სტრუქტურა, რაც სხვა ქვეყნებისთვის, უბრალოდ, წარმოუდგენელია. საქართველოში ბიუჯეტის კონტროლის პრობლემა დგას.

ნებისმიერი სახელმწიფო იღებს ვალს, მაგრამ ყოველთვის ასაჯაროებენ ინფორმაციას, თუ რამდენად მიზანშეწონილია ვალის აღება, რამდენად მიზანმიმართულად იხარჯება იგი და რა არის შედეგი. ჩვენთან კი სამთავრობო ხარჯები არც საჯაროა და არც კონტროლირებადი. კონტროლის პალატას ძალიან სუსტი პოზიცია აქვს და, ფაქტობრივად, ნიველირებულია ფუნქციურად. არადა, იგი ქვეყნის მთავარი საინფორმაციო წყარო უნდა ყოფილიყო, რომელსაც სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ოფიციალურად მოპოვებული ინფორმაციაც დაემატებოდა. ჩვენთან კი ხელისუფლება დინების საპირისპიროდ მიდის, ყველაფერი ერთპარტიულ სისტემაზეა დაფუძნებული, შესაბამისად, ხელისუფლების შტოებს შორის გამიჯვნა და გაწონასწორებაც პირობითია.

ყოველივე ამის ფონზე, საშიში ტემპით იზრდება ჩვენი საგარეო ვალები. ჩვენი სუსტი ეკონომიკისთვის ასეთი დიდი საგარეო ვალის ხვედრითი წილი ძალიან მძიმე ტვირთია.

**— აღნიშნული პრობლემების ფონზე, რას ემსახურება მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგი, რომლითაც მე-11 ადგილი მოგვენიჭა?**

— **მსოფლიო ბანკისა და ცნობილი სააგენტო „ფიჩის" რეიტინგი პირადად ჩემთვის მიუღებელია. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, რომ ეს აუდიტორული კომპანიები, აუდიტორული ფირმები, სარეიტინგო კომპანიები და ცალკეული შემფასებლები სანდონი არ არიან, რადგან ათობით მილიონ ადამიანსა და ასი ათასობით ინვესტორს ატყუებენ სოლიდური თანხების სანაცვლოდ.**

შეუძლებელია ქვეყნის ეკონომის განვითარება, როცა ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაუსაქმებელია და 400-500 ლარი ხელფასი სანატრელი აქვს. ასეთ სიტუაციაში რა შეფასებებზეა საუბარი?! რაც აქ ხდება, მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს. მთავარი პრობლება კი ისაა, რომ ეკონომიკის განვითარების საფუძვლად საქართველოს ხელისუფლება უცხოურ ინვესტიციას მიიჩნევს. არადა, უცხოური ინვესტიცია მხოლოდ უკმარისი რესურსების შესავსებად უნდა გამოიყენებოდეს. **საქართველოში არანორმალურობა ხელისუფლებამ ნორმად აქცია და ახლა გამოსავალს ტურიზმის განვითარებაში ეძებს. ტურიზმზე დამოკიდებული და აშენებული სახელმწიფო კი ჯერ არავის უნახავს.**

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**

**წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო**

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი" | 602602 |
| შპს „ახტელი" | 700818 |
| შპს „მაგთიკომი" | 200320 |
| შპს „ჯეოსელი" | 700305 |
| შპს „ბილაინი" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net